

მანანა ბერიკაშვილი

მეტყველების კულტურის ძირითადი პრინციპები

სახელმძღვანელო



გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2017

პროფესორ მანანა ბერიკაშვილის ნაშრომი „მეტყველების კულტურის ძირითადი პრინციპები“ განიხილავს მეტყველების კულტურის საკითხებს. ნაშრომში გაანალიზებულია სუნთქვის, წარმოთქმის, ხმის პრობლემები და მათი გადაჭრის, გასწორებისა და პროფესიული დაოსტატების გზები.

რედაქტორი – მარინე (მაკა) ვასაძე

კორექტორი – მანანა სანადირაძე

დამკაბადონებელი – ეკატერინე ოქროპირიძე

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, 2017
© Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University Publishing House ”Kentavri”, 2017

© მანანა ბერიკაშვილი
© Manana Berikashvili

მეორე შესწორებული გამოცემა

ISBN 99940-827-3-6 (პირველი გამოცემა)
ISBN 978-9941-9485-4-1 (მეორე გამოცემა)

სარჩევი

შესავალი	5
რელაქსაცია ანუ კუნთური დაჭიმულობის მოხსნა	20
კუნთების მოღუნების სავარჯიშოები	21
სუნთქვის, არტიკულაციისა და რეზონანციის ორგანოების თვითმასაჟი	23
ჰიგიენური მასაჟი	25
ვიბრაციული მასაჟი	26
სუნთქვა	27
ცხვირით სუნთქვის გამომუშავება	29
სრული შერეულ-დიაფრაგმული სუნთქვის გამომუშავება	31
დამატებითი სუნთქვითი ვარჯიშები სავარჯიშო ტექსტების ჩართვით	36
არტიკულაცია – წარმოთქმა	37
სამეტყველო აპარატი და მისი მონაწილეობა წარმოთქმაში	42
ქართულ ბგერათა კლასიფიკაცია	45
სამეტყველო ორგანოთა სავარჯიშოები	49
ყბის ვარჯიში	49
ენის ვარჯიში	49
ქართული ხმოვანი ბგერები. მათი სწორი წარმოთქმა, დარღვევები, დაყენება – კორექცია	51
ხმოვანთა წარმოთქმის გავარჯიშება	52
ქართული თანხმოვნები	
„ლ“ ბგერის მართებულად წარმოთქმის წესები, მისი დარღვევები და გამოსწორების ხერხები	59
ბგერა ლ-ს არტიკულაციური ვარჯიშები	60
ბგერა ლ სიტყვებსა და ენის გასატეხებში	61
ენის გასატეხები	64
„რ“ ბგერის სწორი წარმოთქმა	65
რ ბგერის დაყენება – კორექცია	67
ბგერა რ-ს გავარჯიშება ერთმარცვლიან, ორმარცვლიან და ა. შ. კომპლექსებში	68
ბგერა რ-ს გავარჯიშება სიტყვებში, ენის გასატეხებსა და სავარჯიშო ფრაზებში	69
„ვ“ სპირანტის სწორად წარმოთქმის წესები	72
ვ თანხმოვანი სიტყვებში, ენის გასატეხებსა და სავარჯიშო ფრაზებში	73
ენის გასატეხები	74
სისინა და შიშინა ბგერების სწორი წარმოთქმა, დარღვევები და გამოსწორება	75
სისინა და შიშინა ბგერების წარმოთქმის დარღვევა	77
სისინა – შიშინა ბგერების დაყენება – კორექცია	79

სისინა ბგერების სწორად წარმოთქმისათვის	
საჭირო სავარჯიშოები	80
ს თანხმოვნის გავარჯიშება — ჩამაგრება სიტყვაში	82
ზ-თანხმოვნის გავარჯიშება — ჩამაგრება სიტყვაში	83
ს და ზ თანხმოვნების გადატანა — ჩამაგრება	
ენის გასატეხებსა და სავარჯიშო ფრაზებში	84
ანდაზები	85
აფორიზმები	85
შიშინა ბგერების გამოსწორება	85
შიშინა თანხმოვნების ყრუ შ-ს და მჟღერი ჟ-ს წარმოთქმის	
სავარჯიშოები	86
შ-თანხმოვნის გავარჯიშება-ჩამაგრება სიტყვაში	87
ჟ-თანხმოვნის გავარჯიშება-ჩამაგრება	88
შ და ჟ თანხმოვნის გადატანა-ჩამაგრება	
ენის გასატეხებსა და სავარჯიშო ფრაზებში	88
ენაკბილისმიერი (სისინა) აფრიკატები	89
ძ, ც, წ თანხმოვნების გადატანა-ჩამაგრება სიტყვებში,	
ენის გასატეხებსა და ფრაზებში	90
ანდაზები	92
ბგერა წ სიტყვებსა და ენის გასატეხებში	92
ბგერა ძ სიტყვებსა და ფრაზებში	93
ჯ, ჩ, ჭ შიშინა აფრიკატების სწორი წარმოთქმის სავარჯიშოები	93
ჯ, ჭ, ჩ აფრიკატების ჩამაგრება სიტყვებსა და	
ენის გასატეხებში	95
შერეული ბგერათკომპლექსები	97
ბგერათა რიტმული გავარჯიშება	106
ბგერათა რიტმული გავარჯიშება ორმარცვლიან სიტყვებში	106
ლუღუნა მეტყველება	109
აჩქარებული და ნელი მეტყველება	111
სუნთქვის ვარჯიშები	112
ყურადღების ვარჯიშები	112
სავარჯიშო ტექსტები	113
ნელი მეტყველება — ბრადილალია	114
სავარჯიშო ლექსები	116
სამეტყველო ხმა და მისი გავარჯიშება	146
შიდა საარტიკულაციო სავარჯიშოები	147
ქვედა ყბის დაჭიმულობის მოხსნა	147
ხმის დიაპაზონის, სიძლიერისა და კეთილხმოვნების	
გამოსამუშავებელი სავარჯიშოები	151
სავარჯიშოები მოძრავი ტემპო-რიტმის გამოსამუშავებლად	155
სავარჯიშოები ხმის სიძლიერისა და სიმსუბუქის გამოსამუშავებლად	156
აზრის გამოხატვის სამეტყველო საშუალებანი	157
სავარჯიშო ტექსტები	168
გამოყენებული ლიტერატურა	207

შესავალი

მეტყველების კულტურა ფართო ცნებაა, იგი არამარტო უშუალოდ მეტყველების საკითხებს მოიცავს, არამედ ბევრად უფრო ვრცელ – ადამიანის ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობისა და აზროვნების სისტემასთან დაკავშირებულ მთელ რიგს პრობლემებს, ადამიანის მეტყველების ფორმირებაზე ზემოქმედებას ახდენს სოციალური, ბიოლოგიური, გეოგრაფიული და სხვა ფაქტორები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გავლენას ახდენენ ფორმირების პროცესზე. ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებულია გეოგრაფიულ, საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ფაქტორებზე. გენიალური კოტე მარჯანიშვილი წერდა, რომ არსებობს ჩრდილოეთის და სამხრეთის ხელოვნების ცნებები. „ორი უდიდესი სტიქია, – წერდა იგი, – სიცივე და სიცხე, ორი უდიდესი სტიმულია კაცობრიობის შემოქმედებისათვის. კულტურის ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ თუ არ ყოფილიყო დიდი სიცივე, არ იქნებოდა დედამიწაზე მატერიალური კულტურა. თუ არ იქნებოდა მზის ქვეყნები, არ იქნებოდა მსოფლიო ხელოვნება, არ იქნებოდა ეგვიპტე, ინდოეთი – ორი საღვთო წყარო ხელოვნებისა“.¹ მარჯანიშვილი ამ კონტექსტში მოიაზრებს ქართულ კულტურასაც. იგი წერს: „პირველი რამაც გამაკვირვა მე დაბრუნებისას, ეს არის დაბრუნება მზესთან. მე დავინახე სიტყვაში, მუსიკაში, მხატვრობაში მზის შვილები, მთვრალეები მისი სხივებით და შვებით მომღერალნი“.² სამხრეთელთა საუბრის რიტმი აჩქარებულია. მოკლებულია დინჯსა და ფიქრიან საუბარს. ამ პრობლემას ეხება სანდრო ანმეტელიც, როცა ეროვნულ თეატრალურ საკითხებზე წერს. იგი მიიჩნევს, რომ სცენაზე ქართველი მსახიობის მოძრაობასა და სიტყვას შორის გამეფებულია დისჰარმონია, კილო არ არის ქართული. „ჩვენი მსახიობი, – წერს ანმეტელი, – სიტყვა-გამოთქმას მოუფიქრებელ პლასტიკას უდებს. მონოლოგი და პლასტიკა დისჰარმონიაა მსახიობის თამაშში“. ანმეტელი ეროვნული თეატრის სათავეებს, მის თავისებურებას რომ განიხილავს, მკაცრად აკრიტიკებს ათიანი წლების ქართულ თეატრს (ანუ მის თანამედროვე თეატრს). იგი წერს: „დღევანდელ დღეს გამეფებული პლასტიკა, კილო, ინტონაცია, რიგი სტილი არ არის დედაძარღვზე

¹ ვ. კიკნაძე „სინამდვილე და სახიობა“, 1990წ. გვ. 89.

² დასახელებული წიგნი, იქვე.

ასახული. ქართულმა სცენამ ვერ შესძლო ქართველი ადამიანის სხეულის მოძრაობის შესწავლა, ამ მოძრაობის ძირითადი რიტმის განხატვა-გამოცნობა. და ქართული ელფერით მოცული პლასტიკის შექმნა სცენაზე“.¹ ეროვნული პლასტიკის, რიტმის, მეტყველების, მოძრაობის პრობლემებს გულისხმობს კოტე მარჯანიშვილის დებულება სამხრეთული და ჩრდილოური კულტურების შესახებაც. იგი იზიარებს ახმეტელისეულ კონცეფციას და წერს: „მხოლოდ ჩრდილოეთის კულტურის დიდ გავლენას, რომელიც მოდიოდა ჩვენში უკანასკნელ საუკუნეებში რუსეთიდან, მიეწერება დაკარგვა საკუთარი გზებისა ხელოვნებაში“.² პრობლემა უაღრესად რთულია და მრავალპლანიანი. მის სიტყვებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეტყველების კულტურის საკითხები, რადგან თეატრში, რომელსაც მარჯანიშვილი და ახმეტელი ამკვიდრებდნენ, სპეციფიკურ ხასიათს იძენდა სიტყვა, ინტონაცია, სიტყვის წარმოთქმის რიტმი. სწორედ ერთმანეთთან ორგანულ კავშირს და სინქრონიზაციას მიაღწია ახმეტელის თეატრმა. ეს დაადასტურეს უცხოელმა კრიტიკოსებმაც. ამერიკელი კრიტიკოსი ფლანაგანი წერდა: „ქართული თეატრი თავის თავში აერთიანებს შესაძლოა ისე, როგორც არც ერთი თანამედროვე თეატრი – მუსიკას, ცეკვას, მჭევრმეტყველურ თამაშს, სცენის არქიტექტონიკასა და პლასტიკას. ეს არის თეატრი, სადაც დადგმა ამავე დროს არის ცეკვაც, მხატვრული სურათიც და სიმღერაც“.³ აი, ასეთ სინთეზურ თეატრს, რომელიც ეროვნული თვითმყოფადობით იყო აღბეჭდილი, თავისი სპეციფიკური მეტყველების მაღალი კულტურა ჰქონდა. სწორედ ამ მთლიანი რთული ფენომენის სიღრმეებში უნდა მოძიებულყო ქართული, ეროვნული პლასტიკის, რიტმის, მეტყველების გამოსახვის სხვადასხვა ფორმათა სათავეები, რომლებიც სინქრონულ შესაბამისობაში მოვიდოდნენ ერთმანეთთან. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს პრობლემაც აქვს მხედველობაში ილია ჭავჭავაძეს, როდესაც წერს: „ჩვენი აზრი, ჩვენი ენით აღარ მოძრაობს, ჩვენი გული ჩვენის ენით აღარ თბება“. მეტყველება ხომ უშუალოდ არის დაკავშირებული აზროვნებასთან, იგი აზროვნების პროდუქტია. ამიტომ ანიჭებს ილია საგანგებო მნიშვნელობას ენის, ანუ მეტყველებისა და აზრის ერთიანობას. პრობლემა განსაკუთრებით

¹ ს. ახმეტელი ტომი I, 1978 წ. გვ. 121.

² ვ. კიკნაძე, დასახელებული წიგნი გვ. 89.

³ კრებული. რუსთაველის თეატრი, 1943წ. გვ. 47.

დიდ ეროვნულ მნიშვნელობას იძენდა მე-19 საუკუნეში და ეს გასაგებიც არის. თეატრს უნდა დაემკვიდრებინა სამაგალითო ქართული მეტყველება, რომელიც სიღრმისეულად ეროვნული ცნობიერების ასახვას მოიაზრებდა. ილია, აკაკი, ივანე მაჩაბელი, იაკობ გოგებაშვილი და სხვები სპეციალურად განიხილავდნენ საერთოდ მეტყველების და კერძოდ მხატვრული კითხვის საკითხებს. განსაკუთრებით აღნიშნავდნენ მაკო საფაროვა-აბაშიძის ქართულ მეტყველებას.

რეალისტური თეატრი მოითხოვდა მეტყველების შესაბამის სტილს. მაშინ მას „რეალურ მეტყველებას“, „ბუნებით მეტყველებას“ უწოდებდნენ. დ. ერისთავის „სამშობლოში“, სვიმონ ლეონიძის როლის შესრულების დროს კ. გამყრელიძემ უკანასკნელ სცენაში, როდესაც ეთხოვება ლევან ხიმშიაშვილს და სასიკვდილოდ მიდის, „ისეთი ბუნებით სავსე კილო იხმარა ბ-მა გამყრელიძემ, რომ პირველხარისხოვან არტისტსაც გაუძნელებოდა“ – წერს ილია. რა არის ეს „ბუნებით სავსე კილო“. ეს არა მარტო ფსიქოლოგიურ-რეალისტური თეატრის ესთეტიკის საკითხია, არამედ იგი უკავშირდება მხატვრული მეტყველების ბუნებრიობის, სიტყვის წარმოთქმის კულტურის პრობლემას. მხოლოდ ამ ფუნდამენტზე შეიძლება გაეიაზროთ მეტყველების კულტურის პროფესიონალიზმის ყველა ასპექტი. ამ კონტექსტში განიხილება სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა მეტყველების კულტურა. ჩნდება ტექნიკის, ვარჯიშების, მასაჟის და სხვა ტექნოლოგიური პრობლემები. მაგრამ როგორი განსხვავებულიც არ უნდა იყოს ტექნიკის ფორმით, საბოლოო შედეგში იგი უნდა ეფუძნებოდეს „ბუნებით სავსე კილოს“. მეტყველების ყველა სავარჯიშო, მთელი სხეულის ფსიქო-ფიზიკური აპარატი თუ წარმართება „ბუნებითი“ მეტყველების მისაღწევად, როგორი ინდივიდუალურიც არ უნდა იყოს გზები, საბოლოო შედეგი მაინც ერთი იქნება. ხოლო მისი ზემოქმედების ხარისხი დამოკიდებულია აზრისა და ემოციის გამოხატვის ოსტატობაზე ანუ მჭევრმეტყველებაზე. იგი ერთნაირად შეეხება მსახიობსაც, ტელე-რადიო ჟურნალისტსაც, მასწავლებელსაც, იურისტსაც და პოლიტიკოსსაც. მარტო მშრალი, ლოგიკური აზროვნება, სიმართლე და ჭკვიანური აზრები მსმენელზე ვერ მოახდენენ ზემოქმედებას, თუ ისინი არ წარმოითქმება მკაფიო „ბუნებითი კილოთი“ და ოსტატობით. ამიტომ გასაგებია, როცა ილია ჭავჭავაძე რელიგიის მსახურებს

მოუწოდებდა, ლოცვები და ქადაგებანი წარმოეთქვათ ისე, რომ მრევლისათვის აზრი გასაგები და ნათელი გამხდარიყო. საამისოდ საჭირო იყო მეტყველების კულტურის ამაღლება. სასულიერო პირს, რომელსაც ხალხთან უხდება ურთიერთობა, უთუოდ სჭირდება კარგი მეტყველება და ორატორული ხელოვნების საფუძვლების ცოდნა. რაც უფრო მჭევრმეტყველურად წარმოთქვამს ქადაგებას, რაც უფრო გასაგებს გახდის სასულიერო მოძღვრებას, მით უფრო მეტი იქნება მრევლზე მისი ზემოქმედება.

რატომ გაიზარდა მეტყველების მაღალი კულტურის მოთხოვნილება თეატრში რეჟისურის პროფესიონალიზაციასთან ერთად? ეს არის მსახიობის ხელოვნების პროფესიული ოსტატობის პრობლემა. რეჟისორი, სპექტაკლის მთლიანი გადაწყვეტის დროს, რომელიც დაკავშირებულია მის მსოფლმხედველობასთან, ვერ გამოხატავს მკაფიოდ თავის იდეებს, თუ ერთი მიზნით არ გაერთიანდა მთელი საშემსრულებლო არსენალი. ამ საქმეში კი მეტყველების კულტურას ერთ-ერთი უპირველესი როლი მიეკუთვნება. მაშასადამე, საკითხი ეხება რეჟისორის ინტერპრეტაციის, მსოფლმხედველობის გადმოცემის ხარისხს. კ. მესხი წერდა: „თუ ლაპარაკი და კითხვა შეუძლია აქტიორს – ის აზრიანად წაიკითხავს თავის როლს, დროზე შეჩერდება და დროზე შეიცვლის კილოს, ხმას, აამაღლებს ტონს და დაადაბლებს“.¹ განა ყოველივე ეს ისევ და ისევ მეტყველების კულტურას არ ეხება? იგივე მესხი წერს: „როდესაც ვინმე გელაპარაკებთ საინტერესო და საჭირო საქმეზე, შენ იმას თვალეში შესცქერიხარ, სახეზე გეტყობა – თუ შენთვისაც ისეა საინტერესო საგანი. თუ კი სინამდვილეში ასეა, რატომ თეატრშიც არ უნდა იყოს ეგრე?“² იგივე კითხვა შეიძლება უფრო ვრცლად დაისვას მაგ. ტელე-ჟურნალისტის, იურისტისა და დიპლომატის წინაშეც. განა ტელეჟურნალისტი, რომელიც რესპონდენტს ეკითხება, ასევე დაინტერესებული არ უნდა იყოს პასუხის „ბუნებით“ ხასიათში? იურისტისა და დიპლომატისათვის ხომ არსებითი მნიშვნელობა აქვს, შეიცნოს მოპასუხის ფარული აზრი, მისი ქვეტექსტი, მისი საიდუმლო. ამასთანავე ეს ყოველივე ხომ ფსიქოლოგიის საკითხი არის. ასე რომ მეტყველების კულტურის პრობლემა კომპლექსურია და გულისხმობს მრავალ განშტოებათა ერთობლიობას.

¹ კ. მესხი, კრებული 1953წ. გვ. 47.

² კ. მესხი, დასახელებული წიგნი, იქვე.

კაცობრიობამ საუკუნეების მანძილზე დიდი შრომა და ენერგია დახარჯა, რათა შეექმნა ორატორული ხელოვნების მაღალი კულტურა. ანტიკურ საბერძნეთში ორატორობა ფილოსოფიურ დონემდე იყო ამაღლებული. ყველა ფილოსოფოსი ცდილობდა კარგი ორატორიც ყოფილიყო, რადგან თავისი პოზიციების დაცვა უხდებოდა საჯაროდ.

დემოკრატიის სამშობლოში ორატორულმა მჭევრმეტყველებამ მართლაც ხელოვნების დონეს მიაღწია. დღემდეა შემონახული საუკეთესო მაგალითები მჭევრმეტყველებისა. ანალოგიური პროცესები მიმდინარეობდა საქართველოშიც. მსჯელობა, კამათი, საკუთარი პოზიციის მტკიცება – ყველაფერი ეს ზომ თანაბრად შეეხება ჟურნალისტებსაც და იურისტებსაც, მსახიობებსაც და პოლიტიკოსებსაც?

როდესაც მეტყველების კულტურის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე ვლაპარაკობთ, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ მის გენეზისს. რატომ არის რომ პრობლემა თითქმის თანამდევია კაცობრიობის განვითარებისა. ყოველ დროში თავისებურად აღელვებდათ მეტყველების კულტურის საკითხები. მისი განვითარების მასშტაბები დამოკიდებული იყო მსმენელის ხასიათზე, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე. ანტიკურ თეატრში ღია ცის ქვეშ გამართულ წარმოდგენებში თუმცა მსახიობს ნიღაბი ჰქონდა გაკეთებული, მაგრამ სათეატრო სივრცე საუკეთესო აკუსტიკით უნდა გამორჩეულიყო, რათა მსახიობს მაყურებელამდე მიეტანა აზრი. თანაც არა უბრალოდ, არამედ ემოციურად დამუხტული.

ციცერონი:, როდესაც რიტორიკისა და პოეზიის პრინციპებზე და ურთიერთმომართებაზე ლაპარაკობს, საგანგებოდ აღნიშნავს: „სცენაზე მყოფმა მსახიობმა, ლექსის წაკითხვისას ერთი მარცვალიც რომ უმართებულოდ დაამოკლოს ან გააგრძელოს, მთელი თეატრი აყვირდება. სხვათა შორის, ამ მაყურებელს არ ესმის, რა არის ლექსის საზომი და მუხლი, მაგრამ რაკი მისი სმენა შეურაცხვეს, სულაც არ უწევს ანგარიშს ვინ, რატომ და რით შეურაცხყო. ყვირის იმიტომ, რომ თვით ბუნებამ მიანიჭა ჩვენს ყურებს ვიგრძნოთ ბგერათა სიგრძე-სიმოკლე, ისევე როგორც დაბალ და მაღალ ტონს ვარჩევთ“.

მამასადამე, ციცერონი: სიტყვის წარმოთქმის კულტურას სმენის კულტურას უკავშირებს. სმენა კი ადამიანს ბუნებით აქვს

მომადლებული. თუ მის ყურს მოხვდა არაბუნებრივი ინტონაცია, იგი უმაღლვე ახდენს რეაქციას. ისევ და ისევ ილიასეული დებულება უმთავრესი, „ბუნებითი“ მეტყველება. დანარჩენი ტექნოლოგიის სფეროა.

„მჭვერმეტყველება არის ზეპირი მეტყველების უმაღლესი სახე“ – წერს ნ. კანდელაკი თავის მრავალმხრივ საინტერესო შრომაში „ქართული კლასიკური მჭვერმეტყველება“. საქართველოში ოდითგანვე იყო განვითარებული ორატორული ხელოვნება. როდესაც ბერძნული ანტიკური პერიოდის ორატორული ხელოვნების განვითარებაზე ვლაპარაკობთ, ბუნებრივია ვვულისხმობთ, თუ რაოდენ დიდი იყო მისი გავლენის სფერო. IV საუკუნის ბერძენი ფილოსოფოსი და ორატორი თემისტოისი ერთ-ერთ ახალგაზრდისადმი გაგზავნილ წერილში სიამაყით წერს, რომ მან რიტორიკული განათლება მიიღო არა საბერძნეთში, არამედ შორს, კოლხიდაში, სადაც ფაზისი ერთვის პონტოს ზღვას, ანუ ფოთის მახლობლად. დიდ მეცნიერ ს. ყაუხჩიშვილს, რომელმაც გამოაქვეყნა თემისტოისის წერილი შრომაში „რიტორიკული განათლების ცენტრი ძველ კოლხეთში“, მიაჩნია, რომ ამ სკოლაში ქართველი ახალგაზრდებიც სწავლობდნენ ორივე ენაზე. სკოლა სახელგანთქმული ყოფილა, რადგან თურქე საბერძნეთიდანაც მოდიოდნენ სასწავლებლად. რიტორიკული განათლების მაღალი კულტურის შედეგია არაერთი ბრწყინვალე სიტყვა, რომელიც საქართველოში წარმოითქვა. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ აიეტისა და ფარტაზის სიტყვები გუბაზ მეფის სიკვდილთან დაკავშირებით, სადაც დიდი პოლიტიკური საკითხებია განხილული. საქმე ეხება საქართველოს ორიენტაციის პრობლემას. სიტყვები აგებულია არა მარტო მკაცრ ლოგიკურ თანმიმდევრობასა და დასაბუთებაზე, არამედ მახვილებზე, მოულოდნელ სვლებზე, დასკვნებზე, ორატორულ ოსტატობასა და ემოციურ ზემოქმედებაზე. გუბაზის მკვლელობის ერთსა და იმავე ფაქტს ორივე ორატორი სულ სხვადასხვა ინტერპრეტაციით განიხილავს.

აიეტი წარჩინებული კოლხი ორატორი იყო. იგი ოსტატურად ფლობდა და იყენებდა მეტყველების მაღალ ხელოვნებას. „ის მშვენივრად ლაპარაკობდა“, – ამბობს VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი და დასძენს: „მის აზრებს შველოდა მისი ბუნებრივი მოქნილობაც“.

აიეტის ეს სიტყვა აღიარებულია ქართული მჭვერმეტყველების ბრწყინვალე ნიმუშად. ორატორის აზრები დიდი სიღრმითა და

ნათელი სიმარტივით არის წარმოდგენილი. სიტყვის აზრისა და ფორმის ბუნებრივი ერთობის საშუალებით იგი იპყრობს ხალხის ყურადღებას და საკუთარი ზეგავლენის ქვეშ აქცევს მასებს, ის მსმენელის ემოციებს ეუფლება, თუმცა ორატორი ძლიერია მხოლოდ სიტყვის წარმოთქმისას, „როცა წინა პლანზე ცივი განსჯის ძალა წამოიწვევს და თანდათან მკრთალდება ზემოქმედების ცეცხლი, მაშინ ორატორის მიმართ ჩნდება გულგრილობა და ქმედით უნარს კარგავს მისი სიტყვის აზრი. აიეტის ზემოქმედების სახით მსმენელის წინაშეა დიდი ორატორული გზებით ანთებული, მაგრამ ვითარების მკაცრი ლოგიკით მიუღებელი აზროვნება, რომელიც უმთავრესად მიემართება გრძნობებს და არსებითად მათი საზომით განისაზღვრება“¹ – წერს ნ. კანდელაკი.

საინტერესოა გუბაზ მეფის მკვლელობასთან დაკავშირებით წარმოთქმული ფარტაზის სიტყვა. ნ. კანდელაკის აზრით, ეს სიტყვა თავისი ძალით მიესადაგება ორატორული ხელოვნების ისეთ შესანიშნავ ძეგლებს, როგორიცაა დემოსთენესა და ციცერონის ფილიპიკები.

აიეტის სიტყვაკაზმულობას უპირისპირდება ფარტაზის სისადავე და ლაკონიზმი, იგი უფრო სასაუბრო ელფერს ატარებს, ვიდრე რიტორიკულ ხასიათს. მისი მეტყველების გამორჩეულ სახეს ქმნიან მიმართვები, შეკითხვები და შედარებები. შალვა ნუცუბიძე განსაკუთრებით აღნიშნავს ფარტაზის წარმატების უდავო მიზეზებს – თეორიულ და პრაქტიკულ განსწავლულობას, რაც ვლინდება მისი მწიგნობრული გამონათქვამებითა და ორატორული ტექნიკით.

ამიტომაც ღრმაიდური აზრი და ლოგიკური ფორმა ორატორისა ძლიერია არა მარტო მეტყველების პროცესში, არამედ მისი დამთავრების შემდეგაც.

ცნობილია დავით აღმაშენებლის ორატორული ხელოვნებით გაბრწყინებული სიტყვა. დიდი მეფე, რომლის ჭკუა, განათლება, სიბრძნე საქვეყნოდ იყო ცნობილი, ერთ-ერთ თავის სიტყვას ასე იწყებს: „მე შორს ვარ სწავლულებასა და მეცნიერებას“. მორიდებისა და თავმდაბლობის ამ კლასიკურ მაგალითში ჩანს, რომ იგი ორატორული ხერხია მაყურებელზე ზემოქმედებისათვის, ამის შემდეგ თანდათან უწევს ხმას, იშველიებს იგავებს, მეტაფორებს და უდიდეს ზემოქმედებას აღწევს.

¹ ნ. კანდელაკი, ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება. 1961 წ., გვ. 233.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ განმარტებულია რიტორიკის მნიშვნელობა და არსი. რიტორიკა აქ წარმოიდგინება, როგორც კომპლექსური სისტემა. „რიტორიკა არს სწავლა“ – წერს იგი. სწავლება რისა? მისი მიზანია „სწორი, მდიდარი, ემოციური და დამარწმუნებელი მეტყველების გამოქმედება“ (ნ. კანდელაკი).¹

სულხან-საბა ორბელიანი სწავლებას განმარტავს, როგორც ქადაგებას. „სწავლა არს ქადაგება“ – ამბობს იგი. ქადაგება დღეს, მართალია, ძირითადად სასულიერო სფეროს კუთვნილებად მოიაზრება, მაგრამ იგი ძველ საქართველოში უფრო ფართო მნიშვნელობისა იყო. საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა მჭევრმეტყველების დარგები: სამქადაგებლო, სადარბაზო, სამხედრო, სამოსამართლო, სადღესასწაულო, სამგლოვიარო და სხვ. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოში იყო გლოვის მგოსნობა. დასავლეთ საქართველოში შეიქმნა დამტირებლების დიდი ტრადიცია. დამტირებელი, რომელსაც ქირაობდნენ გასვენებებზე, გამოირჩეოდა ორატორული ხელოვნებით. მას უნდა ჰქონოდა კარგი ხმა, ემოცია, ტემპერამენტი, დახვეწილი პლასტიკა და მკაფიო მეტყველება, რომელიც გამოირჩეოდა ორიგინალური მრავალფეროვნებით. ყველაფერი ეს მას სჭირდებოდა ემოციური ზემოქმედებისათვის. ვინც უფრო მეტად აატირებდა ხალხს, მით უფრო მეტი იყო დამტირებლის ავტორიტეტი. ისინი ხალხის წრიდან გამოსული ბუნებით არტისტები იყვნენ. მათ ზუსტად იცოდნენ, რომელი სიტყვა რა გავლენას მოახდენდა ჭირისუფალსა და ხალხზე. როგორი ყესტი, როგორი ინტონაცია და მოძრაობა იყო საჭირო. როდის უნდა აემალლებინათ ხმა და როგორი ტემპრით უნდა წარმოეთქვათ სიტყვა. აქ ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სიტყვისა და ქცევის შესაბამისობას.

მოქმედებისა და სიტყვის ურთიერთობის კლასიკური მაგალითია შექსპირის „ჰამლეტიდან“ აქტიორებთან საუბარი, როცა ჰამლეტი ასწავლის, თუ როგორ უნდა ითამაშონ, რათა ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინონ კლავდიუსსა და გერტრუდაზე. ზემოქმედების მოსახდენად კი აუცილებელია სიტყვა მოქმედებას შეუფარდონ და მოქმედება სიტყვას. ჰამლეტი ეუბნება: „მოქმედება სიტყვას შეუფარდე და სიტყვა მოქმედებას. უფრთხილდი, ჩვეულებრივს სიწყნარეს არ გადახვიდე, თორემ თეატრის მნიშვნელობას ხელს შეუშლი. თეატრის აზრი უწინარეს ეს ყოფილა და დღესაც ის არის, რომ

¹ ნ. კანდელაკი, ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება. 1961 წ., გვ. 18.

ბუნებას სარკედ გაუხდეს“¹... და შემდეგ „მე მინახვანან აქტიორები არც ლაპარაკის კილო, არც მიხრა-მოხრა მათი ადამიანისას არ ჰგვანებიან“.²

აი ეს არის რეალისტური, ფსიქოლოგიური სიმართლის, დამაჯერებელი მეტყველების, სიტყვისა და მოქმედების ერთიანობის იდეა. მაგრამ თუ თეატრში მეტყველების ფორმები უნივერსალურია, სხვა მდგომარეობაში არიან, ვთქვათ, იურისტები, პოლიტიკოსები ან ტელეჟურნალისტები. მათი ზემოქმედების საშუალებები არის სიტყვის მკაფიო, ზუსტი, ემოციური და ორატორული გამოხატვა. მაშინ როდესაც თეატრში მთელი კომპლექსია ზემოქმედებითი საშუალებებისა. გამოჩენილი რეჟისორი პიტერ ბრუკი წერს: „ადამიანური ურთიერთობის მთელი წყებიდან – სიტყვა, მეტყველება არის ერთ-ერთი შესაძლებელი ვარიანტთაგანი. მეტყველების გარდა არსებობს სხეულის ენა, ხმის მუსიკა – ესეც ენაა, სივრცეში მოძრაობა – ესეც ენაა, ღუმილი ან სიჩუმე – ესეც ენაა, რიტმი – ენაა ესეც“³, მაგრამ იმავე ბრუკის აზრით – „სცენაზე შექმნილი ყველა სახე, სცენიდან წამოსული ყოველი ხმა ხომ მაყურებლისკენაა მიმართული, აღიქმება მაყურებლის მიერ, მაყურებელზე ზემოქმედებს, რაც იჭრება მის სულში, ზეგავლენას ახდენს მის აზროვნებაზე, გრძნობაზე, ცხოვრების წესზე“.⁴

ყველა შემთხვევაში ობიექტი ერთი და იგივეა – თეატრისათვისაც, ტელეჟურნალისთვისაც, და ლექტორისათვისაც. ეს არის მაყურებელი და მსმენელი. ყოველი მათგანის ამოცანაა, თავისკენ მოიმხროს იგი. თავისი იდეები გადაიტანოს მასზე. საშუალება კი ყოველ დარგს სპეციფიკური აქვს, მაგრამ მათ აერთიანებთ არა მარტო მიზანი, არამედ სიტყვა, მეტყველება. ვინც უფრო ოსტატურად ფლობს მას, მით უფრო დიდია მისი აზრის ზემოქმედების ძალა. ყველა შემთხვევაში მიზანი ერთია. მიზნის მისაღწევად კი, რაც უფრო მეტი დრო გადის, რაც უფრო მეტად იზრდება ტექნიკური საშუალებები, კომუნიკაციის პირობები და გლობალიზდება ურთიერთობები, მით უფრო მეტად იზრდება კონკურენცია. ამიტომ ვინც უფრო უკეთ ფლობს მაყურებელსა და მსმენელზე ზემოქმედების ძალას, მით უფრო

¹ შექსპირი, „ჰამლეტი“, მოქ. III, სურათი II, გვ. 119, 1954წ.

² შექსპირი, იქვე.

³ პიტერ ბრუკი, „ცარიელი სივრცე“, 1984წ. გვ. 49.

⁴ პიტერ ბრუკი, იქვე.

კონკურენტუნარიანია იგი. ასეთ რთულ პირობებსა და სპეციფიკურ ვითარებაში უხდებათ მუშაობა მსახიობსაც და ტელეჟურნალისტსაც, იურისტსაც და პოლიტიკოსსაც. ყველას უნდა, რომ აჯობოს თავის კონკურენტს. ამიტომ საჭიროა სისტემური ვარჯიში, მუშაობა, რათა ამაღლდეს, დაიხვეწოს გამოხატვის საშუალებების ტექნოლოგია. სიღრმისეულად იქნას შესწავლილი და გააზრებული ფსიქოფიზიკური აპარატის მთელი სისტემა, რათა მისი შესაძლებლობები ზუსტად იქნას გამოყენებული მიზნის მისაღწევად.

თანამედროვე ადამიანი სულ სხვა რიტმით ცხოვრობს. მოვლენების რიტმი აჩქარებულია, სწრაფია, ცვლილებები წამიერია. რიტმი არის საშუალება, რომელიც აერთიანებს დარბაზსა და სცენას, მსმენელსა და ორატორს. ახმეტელის აზრით – „ერთი რიტმის არსებობა ადამიანს გამოათავყვანებს, მოაღუნებს“.¹ ჩვენს პრაქტიკულ ცხოვრებაში სადაც არ უნდა ვიყოთ, დისკომფორტს გვიქმნის ერთფეროვნება, რაც რიტმის ერთფეროვნების შედეგია. ბუნება ვერ ითმენს მას, იგი თვით ბუნების საწინააღმდეგო მოვლენაა, რადგან თავად ბუნება რიტმულ მონაცვლეობის დიდ ჰარმონიაზეა აგებული – დღე და ღამე, ზამთარი და ზაფხული, შემოდგომა და გაზაფხული. იქ სადაც რიტმული მონოტონიზმია, შეუძლებელია ლაპარაკი მეტყველების კულტურასა და ორატორულ ხელოვნებაზე. მსახიობის, ტელე-ჟურნალისტის, იურისტის, ლექტორისა და პოლიტიკოსის გამოსვლის წარმატება ბევრად არის დამოკიდებული სწორედ რიტმული მონაცვლეობის ხარისხზე. არისტოტელეს მიაჩნდა, რომ „გამომხატველი რიტმული მოძრაობა საშუალებაა შევქმნათ ხასიათები, ვაჩვენოთ მდგომარეობა და მოძრაობა სულისა“.² ყველაზე ბრძნული აზრიც კი ვერავითარ შემოქმედებას ვერ მოახდენს მსმენელზე, თუ იგი წარმოითქმება ღუნედ, მონოტონურად. დღევანდელი მსმენელი, იქნება ეს ტელევიზიისა თუ რადიოსი, საჯარო თავყრილობასა თუ სალექციო დარბაზში, ვერ იგუებს მონოტონიზმს. ჩვენ ხშირად გვიკვირს, რატომ ხდება, რომ ახალგაზრდობა ეტანება მასობრივი კულტურის ისეთ ფორმებს, რომლებიც არ გამოირჩევიან გემოვნებითა და მაღალი კულტურით, მაგრამ, სამაგიეროდ, მათ აქვთ რიტმის მძაფრი შეგრძნება. ეს რიტმული შეგრძნება ეუფლება მათ და თავის ნებაზე ათამაშებს, რაც ცხოვრებისეული რეალობაა!..

¹ ს. ახმეტელი, წერილები, 1964 წ., გვ. 19.

² არისტოტელე, რიტორიკა, გვ. 181. 1992 წ.

თანამედროვე პირობებში ადვილად მოიკიდა ფეხი „ინტონაციურმა ქაოსმა“, გაუბრალოებამ და ცრუ მეტყველებამ. ბაბილონის გოდოლივით აირია თანამედროვე თბილისის მეტყველება. თბილისი კუთხურ კილო-კავებს, „მდაბიურის ენას“, როგორც ირონიულად შენიშნავდა ილია, კი არ გარდაქმნის ერთიან სალიტერატურო ენად, არამედ თავად ექცევა მისი ზემოქმედების ქვეშ. ცრუ ინტონაციური ყოფითი მეტყველება, რასაც სტანისლავსკი „გაუბრალოებას“ უწოდებდა, იჭრება ტელევიზიაში, პრესაში, პარტიულ აზროვნებაში. გაუბრალოების ტენდენცია, რომელსაც არაფერი არა აქვს საერთო ნამდვილ სახალხო დემოკრატიულ სამეტყველო კულტურასთან, შედეგია ღირებულებათა გაუფასურებისა. ყველაფერი ნიველირებულია, თითქოს ყველაფერს ერთი ფასი აქვს. მაგალითად, ვარსკვლავები იყვნენ უშანგი ჩხეიძე და ვერიკო ანჯაფარიძე, მთელი ქვეყანა იცნობდა მათ. დღეს ვარსკვლავია მავანი და მავანი, რომელსაც ხალხი: არ იცნობს. ლექსს წერდა გალაკტიონი, ლექსს წერს მავანიც და ორივეს პოეტი: ჰქვია. სხვა ბევრი მაგალითის დასახელება შეიძლება, თუ რა სავალალო შედეგები მოაქვს მასობრივ კულტურას. მთავარი და სამწუხარო ის არის, რომ სულ უფრო და უფრო ეცემა მეტყველების კულტურის დონე. ქვეითდება ორატორული ხელოვნება. სტიქიურ ხასიათს იძენს საზოგადოების განვითარების, აზროვნებისა და გემოვნების ჩამოყალიბების პროცესები.

რატომ არ უნდა ისწავლებოდეს სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში რიტორიკა, როგორც ორატორული ხელოვნების საფუძველი და მეტყველების კულტურის ამალღების საშუალება! სხვათაშორის, როცა თეატრალური ინსტიტუტი შეიქმნა, მაშინ სტუდენტებს ასწავლიდნენ ანატომიას, თეატრალურ საზოგადოებაში არსებობდა სასცენო მეტყველების სამეცნიერო-მეთოდოლოგიური საბჭო, რომელსაც ცნობილი ენათმეცნიერი, აკადემიკოსი გ. ახვლედიანი თავმჯდომარეობდა. საბჭოში შედიოდნენ თვალსაჩინო მეცნიერები: ვ. თოფურია, შ. ძიძიგური, ბ. ნიკოლაიშვილი, ი. მეგრელიძე, ზ. ჭუმბურიძე და სხვები.

თანამედროვე ტელე-ჟურნალისტიკა ვერ განვითარდება და მასობრივი კულტურის ძლიერი ტალღების ზედაპირზე იტივტივებს, თუ ყველამ სიდრმიხეულად არ გააცნობიერა მეტყველების მაღალი კულტურის აუცილებლობა. თუ არ დაეუფლება ტექნოლოგიას, რომელიც პროფესიულად აამაღლებს და სამოყვარულო დონისაგან

გამოარჩევს მის საქმიანობას, ისევე როგორც პროფესიონალი მსახიობი გამოირჩევა სცენის მოყვარისაგან. ნამდვილი პროფესიონალიზმი არ მიიღწევა იოლად. იგი მოითხოვს დიდ და სისტემურ შრომას. ჩვენ მიერ წარმოდგენილი ვარჯიშები და საკუთარ თავზე მუშაობის სისტემა კომპლექსურია. იგი საფუძველი გახდება პროფესიული დაოსტატებისა, არა მხოლოდ მსახიობებისა და ტელე-ჟურნალისტებისათვის, არამედ სხვა სპეციალობებისათვისაც, რომლებსაც საქმე აქვთ მსმენელთან და მაყურებელთან.

ურთულესია სიმართლის დაცვისა და სხვაზე ზემოქმედების პროცესი. განსაკუთრებით იურისპრუდენციაში. ორატორული ხელოვნება, ლოგიკური აზროვნება და სიმართლე მოიაზრება, როგორც მთლიანი კომპლექსი. ისინი ცალ-ცალკე ვერ მიაღწევენ ეფექტს. საქართველოს იურისპრუდენციის ისტორიაში თავისებური მითის სახით შემორჩა ერთ-ერთი შემთხვევა ცნობილი იურისტის, ნ. ანდრონიკაშვილის სასამართლო პრაქტიკიდან. თურმე განსასჯელ სკამზე იჯდა კუზიანი კაცი, რომელმაც მეზობელი მოკლა. მშრალი კანონისა და ფორმალური ლოგიკის ძალით მკვლელი სიკვდილით უნდა დაესაჯათ. ანდრონიკაშვილი კი მკვლელს იცავდა. დაახლოებით ასე წარმოადგენენ მის დაცვით სიტყვას.

– პატივცემულო მოსამართლე! პატივცემულო საზოგადოებაგ!..
– დაიწყო ადვოკატმა დაბალი ტემბრითა და ნაღვლიანი კილოთი. მოსამართლე და დამსწრე საზოგადოება დიდი ყურადღებით უსმენდა.

– პატივცემულო მოსამართლე! – გაიმეორა ადვოკატმა.

– პატივცემულო საზოგადოებაგ!..

– პატივცემულო მოსამართლე!

– პატივცემულო საზოგადოებაგ!

მოსამართლე ანერვიულდა და შენიშნა, თქვით სათქმელიო.

ადვოკატი კი სხვადასხვა ინტონაციითა და მოდულაციით იმეორებდა ერთსა და იმავეს.

– დიდად პატივცემულო მოსამართლე!..

– პატივცემულო საზოგადოებაგ!

– პატივცემულო მოსამართლე!..

როდესაც მეთედ გაიმეორა იგივე, მოსამართლემ იყვირა:

– ვის დასცინით? სასამართლოს? თუ არ იტყვი, წაგართმევთ სიტყვის უფლებას...

– ღრმად პატივცემულო მოსამართლე!

კვლავ იგივე გაიმეორა ადვოკატმა მშვიდი, აკადემიური აუღელვებელი ტონით. დარბაზში ატყდა სიცილი. ანდრონიკაშვილი კი განაგრძობდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა. ნერვებმა უმტყუნა მოსამართლეს და დაჰკრა ჩაქუჩი, იყვია და წამოდგა. სხდომა უნდა დაეტოვებინა. ამ ღროს გაისმა ადვოკატის ხმა: მხოლოდ ერთ წუთს გთხოვთ. შეჩერდა მოსამართლე.

– პატივცემულო მოსამართლე! თქვენ ვერ გაუძელით იმას, რომ დიდი პატივისცემით რამდენჯერმე მოგმართეთ ერთი და იმავე სიტყვით. რა უნდა ექნა საცოდავ განსასჯელს, რომელსაც მეზობელი დღეში ათჯერ მთელი თვეობით შეურაცხყოფდა ერთი და იმავე სიტყვით – კუზიანო... კუზიანო... უნდა მოეთმინა თუ უნდა მოეკლა იგი? – გთხოვთ განსაჯოთ.

ნ. ანდრონიკაშვილმა პროცესი მოიგო.

მის პროფესიულ ოსტატობაში შერწყმული იყო ორატორული ნიჭი, გონებაშეხილობა, მკაფიო ინტონაცია, ადამიანის ფსიქოლოგიის ცოდნა და მიზანი – დაეცვა მორალურად განადგურებული ადამიანი, თუნდაც ფორმალური მკვლეელი.

ცნობილია, რომ ორატორული ხელოვნების განვითარება მხოლოდ დემოკრატიული აზროვნების პირობებშია შესაძლებელი. დიქტატურის დროს, როდესაც ყველაფერი ემორჩილება ერთიან იდეოლოგიურ დოგმებს და ნომენკლატურულ სქემებს, თავისუფალი აზროვნება ვერ ვითარდება. არსებითად ასეთსავე სქემების ნორმებში იყო მოქცეული ჟურნალისტის პროფესიაც. შემთხვევითი არც ის იყო, რომ მთელი პარტიული იერარქია და უმაღლეს სასწავლებლებში ლექციები მეტწილად დაწერილი ფორმით იკითხებოდა. ეს იყო გამოძახილი შიშისა, რომელიც 1937 წლის მასობრივი რეპრესიების შემდეგ დამკვიდრდა ხალხში. თანამედროვე პირობებში კი, როცა ოფიციალური ცენზურა აღარ მოქმედებს, არ არის იდეოლოგიური ზემოქმედება, თავისუფალნი არიან ტელე-ჟურნალისტებიცა და სხვა პროფესიის ადამიანებიც, რომელთაც მოეთხოვებათ ჰქონდეთ მეტყველების მაღალი კულტურა. მაგრამ არ არსებობს „უნაპირო თავისუფლება“. იგი კონტროლირებულია შინაგანი კულტურის მქონე მსმენელისა და მაყურებლისაგან. ამიტომ ტელე და რადიო-ჟურნალისტს განვითარებული უნდა ჰქონდეს თვითცენზურა, რათა პირმოშვებულად არ ილაპარაკოს ყველაფერზე, არ დაუშვას

გაუბრალოება, საუბრისას (ვითომდა ცხოვრებისეულ მეტყველებასთან დაახლოებისათვის) უადგილო და არასწორი მახვილები, ცრუ ინტონაცია. ყველაფერი უნდა დაექვემდებაროს თვითცენზურას, როგორც ინტელიგენტურობისა და აღზრდილობის აუცილებელ პირობას. დღეს თანამედროვე ახალგაზრდობისათვის და საერთოდ ადამიანისათვის ბევრი რამ ადვილად ხელმისაწვდომი გახდა. ბევრი რამ შეიცვალა, მაგრამ არსებობს ბიოლოგიური მარადიულობა, რომელი ყოველ ახალ თაობაში, ყოველი თაობის ახალგაზრდობაში იჩენს თავს. ეს არის მისი გაბედულება, სიახლის ძიება, თავისუფალი ქცევა, გამომწვევი, უფროსებისათვის გამაღიზიანებელი მოქმედება, წარსულის კრიტიკული განსჯა, მაგრამ წარსულ საუკუნეებშიც ხომ იგივე ხდებოდა? ძველი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნის ფილოსოფოს სოკრატეს უთქვამს: „ჩვენს ახალგაზრდობას ფუფუნება უყვარს, ცუდად არის აღზრდილი, დასცინის უფროსებს და ოდნავადაც პატივს არ სცემს მოხუცს. ჩვენი ახლანდელი ბავშვები ტირანებად იქცნენ. ფეხზე არ დგებიან, როცა ოთახში ხანდაზმული ადამიანი შემოდის. ეურჩებიან მშობლებს“. თითქოს დღეს არის დაწერილი, მაგრამ ამგვარ „მარადიულ აუდიტორიასთან“ მუშაობის ფორმები და თვით აუდიტორიის მასშტაბებიც ხომ სულ სხვადასხვაა? დღეს ტელე და რადიო-ჟურნალისტიკის გავლენის სფერო ერთბაშად მოიცავს მრავალ თაობას – სრულიად განსხვავებულს და სპეციფიკურს. ამიტომ განსაკუთრებულად პასუხსაგებია ჟურნალისტიკის პროფესიაცა და სამუშაოც. სწორედ აქ არის საჭირო თვითცენზურა და მაღალპროფესიული ოსტატობა. ერთი დამახინჯებული ინტონაციაც კი, რომელიც ტელე-ეკრანიდან წარმოითქმება, მიბაძვის საგანი ხდება. განსაკუთრებით სწორედ იმ „აგრესიული ასაკის“ აუდიტორიისათვის, ზემოთ რომ აღვნიშნეთ. დღეს ყველაზე მეტად არსებობს პასუხისმგებლობის, თვითცენზურისა და პროფესიონალიზმის დეფიციტი. პირველ რიგში კი მოეთხოვება სწორედ ტელე-ჟურნალისტებს, იურისტებს, პოლიტიკოსებს, მასწავლებლებს. მისი დაძლევა შესაძლებელია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფერო კი სწორედ მეტყველების პროფესიული კულტურის ამაღლებაა. ამისათვის საჭიროა ყველა სავარჯიშოს შესწავლა და ყოველდღიურ ცხოვრების ნორმად ქცევა, ფსიქო-ფიზიკური აპარატის მთელი სისტემის გაცნობიერება და დაუფლება ტექნოლოგიისა, რომელიც დაგვეხმარება მეტყველების კულტურის

ამაღლებაში. ამ მიზანს ემსახურება ჩვენი ნაშრომიც.

წიგნზე მუშაობის დაწყებისას ჩვენ მიერ ჩატარებულ იქნა სოციოლოგიური გამოკვლევა. კითხვებზე გაცემულმა პასუხებმა (ჩვენი საზოგადოების სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისა) დააყენა დღის წესრიგში სამეტიყველო კულტურის ის პრობლემები, რომელთა გადაჭრაშიც დაგვეხმარება მოცემული ნაშრომი. სავალალოა ისიც, რომ გამოკითხულმა რესპონდენტებმა დაასახელეს მხოლოდ რამდენიმე პოლიტიკური მოღვაწე და ტელე-ჟურნალისტი, რომელთა მეტყველების კულტურაც სანიმუშოდ იქნებოდა მიჩნეული. გამოკითხულთა 90% მიიჩნევს საჭიროდ მეტყველების კულტურის სწავლების დანერგვას საშუალო სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში; საორატორო ხელოვნებას თვლის ტელე-ჟურნალისტების, იურისტების, პოლიტიკოსების, მსახიობების, მასწავლებლების ერთ-ერთ მთავარ გამომსახველობით საშუალებად.

ელაქსაცია ანუ კუნთური დაჭიმულობის მოხსნა

ადამიანის სამეტყველო აქტიურობის მისაღწევად საჭიროა მისი სათანადო შემზადება, ანუ ადამიანი უნდა განთავისუფლდეს ზედმეტი დაძაბულობისაგან გონებრივადაც და ფიზიკურადაც. ხშირ შემთხვევაში მეტყველების პროცესში ზედმეტად დაძაბულია კისრის, მხრების კუნთები, ქვედა ყბა ან ბაგეები, ღელვის დროს ზოგს ფეხი უკანკალებს, ზოგს ხელი, ზოგს მთელი სხეული. ზოგჯერ იმდენად დაძაბულია მთელი ტანი, რომ ადამიანის იერსახეცა და მეტყველებაც არაბუნებრიობის ელფერს იძენს, ხშირია შემთხვევა, როდესაც ზედმეტად დაჭიმულია სახის კუნთები და გეგონებათ ადამიანი ნიღაბს ატარებს. ზედმეტი დაძაბულობისაგან ვხვდებით ხელ-ფეხის ხშირ-უმიჯნო მოძრაობებს, ან მოსაუბრეს უჭირს ერთ ადგილზე დგომა ან ჯდომა და მისი საქციელი „ცქუტვას“ წააგავს. აგრეთვე ხშირია თავის, წარბების, სახის კუნთების ზედმეტი გაუმართლებელი მოძრაობები. ყოველივე ეს დაჭიმულობის შედეგია და ხელს უშლის მეტყველების ნორმალურ პროცესს.

მსგავსი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად საჭიროა სპეციალური ვარჯიში კუნთების მოსაღუნებლად. ოღონდ მოღუნება არ ნიშნავს მათ მოშვებულობას, ინერტულობასა და უმოქმედობას, არამედ მათ გათავისუფლებას. ზედმეტი მოღუნება ისეთსავე დაბრკოლებას ქმნის სამეტყველო აქტიურობის მიღწევისას, როგორსაც ზედმეტი დაჭიმულობა. ყველა კუნთის ერთდროულად მოღუნება შეუძლებელია. ერთი კუნთის მოღუნების შემთხვევაში, ვჭიმავთ სხვა კუნთებს. კუნთების მოღუნების შეგრძნებას მივალწევთ იმავე კუნთების საგანგებოდ, ხაზგასმით დაჭიმვის შედეგად.

კუნთების მოღუნების სავარჯიშოები სრულდება წოლით, ჯდომითა და დგომით მდგომარეობაში. ვარჯიშდება სახის, კისრის, მუცლის, მხრების, ზურგის, კიდურების კუნთები ცალ-ცალკე და კომბინირებულად.

კუნთების მოღუნების სავარჯიშოებს მიეკუთვნება მეტყველების დროს სხეულის „ძირითადი დგომის“ გამოსაშუშავებელი საშუალებები. იგი გულისხმობს ტანის ისეთ მდგომარეობას, როდესაც მკერდი გადაშლილია, ზურგი გამართული და წელს თავისუფლად უჭირავს სხეულის ზედა ნაწილი. დარღვევის დროს კი ზურგი მოხრილია,

მკერდი ჩავარდნილი, მუცელი წინ გამოწეული. ასეთი სხეული არა მარტო გარეგნულად არის უშნო შესახედი, არამედ უარყოფითად მოქმედებს სამეტყველო სუნთქვისა და ხმის ფუნქციებზე. გარდა ამისა, სხეულის „ძირითადი დგომის“ გამოძევაების შედეგად სხეულს შეუძლია გაძლოს სტატიკური დგომის ან ჯდომის მდგომარეობაში ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ზედმეტი დაღლის შეგრძნების გარეშე.

კუნთების მოღუნების სავარჯიშოები

1. წოლით მდგომარეობაში დავჭიმოთ მარჯვენა მკლავი, შევკრათ მუშტი და დაუკვირდეთ კუნთების მდგომარეობას. შემდეგ მოვადუნოთ მკლავი და მოვხსნათ დაჭიმულობა. დაუკვირდეთ კუნთების მოღუნებულ მდგომარეობას. იგივე გავიმეოროთ მარცხენა მკლავით.
2. დავჭიმოთ ორივე მკლავი, შევინარჩუნოთ დაჭიმული მდგომარეობა 5 წამის განმავლობაში და შემდეგ მოვადუნოთ.
3. იგივე ვარჯიში შევასრულოთ ჯერ მარჯვენა, ხოლო შემდეგ მარცხენა ფეხზე.
4. დავჭიმოთ ორივე ქვედა კიდური ერთდროულად, შევინარჩუნოთ დაჭიმული მდგომარეობა 5 წამის განმავლობაში და შემდეგ მოვადუნოთ.
5. პირაღმა წოლით მდგომარეობაში მოვხაროთ მხრები წინ ისე, რომ ხელის მტევნები იატაკს ებჯინებოდეს. დაუკვირდეთ ზედატანის კუნთების დაჭიმულობას და შემდეგ მოვადუნოთ მხრების კუნთები და დავეშვათ მხრები იატაკზე.
6. პირაღმა წოლით მდგომარეობაში ავწიოთ თავი იატაკიდან ისე, რომ ნიკაპი ებჯინებოდეს მკერდს, დაუკვირდეთ კისრის კუნთების დაჭიმულობას, შემდეგ მოვადუნოთ კისრის უკანა კუნთები და დავაბრუნოთ თავი საწყის მდგომარეობაში. გადავწიოთ თავი უკან ისე, რომ ნიკაპი ზევით აიწიოს, დაუკვირდეთ კისრის კუნთების დაჭიმულობას და შემდეგ მოვადუნოთ კუნთები.
7. დავჭიმოთ ზურგის კუნთები ისე, რომ იატაკიდან არ მოვწყვიტოთ ზურგი და წელი. დაუკვირდეთ დაჭიმულობას და შემდეგ მოვადუნოთ.
8. დავსხდეთ და მივეყრდნობთ სკამის ზურგს. ხელები დავუშვათ

თავისუფლად. ა) დავხუჭოთ თვალები მოჭერილი ქუთუთოებით, შემდეგ მოვადუნოთ; ბ) შევჭმუნოთ წარბები, შემდეგ მოვადუნოთ; გ) მოკუმული ბაგეები გავწიოთ განზე, შემდეგ დავუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას; დ) მოკუმული ბაგეები წამოვზიდოთ წინ დინგისებურად – დავუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას; ე) გავზიდოთ განზე სახის ყველა კუნთი – „მომღიმარი ნიღაბი“ – მოვადუნოთ; ვ) შევჭმუნოთ სახის ყველა კუნთი – „დაღვრემილი ნიღაბი“ – მოვადუნოთ.

9. დავდგეთ მხრების სიგანეზე გაშლილ ფეხებზე, მოვიხაროთ წელში და ჩამოვავლოთ ზედატანი ისე, რომ მოდუნებული ხელებით შევხებით ფეხის თითებს, რიტმულად გადავაქანოთ ზედატანი მარჯვნიდან მარცხნივ, ბოლოს დავუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას.
10. დავკვიმოთ მენჯის კუნთები წელში მოხრასთან ერთად. ზურგის კუნთების შეკუმშვასთან ერთად შევიგრძნოთ ერთი წერტილი წელის არეში. მოვადუნოთ სხეული და შევეცადოთ დავაფიქსიროთ ეს წერტილი. სწორედ ამ წერტილის დაჭიმვას მოჰყავს სხეული სწორ მდგომარეობაში. იგივე სავარჯიშო შეიძლება შევასრულოთ ჯდომით და წოლით მდგომარეობაში.
11. შეძლებისდაგვარად მოვადუნოთ მთელი სხეული ვერტიკალურ მდგომარეობაში. დავიწყოთ სხეულის ცალკეული ნაწილების დაჭიმვა შემდეგი თანამიმდევრობით: დავკვიმოთ ჯერ ფეხისტერფები, შემდეგ დაჭიმულობის ტალღა გადმოვიტანოთ მუხლამდე, შემდეგ, დავკვიმოთ ორივე ფეხი მთლიანად, დაჭიმულობის ტალღა გადავიტანოთ დუნდულებზე, შემდეგ დავკვიმოთ წელი, მუცლის პრესი, გულ-მკერდი, მხრები, ხელები, კისერი, სახის ყველა კუნთი. სხეული ისარივით გაჭიმულია. შემდეგ ერთბაშად მოვწყვიტოთ მთელი სხეული, ჩამოვავლოთ ზედატანი და მოვიხაროთ მუხლებში. ასევე შეიძლება მოდუნება შევასრულოთ სხეულის ცალკეული ნაკვთების ნაწილების მოშვებით. სავარჯიშო სრულდება ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.
12. დავდგეთ მხრების სიგანეზე გაშლილი ფეხებით. ხელები თავისუფლად დავუშვათ. ავწიოთ მხრები ზევით – ყურების მიმართულებით, შემდეგ გადავწიოთ უკან და დავუშვათ ქვევით, შემდეგ წამოვზიდოთ წინ და ჩავავლოთ გულ-მკერდი. შემდეგ

ვატრიალოთ მხრები წრიული მოძრაობით. დაუკვირდეთ კუნთების დაძაბულობას და ბოლოს მოვადუნოთ. ზემოთ მოცემული სავარჯიშოების შესრულებისას სასურველია გვეცვათ სპორტული, მოშვებული ტანსაცმელი და წინდები. თითოეული სავარჯიშო შევასრულოთ 3-5-ჯერ.

სუნთქვის, არტიკულაციისა და რეზონანსის ორგანოების თვითმასაჟი

იმისათვის რომ არტიკულაციისა და რეზონანსისათვის მოვამზადოთ სამეტყველო აპარატი, შემოგთავაზებთ სუნთქვის, არტიკულაციისა და რეზონანსის ორგანოების მასაჟს.

უძველესი დროიდან მასაჟი გამოიყენება როგორც სამკურნალო, ასევე სისხლის მიმოქცევის აქტივიზაციის, ნივთიერებათა ცვლის გააქტიურების, კუნთური დაჭიმულობის მოხსნის საშუალება და ა. შ. იგი ზემოქმედებას ახდენს მთელ ორგანიზმზე და აძლიერებს სხეულის დაცვით და მარეგულირებელ ფუნქციებს.

ზომიერად და სწორად შესრულებული მასაჟი სასიამოვნო შეგრძნებას იწვევს. იგი, უწინარეს ყოვლისა, მოქმედებს კანზე, კანი თავისუფლდება ცხიმოვანი ნარჩენებისა და ბაქტერიებისაგან. მისი საშუალებით მაღლდება კუნთების ტონუსი, ელასტიკურობა, უმჯობესდება მისი კუმშვადობის ფუნქცია. მასაჟი ხელს უწყობს კუნთების შრომისუნარიანობის ზრდას.

ნერვულ დაბოლოებათა უძრავლესობა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ხმის წარმოქმნის პროცესში, განლაგებულნი არიან სახის არეში (შუბლის, ცხვირის, ლოყების, ტუჩების, ენის, ღრძილების, მაგარი სახის) და კისრის, გულმკერდის, მუცლის კანქვეშ.

თვითმასაჟის დროს კუნთებს, რომლებიც მონაწილეობენ არტიკულაციისა და ხმის წარმოქმნაში, ჩვენ ვახურობთ ხახუნით დაწოლისა და ბიძგების მეშვეობით. ვათავისუფლებთ კუნთური დაჭიმულობისაგან. მასაჟი ხელს უწყობს ბგერის ფორმირებას და რეზონირებას. სამკურნალო მასაჟების მრავალსახეობიდან ვიყენებთ ორ ყველაზე სასარგებლო და ყველასთვის ხელმისაწვდომ ვარიანტს. ჰიგიენურს (ხახუნით დაწოლას, დაზელვას) და ვიბრაციულს (ბიძგები, ეკლები).

ჰიგიენური (დაზელვითი) მასაჟის დროს აქტიურდებიან

უშუალოდ კანქვეშ განლაგებული ნერვული დაბოლოებანი. ხოლო ვიბრაციული (ბიძვითი) მასაჟის ღროს ზურდება და მოქმედებაში მოდის შედარებით ღრმად განლაგებული ნერვული დაბოლოებები.

დაზღვევისა და ბიძვების გარდა ჩვენს სავარჯიშოებში გთავაზობთ ხმოვანი ტალღების ჩართვას, რაც, თავის მხრივ, შიგნიდან გამოსული ჰაერის ნაკადით ახდენს სახმო აპარატის შიდა კედლების მასაჟს. ამ სავარჯიშოში გამოიყენება მჟღერი ნაპრალოვნები ზ, ჟ და სონორი მ, ნ, რ, – ბგერები, რომლებიც ფორმირდება სამეტყველო აპარატის წინა ნაწილში.

ჰიგიენური მასაჟი თავდაპირველად უხმოდ სრულდება, ხოლო შემდგომ ხმის ჩართვით. ვიბრაციული კი უთუოდ ხმის თანხლებით.

მასაჟის შემდეგ აუცილებელია შედეგის შემოწმება ჟღერადობის ხარისხით და სიმსუბუქის შეგრძნებით. გამოიყენება ენის გასატეხები და პატარა ლექსები.

ვარჯიშის დაწყება სასურველია ჰიგიენური მასაჟით, რიგი სუნთქვითი ვარჯიშებით და ბოლოს სასარგებლოა ვიბრაციული მასაჟი. მასაჟების შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ ხმისა და არტიკულაციის სავარჯიშოებზე.

სასურველია თვითმასაჟის დაწყება პედაგოგ-კონსულტანტის მეთვალყურეობით, შემდეგ შეგვიძლია მასაჟის ჩატარება ყოველ დღით სახლში. აგრეთვე სასარგებლოა თვითმასაჟის ჩატარება მსახიობისათვის სპექტაკლამდე, ტელე-წამყვანებისა და ჟურნალისტებისათვის ეთერში გასვლამდე ერთი საათით ადრე. და ა. შ.

საჭიროა გვახსოვდეს: მასაჟის პროცედურა სუფთა ხელებით უნდა ტარდებოდეს.

ხელების მოძრაობა უნდა დაემთხვეს ჩვენ მიერ შემოთავაზებულ მიმართულებას.

კუნთები, რომელთა მასაჟსაც ვაკეთებთ, უნდა იყოს მოდუნებული.

მასაჟი სრულდება ნელ ტემპში.

ჰიგიენური მასაჟი

(სხეულის ნაწილების დაზღვევა სახუნისა და დაწოლის საშუალებით)

1. შუბლის მასაჟი; ორივე ხელის თითების ბალიშებით დავიზილოთ შუბლი შუა ნაწილიდან ყურების მიმართულებით. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 1).
2. სახის ზედა ნაწილის მასაჟი; ორივე ხელის თითების ბალიშებით დავიზილოთ ცხვირის ზურგის ძვლიდან ყურების მიმართულებით. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 2).
3. სახის შუა ნაწილის მასაჟი; ორივე ხელის თითების ბალიშებით დავიზილოთ ზედა ტუჩის შუა ნაწილიდან ყურების მიმართულებით. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 3.)
4. ზედა და ქვედა ტუჩის თვითმასაჟი; ბაგეები გადავჭიმოთ კბილებზე რიგ-რიგობით და თითის ბალიშებით დავიზილოთ ტუჩის შუა ნაწილიდან კუთხეების მიმართულებით. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 4.)
5. ქვედა ყბის თვითმასაჟი; ორივე ხელის თითებით დავიზილოთ ნიკაპის შუა ნაწილიდან ყურების მიმართულებით, შემდეგ ხელის გულებით ყურებიდან ნიკაპის შუა ნაწილამდე. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 5ა, 5ბ).
6. კისრის თვითმასაჟი;
 - ა) ხელის გულები ჩავაცუროთ ზევიდან ქვევით – ნიკაპიდან გულმკერდის ძვლის მიმართულებით. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 6ა, 6ბ).
 - ბ) დავიზილოთ ხელის მტევნით კისრის უკანა ნაწილი, კისრის მალეებიდან ილღის ფოსოს მიმართულებით... გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 7).
 - გ) კისრის გვერდითი მხარეების მასაჟი; დავიზილოთ ხელის თითებით კისრის გვერდითი მხარეები, ყურებიდან მხარეების მიმართულებით – რიგ-რიგობით. შესაბამისად, თავი შევებრუნოთ ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 8).
7. გულმკერდის თვითმასაჟი; ხელის გულებით წრიული მოძრაობით დავიზილოთ გვერდის კუნთები. ყურადღება მივაქციოთ ხელის გულების ერთდროულ, წრიულ და ენერგიულ მოქმედებას. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 9).

8. მუცლის თვითმასაჟი; ხელის გულებით დავაწვეთ მუცელს ისე, რომ ხელები ცერებით ეხებოდნენ ერთმანეთს, ხოლო დანარჩენი თითები ქვემოთ იყოს მიმართული და წრიული მოძრაობით დავიზილოთ მუცლის კუნთები. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 10).
9. ზურგის თვითმასაჟი; ხელის ზურგების დაწოლით დავიზილოთ ზურგი წრიული მოძრაობით. წრესაზი შემოვსაზოთ ორივე ხელის ერთდროული მოძრაობით. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 11).

ვიბრაციული მასაჟი

(სხეულის ნაწილების მასაჟი ბიძგების საშუალებით და სმოვანი ბეგრების თანხლებით)

- 1) ვიბრაციულ მასაჟს ვიწყებთ შუბლიდან, ისევე როგორც ჰიგიენურ მასაჟს. თითების ბალიშებით „სტოკატოს“ მსგავსი ბიძგებით ვიყრით „ეკლებს“ შუბლის შუა ნაწილიდან ყურების მიმართულებით (ხელების მოძრაობის მიმართულება იგივეა, რაც ჰიგიენური მასაჟის დროს), ვიბრაციულ მასაჟს თან ახლავს სმოვანი ტალღა, ამ შემთხვევაში თან ვაყოლებთ გაბმულ თანსმოვან ბეგრს მ-ს. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 1).
- 2) ვიბრაციული მასაჟი (ბიძგები), ცხვირის ზურგის ძვლიდან ყურების მიმართულებით, თანსმოვან ბეგრს მ – ან ნ-ს თანხლებით. ბაგეები მოკუმულა, გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 2).
- 3) ზედა ტუჩის ვიბრაციული მასაჟი ბეგრს ვ-ს თანხლებით. ჰაერნაკადი მიმართულია ზედა კბილებისაკენ. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 12ა).
- 4) ქვედა ტუჩის და ნიკაპის ვიბრაციული მასაჟი ბეგრს ზ-ს თანხლებით. ჰაერნაკადი მიმართულია ქვედა კბილებისაკენ. (ნახ. 12ბ).
- 5) გულმკერდის არეს ვიბრაციული მასაჟი ბეგრს ე – ან მ-ს თანხლებით. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 13).
- 6) მუცლისა და წელის ვიბრაციული მასაჟი – ბეგრს მ-ს თანხლებით. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (ნახ. 14).

სუნთქვა

სუნთქვა ბგერითი მეტყველების წყაროა. იგი ბგერის ძირითადი ენერგეტიკული საფუძველია. ადამიანის საბგერო ფუნქცია წარმოდგენილია სუნთქვის ფუნქციისაგან განცალკევებით.

სუნთქვის დაყენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ძირეული ელემენტია სამეტყველო ხმის ჩამოყალიბებისა და ბგერების სწორი წარმოთქმის საქმეში. ხმის სილამაზე, ძალა, სიმსუბუქე, მუსიკალურობა და მელოდიურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად წარმართავს ადამიანი სუნთქვას.

სუნთქვა იმიტომ თამაშობს ასეთ დიდ როლს ბგერის წარმოქმნაში, რომ სუნთქვის მეშვეობით ხდება ჰაერის დინება სამეტყველო ტრაქტში, მასზეა დამოკიდებული მბგერავი იოგების რხევის ამპლიტუდა. გარდა ამისა, სუნთქვა განსაზღვრავს სამეტყველო ხმის ინტენსიობას და, გარკვეულ წილად, ხმის ტემბრსაც. სწორი სუნთქვა იცავს სახმო აპარატს გადაღლისაგან, და ხელს უწყობს მისი ხარისხის შენარჩუნებას.

ჩვეულებრივი უბგერო სუნთქვის დროს, სუნთქვა ავტომატურია, შესუნთქვის და ამოსუნთქვის ხანგრძლივობა ერთნაირია, სუნთქვის პროცესის თანმიმდევრობა ასეთია: შესუნთქვა, ამოსუნთქვა, პაუზა.

საფონაციო ბგერითი სუნთქვის დროს კი საჭიროა სუნთქვის პროცესის კონტროლი. შესუნთქვა უფრო სწრაფი და ხანმოკლეა, ხოლო ამოსუნთქვა – შესუნთქვაზე ბევრად ხანგრძლივია. სუნთქვის პროცესი კი ასეთია: შესუნთქვა, ამოსუნთქვა (ბგერების და ფრაზების წარმოთქმა ამოსუნთქვაზე), ისევ შესუნთქვა და ასე – უწყვეტ ნაკადად.

განასხვავებენ სამი სახის სუნთქვას: გულმკერდის, მუცლის და შერეულ-დიაფრაგმულს.

გულმკერდის სუნთქვის დროს მოქმედებს ფილტვების შუათანა და ზედა ნაწილი. შესუნთქვა დაძაბულია, მხრები მაღლა იწევს, დიაფრაგმის მონაწილეობა უმნიშვნელოა. ასეთ სუნთქვას სხეულისათვის სარგებლობა ნაკლებად მოაქვს. იგი ხშირ შემთხვევაში იწვევს სახმო და სასუნთქი ორგანოების მოშლას.

ქვედა ანუ მუცლით სუნთქვის დროს დიაფრაგმის კუნთს წამყვანი როლი ენიჭება. ამ ტიპის სუნთქვას იყენებენ ძლიერი აგებულების ჯანმრთელი ადამიანები. ასეთი სუნთქვა რეკომენდებულია ექიმების

მიერაც. მუცლის ანუ დიაფრაგმული სუნთქვის დროს, ჰაერით ივსება ფილტვების უფრო ფართო ნაწილი, დიაფრაგმა იკუმშება და სწორდება, აწვება მუცლის ღრუში მოთავსებულ ორგანოებს. ამ სუნთქვას უარყოფითი მხარეც აქვს: შეზღუდულია ამოსუნთქვა, პასიურია გულმკერდის მონაწილეობა, რაც, თავის მხრივ, მოქმედებს ბგერის ხარისხზე. ასეთი სუნთქვა სასარგებლოა წოლით მდგომარეობაში, ხოლო დინამიკაში მისი გამოყენება რთულია.

შერეული დიაფრაგმული ანუ სრული სუნთქვის დროს მონაწილეობას იღებენ გულმკერდი, დიაფრაგმა და მუცლის პრესის კუნთები. სწორედ ასეთი სუნთქვა გამოიყენება სამეტყველო ხმისა და ბგერითი მეტყველების ჩამოყალიბების პროცესში. შერეული დიაფრაგმული სუნთქვის დროს უმცირესი ენერგიის დახარჯვით ვიღებთ საუკეთესო შედეგს.

სწორი სუნთქვის გამომუშავებისათვის აუცილებელია სხეულის სწორი დგომის გამომუშავება: წელში გასწორება, გულმკერდის გაშლა – გადახსნა, დიაფრაგმის გადაჭიმვა, ქვედა მუცლის შეკვრა – შეწვევა.

სახმო – საფონაციო სუნთქვის სწორი პოზიციის მიგნება ძნელი არ არის, გაცილებით უფრო რთულია ამ პოზიციის დაფიქსირება ანუ ჩვევად ქცევა.

ხმის დაყენების პროცესში სუნთქვაზე ვარჯიშის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ყველა ორგანო და კუნთი, რომელიც მონაწილეობას იღებს ბგერის წარმოქმნაში, ერთმანეთზე დამოკიდებული, მაგალითდ, სასუნთქი კუნთების ფუნქციის მოშლა სახმო აპარატის ფუნქციების მოშლას იწვევს და პირიქით. ზედმეტი სუნთქვის აღება (რომელსაც ჩვენ სუნთქვით გადატვირთვას ვუწოდებთ) სახმო სიმების დაძაბულობას იწვევს. ხმა კარგავს ტემბრს, ისმის ღუნედ, ჟღერადობა არასასიამოვნოა. არასაკმარისი სუნთქვის აღება ხმას ძალასა და ჟღერადობას უკარგავს. ფილტვების ზედმეტი გადატვირთვა ჰაერით, ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შეცდომაა ხმაზე მუშაობის დროს. ფილტვების ძლიერი გაბერვა ავითარებს ძლიერ წნევას ბრონქებში და ხელს უწყობს ფილტვებში სისხლის მიმოქცევის მოშლას. მიუხედავად იმისა, რომ ფილტვებში საკმაოდ დიდი რაოდენობის ჟანგბადია, ვითარდება არითმია და სუნთქვის უკმარისობა.

ცხვირით სუნთქვის გამოუმუშავება

ცხვირით სუნთქვა ხორციელდება ზედა სასუნთქი გზების მეშვეობით (ცხვირი, ცხვირის ნესტოები, ყელი, ხახა, ტრაქეა). ზედა სასუნთქი გზების სისტემა მჭიდროდ ეხება სმენის ორგანოებს. ჰაერი, როდესაც გაივლის ცხვირის ღრუს, თბება, ჟივდება და იწმინდება.

ცხვირის ლორწოვან გარსში განთავსებულია ნერვული დაბოლოებანი (რეცეპტორები), რომლებიც უზრუნველყოფენ ცხვირის შიდა ნაწილის რეფლექტორულ კავშირს სხვა ორგანოებთან. სუნთქვის (ჩასუნთქვა-ამოსუნთქვა) დროს ცხვირის ლორწოვან გარსში წარმოქმნილ იმპულსებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ სრულიად სასუნთქი სისტემის ფუნქციონირებისათვის.

მეცნიერების მიერ დამტკიცებულია ცხვირით სუნთქვის უდავო უპირატესობა პირით სუნთქვასთან შედარებით. გამოვლენილია მრავალი ორგანული დარღვევა ცხვირით სუნთქვის საერთო სასუნთქი სისტემიდან გამოთიშვის (უგულებელყოფის) დროს. პირით მუდმივად სუნთქვა არღვევს გაზების ცვლას ფილტვებში (ჟანგბადის რაოდენობა მცირდება 25-30%-ით. ირღვევა აგრეთვე სავენტილაციო სისტემა შუა ყურში, რომელსაც უშუალო კავშირი აქვს ცხვირ-ხახასთან) და იწვევს, თავის მხრივ, სმენის დაქვეითებას.

ცხვირით სუნთქვის უგულებელყოფა ძალიან ხშირად იწვევს ქრონიკულ რინიტს, ჰაიმორიტს, შაკიკს. საერთოდ, სასუნთქი ორგანოებისათვის ცხვირი დამცავი ფილტრის ფუნქციას ასრულებს.

როდესაც ადამიანი ცხვირით სუნთქავს, ფილტვებში ათჯერ უფრო ნაკლები მიკრობი ხვდება, ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ, ვინც პირით სუნთქავს, გაცილებით ხშირად ავადდება ანგინით, ბრონქიალური ასთმით, ზედა სასუნთქი გზების კატარით.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დარღვევა პირდაპირ ან ნაწილობრივ გავლენას ახდენს მეტყველების ხარისხზე, კერძოდ: ჩნდება ცხვირისმიერი, ღუღუნა მეტყველება, ხმის ჟღერადობა არათანაბარი და ხრინწიანია. ეს კი იმიტომ ხდება, რომ არ მუშაობენ ხმის ისეთი მნიშვნელოვანი რეზონატორები, როგორებიცაა – ცხვირი და ცხვირ-ხახა.

სამეტყველო ხმის ჩამოყალიბების პროცესში აუცილებელია

ცხვირით სუნთქვის გამომუშავება. სუნთქვისა და მეტყველების ყველა სავარჯიშო ხელს უწყობს ცხვირით სწორად სუნთქვის გამომუშავებას.

ცხვირით სუნთქვის გამომუშავების პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია ამოსუნთქვა მოხდეს უხმაუროდ. ამასთანავე გრძლად, წამღერებით გამოითქვას თანხმოვანი მ ა ნ ნ მოკუმული პირით.

სავარჯიშოები:

- 1) საჩვენებელი თითით დავახშოთ მარჯვენა ნესტო და ჰაერი შევისუნთქოთ მარცხენა ნესტოთი. შემდეგ დავახშოთ მარცხენა ნესტო და ამოვისუნთქოთ მარჯვენა ნესტოთი. ამავე ნესტოთი შევისუნთქოთ ჰაერი, შემდეგ დავახშოთ და ამოვისუნთქოთ – მარცხენათი. გავიმეოროთ 4-6-ჯერ.
- 2) ორივე ხელის საჩვენებელი და შუა თითით დავისრისოთ ნესტოები ცხვირის წვერიდან შუბლის მიმართულებით. შევისუნთქოთ – ამოსუნთქვისას მსუბუქად დავიყაროთ ბიძგები ნესტოებზე იმავე თითებით. გავიმეოროთ 4-6-ჯერ.
- 3) ჩავისუნთქოთ და ამოვისუნთქოთ ჰაერი ცხვირით, 10-12-ჯერ (პირი ღიაა).
- 4) დაბერილი ნესტოებით ჩავისუნთქოთ ჰაერი. ამოსუნთქვისას ნესტოები ნორმალურ მდგომარეობას უბრუნდებიან. გავიმეოროთ 4-6-ჯერ.
- 5) ჰაერი შევისუნთქოთ ცხვირით. ნელი ამოსუნთქვისას მშვიდად მივაბრუნოთ თავი ჯერ მარცხნივ, შემდეგ მარჯვნივ. ამოსუნთქვის დასასრულისას თავი საწყის მდგომარეობას უბრუნდება. შემდეგი ჩასუნთქვა – ამოსუნთქვისას ავწიოთ თავი და გადავკიდოთ უკან, სუნთქვის დასასრულს დავაბრუნოთ საწყის მდგომარეობაში.
- 6) საწყისი მდგომარეობა – ვდგავართ, ფეხები ერთად. ხელები ჩამოშვებულია თავისუფლად. პირი ღიაა. შევისუნთქოთ ცხვირით და გაეშალოთ ხელები განზე. ნელი ამოსუნთქვისას იმავე რიტმში ჩამოვუშვათ ხელები. გავიმეოროთ 4-6-ჯერ.
- 7) საწყისი მდგომარეობა – ვდგავართ, ფეხები ერთად. სწრაფი, მსუბუქი და რბილი მოძრაობით ავწიოთ ხელები და გადავაჭლოთ ხელის გულები ზემოთ. ჩასუნთქვისას თითის წვერებზე ავიწიოთ და მაქსიმალურად გავიჭიმოთ. ამოსუნთქვისას დავუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას. გავიმეოროთ 4-6-ჯერ.

- 8) საწყისი მდგომარეობა – ვსხედვართ, ხელები თეძოებზე. ჩასუნთქვისას მკლავები გავწიოთ უკან, ისე, რომ მტევნები თეძოებს არ მოვაშოროთ. ამოსუნთქვისას მკვეთრად და მაქსიმალურად გადავიხაროთ წინ და ხელები დავიწყოთ მუხლებზე. გავიმეოროთ 4-6-ჯერ.
- 9) საწყისი მდგომარეობა – ვსხედვართ, ხელები თეძოებზე. ჩასუნთქვისას ხელები გავშალოთ განზე, ამოსუნთქვისას შემოვახვიოთ მხრებს. გავიმეოროთ 4-6-ჯერ.

სრული შერეულ-დიაფრაგმული სუნთქვის გამოუმუშავება

სუნთქვის ყველა სავარჯიშო ემსახურება სრული შერეულ-დიაფრაგმული სუნთქვის უნარის განვითარებას, რომელიც უნდა ახასიათებდეს ყოველ ჯანმრთელ ადამიანს და განსაკუთრებით ესაჭიროება მათ, ვინც პროფესიულად დაკავშირებულია ზეპირ-მეტყველებასთან (ტელე-რადიო ჟურნალისტები, წამყვანები, მსახიობები, პედაგოგები, პოლიტიკოსები, იურისტები და ა. შ.).

პედაგოგიურმა პრაქტიკამ დაამტკიცა ხმოვანი ამოსუნთქვის და წარმოსახვითი მეტყველების უდავო ეფექტურობა. იმისათვის რომ ხმა ჟღერდეს სწორად, გთავაზობთ სავარჯიშოებს, რომლის დროსაც ამოსუნთქვის პროცესში უხმოდ წარმოვთქვამთ ფრაზებს ან ვითვლით; ამასთან, ყურადღების კონცენტრაციას ვახდენთ მოკუმული ტუჩებიდან გამომავალ ჰაერის წვრილ ნაკადზე. ამას ეწოდება ფიქსირებული ამოსუნთქვა. ეს სავარჯიშოები ეხმარება ზუსტად და გაცნობიერებულად გაითვალოს ამოსუნთქვის ხანგრძლივობა. წინააღმდეგობა, რომელიც წარმოიქმნება მოკუმული ტუჩებით, ფიქსირებული ამოსუნთქვისას ააქტიურებს მუცლის პრესის კუნთებსა და დიაფრაგმას. ტუჩებს შორის დარჩენილი მცირე ნასვრეტიდან აქტიურად ამოსული ჰაერის ნაკადი ფაქტობრივად ამზადებს ბგერის ჟღერადობის სიმძლავრეს და მიმართულებას. პარალელურად ტუჩებით ჰაერნაკადის შეკავება ააქტიურებს ტრაქტის და ბრონქების მუსკულატურის მუშაობას.

წარმოსახვითი მეტყველება, ფიქსირებული ამოსუნთქვისას, ხდება სამეტყველო აპარატის მინიმალური დატვირთვით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ვარჯიშების დასაწყის ეტაპზე.

როგორც ნებისმიერი ფიზიკური ვარჯიშის დროს, როდესაც

საჭიროა მუსკულატურის დაძაბვა, სრული სუნთქვის გავარჯიშებისას აუცილებელია განმუხტვა: კერძოდ, მუსკულატურის დაძაბვისა და მოდუნების მონაცვლეობა. ამ პრინციპზე აგებული ვარჯიში მუსკულატურას ანიჭებს მკაფიო მოქნილობას, ხსნის კუნთების დაძაბულობას და თავიდან გვაცილებს გადაღლას. აუცილებელია 2-4 ვარჯიშის შესრულების შემდეგ კუნთების მოდუნება.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მუცლის პრესის კუნთების ვარჯიშებს. ეს კუნთები წარმოადგენენ ურთიერთ შემაჯსებელ კონსტრუქციას დიაფრაგმასთან ერთად და ერთობლივად ქმნიან ხმისათვის მძლავრ საყრდენს. აუცილებელია ზუსტად შეგვეძლოს ამ კუნთების დაძაბულობის მკაფიო დოზირება და მართვა. ჰაერის ღონიერი ბიძგები აძლიერებენ დაწოლას სახმო სიმებზე და ბგერა უხეშდება. ამიტომ ყველა მოძრაობა ვარჯიშისას უნდა იყოს მსუბუქი და რბილი, მაშინაც კი, როდესაც ისინი სწრაფ ტემპში სრულდება.

შეკრული ქვედა მუცელი ანუ მუცლის პრესის დაძაბული კუნთები ძალაუვნებურად აიძულებს ადამიანს წელში გაიმართოს და ხელს უშლის სუნთქვით გადატვირთვას, რომელიც მავნებელია ხმისათვის. ძალიან მნიშვნელოვანია ავითვისოთ როდის და როგორ შეგვეშმოთ და დავჭიმოთ მუცლის პრესი, განვავითაროთ კუნთების შეგრძნების და მათი მართვის უნარი. სუნთქვითი სავარჯიშოები სრულდება წოლით, დგომით და ჯდომით მდგომარეობაში.

სავარჯიშოები:

- 1) დავდგეთ სწორად, ფეხები გავშალოთ მხრების სიგანეზე, დავჭიმოთ მუცლის პრესი და დუნდულები, შემდეგ სწრაფად და მსუბუქად ჩავისუნთქოთ ცხვირით. ყურადღების კონცენტრაციას ვახდენთ ტუჩებზე. ნელა ამოვისუნთქოთ ჰაერი ტუჩებს შორის დარჩენილ ვიწრო ნასვრეტში და გონებით დავითვალოთ 10-12-15-მდე. ერთი ხელი დევს მუცელზე, მეორე ნეკნებზე. ხელები ჩასუნთქვისას შეიგრძნობენ, თუ როგორ იკუმშება მკერდი და იბერება მუცლის ფარი. ასეთი მდგომარეობა უნდა შევინარჩუნოთ ამოსუნთქვის ბოლომდე. რათა მუცლის პრესი თანდათანობით და რბილად დააწვეს დაცარიელებული დიაფრაგმის თაღს და წაუბიძგოს ზემოთ – ასეთ დროს ჰაერი თანაბარი ჭავლით გამოდის ტუჩებიდან. მუცელი და დიაფრაგმა ნელა ცარიელდება. ამ ვარჯიშისას რეგულატორის როლს ასრულებენ მუცლის

- პრესის კუნთები. შესაბამისად გაცნობიერებული პროცესი ასე მიმდინარეობს: იკუმშება მუცელი და ღუნდულები, ხდება ცხვირით მოკლე შესუნთქვა და ჰაერის ნელი ამოსუნთქვა თვლაზე. მომდევნო ვარჯიშამდე აუცილებელია მცირე პაუზა.
- 2) ვლგავართ სწორად – ფეხები მხრების სიგანეზე. ხელები დავიწყით თეძოებზე მოკლე და მკვეთრი ჩასუნთქვა – ამოსუნთქვა. ცხვირით ჩასუნთქვის დროს ვკუმშავთ მუცლის კუნთებს, ხოლო ამოსუნთქვას ვახდენთ პირით ხმოვანი ბგერების (ბი-ბე-ბა-ბო-ბუ) თანხლებით. შესაბამისად იშლება მუცლის კუნთებიც. ხელებით ვაფიქსრებთ კუნთების შეკუმშვა-გაფართოებას.
 - 3) გავიმეოროთ 1 სავარჯიშო მჯდომარე მდგომარეობაში. რაც უფრო ხანგრძლივია ამოსუნთქვა, მით უფრო წვრილად და მკვეთრად ხდება ჰაერის გამოდინება ტუჩებს შორის.
 - 4) ვლგავართ სწორად, ფეხები მხრების სიგანეზე. ხელები თავისუფლადაა ჩამოშვებული. შესუნთქვასთან ერთად ოდნავ წინ გადავიხაროთ და ხელები დავიწყით თეძოებზე. თავი აწეულია, მზერა პირდაპირი, ზურგი გამართული (ნახ. 15), ფიქსირებული ამოსუნთქვისას წარმოვთქვამთ გაბმულ თანხმოვან ბგერა ს-ს. ვუბრუნდებით საწყის მდგომარეობას. მნიშვნელოვანია, რომ ვარჯიშის დამთავრებისას მთლიანად არ დაიცალოს ჰაერის მარაგი ანუ დავიტოვოთ ჰაერის მცირეოდენი ნაწილი.
 - 5) საწყისი მდგომარეობა წინა სავარჯიშოსი. შესუნთქვასთან ერთად ხელებს ვწევთ მაღლა და ოდნავ ვიხრებით წელში. ამოსუნთქვისას ნელ-ნელა ვუბრუნდებით საწყის მდგომარეობას. ამოსუნთქვა ფიქსირებულია. წარმოვთქვამთ ერთხელ ბგერა ს-ს ან ვითვლით ხმამაღლა 15-მდე. (ნახ. 16).
 - 6) საწყისი მდგომარეობა იგივე. შესუნთქვასთან ერთად სარტყლისებურად ხელები გადავკვლოთ გულმკერდს, ფიქსირებული ამოსუნთქვის დროს დავუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას. ამოსუნთქვისას პირიდან გამოვუშვათ ჰაერის ნაკადი ან დავითვალოთ ხმამაღლა 15-20-მდე.
 - 7) საწყისი მდგომარეობა იგივე. შესუნთქვასთან ერთად წელში მოვიხაროთ ბოლომდე. ხელები გავშალოთ განზე, ამოსუნთქვისას დავუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას. ფიქსირებულ ამოსუნთქვაზე წარმოვთქვამთ გაბმული თანხმოვანი შ. (ნახ. 17).
 - 8) საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად (ქუსლები შეტყუპებული

და ტერფები გაშლილი), ხელები თეძოებზე. შევისუნთქოთ ჰაერი, ფიქსირებული ამოსუნთქვისას ჩაკეპუნოთ და შემდეგ დაუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას. ამოსუნთქვისას სძამაღლა დავითვალთ 12-15-მდე. (ნახ. 18)

- 9) წინამდებარე სავარჯიშოს მსგავსად, ფიქსირებულ ამოსუნთქვაზე ჩაკეპუნოთ, მხოლოდ შევცვალთ ხელების მოძრაობა (ხელები ავწიოთ ზევით, შემდეგ გავწიოთ განზე). (ნახ. 19, 20, 21, 22, 23)
- 10) დავსხდეთ სწორზურგიან სკამზე. ფეხები შევატყუბოთ, ხელები თეძოებზე. შესუნთქვასთან ერთად ავწიოთ ფეხის თითებზე. ფიქსირებულ ამოსუნთქვასთან ერთად გონებაში დავითვალთ 15-მდე, დავუშვათ ფეხები და ხელები დავიწყოთ მუხლებზე. (ნახ. 24)
- 11) საწყისი მდგომარეობა იგივე. შესუნთქვასთან ერთად ხელებით დავეყრდნოთ სკამს და მუხლები ავწიოთ ზევით. ფიქსირებულ ამოსუნთქვასთან ერთად დავითვალთ 1-15-მდე და დაუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას. (ნახ. 25)
- 12) საწყისი მდგომარეობა იგივე. შესუნთქვასთან ერთად ხელები დავიწყოთ თეძოებზე, ავიწიოთ ფეხის თითებზე და გადმოვიხაროთ წინ. ამოსუნთქვასთან ერთად დაუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას. დავითვალთ 1-15-მდე. (ნახ. 26)
- 13) გასწორებული ფეხებით გავიჭიმოთ წინ. შესუნთქვასთან ერთად ხელები დავიწყოთ კისერზე, იდაყვები გავწიოთ განზე. ფიქსირებულ ამოსუნთქვასთან ერთად დავითვალთ 1-15-მდე, მოვიხაროთ წელში და ხელის თითებით შევეხოთ ფეხის თითების წვერებს. (ნახ. 27)
- 14) დავწვეთ ზურგზე. ხელები დავაწყოთ ტანის გასწვრივ. შესუნთქვისას – მსუბუქი სწრაფი მოძრაობით გამართული ხელები გადავწიოთ უკან. ფიქსირებულ ამოსუნთქვაზე გონებაში დავითვალთ 1-20-მდე, და ნელი მოძრაობით ხელები დავაბრუნოთ საწყის მდგომარეობაში. (ნახ.28)
- 15) საწყისი მდგომარეობა იგივე. შესუნთქვაზე ოდნავ გავიღუნოთ წელში, ისე, რომ მხრები არ მოვწყვიტოთ იატაკს. ფიქსირებულ ამოსუნთქვაზე დაუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას, თან გონებაში დავითვალთ 1-20-მდე (ნახ. 29)
- 16) საწყისი მდგომარეობა იგივე. შესუნთქვაზე ავწიოთ სხეული

- და დავეყრდნოთ ხელებსა და ფეხის ქუსლებს. ფიქსირებულ ამოსუნთქვაზე დავუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას და წარმოვთქვათ გაბმულად ბგერა ც. (ნახ. 30)
- 17) საწყისი მდგომარეობა იგივე. შესუნთქვაზე ხელები ამოვიდოთ თავქვეშ, ამოსუნთქვაზე რიგრიგობით მოვხაროთ მარჯვენა და მარცხენა ფეხი. დავითვალოთ 1-15-მდე. (ნახ. 31)
- 18) საწყისი მდგომარეობა იგივე. შესუნთქვაზე ავწიოთ ფეხები სწორი კუთხით, ხოლო ფიქსირებულ ამოსუნთქვაზე ფეხებით შევასრულოთ მაკრატლის მსგავსი მოძრაობა. წარმოვთქვათ გაბმულად თანხმოვანი შ. (ნახ. 32)
- 19) საწყისი მდგომარეობა იგივე. შესუნთქვაზე ავწიოთ ფეხები და გავაკეთოთ სწორი კუთხე. ფიქსირებულ ამოსუნთქვაზე ფეხებით შევასრულოთ ველოსიპედის მართვის მოძრაობა და წარმოვთქვათ გაბმულად თანხმოვანი ზ. (ნახ. 33)
- 20) დავწვეთ მუცელზე. ხელები მოვხაროთ იდაყვებში. შესუნთქვაზე გავიღუნოთ წელში, თავი პირდაპირ, ამოსუნთქვაზე დავუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას. წარმოვთქვათ თანხმოვანი „ს“ გაბმულად. (ნახ. 34)
- 21) საწყისი მდგომარეობა იგივე. ვიწვევით ხელის გულებზე. ამოსუნთქვაზე წარმოვთქვათ თანხმოვანი შ-ს გაბმულად.
- 22) გადავიჭდოთ ხელები ზურგზე. შესუნთქვაზე გავიღუნოთ წელში. ამოსუნთქვაზე თავი დავდოთ იატაკზე გვერდულად, ხელები ჩამოვუშვათ თავისუფლად და გონებაში დავითვალოთ 1-10-მდე. (ნახ. 35)
- 23) საწყისი მდგომარეობა იგივე – ხელები და ფეხები გაჭიმულია. შესუნთქვაზე მოვწყვიტოთ იატაკს ხელები და ფეხები. ამოსუნთქვაზე გონებაში დავითვალოთ 1-10-მდე და დავუბრუნდეთ საწყის მდგომარეობას.
- წოლითი სავარჯიშოები ავითარებს და წვრთნის მუცლისა და წელის კუნთებს, რომლებიც აქტიურ მონაწილეობას იღებენ შერეული დიაფრაგმული სუნთქვის დროს. ეს ვარჯიშები რეკომენდებულია შევასრულოთ სახლის პირობებში. შემოთავაზებული სუნთქვითი სავარჯიშოები ნელ-ნელა გადაიზრდება ხმის სავარჯიშოებში. რადგან სუნთქვის გაწვრთნის შემდეგ ჩავურთავთ ბგერით კომპლექსებსა და სავარჯიშო ტექსტებს.

დამატებითი სუნთქვითი ვარჯიშები სავარჯიშო ტექსტების ჩართვით

1. დავდგეთ ფეხზე. ავიღოთ სუნთქვა და ნელი, რიტმული მოძრაობით დავიწყოთ სიარული ადგილზე. ფიქსირებული ამოსუნთქვის დროს წარმოვთქვათ კუპლეტები „ვეფხისტყაოსნიდან“ ან სხვა სავარჯიშო ლექსები. ვეცადოთ, ამოსუნთქვა იყოს რაც შეიძლება ხანგრძლივი.
2. საწყისი მდგომარეობა იგივე, მხოლოდ ადგილზე სიარულის ნაცვლად დავდივართ წრეზე ოთახში სწრაფი რიტმით.
3. ხელები დავიწყოთ თეძოებზე, ავიღოთ სუნთქვა. ამოსუნთქვაზე შევასრულოთ მსუბუქი შეხტომები, სავარჯიშო ტექსტის თანხლებით. სავარჯიშო სრულდება შემდეგნაირად: ამოსუნთქვაზე „არაბეთს გასცა ბრძანება“... დარჩენილი ჰაერის ამოგდება და ისევ სწრაფი შესუნთქვა. „თინათინ ჩემი ხელმწიფედ“ – დარჩენილი ჰაერის ამოგდება და ისევ სწრაფი შესუნთქვა ცხვირით, „დავსვი მე მისმან მშობელმან“. დარჩენილი ჰაერის ამოგდება და ისევ სწრაფი შესუნთქვა და ასე მთელი კუპლეტის წარმოთქმისას. შემდეგ გავჩერდეთ ერთ ადგილზე და ერთ სუნთქვაზე წარმოვთქვათ მთელი კუპლეტი.

ზემოთ ჩამოთვლილი სუნთქვის თითოეული სავარჯიშოს შემდეგ საჭიროა მოვადუნოთ კუნთები და დავიჭიროთ მცირე პაუზა, შევისვენოთ:

1. ჩამოვავლოთ სხეული, მხრები, კისერი, ხელები თავისუფალია.

2. გადავწვეთ სკამზე, ჩამოვავლოთ თავი, მხრები, დავხუჭოთ თვალები და ხელები დავიწყოთ მუხლებზე და ა. შ.

არტიკულაცია – წარმოთქმა

ბგერათა წარმოთქმის საშუალებას წარმოადგენს განსაზღვრული ანატომიური ორგანოები, რომელთაც საარტიკულაციო აპარატს ვუწოდებთ. ეს ორგანოებია: ხახა, ცხვირი, ენა, კბილები, მაგარი სასა, რბილი სასა, პატარა ენა (ნაქი), ენის ლაგამი, ყბები და ბაგეები.

ბგერათა წარმოთქმა შეუძლებელია ისეთი ორგანოების მუშაობის გარეშე, როგორცაა: ფილტვები, ბრონქები, სასულე მილი, ხორხი, და იოგები – სახმო სიმები.

ზემოთ ჩამოთვლილი სამეტყველო ორგანოები მუშაობაში მოჰყავს ცენტრალურსა და პერიფერიულ ნერვულ სისტემას. ასე რომ სწორი მეტყველებისათვის საჭიროა არა მარტო სამეტყველო აპარატის, არამედ ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის სრული სიჯანსაღე.

სწორი მეტყველებისათვის აუცილებელია: სარტიკულაციო აპარატის ნორმალური აგებულება და სწორი მოქმედება, მეტყველების ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სისტემის ზუსტი, მოწესრიგებული მოქმედება და აკუსტიკური მექანიზმის სწორი მოქმედება – ჯანსაღი სმენა. რომელიმე ზემოთ ჩამოთვლილი პირობის დარღვევა იწვევს დეფექტებს, ნაკლოვანებებს და დარღვევებს წარმოთქმაში.

მეტყველების ორგანოების ანატომიურ აგებულებაში მრავალნაირი დარღვევები გვხვდება.

1. არასწორი თანკბილვა – რაც ნიშნავს ყბათა აგებულების ნორმის დარღვევას. სწორი თანკბილვის დროს ზედა ყბის წინაკბილების მწკრივი ოდნავ უნდა გადმოადგებოდეს ქვედა ყბის წინაკბილების მწკრივს. ხშირად გვხვდებით ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ორივე ყბის წინა კბილები სწორხაზოვნად ედება ერთმანეთს, ან ზედა ყბის კბილები ზედმეტად წინ არის გადმოხრილი, ან ქვედა ყბის კბილებია ზედმეტად წამოწეული. ასეთ შემთხვევებში საქმე გვაქვს ორგანულ დეფექტებთან, რომელთა გამოსწორებაც ვარჯიშით თითქმის შეუძლებელია.
2. სწორი გამოთქმის დარღვევის შემთხვევები გვხვდება ოდრონოლო, მეჩხერი კბილების გამოც. უადგილო ფარღალალებიდან გამოსული ჰაერნაკადი ზედმეტად ტვირთავს ბგერას და ირღვევა მისი სისუფთავე.

3. სწორ წარმოთქმას ხელს უშლის ზომაზე სქელი ან თხელი ტუჩებიც.

4. ენის კუნთის აგებულებაშიც შეიმჩნევა დეფექტები. ზომაზე დიდი და მსხვილი ენა ტლანქია და მძიმედ ტრიალებს პირში. ზომაზე გრძელი და თხელი ენა კი პირიქით, ვერ ეტევა იმ არეში, სადაც მოქმედებს. ზომაზე მოკლე ენა თავისი წვეტით და ზურგით ვერ სწვდება მაგარ სასას. როდესაც ენის ლაგამი მოკლეა, ენის წვეტი ვერ მოძრაობს თავისუფლად, ვერ ახდენს ვიბრაციას და ასეთ შემთხვევაში დარღვეულია ბგერა „რ“-ს წარმოთქმა.

ყველა ეს ნაკლოვანება ორგანული ხასიათისაა და მათი გამოსწორება უმეტეს შემთხვევაში შეუძლებელია. თუმცა ზოგიერთი ამ ნაკლოვანების გამოსწორება შეიძლება ქირურგიული ჩარევის, ლაგმით კბილების გასწორების, მასაჟების და ა. შ. მეშვეობით.

ადამიანის მეტყველებაში სწორი ბგერების გამომუშავება ადრეული ასაკიდან უნდა იწყებოდეს. ხშირ შემთხვევაში მცირე ასაკიდან გამოყოფილი ბგერათა შერბილება ჩვევად იქცევა ხოლმე. რაც ადამიანის მეტყველებას მანერულს ხდის. მიმბაძველობა მაგალითად – მეტყველების სწრაფი ტემპის, ან პირიქით, გაჭიანურებული მეტყველების. ბგერების გამოტოვების, კუთხური კილოს გადაღება და ა. შ. აგრეთვე, არაორგანულ ნაკლოვანებებს მიეკუთვნება უმოძრაო, „გაქვავებული“ ყბებით მეტყველება და ამდგავარ ნაკლოვანებათა გამოსწორება შესაძლებელია ყოველდღიური ვარჯიშით, დიდი ძალისხმევით და მოთმინებით. მთავარია, ზუსტად გავიგონოთ შეცდომა და შევუდგეთ მის გამოსწორებას.

ვარჯიში არა მარტო ნაკლოვანებათა გამოსასწორებლადაა აუცილებელი, არამედ მეტყველების ხარისხის ასამაღლებლადაც.

ბგერათწარმოების დარღვევა ვლინდება სამი სახით:

1. უბგერობა;
 2. ბგერის დამახინჯება;
 3. ერთი ბგერის სხვა ბგერით შენაცვლება.
- 1) უბგერობა, ანუ უბგერო პაუზა ეწოდება ისეთ ნაკლოვანებას, როდესაც ადამიანი ვერ წარმოთქვამს და ამოაგდებს ბგერას სიტყვიდან, ე.ი. სამეტყველო ორგანოები არ ახდენენ ამ ბგერების წარმოსათქმელად საჭირო არტიკულაციას, მაგ. კარები – კა-ები, სარკე-საკე, ბატონო – ბატო-ო, გაასავსავა-გასავსავა, ააფერადა – აფერადა, საადგილმამულო – სა-დგილმამულო და სხვ.

2) ბგერის დამახინჯება – ვლინდება სხვადასხვა სახით:

ა) ბგერის კბილთაშუა წარმოთქმა – წინაენისმიერი ბგერების წარმოთქმისას ენის წვერი მოექცევა კბილებშუა;

ბ) წინაენისმიერი ბგერების ბაგისმიერი წარმოთქმა – წინა ენის არტიკულაცია გადმოტანილია ბაგეებზე;

გ) სისინა დაშიშნა ბგერების კბილისმიერი წარმოთქმა – ენის წვერი მიახლოვებულია და ახდენს ბგერის ხშვას ზედა კბილებთან;

დ) გვერდითი წარმოთქმა – ჰაერნაკადი გამოედინება ენის ერთი ან ორივე გვერდიდან;

ე) ცხვირისმიერი წარმოთქმა: შეიძლება გამოწვეული იყოს ორგანული ნაკლით – სასის ნაპრალით, რომლის დროს ცხვირისმიერი წარმოთქმა ვრცელდება ყველა ბგერაზე (ხმოვნების ჩათვლით); აგრეთვე ფუნქციონალური უკმარისობით, რომლის დროს ცხვირისმიერი წარმოთქმა ვრცელდება ბგერების ერთ რომელიმე ჯგუფზე (სისინა, შიშინა და რ, ლ, გ, ქ, კ ბგერებზე), აგრეთვე ცხვირისმიერი წარმოთქმა შეიძლება გამოწვეული იყოს წმინდა მანერულობით.

3) შენაცვლება არის წარმოთქმის დარღვევის ისეთი სახე, როდესაც ბგერა ან ბგერათა ჯგუფი შენაცვლებულია სხვა ბგერით ან ბგერათა ჯგუფით. ერთი ბგერის სწორი არტიკულაცია შენაცვლებულია მეორე ბგერის სწორი არტიკულაციით. მაგ.: სისინა ბგერების შენაცვლება შიშინა ბგერებით, ბგერა ვ-ს შენაცვლება ბგერა უ-თი. ორი ხმოვანი ბგერის შენაცვლება – ერთი ხმოვანი ბგერით. თქვა-თქუა, იაღბუზი-აღბუზი. მჟღერი რ-ს შენაცვლება უკანაენისმიერი ნაპრალოვანი – ლ-ს მაგვარი ბგერით.

შიშინა და სისინა ბგერების დარღვევას – სიგმატიზმი ეწოდება, რ-ბგერის დარღვევას – როტაციზმი. როდესაც ბგერა შენაცვლებულია სხვა ბგერით, ამას უწოდებენ პარასიგმატიზმს, პარაროტაციზმს, პარალაბდაციზმს. (ეს სახელწოდებანი აღებულია ბერძნული ანბანის ასოთა სახელებიდან).

პროფესორ ა. სვატცევის აზრით, წარმოთქმის დარღვევათა უმეტესობა მოდის წინაენისმიერ ბგერებზე, განსაკუთრებით სისინა და შიშინა ბგერებზე, რაც პრაქტიკაში ხშირად გვხვდება. წარმოთქმის ნაკლის გამოსწორება სხვადასხვა ხერხით სწარმოებს: საჭიროა გავაცნობიეროთ ბგერის წარმოთქმის სწორი არტიკულაცია

– რასაც ბერის დაყენება ეწოდება და წარმოთქმის არასწორი ჩვევების შეცვლა სწორი სამეტყველო ჩვევებით, რასაც კორექცია ეწოდება. ბერის დაყენება – კორექციის დროს ვიყენებთ ყველა ანალიზატორს – მხედველობითს, სმენითს და კინესთეზიურს. ე. ი. უნდა ვეცადოთ გავიგონოთ ბერა, დავინახოთ და შევიგრძნოთ მისი არტიკულაცია კუნთობრივად.

მეტყველების ნაკლის გამოსწორების დროს აუცილებელია ფონემატური სმენის შემოწმება და საჭირო შემთხვევაში, მის განვითარებაზე მუშაობა. სწორი მეტყველების დაუფლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, ნორმალური სმენა – რაც განაპირობებს სწორი ფონემატური სმენის განვითარებას. ადამიანი, რომელიც ვერ ახერხებს ბერის სწორ არტიკულაციას, ზოგჯერ სმენითაც ვერ აღიქვამს მას, უჭირს ბერათა სმენითი დიფერენციაცია და ვერ ხვდება საკუთარ ნაკლს.

ბერის სმენითი გაცნობიერების პარალელურად, საჭიროა ამ ბერის არტიკულაციის მხედველობითი აღქმაც. სამეტყველო ორგანოების სწორი მომართვა წარმოსათქმელად, შესაძლოა შემოწმდეს სარკის წინ. აგრეთვე, ხორხზე ხელის მიდებით შევიგრძნობთ სახმო სიმების ჟღერას, ს და შ ბერის წარმოთქმის დროს – ჰაერნაკადის სითბოსიცივე შეიგრძნობა ხელის ზურგზე.

მართებული მეტყველებისათვის აუცილებელია ნორმალური სამეტყველო აპარატი, ძლიერი მოქნილი სამეტყველო ორგანოები: ენა, ტუჩები, რბილი სასა, სახმო სიმები და მკაფიოდ დიფერენცირებული მოძრაობანი, რასაც შეიძლება მივაღწიოთ სპეციალური ვარჯიშების მეშვეობით.

მიღწეული მართებული არტიკულაცია უნდა განმტკიცდეს ჯერ უხმოდ, რადგან ამ დროს ხდება ყურადღების ფიქსაცია მხოლოდ არტიკულაციაზე. უხმო არტიკულაციის შემდეგ გადავდივართ ჩურჩულზე და ბოლოს ბერის ხმამაღლა წარმოთქმაზე.

როდესაც მივაღწევთ ბერის სწორ წარმოთქმას, საჭიროა მისი მეტყველებაში ჩამაგრება-ჩართვა. ხშირად ხერხდება ბერის სწორი წარმოთქმა იზოლირებულად, მაგრამ მეტყველებაში მისი ჩართვა-გამოყენება ძნელდება. რადგან ბერის წარმოთქმის სრული ავტომატიზაცია ხანგრძლივი პროცესია, ხშირად ბერის ჩართვა მეტყველებაში უფრო მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე მისი დაყენება-კორექცია.

ყოველი ახალი ბგერის დაყენება-კორექცია ხდება შემდეგი სქემით:

- 1) ბგერის არტიკულაციის გაცნობიერება.
- 2) ფონეტიკური სმენის განვითარება.
- 3) სამეტყველო ორგანოების ვარჯიში.
- 4) არტიკულაცია უხმოდ.
- 5) არტიკულაცია ხმით. (ჩურჩულით, ხმამაღლა)
- 6) ბგერის წარმოთქმა ღია და დახურულ მარცვლებში, სიტყვებში და ფრაზებში.
- 7) ბგერის განმტკიცება – მეტყველებაში (რისთვისაც გამოიყენება ენის გასატეხები, ანდაზები და რიგი ტექსტუალური მასალები).

სამეტყველო აპარატი და მისი მონაწილეობა წარმოთქმაში

წარმოთქმის ნაკლოვანებათა გასწორების დაწყებამდე, საჭიროა მოკლედ განვიხილოთ სამეტყველო აპარატი, მისი მონაწილეობა წარმოთქმაში და ქართული ენის ბგერითი სისტემა.

ბგერის წარმოთქმისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს ამონასუნთქი ჰაერი, რომელიც მხოლოდ სამეტყველო აპარატის საშუალებით შეიძლება იქცეს სამეტყველო ბგერად. ფილტვებიდან ამონასუნთქი ჰაერი ბრონქების საშუალებით სასუნთქ მილში გადადის, აქედან – ხორხში (სარინგსი), ხორხიდან ხახის ღრუში (ფარინგსი), იქიდან კი პირისა და ცხვირის ღრუებში. სამეტყველო აპარატი შეიძლება სამ მთავარ ნაწილად დავეყოთ: 1) სასუნთქი აპარატი – ფილტვები, დიაფრაგმა, რომლებიც დიდ როლს ასრულებენ შესუნთქვა-ამოსუნთქვის დროს. სასუნთქი მილი ანუ სასულე ბრონქები, რომლებიც წარმოადგენს ჰაერნაკადის სამოძრაო გზას ფილტვებიდან გარეთ (ამოსუნთქვა) და გარედან – ფილტვებისაკენ (შესუნთქვა).

2) სასუნთქი მილის ზედა გაფართოებული ნაწილი – ხორხი. ხორხი შედგება ხრტილოვანი ნაწილებისაგან: ბუჭდისებრი, ფარისებრი და ციცხვისებრი ხრტილებისა და ხორხსარქველისაგან. ხორხის სიღრმეშია ბგერის წარმოსათქმელად ყველაზე მნიშვნელოვანი ორგანო – სახმო სიმები (მბგერავი იოგები).

სახმო სიმების წინა ბოლოები მიმაგრებულია ფარისებურ ხრტილთან, ხორხის თავის შიგნით. ხოლო უკანა ბოლოებით, სახმო სიმები პირამიდისებურ ხრტილებზეა მიმაგრებული. პირამიდისებური ხრტილები მოძრავია, ამიტომ სახმო სიმებს შეუძლიათ ერთმანეთთან შეხება, დაახლოება ან დაშორება, მათ შორის წარმოშობილ გასწვრივ ნაპრალს, ყიას უწოდებენ. ყიის გაგრძელებას წარმოადგენს სამკუთხედი ნაპრალი ციცხვისებერ ხრტილებს შუა: ამას ხრტილებს შუა ნაპრალი ეწოდება. ყიას შეუძლია მიიღოს მრგვალი ფორმა, იმის მიხედვით, მიახლოებულია თუ დაშორებული ერთმანეთთან სახმო სიმები. ამ ნაპრალის ფორმა იცვლება ჩვეულებრივი და ღრმა სუნთქვისას, სახმო და ჩურჩულის მდგომარეობისას და ა. შ.

3) ხორხის ზემოთ მოთავსებულია ხახის ღრუ, რომელიც პირისა და ცხვირის ღრუებში გადადის. აქედან იწყება წარმოთქმისათვის

ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი ხახა-ცხვირის პირის ღრუ, ანუ: „ზესადგამი მილი“. ხახის ღრუ ერთი მხრივ, წარმოადგენს მილის ნაწილს, ხოლო მეორე მხრივ, ჩანასუნთქი და ამონასუნთქი ჰაერის გადამცემ გზას ცხვირისა და პირის ღრუებისაკენ. ცხვირის ღრუ მოთავსებულია პირის ღრუს ზემოთ და მისგან მაგარი სასის ძვლითაა გამოყოფილი. ცხვირის ღრუ შუაზე იყოფა ცხვირის ძვიდით. ამ ღრუებს შორის ყველაზე რთული და მნიშვნელოვანია პირის ღრუ. ის მდებარეობს ზედა და ქვედა ყბებს შუა და შემოსაზღვრულია: წინიდან – კბილებით, ზემოდან – მაგარი სასით, ქვემოდან – ენით, გვერდებიდან – ლოყებით და კბილებით, ხოლო უკანა მხრიდან – რბილი, მოძრავი სასით.

პირის ღრუში ყველაზე მოძრავი ორგანოა – ენა, რომელიც მონაწილეობას იღებს თითქმის ყველა სამეტყველო ბგერის წარმოქმნაში. ენა წარმოადგენს მძლავრ, მომრგვალო, განიერ კუნთოვან ორგანოს, რომელიც მიმაგრებულია ქვედა ყბისა და ენისქვეშა ძვლებზე. ენას ყოფენ შემდეგ ნაწილებად: ენის წვერი, რომელიც მოძრაობს კბილების ნუნების ან მაგარი სასისკენ; ენის ტანი – ანუ ენის ზურგი (ზედა ზედაპირით – წინა, შუა და უკანა ნაწილებით), რომელიც მოძრაობს სასის მიმართ; ენის ძირი, რომელიც მოქმედებს ხახის კელის მიმართ; ენის გვერდითი კიდეები – რომლებიც მოქმედებენ კბილების მიმართ. ამგვარად, ენის მეტად მოძრავი ნაწილი – წინა ენა ძვეს მაგარი – უძრავი სასის პირდაპირ, ხოლო ნაკლებ მოძრავი უკანა ენა – რბილი, მოძრავი სასის პირდაპირ.

სამეტყველო ორგანოთა შორის განასხვავებენ აქტიურ და პასიურ ორგანოებს. აქტიური ორგანოებია: სახმო სიმები, ქვედა ყბა, ენა, რბილი სასა (ნაქითურთ), ტუჩები. პასიური ორგანოებია: კბილები, ნუნები, მაგარი სასა.

სახმო სიმების მონაწილეობის გარეშე ხმა არ წარმოიქმნება. სახმო სიმების სხვადასხვაგვარი მონაწილეობით ფორმირდება ბგერა. სახმო სიმებს შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვაგვარი მდგომარეობა:

ა) სახმო სიმები შესაძლებელია დაუახლოვდნენ ერთმანეთს და დაიჭიმონ. ამ შემთხვევაში ამონასუნთქი ჰაერი, დაჭიმული სახმო სიმების ვიწრო ნაპრალში გავლისას ათრთოლებს და ააჟღერებს მათ. სახმო სიმების ამ პერიოდული რხევით ვიღებთ მჟღერ თანხმოვან ბგერებს (ბ, გ, დ, ძ, ჯ, კ, ზ, ყ, ლ, მ, ნ, რ) და ხმოვნებს (ა, ე,

ი, ო, უ). სახმო სიმების პერიოდული ვიბრაცია საგრძნობია ხორხის თავზე თითის მიღებითაც.

ბ) სახმო სიმები ინდიფერენტულ მდგომარეობაშია და აქტიურად არ მონაწილეობენ ბგერების წარმოქმნაში. სახმო სიმები ღიაა და ჰაერი თავისუფლად ამოდის ყიაში. ასეთ მდგომარეობაშია სახმო სიმები ყრუ ბგერების წარმოთქმისას, თუ სახმო სიმები დაუჭიმავია, ხოლო ყია დავიწროებული, ამომდინარე ჰაერნაკადის ხეხვით სახმო სიმებზე წარმოიქმნება ყელისმიერი ჩქამი; ამ მოვლენას უწოდებენ ასპირაციას ანუ ფშვინვას. ამ შემთხვევაში ვიღებთ ფშვინვიერ ბგერებს (ფ, თ, ც, ჩ, ქ, ს, შ, ხ, ჰ). ფშვინვიერობის შეგრძნება შეიძლება ბგერის წარმოთქმისას პირთან ხელის ზურგის მიტანით (შევიგრძნობთ თბილ ჰაერს). მჟღერობისა და ფშვინვის სახით ჩვენ გავეცანით სუნთქვიერ ბგერათწარმოებას.

გ) მაგრამ არის ისეთი ბგერებიც, რომლებიც იწარმოება სახმო სიმების დაკეტილობისას იმ ჰაერის მარაგით, რომელიც იმყოფება ზესადგამ მიღში (კერძოდ პირის ღრუში). ესაა უსუნთქველი ბგერათწარმოება „ყელსშვა“, ამ გზით წარმოქმნილ ბგერებს აბრუპტივები ეწოდება (პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ).

რბილი სასა – როგორც აღვნიშნეთ, ამონასუნთქი ჰაერნაკადი ხორხიდან გადადის ხახის ღრუში, ხოლო იქიდან, რბილი სასისა და ნაქის აქტიური მონაწილეობით პირის ღრუში (ზოგჯერ ცხვირის ღრუში). რბილი სასა აწესრიგებს ჰაერნაკადის მიმართულებას და შეუძლია მიიღოს სხვადასხვაგვარი მდგომარეობა. ჩვეულებრივი სუნთქვის დროს იგი ინდიფერენტულ მდგომარეობაშია – თავისუფლად ჩამოშვებული და გზას უხსნის ამონასუნთქ ჰაერს. სასა არ იღებს აქტიურ მონაწილეობას, ამონასუნთქი ჰაერი გადადის ცხვირის ღრუში. მაგრამ პირისმიერი (ორალური) ბგერების წარმოთქმისას საჭიროა რბილი სასის აქტიური მონაწილეობა, რათა ჰაერს გზა გადაუკეტოს ცხვირის ღრუსაკენ.

ენა – სამეტყველო აპარატის ყველაზე აქტიურ ორგანოს წარმოადგენს. ენის მოძრაობა თვალსაჩინო, ზუსტი და დიფერენცირებულია. ენის წვერი ყველაზე მეტად აქტიურია. ენა მოძრაობს პირის ღრუს პასიურ და აქტიურ ორგანოთა მიმართ და წარმოქმნის თანხმოვნებს; მაგ. ენაკბილისმიერებს, ენანუნისმიერებს; ენის შუა ნაწილის მდგომარეობის შეცვლით სასის მიმართ ვლებულობთ ხმოვნებს (ე, ი), ენის უკანა ნაწილის აქტიურობა


ვლინდება ზოგი ხმოვნის (ო, უ) და უკანაენისმიერების (გ, ქ, კ) წარმოთქმისას.

ბაგეების აქტიურობა ვლინდება ხმოვნების (ო, უ) და თანხმოვნების (ბ, ფ, პ, მ) წარმოქმნის დროს. ბაგეების აქტიური მონაწილეობა ხმოვანთა წარმოქმნაში გამოიხატება მათ მეტ-ნაკლებად წინ წამოწევისა და მომრგვალებაში.

ზოგჯერ ბგერის წარმოთქმაში მონაწილეობას იღებს რამდენიმე ორგანო, რომელთაგანაც ერთი აქტიურია, დანარჩენი პასიურნი. ზოგჯერ ბგერის წარმოქმნისას საჭიროა რამდენიმე აქტიური ორგანოს ერთდროული მოქმედება.

ქართულ ბგერათა კლასიფიკაცია

ქართული ბგერითი სისტემის განხილვისას ვისარგებლებთ პროფ. გ. ა. ახვლედიანის „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლებით“.



სალიტერატურო ქართულს 33 ბგერა აქვს; ამათგან 5 ხმოვანია და 28 თანხმოვანი.

ხმოვნები ღია ბგერებად ითვლება, ე. ი. მათი წარმოთქმისას საარტიკულაციო ორგანოებს შორის მეტ-ნაკლები მანძილია. ქართული ხმოვნები, ენის მდგომარეობის მიხედვით, შეიძლება სამკუთხედის სახით წარმოვადგინოთ.

„სამკუთხედის მწვერვალზე მოთავსებულია ა, იგი წარმოადგენს გამოსავალ წერტილს ენის აწევის ორი მიმართულებისათვის; წინ და ზევით ა-ე-ი, უკან და ზევით ა-ო-უ. მარცხენა გვერდის ხმოვნების (ა-ს ჩათვლით) წარმოთქმის დროს, წინა ენის წინ და ზევით მოძრაობისას, ტუჩები თითქმის პასიურად არიან, მხოლოდ ოდნავ თანდათან უახლოვდებიან ერთმანეთს ვერტიკალურად და

გაიწვევიან გასწვრივ – დაწყებული ა-დან, ე-სათვის ნაკლებად, ი-სათვის მეტად. მარჯვენა გვერდის (ა-ს ჩაუთვლელად) ხმოვანთა წარმოთქმისას უკანა ენა უკან და ზევით მოძრაობს, ტუნები აქტიურ მონაწილეობას იღებენ: უახლოვდებიან რა ერთმანეთს ვერტიკალურად და კუთხეებიდან ცენტრისაკენ, წარმოიშვირებიან წინ და მომრგვალებიან: ო-სათვის ნაკლებ, უ-სათვის მეტად“ (გ. ახვლედიანი).

თანხმოვნები ქართულში ლაგდება წარმოების ადგილისა და წარმოების რაგვარობის მიხედვით. ბგერის წარმოქმნის ადგილს ეწოდება იმ ორგანოს (ან მისი ნაწილის) სახელი, რომელიც მონაწილეობს ამ ბგერის საწარმოთქმო დაბრკოლების შექმნაში. რაგვარობას აღნიშნავენ იმის მიხედვით, თუ რა სახის დაბრკოლებას ქმნის ორგანო (ან მისი ნაწილი) სხვა ორგანოს დახმარებით.

წარმოქმნის ადგილის მიხედვით თანხმოვნები შემდეგნაირად ლაგდება:

წყვილბაგისმიერი:	ბ, ფ, პ, მ.
კბილბაგისმიერი:	დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ზ, ს, ლ, ნ.
ენანუნისმიერი:	ჯ, ჩ, ჭ, ჟ, შ, რ.
უკანაენისმიერი:	გ, ქ, კ, ლ, ხ.
ენისძირისმიერი:	ყ.
ხორხისმიერი:	ჰ.

წარმოების რაგვარობის მიხედვით თანხმოვნების დალაგება შემდეგნაირად ხდება:

ხშულების: ბ-ფ-პ; დ-თ-ტ; ძ-ც-წ; ჯ-ჩ-ჭ;

გ-ქ-კ-ყ-ს წარმოთქმისას ხდება ჰაერნაკადის ჩაკეტვა სამეტყველო ორგანოებით (ან რომელიმე მათგანით). ნაპრალოვნების: ვ-ზ-ს; ფ-შ; ღ-ზ; ჰ-ს წარმოთქმისას სამეტყველო ორგანოები დაახლოებულია ერთმანეთთან, მათ შორის რჩება სხვადასხვა ფორმის ნაპრალი, საიდანაც გამოედინება ჰაერნაკადი.

ვიბრანტი რ – დაჭიმული ენის წვერის ნუნების მიმართ ზედიზედ სწრაფი ხშვით წარმოითქმის.

ლატერალი ლ – წარმოითქმის წინა ენის ხშვით ზედა კბილებთან, ჩნდება ნაპრალი ენის გვერდებსა და ლოყებს შუა.

ცხვირისმიერი მ, ნ-ს წარმოთქმისას ხშვა ხდება პირში, მაგრამ

რბილი სასა დაშვებელია და ჰაერნაკადს გზა აქვს ცხვირის ღრუსკენ; ამდენად ეს ბგერები ნაპრალოვნებიც არიან.

თანხმოვნები ერთმანეთისაგან, აგრეთვე, მჟღერობა-სიყრუითაც განსხვავდებიან. მჟღერი თანხმოვნების წარმოთქმისას სახმო სიმები დაკეტილია და ჰაერნაკადის ქვემოდან ჯახებით ისინი პერიოდულად თრთიან. ყრუ თანხმოვნები ქართულში ორგვარად წარმოიქმნება: ა) სახმო სიმები დაახლოებულია, ამომდინარე ჰაერი ეხახუნება სიმებს და ისმის ფშვინვისებური ჩქამი; ბ) ჰაერნაკადის დინება შეწყვეტილია (სახმო სიმები მონაწილეობას არ იღებენ ბგერის წარმოთქმაში) და ბგერის წარმოქმნა ხდება ჰაერის იმ მარაგით, რომელიც არ იმყოფება ზესადგამ მილში. ამ ბგერებს ეწოდება ყელსშულები ანუ აბრუპტივები.

აბრუპტივების არსებობის გამო ქართულში ვიღებთ სშულ თანხმოვანთა სამეულებრივ სისტემას, რომელთაგანაც პირველი ბგერა მჟღერია, მეორე – ყრუ ფშვინვიერი და მესამე – ყრუ აბრუპტივი. მაგ: დ-თ-ტ; გ-ქ-კ.

სალიტერატურო ქართულის თანხმოვნები წარმოების ადგილისა და რაგვარობის მიხედვით დალაგებულია შემდეგი ცხრილის მიხედვით:

ქართულ თანხმოვანთა კლასიფიკაცია
(გამარტივებული)

		ბაგისმიერნი		წინაენისმიერნი		უკანა- ენის- მიერნი	ენის- ძირის- მიერნი	ხორხის- მიერნი
		წვეთლ ბაგის- მიერნი	კბილ ბაგის- მიერნი	ენა კბილის მიერნი	ენა- ნუნის- მიერნი	გ, ლ		
		ბ, მ	ვ	დ, ძ, ზ, ლ, ნ	ჯ, ჟ, რ			
ყრუ	ფშენეიერი	ფ		თ, ც, ს	ჩ, შ	ქ, ს		კ
	აბრუბტივი	პ		ტ, წ	ჭ	კ	ყ	

ზემოთ მოცემული ცხრილი ტ. უგულავას მიერ გამარტივებული სახით გადმოღებულია პროფ. გ. ახვლედიანის წიგნიდან „ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები“ (გვ. 87).

სამეტყველო ორგანოთა სავარჯიშოები

მეტყველებაზე მუშაობაც მოძრავი საარტიკულაციო ორგანოების სავარჯიშოებით იწყება.

1. ღეჭვა – ტუჩებისა და ყბების გავარჯიშება – ვამოდრაოთ ორივე ბაგე, ქვედა ყბის მძლავრ მოძრაობასთან პარალელურად, რაც მოგვცემს დაახლოებით უხეში ღეჭვის მოძრაობას. სავარჯიშოებს ვიმეორებთ 8-10-ჯერ. საშუალო და სწრაფ ტემპში.
2. ბაგეების გავარჯიშება: ტუჩები მოვკუმოთ,
 - ა) ორივე ბაგეს გავზიდავთ რაც შეიძლება წინ, დინგისებურად. ყბები შეკრულია. შემდეგ ბაგეებს გავწევთ განზე მაქსიმალურად, ისე რომ კბილები არ გამოჩნდეს. ვარჯიშს ვიმეორებთ 8-10-ჯერ საშუალო და სწრაფ ტემპში.
 - ბ) მოკუმულ და დინგისებურ ბაგეებს ვატრიალებთ წრიული მოძრაობით. კრიჭა შეკრულია, ყბა უმოძრაო. წრიულ მოძრაობას ვასრულებთ ორივე მიმართულებით. ჯერ მარჯვნიდან მარცხნისაკენ და შემდგომ პირუკუ. ვარჯიშს ვასრულებთ 8-10-ჯერ.
 - გ) კრიჭა შეკრულია, მოკუმულ ბაგეებს ავზიდავთ ზევით – ცხვირის მიმართულებით, ხოლო შემდეგ დაგწევთ ქვევით – ნიკაპის მიმართულებით. ასევე გავზიდავთ მარჯვნივ და მარცხნივ ყურების მიმართულებით. ვარჯიშს ვასრულებთ 8-10-ჯერ.

ყბის ვარჯიში

- ა) გავაროთ პირი ისეთი ანგარიშით, რომ ზედა და ქვედა კბილებს შორის მანძილი ორ თითს შეადგენდეს. ვარჯიში გავიმეორებთ 8-10-ჯერ. რიტმულად.
- ბ) პირი ოდნავ გავაროთ და ქვედა ყბა ვამოდრაოთ მარჯვნიდან მარცხნივ და პირუკუ.
- გ) ქვედა ყბა წამოვწიოთ წინ და დავაბრუნოთ ადვილზე.
- დ) ქვედა ყბა ვამოდრაოთ წრიული მიმართულებით. ზემოთ ჩამოთვლილი ვარჯიშების მოძრაობა უნდა იყოს ფრთხილი და ზომიერი.

ენის ვარჯიში

- ა) ენა ასრულებს წრიულ მოძრაობას კბილებსა და ბაგეებს შორის. ჯერ მარჯვნიდან მარცხნივ და შემდეგ პირუკუ. ვარჯიში სრულდება სწრაფ ტემპში 8-10-ჯერ.

- ბ) წაწვეტებული ენის წვერით „ვჩხვლიტავთ“ ლოყებს შიგნიდან. მარჯვენა და მარცხენა თანმიმდევრობით. ჯერ თითო-თითოჯერ, ხოლო შემდეგ 2-2-ჯერ.
 - გ) ლოყიდან-ლოყაში გადავადგებთ დაგუბებულ ჰაერს. ჰაერით მთლიანად არ უნდა გავავსოთ პირის ღრუ, მხოლოდ მისი ნახევარი, რომ შევძლოთ ჰაერის გადაგდება მარჯვნიდან მარცხნივ და პირუკუ, როგორც პატარა ბურთის. ვარჯიში სრულდება თითო-თითოჯერ, შემდეგ 2-2-ჯერ.
 - დ) მოვლუნოთ ენა და ენის წვერით შევეხოთ რბილ სასას, შემდეგ დავაბრუნოთ უკან.
 - ე) პირის გარეთ გამოყოფილ ენას ვამოძრავებთ მარჯვნივ-მარცხნივ. ქვედა ყბა არ მოძრაობს.
 - ვ) წაწვეტებულ ენას ვამოძრავებთ ცხვირისაკენ-ნიკაპისაკენ.
 - ზ) პირი ღიაა – ბაგები უმოძრაო. ენას დავჭიმავთ და მივცემთ ნემსის ფორმას – შემდეგ გავაბრტყელებთ ნიჩბისებურად. ვარჯიშს ვაკეთებთ მონაცვლეობით.
 - თ) ნაპრაღი ენაზე... შუაზე ჩაზნექილი ენის ვარჯიში.
 - ი) წერტილი – ბაგეების კუთხეებს და ტუჩების შუა ნაწილს, წრიული მოძრაობით ვეხებით წაწვეტებული ენის წვერით.
 - კ) ენით ვასრულებთ ცხენის ფლოქების თქარათქურის იმიტაციას.
- სახის კუნთების გავარჯიშება: გავზიდოთ სახის კუნთები განზე ისე, რომ დავამსგავსოთ „მომღიმარ ნილაბს“;
- მოვზიდოთ სახის კუნთები წინ და შევჭმუხნოთ ისე, რომ დავამსგავსოთ „გაბრაზებულ ნილაბს“.

ქართული ხმოვანი ბგერები.
მათი სწორი წარმოთქმა, დარღვევები,
დაყენება – კორექცია

ხმოვნები შედარებით მარტივი არტიკულაციის ბგერებია. მათი წარმოთქმისათვის არ არის საჭირო სამეტყველო ორგანოთა დიფერენციული მოძრაობა და დაძაბულობა. ამიტომ, ამ ბგერების წარმოთქმისას, მათი დარღვევა შედარებით იშვიათია. ხმოვნების წარმოთქმისას ყველაზე მძიმე დეფექტია დუღუნი. საარტიკულაციო ორგანოების: ენის, ტუჩების, რბილი სასის და ქვედა ყბის მოღუნებული არტიკულაციის შედეგად ვიღებთ ე. წ. „წალესილ მეტყველებას“, შებოჭილ-კრიჭაშეკრულ წარმოთქმას.

განვიხილოთ ხმოვანთა სწორი არტიკულაცია:

ა – ბაგეები არ არის დაჭიმული, კბილთაშუა ღიაობა დაახლოებით 5 მმ-ია; ენა თითქმის ინდიფერენტულ მდგომარეობაშია, ოდნავ არის აწეული სასისაკენ; ენის წვერი ქვედა კბილებთანაა მიახლოებული.

ო – ბაგეები ოდნავ წინ არის წამოშვერილი და მომრგვალებული. კბილთაშუა ღიაობა ნაკლებია ვიდრე ა-სთვის. უკანა ენა უახლოვდება რბილ სასას, ენის წვერი კბილებიდან მეტადა დაშორებული ვიდრე ა-ს წარმოთქმის შემთხვევაში.

უ – ბაგეები უფრო მეტად არის წინ წამოშვერილი და მომრგვალებული; კბილთაშუა ღიაობა უფრო ნაკლებია ვიდრე ო-ს შემთხვევაში. ენის წვერი მეტად არის დაშორებული ქვედა კბილებიდან – ვიდრე ო-ს შემთხვევაში; უკანა ენა შესამჩნევად მიემართება რბილი სასისაკენ.

ე – ბაგეები გაწეულია განზე; კბილთაშუა ღიაობა უფრო ვიწროა ვიდრე ა-ს შემთხვევაში; ენის წვერი დაშვებულია და ქვედა კბილებთან ძვეს, ხოლო ენის ზურგის წინა ნაწილი შესამჩნევად აიწევა მაგარი სასის მიმართულებით.

ი – ბაგეები გაწეულია კბილების გასწვრივ ღიმილისდაგვარად; კბილთაშუა ღიაობა 2-3 მმ-ია; ენა აზნექილია ზევით, დაჭიმულია და სასასთან არის მიახლოებული; ენის წვერი ქვედა კბილებს ებჯინება.

რბილი სასა ყველა ხმოვნისათვის აწეულია სახის კედლის მიმართულებით და ჰაერნაკადს გზას უკეტავს ცხვირისაკენ; სახმო სიმები ჟღერენ.

ხმოვანთა წარმოთქმის გავარჯიშება

ხმოვნების გამოკვეთით წარმოთქმა მეტყველების რიტმულ ბუნებას ემსახურება და იგი არ უნდა დაირღვეს. დაწყვილებულ ხმოვანთა გასავარჯიშებლად ქვემოთ მოყვანილი ხმოვნები ვერტიკალური თანმიმდევრობით წარმოვთქვათ, აქტიური ვარჯიშის პრინციპით.

ი	იი	იი	ეი	აი	ია	ოი	იო	უი
ე	ეე	ოე	ეე	აე	ეა	ოუ	ეო	უე
ა	აა	ია	ეა	აა	აა	ოა	აო	უა
ო	ოო	იო	ეო	აო	ოა	ოო	ოო	უო
უ	უუ	იუ	ეუ	აუ	უა	ოუ	უო	უუ

წარმოვთქვათ ხმოვანთა დაჯგუფებანი გაბმულად „ლეგატო“-ზე. ერთ სუნთქვაზე.

აი-ოი-ია-უა

უი-აო-ეო-იო

აუ-იო-ეა-ოა

უა-ოა-ეა-ია

გავიმეოროთ 3-ჯერ.

გავავარჯიშოთ ა ხმოვანი ერთმარცვლიან სიტყვებში, ვერტიკალური თანმიმდევრობით. ჯერ წარმოვთქვათ ნელ რიტმში, ხოლო შემდეგ სწრაფ რიტმში.

გზა	ტბა	ცა	ზრდა	და	კვლა	ღვრა	ჭა
ბზა	ყბა	მკა	ზღვა	ძმა	სვლა	რგვა	ჭრა
მზა	თმა	მთა	ზმნა	ძვრა	თვლა	რვა	ზვრა
ძნა	ხმა	ფრთა	ყრმა	ცვლა	შლა	ცხრა	კვრა

გავავარჯიშოთ ერთად თავმოყრილი ორი და სამი ხმოვანი. ყურადღება მივაქციოთ ხმოვანთა წარმოთქმის ხანგრძლივობას. მახვილი უნდა მოდიოდეს პირველ ხმოვანზე. ამ სავარჯიშოში სიტყვები ჯერ წარმოვთქვათ არტიკულაციით, ხოლო შემდეგ ხმით.

1. აა – ააფერადა, ააღელვა, აათამაშა, დაარტყა, გადაარჩინა; კალოობა, აღდგომა, ძეობა, საავიაციო, გასავსავა, საავტორო, საალერსო, სააქციო, საამაყო, საარაკო, საარსებო.

2. ია – იაღონი, იაღბუზი, იაენანა, მიანდო, სიახლოვე, ჭიამაია, ნიბლია, მიაგნო, კარგია, იასპარეზა, გიაური, მიაგნო.
3. აი – აისი, აისროლა, მისი, გარდაცვალა, გაისროლა, გადაიდო, გარდაისახა, საისტორიო, საიდუმლო, საილუსტრაციო, საინტერესო, საინფორმაციო, საისრე.
4. ეა – ეაღერსება, ეამბორა, მეათე, მეარღნე, ტყვეა, კლდეა თეატრი, შეამჩნია, სარკეა, ღამეა, ხეა.
5. აე – აეროდრომი, აეშალა, აერთებს, გაერთიანება, მესტრო, ვაება, საეკლესიო, საესტრადო, საელჩო, საერთო, საექსკურსიო, საექსპორტო.
6. აო – აორტა, აორთქლდა, გაორება, საოჯახო, გასაოცარი, სანახაობა, საკუჭნაო, სანაოსნო, სამუშაო.
7. ოა – ოაზისი, მოამბე, მოატყუა, მოაკოწიწა, შემოარტყა, გამოაცალა, წამოაყენა, მოამზადა, გამოაცოცხლა, საამოა.
8. უა – უამბო, უარესი, უარყო, გაუარესებული, უანგარო, ჟრუანტელი, ყუა.
9. აუ – გაუბედავი, საუკეთესო, გადაუდებელი, აუცილებელი, აუსრულა, გაუკეთა.
10. ოო – მოოქროვილი, უდროოდ, საბოლოო.
11. უუ – უუნარო, უუფლებო, გაუუშეცარდა.

ხშირად ერთ სიტყვაში გვერდიგვერდ თავს იყრის სამი ხმოვანი. სამივე ხმოვანი უნდა წარმოითქვას თანაზომიერი ხანგრძლივობით. ასეთი სიტყვების ნიმუშებია:

გააერთიანა, გააუმჯობესა, დააარსა, გაათავკეცა, შეიარაღება, მიუაღერსა, გააიგივა, დააიმედა, დააინტერესა, გააოცა, დააუძღურა, გაეარშიყა, დაიოკა, გაიუთოვა, საიუბილეო, დაუამხანაგდა, გაუადვილა, აუორთქლდა, მიუაღერსა, იუარა, მიუახლოვდა, ნიუანსი, შეუერთდა, მოიაზრა, უიარაღო, მოიერიშე, მოაასფალტეს, ამოიოხრა.

ხშირ შემთხვევაში სიტყვის ბოლოს ია ხმოვნები იცვლება რუსული „ჩ“-ით, რაც რუსული ენის ზეგავლენის შედეგია. საჭიროა გაავარჯიშოთ ეს ხმოვნები სიტყვის ბოლოს.

გადაწყვეტილია	წარმოდგენილია
დამარცხებულია	ამდაგვარია
დაჩაგრულია	სიტუაცია
სპონსორია	შეიარაღებულია
ავიაკომპანია	უცნობია
ივერია	განთესილია
პრესკონფერენცია	აქცია
რეორგანიზაცია	მნიშვნელოვანია

ხმოვანი ბგერების გადატანა-ჩამაგრება ენის გასატეხებსა და სავარჯიშო-ფრაზებში:

1. დილას – დარდი დავუმონე
დილამ – დიდ დევს დამამსგავსა
დილამ – დასცა დრო დუხჭირი
დამხო და დახავსა.
2. ალიხე, მალიხე, სილიხე, სიკინჭილიხე,
ხევასური, ვარვალახე, მარიამხე, კვაწარახე.
3. დედავ რამან დაგაბერა, რამან დაგადედაკაცა?
ავმა სახლმა, ავმა კარმა, ავად გამადედაკაცა,
კარგმა სახლმა, კარგმა კარმა,
კარგად გამადედაკაცა.
4. თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმანარნარი, პირმცინარი,
მზე მცინარი, საჩინარი, წყალი მტკნარი, მომდინარი.
მისთვის ქნარი, რა არს ქნარი? არსით მთქნარი, უჩინარი,
ვარდ-შამხნარი, შამბ-ბალნარი, ღაწვ მწყაზარი, შუქმფინარი.

ჩაბრუხაძე

5. „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების,
დიდთა და წვრილთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინების!
უხვი ახსნილსა დააბამს, იგი თვით ების, ვინ ების,
უხვად გასცემდი, ზღვათაცა შედის და გაედინების.

მეფეთა შიგან სიუხვე, ვით ედემს ალვა, რგულია;
უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია;
სმა-ჭამა – დიდად შესარგი, დება რა სავარგულია?!
რასაცა გასცემ, შენია; რაც არა, დაკარგულია!“

6. „მეფეო, ესე თათბირი, მომკალ, ვინ დამიწუნოსა!
მეფეო, ნუთუ წასვლამან თქვენ ჩემმან დაგაჭმუნოსა?!
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ საქმესა საძაბუნოსა,
პირის-პირ მარცხვენს, ორნივე მივალთ მას საუკუნოსა“.

„არ-დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა;
ვკვამობ კაცსა აუგვიანსა, ცრუსა და ღალატინსა!
ვერ ვეცრუები, ვერ ვუზამ მას ხელმწიფესა მზიანსა.
რა უარეა მამაცსა სულ-დიდსა, წასვლა-გვიანსა?!“

შოთა რუსთაველი

7. „რაც ვიწროა წრე, მით უფრო ვიწრო აზრი გვდევს;
რაც მაღლაა მისწრაფება, მით მაღლა ვართ ჩვენც“.

ფ. შილერი

„ჰერაკლეოპოლისელი მეფის დარიგებანი შვილისათვის“.

„განდევნე, მოსპე, გაანადგურე სახელი მისი, ამოშანთე ხსენება
მისი და მისიანთა, რამეთუ იგი ქალაქის სიმშვიდის მტერია და
მეამბოხე.

იყავ მართალი ღმერთის წინაშე და სამართლიანი, რათა ყოველმა,
რომელმა გიხილოს, იუბნის შენზე იქაც, სადაც თავად არა ხარ:
მხოლოდ მტერს მუსრავსო, სარგებლობა მოაქვსო კაცთათვის
კეთილი ზნით, ხოლო შფოთისთავნი კი ბოროტს იზრახვენსო“.

* * *

„მახვილი სიტყვა შენი – ძალაა შენი. მახვილი მეფისა, ენა
მისი, სიტყვა მისი – ყოველ იარაღზე ძლიერია“.

„სამარადღამოდ უკვდავჰყავი სახელი შენი, მოიპოვე სიყვარული
შენი ხალხისა, გაამდიდრე ქალაქის მკვიდრნი, სამაგიეროდ

ღმერთებს შესთხოვენ შენს კეთილდღეობას და განადიდებენ შენს სახელს. შორს გაიტანენ შენი სიკეთის ამბავს, შენს სიჯანსაღეს შეევედრებიან ღმერთს. იზრუნე შენი ხალხი:სათვის, განამტკიცე სამაჲნი შენი ქვეყნისანი შენი მეუფების ჟამს“.

* * *

„შესაბრალოსია მიწას დახარბებული კაცი, სულელია არასმქონე, შურით რომ უმზერს მქონებელს“.

* * *

„წარმავალია წუთისოფელი, მიწიერი სიცოცხლე დიდხანს როდი გრძელდება. ბედნიერია, ვისაც მოიგონებენ. უსარგებლოა მსახურთა სიმრავლე. კაცი ცას ვერ გამოეკერება! სვებედნიერიც კი, სიცოცხლეს გამოეთხოვება, ტოლსა და სწორსაც ჩამოშორდება, ჟამი რომ დაჰკრავს. რაღა აღშფოთებს მდიდარს თავის სახლში – ქონება საკმარისად აქვს, უქონლობას რაღას ჩივის?“

* * *

„ჭეშმარიტება ღაღადებდეს შენი პირით, რამეთუ ეშინოდეს ყველას, ვისაც ქვეყნის სადავეები მიანდე შენს სახლში. ხელმწიფის ნიშანი – პირდაპირობაა ... ჭეშმარიტებას მიჰყევი და დიდი დღე გექნება. ნუგეში ეცი მტირალს, არ დაჩაგრო ქერივი, არ წაართვა შვილს სამემკვიდრეო. არ დასაჯო უბრალო. ნუ მოკლავ კაცს – ეს შეცოდებად მოგიბრუნდება... არ მოკლა კაცი, თუ ზნეკეთილია...“

* * *

„აღმართე სიმაგრეები ... აშენე ტაძრები, ღმერთები განადიდებენ მშენებელთ, თეთრი სანდლები ჩაიცივი და შედი ტაძრად, დუმილით შედგი ფეხი წმინდა სამლოცველოში, ღმერთი დააფასებს მისთვის გარჯილთ“.

* * *

„არ დაანგრიო სხვათა ძეგლები... არ აიშენო სხვათა სამარხების ნამუსრევი ქვით, საკუთარი ქვა გამოკვეთე. გახსოვდეს: დიდსულოვნება მეფეთა სამკაულია“.

„დაამშვენე შენი მოსასვენებელი სამართლიანობითა და

სიმართლის სიყვარულით. გულთბილად სველებიან მრისხანესაც, თუ გულმართალია, მაგრამ არც ძალუმ მხარს დაინდობენ, თუ უსამართლობას სჩადის“.

„მღუმარებენ მწვერვალები,
მისცემიან რულს...
ღუმან ხენი კენარები,
მთა და ბარი ღუმს.
ალარ ისმის ტყეში ჩქამი,
ჩიტიც ალარ სტვენს.
მოითმინე მოვა ჟამი,
მოისვენებ შენც!“

გოეთე

„ანი, ბანი და განიდა,
ნეტავ რა მინდა, რა მინდა,
ან მინდა თავის სიკვდილი,
ანდა სხვაიმე რამ მინდა,
მინდა საყვარლის ქორწილი,
შხამის თასების ცლა მინდა,
გაწბილებული მორწმუნე,
დამწუხრებული ცა მინდა
ან კიდევ მინდა, რა მინდა?
მინდა შენ მყავდე ცოცხალი,
შენთვის სიკვდილი არ მინდა,
ჯერე შენ მოკვდი, მერე მე,
რომ ვთქვა: სიცოცხლე არ მინდა.
ანი, ბანი და განიდა,
რანიდა მოვა განიდა,
გასრულდა ყოვლი წერილი
სახლი და კარი ბანიდა,
ანი, ბანი და განიდა,
ნეტავ რა მინდა, რა მინდა,
ან მინდა თავის სიკვდილი
ანდა სხვაიმე რამ მინდა.“

ა. სალოუქვაძე

„გარეთ ქარია, სულში დარია,
რამ გადარია გული მთლიანად,
სიტყვა მკვდარია, ლექსი მდარეა,
მხოლოდ სავსეა გულის ფიალა,
ტანი ფარია, გრძნობა ლარია,
რა მიხარია, მაინც ვერ მითქვამს...
ვიტყვი ოდესმე, ვიტყვი ზარიანს,
გრძნობას ქარიანს როცა შევრითმავ“.

ი. გურგულია

„იყო ხილვის სინარული,
იყო არა იყო რა...
გულში თრთოლვა მიმალული,
იყო არა იყო რა...
ვარდისფერი სიყვარული,
იყო არა იყო რა...
სიანლოვით სიმთა რული,
იყო არა იყო რა...
მერე ობლად სიარული,
იყო არა იყო რა...
განშორება, სინანული,
იყო არა იყო რა...
დაკარგული სიყვარული
იყო არა იყო რა...“

ი. გურგულია

ქართული თანხმოვნები

„ლ“ ბგერის მართებულად წარმოთქმის წესები, მისი დარღვევები და გამოსწორების ხერხები

„ლ“ ენაკბილისმიერი, ნაპრალოვანი, მჟღერი თანხმოვანია. სონორ ბგერათა შორის ყველაზე რთული წარმოსათქმელია. ბგერა ლ-ს წარმოთქმისას პირი ოდნავ ღიაა, ენის ძირი აწეულია, ენის წვერი დაჭიმულია და ებჯინება წინა ზედა კბილებს, ენის გვერდები დაშვებულია და ჰაერნაკადი ენის გვერდებსა და კბილებს შორის დატოვებულ ნაპრალში გამოდის.

ქართულში არსებობს „შედარებით რბილი“ და „შედარებით მაგარი“ – ლ. (მ. მრეკლიშვილი). ლ თანხმოვანი შედარებით რბილად წარმოითქმის, მაშინ, როდესაც მას მოსდევს ი ან ე ხმოვანი. მაგ: ლიმონი, სახლი, ქლიავი, ლეღვი, ლერწამი და ა. შ. ყველა დანარჩენ შემთხვევაში: როდესაც ბგერა ლ-ს მოსდევს ა, ო, უ ხმოვნები, ან თანხმოვნები, ან სიტყვა ბოლოვდება ამ ბგერით, იგი „შედარებით მაგარია“. მაგ: ლამაზი, ლომი, ლურსმანი, გულში, ლტოლვა, ელდა, წყალზე, ხვალ და ა. შ.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში „შედარებით რბილი“ და „შედარებით მაგარი“ ლ თანხმოვნის არტიკულაციის ძირითადი ელემენტები ერთი და იგივეა. მაგარი ლ-ს წარმოთქმისას ენის წვერი უფრო დაჭიმულია და ზედა კბილებს მიბჯენილი ენის წვერი ენერგიულად მოსხლტება კბილებს.

ქართულ ლიტერატურულ წარმოთქმაში მეტწილად გვხვდება მაგარი ლ-ს წარმოთქმის დარღვევები. რბილი ლ-ს წარმოთქმის დარღვევები იშვიათია. მაგარი ლ-ს წარმოთქმისას კბილებთან შეხებისას საჭიროა დიდი არტიკულაციური სიზუსტე. მცირეოდენი გადახრაც კი ბგერის დაზიანებას იწვევს. ლ – ბგერის დაზიანების პრობლემას „ლამბდაციზმი“ ეწოდება.

„ლამბდაციზმის“ გამომწვევი სპეციფიკური მიზეზებია:

1. სქელი მოუქნელი ენა.
2. ენისქვეშა ლაგამის სიმოკლე.
3. ენის ტრავმული დაზიანება ან სიმსივნე.
4. ენის ამწვევი კუნთების და ნერვების მოღუნება.

„ლ“ ბგერის წარმოთქმის დარღვევა გვხვდება სამი სახით:

- ა) უბგერობა;
- ბ) დამახინჯება;
- გ) სხვა ბგერით შენაცვლება.

უბგერობისა და სხვა ბგერით შენაცვლების შემთხვევაში აუცილებელია მივმართოთ ლოგოპედ-დეფექტოლოგს, რადგან მხოლოდ საკუთარი ძალისხმევით ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრა შეუძლებელია.

რაც შეეხება ლ ბგერის დამახინჯების საკითხს, ძირითადად პრაქტიკაში გვხვდება ლ ბგერის შერბილება: მაგ: ლამაზი – ლხამაზი, სამშობლო-სამშობლხო, ლურსმანი – ლხურსმანი და ა. შ.

ამგვარი დარღვევა ქართულ მეტყველებას აძლევს კუთხურ-პროვინციულ ელფერს. ეს დარღვევა განსაკუთრებით შეინიშნება ბოლო ათწლეულში და დამახასიათებელია დაახლოებით ყოველი მესამე ადამიანისათვის.

ბგერა ლ-ს არტიკულაციური ვარჯიშები:

1. ენის წერი მოვათავსოთ კბილებს შორის და წარმოვთქვათ ლ. ენის ვარჯიშები:

1) ენის წვერი გამოჰყავით კბილებს გარეთ, მოაწყვეთ ბრტყლად, ნიჩბისებურად და გაწვრილება ისრისებურად.

2) ენა აწიეთ და დაწიეთ პირი ღრუში ტუჩებს შუა და ტუჩებს გარეთ (ცხვირისკენ და ნიკაპისკენ).

3) ენის წვერით, მოლოკეთ ტუჩები, კბილები და ალვეოლები.

4) ივარჯიშეთ ენის ზურგის აწევ-დაწევასა და მაგარ სასასთან მიწოვაზე.

5) შებერვითი ვარჯიშები: შებერვა კბილებს შუა გამოყოფილ ენის წვერზე ბრტყელ და ღარისებურ მდგომარეობაში.

„შედარებით რბილი“ და „შედარებით მაგარი“ ლ-ს არტიკულაციის სხვაობის შესაგრძნებად წარმოვთქვათ ბგერა ლ, ი და ე ხმოვნებთან ერთად. ლი-ლი, ლი-ლე, გავიმეოროთ რამდენიმეჯერ. შემდეგ ა, ო და უ ხმოვნებთან ერთად. ლა-ლა, ლა-ლო, ლო-ლო, ლუ-ლუ, ლუ-ლა.

შემდეგ სავარჯიშოში დაუპირისპიროთ „მაგარი“ და „რბილი“ ლ ერთმანეთს:

ლილი-ლალა	ლილი-ლოლო
ლელე-ლალა	ლელე-ლულო
ლილი-ლულო	ლელე-ლოლო და ა. შ.

თითოეული ეს სავარჯიშო წარმოვთქვათ 8-10-ჯერ ტემპის ნელ-ნელა მატებით.

ეს დაპირისპირება სასარგებლოა იმისათვის, რომ მაგარი ლ-ს გამოძეუშავების პროცესში არ გამაგრდეს ეს თანხმოდანი ი და ე ხმოვნებთან მეზობლობაში.

ბგერა ლ-ს გავარჯიშება ერთმარცვლიან, ორმარცვლიან და სამმარცვლიან კომპლექსებში.

ლი ლი-ლი	ლილ	ლმნი-მნლი	ლში	ლჟი-ლში
ლე ლე-ლე	ლელ	ლმნე-მნლე	ლშე	ლჟე-ლშე
ლა ლა-ლა	ლალ	ლმნა-მნლა	ლშა	ლჟა-ლშა
ლო ლო-ლო	ლოლ	ლმნო-მნლო	ლშო	ლჟო-ლშო
ლუ ლუ-ლუ	ლულ	ლმნუ-მნლუ	ლშუ	ლჟუ-ლშუ

ლბი-ლფი-ლპი	ლძი-ლცი-ლწი	ლჯი-ლჩი-ლჭი
ლბე-ლფე-ლპე	ლძე-ლცე-ლწე	ლჯე-ლჩე-ლჭე
ლბა-ლფა-ლპა	ლძა-ლცა-ლწა	ლჯა-ლჩა-ლჭა
ლბო-ლფო-ლპო	ლძო-ლცო-ლწო	ლჯო-ლჩო-ლჭო
ლბუ-ლფუ-ლპუ	ლძუ-ლცუ-ლწუ	ლჯუ-ლჩუ-ლჭუ

ბგერა ლ სიტყვებსა და ენის გასატეხებში

ლიმონი	ალიონი	ნალი	შეელი
ლიახვი	მსხალი	ქალი	ცელი
ლიმონათი	წელიწადი	ბალი	ვაშლი
ლირა	ბალიში	წყალი	ტყემალი
ლიტრა	მაგალითი	ძილი	ყინული
გალია	ფოთოლი	გული	სოფელი

ლექსი	სალესი	სინათლე	ფილტვები	ხელკეტი
ლეკვი	ნალექი	სიბნელე	ხელ-ფეხი	ხელთათმანი

ლეღვი	ხმელეთი	სიყვითლე	ხელმწიფე	საელჩო
ლერწამი	აქლემი	სიმაღლე	ყელსაბამი	ღელვა
ლენაქი	ტელეფონი	სიბნელე	ელმავალი	ხელუხლებელი
				ხელსაწმენდი

ლაგამი	ალამი	ლომი	ბოლოკი	ლუდი
ლამაზი	კალამი	ლოყა	კოლოფი	ლუწი
ლამბაქი	სალამი	ლობიო	გლობუსი	ლურჯი
ლანდი	მელა	ლოგინი	ბოქლომი	ბულბული
ლახტი	სილა	ლოკოკინა	ბოლო	სლუკუნი
			სპილო	სულგუნი

ალმასი	ულვაში	კლდე
ალმური	გულფიცხი	სახელგამი
ხალვა	გულკეთილი	ხელკეტი
კალმახი	სულწასული	ხელფასი
ბალთა	იალბუზი	ტალკვესი

ათწლოვანი, ათვალწუნებული, აკრძალული, ალალებდზე, ალაღმართალი, ალყა, ამაღლეგებელი, ამბულატორია, არეულდარეულობა, ახლო, ახლომახლო, ახლანდელი, ბალადა, ბაჯაღლო, ბელორუსი, ბლომად, ბულგარეთი, გადასვლა, გაღალახვა, გაღობა, გამფლანგველი, განვლო, განმავლობაში, განსახიღველი, განცალკეებუღი, განხიღვა, გასამრჯელო, გასროლა, გაუთვალისწინებღად, გაქეღვა, გაცვლა-გამოცვლა, გვალვა, გველნაკბენი, გვირიღა, გლახაკი, გრძელვადიანი, გულადი, გულანდიღი, გულმკერდი, გულნატკენი, გულუბრყვილო, გულუხვი, გულშემატკივარი, გულცივი, გულხელდაკრეფიღი.

ღაკლაკინიღი, ღამაკმაცოფიღებღად, ღამალული, ღაბღა, ღასავღური, ღასაფღავება, ღაღლიღობა, ღამწერღობა, ღახლართული, ღიამეტრალური, ღიღაობიღ, ეღამი, ერთსულოვნება, ერთხელ, ვეღოსიპედი, ვრცელღება, თავღაპირვეღად, თავმღაბღობა, თვალთვალი, თვალთმაქცი, თვალნათღივ, თვალსაჩინო, თვალუწვღენელი, კალათა, კალათბურთი, კალამი, კალატონი, კალთა, კალმისტარი, კლდე, კაღობა, კაღციუმი, კარღინალური, კეთიღმღოწყობიღი, კეთიღმღოსურნე, კვალღაკვალ, კღაკინიღი,

კლასგარეშე, კლასიფიკაცია, კლუბი, კოლმეურნე, კომუნალური, კონსულტაცია, კრიალოსანი, კრძალავს.

ლაგამი, ლამაზი, ლალისფერი, ლანდი, ლაპარაკი, ლაღი, ლაშქრობა, ლმობიერი, ლოგიკა, ლოცვა, ლტოლვილი, ლუკმა, ლხინი, ლულულუღი, მადლობელი, მალამო, მართლმორწმუნე, მაღალფარდოვანი, მახვილგონიერი, მაჯლაჯუნა, მელოდიური, მელოტი, მესაფლავე, მიკიბულ-მოკიბული, მინიმალური, მიწათმფლობელი, მკურნალობა, მოვალ, მოკირწყლული, მოლაპარაკება, მოლდავეთი, მოლაყბე, ლხინი, მოსუღელო, მოუთმენლობა, მოღრუბლული, მოხერხებულად, მრავალრიცხოვანი, მრავალეროვანი, მრავლობითი, მრავალწლოვანი, მსხვილფეხა, მძღავრი, მხედველობა, ნათელი, ნაწილობრივი, ნებაყოფლობითი, ნელ-ნელა.

ოლქი, ორთქლმავალი, პალატა, პალტო, პირველწყარო, პირველხარისხოვანი, პლაკატი, პოლონეთი, პოლკოვნიკი, სადღეგრძელო, სადღესასწაულო, საიდუმლო, სამსხვერპლო, სამშობლო, საოლქო, საჭმელ-სასმელი, სასოფლო-სამეურნეო, სასკოლო, საშუალო, საცალფეხო, საცდელ-საჩვენებელი, სახელდობრ, სახელმძღვანელო, სახელმწიფო, სახელოვანი, სახელწოდება, სახლ-კარი, სიბრალული, სრულწლოვანი, სრულუფლებიანი, სრულდება, სულადობა, სულგრძელი, სულდგმული, სულმოკლე, სცილდება, სწავლობს, უღმობელი, ულაპარაკოდ, უმნიშვნელო, უმწიკვლო, უსაფუძვლო, უსულო, უცილობლად, უშუალო, უძღური, უწყალო, უწყერულვაშო, უხერხული.

ფილტვი, ფლოტი, ქალაქგარეთ, ქალაჩუნა ქალაქური, ქველმოქმედება, ქრონოლოგია, ღალატი, ღვეღვი, ყაბალახი, ყველაფერი, ყვითელკანიანი, ყინულმჭრელი, ყოველმხრივი, ყოველდღე, ყოველნაირი, ყოველწლიური, შელოცვა, შემოვლა, შესაძლო, შეუგნებლობა, შეუძლოდ, შველა, შთამომავლობა, შოლტი, შუბლმაგარი, ჩრდილოეთი, ცალთვალა, ცალკეული, ცალფეხა, ცალმხრივი, ცეცხლსაშიში, ცოცხლობს, ძალა, ძალაუფლება, ძალღონე, ძალღური, ძვალ-რბილი, ძველმანი, ძვირფასეულობა, ძნელად, წაბილწვა, წვრილმანი, წვრილფეხა, წვრილშვილი, წითელკანიანი, წინასადღესასწაულო, წუხელ, წყალდიდობა, წყალქვეშ, წყალწყალა, წყევლა-კრულვა, ხალასი, ხალვათი, ხალხი, ხელგამლილი, ხელახალი, ხელბურთი, ხელთათმანი, ხელმარჯვე, ხელმისაწვდომი, ხელმოკლე, ხელმძღვანელი, ხელსაწყო, ხელმწიფე, ხელოვნება,

ხელნაწერი, ხელსაქმე, ხელოსანი, ხელუხლებელი, ხელფასი, ხელფენშეკრული, ხელქვეითი, ხელშემწყობი, ხელწერილი, ხელცარიელი, ხელშესახები, ხელჩართული.

ენის გასატეხები

„ესე ლორი რა ლორია
ლორზე გადანამორია“.

„ლარნაკზე ლაპლაპებს ლალი
ლამაზ ლანდივით ლალად,
ლოთივით ლასლასებს ლარი
ლერწმად ლამაზი ლალა“.

„ერთსა კაცსა ბლისკინელსა, ბლისკალათით ბლის ხიდზედა
ბალი გააქვს და გამოაქვს“.

„ლალს ლოცავს, ლაჩარს ლახტით ლეწს,
ლანქერათ ლღვება ლეწვითა,
ლამს ლექავს, ლამაზ ლერწმის ლერწს
ლერწმადვე ლექსავს ლერწიდან“.

ა. სალუქვაძე

„თუ საწუთრომან დამამხოს, ყოველთა დამამხოებელმან,
ლარიბი მოვკვდე ლარიბად, ვერ დამიტიროს მშობელმან,
ველარ შემსუდრონ დაზრდილთა და ვერცა მისანდობელმან,
მუნ შემიწყალოს თქვენმანვე გულმან მოწყალე-მომობელმან“.

* * *

„ილოცავს, იტყვის: „მაღალო, ღმერთო ხმელთა და ცათაო,
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზათაო,
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო,
მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულის-თქმათაო!“

შოთა რუსთაველი

„ვინატრები – ნეტავ შემეძლოს ყველა ტკივილის მორჩენა პიროვნების ღირსების შეუცვლელად. ნეტავ შემეძლოს ადამიანებს დაუწინდო უეცარი, მოულოდნელი სიკვდილი, არა უადრეს 100 წლისა, რომ მის გაჩენას აზრი ჰქონდეს და ახლდეს რწმენა, რომ სიცოცხლის ბოლომდე ჯანსაღი სულით და ხორციით ივლის და არ ეცოდინება, რა არის ტკივილის შიში. ნეტავ შემეძლოს გადავაჩვიო ადამიანი ტყუილს, და მის ნაცვლად ღუმილი ვასწავლო. ნეტავ შემეძლოს მოვუსპო ადამიანს სიხარბე და მოპარვის ცხოველური ენის და მხოლოდ სიკეთით ნეტარება ვასწავლო. ნეტავ შემეძლოს ადამიანის ვნება სიყვარულს დავუმორჩილო და სიყვარულში მოთმინება და მსხვერპლგაღება ვასწავლო. ნეტავ შემეძლოს ადამიანს ორი დიდი ჩვევა დაუწინდო შრომისა და ოცნებისა. ნეტავ შემეძლოს სიბრძნით ავაგოს ადამიანი ისე, რომ არ დამძიმდეს და ხალისი სიკვდილამდე მიჰყვეს. რა კარგია სიტყვა „ნეტავ“.

ი. გურგულია

„რ“ ბგერის სწორი – წარმოთქმა

რ სამეტყველო ბგერათა შორის ყველაზე ძნელად წარმოსათქმელი ბგერაა. ამ ბგერის წარმოთქმისას ენას სჭირდება მეტად რთული და დიფერენცირებული მოძრაობის შესრულება: რ ბგერის წარმოთქმისას ენა განსაკუთრებით დაძაბულია და სწორი არტიკულაციიდან მცირეოდენი გადახრა იწვევს ამ ბგერის დაზიანებას.

რ ბგერის დარღვევას ეწოდება როტაციზმი, მისი სხვა ბგერით შენაცვლებას კი – პარაროტაციზმი.

რ – ენაუნისმიერი, მჟღერი, მთრთოლი თანხმოვანია. მისი წარმოთქმისას ჰაერნაკადის ზედიზედ ძლიერი ჯახება იწვევს დაჭიმული ენის წვერის თრთოლას, ზედა ნუნების მიმართ. რ ბგერის წარმოთქმისას სამეტყველო ორგანოები შემდეგ მდგომარეობაში არიან: ბაგეებისა და პირის კუთხეების მდგომარეობა დამოკიდებულია მომდევნო ხმოვანზე. (შეადარეთ სარკის წინ). ენის წვერი აწეულია ზედა ნუნებთან, კოვზისებურადაა მომრგვალებული, დაჭიმულია და თრთის. ენის ძირი უძრავადაა, ენის გვერდები მტკიცედ ებჯინება ზედა გვერდით კბილებს. რბილი სასა აწეულია ხახის კედლის მიმართ და გზას უკეტავს ცხვირისკენ მიმავალ ჰაერნაკადს. სახმო

სიმები თრთიან. ექსპირაციული ჰაერნაკადი უფრო ძლიერია, ვიდრე ხმოვნების წარმოთქმისას.

რ – ბგერის დარღვევის სპეციფიკური მიზეზებია:

- ა) დიდი, მოუქნელი ან ძლიერ მოკლე, პატარა ენა.
- ბ) ენის წვერის მთლიანი ან ნაწილობრივი შეზრდა.
- გ) ენისქვეშა ლაგამის სიმოკლე, რის გამოც ენის წვერი ვერ სწვდება ზედა ნუნებს. ხშირად ენისქვეშა ლაგამის სიმოკლე იწვევს ენის წვერის დეფორმაციას. ენის წვერი გაყოფილია, რაც ხელს უშლის წვერის ვიბრაციას.
- დ) ენის ტრავმული დაზიანება, სიმსივნე ან ხორცმეტი ენაზე.
- ე) ენის ამწევი კუნთების და ნერვების მოღუნება (სისუსტე).
- ვ) მაღალი ვიწრო სასა, რის გამოც ენის წვერი ვერ სწვდება ალვეოლებს.

ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გამო ენას აკლია მოქნილობა და ვერ ახდენს რ ბგერის წარმოთქმისთვის საჭირო, ზუსტ მოძრაობებს.

რ – ბგერის დარღვევის სახეებია: უბგერობა, დამახინჯება და სხვა ბგერით შენაცვლება.

უბგერობა – ამ შემთხვევაში ბგერა არ წარმოითქმის. გვაქვს უბგერო პაუზა. მაგ: პარლამენტი – პა-ლამენტი. პრეზიდენტი – პეზიდენტი. მორბის – მობის და ა. შ.

დამახინჯებანი:

- 1) ველარული. რ ბგერის წარმოთქმისას ენის ზურგის უკანა ნაწილი რბილ სასასთან წარმოქმნის ვიწრო ნაპრალს, ამ ნაპრალში ჰაერნაკადის გავლა იწვევს რბილი სასის თრთოლას. (Velum ლათინურად ეწოდება რბილ სასას, აქედან წარმოდგება რ-ს ნაკლოვანების სახელწოდება – ველარული).
- 2) უეულარული. ანუ ნაქისმიერი რ-ს წარმოთქმისას საარტიკულაციო ორგანოები ისეთსავე მდგომარეობაშია, როგორც ველარული რ-ს წარმოთქმისას. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ თრთის არა რბილი სასა, არამედ ნაქი.
- 3) გვერდითი რ-ს წარმოთქმისას თრთის ენის გვერდები. ისმის რლ-ს მსგავსი ბგერა.
- 4) ლოყისმიერი რ-ს წარმოთქმისას საარტიკულაციო აპარატი იმავე მდგომარეობაშია, როგორც გვერდითი რ-ს შემთხვევაში, ოღონდ ენის გვერდების თრთოლას ერთვის ლოყების თრთოლაც.

რ-ბგერის სხვა ბგერით შენაცვლებათა შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია რ-ბგერის შენაცვლება დარბილებული რ-ბგერით.

რ-ს დარღვევის შემთხვევები შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად:

- ა) ენას, ზემოთ აწეულობის მიდრეკილება, მაგრამ რაიმე მიზეზის გამო არ ხდება ზუსტი არტიკულაცია;
 - ბ) ენის წვერი დაშვებულია. მის ნაცვლად აქტიურობს ენის სხვა ნაწილი ან სხვა სამეტყველო ორგანო: რბილი სასა, ბაგეები და სხვ...
- ც) პირველ ჯგუფში გაერთიანებულ დარღვევათა სახეები უფრო ადვილად სწორდება ვიდრე მეორე ჯგუფში შემავალ დარღვევათა სახეები. ეს აზრი პრაქტიკულ მუშაობაში დასტურდება.

რ-ბგერის დაყენება, კორექცია

რ-ს წარმოთქმის დარღვევის გამოსწორებისათვის საჭიროა გამოვიყენოთ მხედველობითი, სმენითი და კინესთეზიური ანალიზატორები და მუშაობა ჩავატაროთ შემდეგნაირად:

- 1) სარკის წინ უნდა დავინახოთ რ-ბგერის სწორი არტიკულაცია და გავაცნობიეროთ საკუთარი ნაკლი.
- 2) შევამოწმოთ ფონემატური სმენა და საჭირო შემთხვევაში ჩავატაროთ მუშაობა მის განსავითარებლად.
- 3) ჩავატაროთ არტიკულაციური ვარჯიშები. განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ენის მოქნილობას, დიფერენციული მოძრაობებისა და თრთოლვის უნარის გამომუშავებას:

ა) ენის აწევა-დაწევა და ენის წვერისათვის სხვადასხვა მდგომარეობის მიცემა (ნიჩბისებური, კოვზისებური, ისრისებური).

ბ) ენის წვერით ტუჩების, კბილების და ალვეოლების შეხება და მოლოკვა; ენის ზურგის შუა ნაწილის აწევ-დაწევა.

გ) ვარჯიშები ენის წვერის ასათრთოლებლად: 1) მიწოვითი სასიდან, ენის ზურგის მიწოვა და მოცილება. 2) შებერვითი – ტუჩებით შებერვა თფრის მსგავსი ბგერების მისაღებად, შებერვა კბილთაშუა გამოყოფილ გაბრტყელებულ ენაზე, იგივე ვარჯიში ცხვირის ნესტოების დახშვით, ენის წვერზე მიწებებული ქალაღლის მოცილება შებერვით, შებერვა მსუბუქ საგნებზე

(ქალღმერთზე, ბამბაზე, ბუმბულზე).

სარკის წინ გავაროთ პირი და წარმოვთქვათ დ-დ-დ ტემპის თანდათანობითი აჩქარებით. ამით ვითარდება ენის წვერის მოქნილობა და სწრაფი პერიოდული რხევის უნარი. რ-ბგერის დაყენება ამ ხერხით ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- 1. დდდ –
- დდიდდი....
- დდდიდდი....
- დდდოღღღო....

და დანარჩენ ხმოვნებთან ტემპის თანდათანობით აჩქარებით.

- 2. ზ -
- ზ-ა
- ზ-ო
- ზ-უ
- ზ-ა, ზ-ო
- აზ-ა, ოზ-ო

და ყველა ხმოვანებთან თანმიმდევრობით, შერწყმულად ერთ ამოსუნთქვაზე.

- აზ-ჰა....
- აზ-ბა...
- აზ-მა...
- აზ-ვა...
- აზ-ტა...
- აზ-და...
- აზ-ნა...
- აზ-კა...
- აზ-გა...
- აზ-ხა...

ასევე გავარჯიშოთ სხვა ხმოვნებთან; თანდათანობით ზ-ს ხანგრძლივობა კლებულობს.

ბგერა რ-ს გავარჯიშება ერთმარცვლიან, ორმარცვლიან და ა. შ. კომპლექსებში

რი	რი-რი	რი-რი-რი	რირი-რერე
რე	რე-რე	რე-რე-რე	რერე-რარა
რა	რა-რა	რა-რა-რა	რარა-რორო
რო	რო-რო	რო-რო-რო	რორო-რურუ
რუ	რუ-რუ	რუ-რუ-რუ	რურუ-რარა

წარმოვთქვით რ ბგერა დაჭიმული ენის წვერით და გაბმით

რრრრრ.

რ-ს ძლიერი ვიბრაციით წარმოვთქვამთ:

რირ
რერ
რარ
რორ
რურ

ბგერა რ თანხმოვან კომპლექსებში

შრი	ცრი	წრი	სრი	ძრი	ზრი
შრე	ცრე	წრე	სრე	ძრე	ზრე
შრა	ცრა	წრა	სრა	ძრა	ზრა
შრო	ცრო	წრო	სრო	ძრო	ზრო
შრუ	ცრუ	წრუ	სრუ	ძრუ	ზრუ

ჟრი	ჭრი	ჩრი	ჯრი	კრი	გრი	ქრი
ჟრე	ჭრე	ჩრე	ჯრე	კრე	გრე	ქრე
ჟრა	ჭრა	ჩრა	ჯრა	კრა	გრა	ქრა
ჟრო	ჭრო	ჩრო	ჯრო	კრო	გრო	ქრო
ჟრუ	ჭრუ	ჩრუ	ჯრუ	კრუ	გრუ	ქრუ

ღრი	ტრი	თრი
ღრე	ტრე	თრე
ღრა	ტრა	თრა
ღრო	ტრო	თრო
ღრუ	ტრუ	თრუ

ბგერა რ-ს გავარჯიშება სიტყვებში, ენის გასატეხებსა და სავარჯიშო ფრაზებში

რიყე, აპრილი, მარილი, პური, ნაცარი, წვერილი, ყრილობა, ქამარი, ზღაპარი, გიშერი, ნადირი, ცვარი, რეჰანი, რეცეპტი, ურემი, მზარეული, დერეფანი, არემარე, მეორე, ადრე, მცენარე, მდინარე, მთვარე, ცირკი, კვირტი, ჯირკი, ტვირთი.

ერბო, ერთი, ერთობა, ნერგი, მერხი, მერცხალი, ლერწამი, ვერძი, ფერფლი, ვერცხლი, რადიო, რაიონი, რაჭა, რაინდი, სურათი, სურამი, კარაქი, მერანი, კერა, ძერა, ფარა, სურა, კვირა, ტომარა, ფანჯარა, ძროხა, შრომა, სროლა, ტოროლა.

ურო, სორო, წერო, ძროხა, წყარო, ფულურო, რუკა, რუსეთი, ბურუსი, კრუხი, წრუწუნა, ცრუ, ღრუ, ყრუ, წკარუნი, ჟღარუნი.

არხი, არქივი, არწივი, არტისტი, ვარდი, ბარტყი, მარწყვი, ზღარბი, ფარდა, ჩარჩო, სართული, ორბი, ორდობე, ორთქლი, ორძო, მორგვი, ხორბალი, ფორთოხალი, ხორთუმი, ხორცი, მორცხვი, ურჩი, ურმული, ბურთი, ზურგი, ლურჯი, ზურმუხტი, ყურძენი.

თრითინა, თრთოლა, თეთრი, რთველი, ქართული, ტრაქტორი, კიტრი, მტრედი, სტრიქონი, დროშა, ფერდობი, სარდალი, შრომანი, ჟრჟოლა, ჭრილობა, ჩრდილი, ჩრჩილი, ფრინველი, ფრონტი, თვითმფრინავი, ბრძოლა, გრუხუნი, წკრიალა, ბრდღვიალა, წარწერა, მარცხენა, ცრემლი, ძვირფასი.

პროკურორი, ბარბაროსი, რაკრაკი, გარდიგარდმო, წარამარა, ტარტაროზი, ორატორი, რიარია, როხროხი, ტერორისტი, კურიერი, მარმარილო, გარიჟრაჟი.

პრეზიდენტი, პარლამენტი, მთავრობა, კანცელარია, გარდაქმნა, რამეთუ, გარდაიცვალა, ხშირად, არასდროს, როგორ ბრძანდებით, კორესპონდენტი, მორბენალი, სტრიქონი, სერიალი, ორკესტრი, გრანდიოზული, გროტესკი, საქართველო, საუბარი, რეიდი, სრული, რატომღაც, თურმე, ერთხელ, რომელიმე, სათაური, პროკურატურა, დაპირისპირება, რეგლამენტი, მიკროფონი, ევროპა, კურსი, ენერგეტიკა, პრეზენტაცია, პროფესია, ენდოკრინოლოგია, აორტა, პროფესორი, ქირურგია, ღირსების ორდენი, ტრიბუნა, პარტია, რეგისტრაცია.

„შენი ვერძი რქაგრეხილი,
ჩემსა ვერძსა რქაგრეხილსა
რას ერჩოდა, რას ებრძოდა,
რას ერქაგრეხილებოდა?“

„კარო რკინის კოჭიანო
რას ჭრიჭ-მიჭრიჭ-მოჭრიალობ,
რა გაქვს საჭრეჭ-საჭრიალო?“

„კურტანი დაგვიკურტნავს
კურტნული დაგვიკურტნია“.

„ეს ქათამი-ხან-იქით-გადაკისერ-მხარ-ბარკალ-ნისკარტ-კურტუმდება,
ხან აქეთ გადმოკისერ-მხარ-ბარკალ-ნისკარტ-კურტუმდება“.

„თეთრი თხა გავათხათეთრე“.
„ეზოშია თეთრი მტრედი, ფრთა თეთრი და ფრთაფარფაბა“.

„რვალი რამ რეკდა, რემანი
რბოდნენ, რანდავდნენ რიდეთა.
რულში როკავდა რამინი –
რეტის რტოს რგავდა რიდითა“.

ა. სალუქვაძე

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყენა ზეცით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა,
მისგან არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“.

* * *

„შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი,
საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი, მსენელთათვის დიდი მარგი,
კვლა აქაცა ეამების, ვინცა ისმენს კაცი ვარგი;
გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამაღ კარგი.“

ვითა ცხენსა შარა გრძელი და გამოსცდის დიდი რბევა,
მობურთალსა მოედანი, მართლად ცემა, მარჯვედ ქნევა,
მართ აგრეთვე მელექსესა – ლექსთა გრძელთა თქმა და ხევა,
რა მისჭირდეს საუბარი და დაუწყოს ლექსმან ლევა.

მაშინდა ნახეთ მელექსე და მისი მოშაირობა,
რა ველარ მიხვდეს ქართულსა, დაუწყოს ლექსმან ძვირობა,
არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყვა-მცირობა,
ხელ-მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, იხმაროს დიდი გმირობა.“

შოთა რუსთაველი

ანდაზები

ააფრინე ალალიო – რაც არ არი, არ არიო.

კარგი ცხენი მათრახს არ დაიკრავსო.

ურემი რომ გადაბრუნდება, გზა შემდეგ გამოჩნდებაო.

ორი კურდღლის მადევარი ვერცერთს ვერ დაიჭერსო.

„ვ“ სპირანტის სწორად წარმოთქმის წესები

კბილბაგისმიერი ვ თანხმოვნის წარმოთქმის დროს ყველა ბაგე მაქსიმალურად უახლოვდება ზედა საჭრელი კბილების გვირგვინების მწვერვალებს და იწარმოება მოგრძო ნაპრალში. ამ ბგერის წარმოთქმისას ენა არტიკულაციაში უშუალოდ არ მონაწილეობს, რბილი სასის ფარდა ნაქიურით კეტავს ცხვირის ღრუსაკენ გასასვლელს და საფონაციო ჰაერნაკადი ნაპრალისაკენ წარიმართება. ენის უკანა ზურგი დაჭიმულია.

ვ მჟღერი ბგერაა იმ შემთხვევაში, როდესაც მას სიტყვაში სხვა რომელიმე მჟღერი თანხმოვანი ან ხმოვანი მოსდევს, მაგ: ვარდი, ვეფხი, ვულკანი, ვძერწავ და ა. შ.

ვ ყრუვდება, როდესაც მოსდევს ყრუ თანხმოვანი, მაგ: ვფიქრობ, სავსე, ვფშენი და ა. შ.

ვ ბგერის დარღვევებიდან შეინიშნება ამ ბგერის უი, უა, უე ხმოვნებით შენაცვლება, რაც ინგლისური ენის ზეგავლენაა. მაგ: თქვა-თქუა, წავედი-წაუედი, შვილი-შუილი და ა. შ.

როდესაც სიტყვაში ორი ვ იყრის თავს, ხშირად მათი წარმოთქმის არაინტენსიურობის გამო, მხოლოდ ერთი ბგერა გვესმის, რაც აზრობრივადაც არღვევს და ამახინჯებს სიტყვისა თუ წინადადების არსს. მაგ: ვვანშმობ-ვანშმობ, ვვარაუდობ-ვარაუდობ და ა. შ.

ვ თანხმოვნის გაგარჯიშება ერთმარცვლიან, ორმარცვლიან და სამმარცვლიან კომპლექსებში.

ვი	ვი-ვი	ვი-ვი-ვი
ვე	ვე-ვე	ვე-ვე-ვე
ვა	ვა-ვა	ვა-ვა-ვა
ვო	ვო-ვო	ვო-ვო-ვო
ვუ	ვუ-ვუ	ვუ-ვუ-ვუ

ვთქვი	ვრი	ვწვი	ვბრღვნი	ვღვრი
ვთქვე	ვრე	ვსვი	ვცვლი	ვთვლი
ვთქვა	ვრა	ვფრცქენი	ვსვრი	ვძრწი
ვთქვო	ვრო	ვფშენი	ვთლი	ვთრთი
ვთქუ	ვრუ			ვკრთი.

ვივი-ვავა	ვივი-ვავა	ვივი-ვოვო
ვივე-ვავა	ვივო-ვავა	ვივე-ვუვუ
ვივი-ვავა	ვივი-ვავა	ვივი-ვოვო
ვივე-ვავა	ვივო-ვავა	ვივე-ვუვუ

ეს სავარჯიშო წარმოვთქვათ 8-10-ჯერ, ტემპის ნელ-ნელა მომატებით.

**ვ თანხმოვანი სიტყვებში,
ენის გასატეხებსა და სავარჯიშო ფრაზებში**

ვიზიტი, ვითარება, ვინაიდან, ვიოლინო, ვიშვიშვი, ვიწრო, ვედრება, ვეზირი, ვენტილაცია, ვერავითარი, ვერხვი, ვეფხვი, ვარვარება, ვარსკვლავი, ვაი-ვაგლახი, ვაკანტური, ვარაუდი, ვარვარი, ვოდევილი, ვოკალი, ვოლტი, ვულგარული, ვულკანიზაცია, ყველა, მწვავე, ჩვენი, გამოსვლა, წვრთნა, განმავლობაში, გაავრცელებს, არჩევნები, საქართველოს, უსაფუძვლოდ, ბაძავენ, ამომრჩეველს, მოსვლა, ვისაც, მოღვაწეობა, მმართველი, ნამღვილი.

მოწვევის, შეხვედრა, თავმჯდომარე, ყვებოდნენ, უმრავლესობა, წვიმა, გაირკვა, სხვა, თქვა, გასაკვირვი, მიატოვა, მილოცვები, კავშირი, სავარძელი, შემთხვევა, პერსპექტივა, თავიანთი, ნაღვაწი, ქვეყნის, გადაწყვეტილება, მდივანი, დამნაშავეები, თვითმმართველობა, არჩევანი, ვნახოთ, დამნაშავე, დასვეს, თქვეს, ხელმძღვანელობა, შეტევა, უყვარს, ყოველთვის, საზღვარგარეთ, სწავლა, მოგვისმინეთ, შემიშეთ, ბავშვი, სთხოვა, დამცველები, დატოვებული, ჩემთვის, ვიყო, ჩამოხვედით, ველოდეთ, მომავალი, მრეწველთა, განმავლობაში, დაიტოვა, მოვა, მოყვა, უკვე, აქვს, სავარაუდოდ, ვინაიდან, სინამღვილეში, მოვიდნენ, ვიღაც, მივიღებთ, შევარდნაძე, ვიყო, საველე, სადაზღვევო, გათვალისწინებული, ლტოლვილები, ავიწროებ, დააკავეს, ვინც, ვისაც.

ენის გასატეხები

„მიდის კაცი შავპაიჭნაბადიანი,
გავეკიდე, მეც გავშავპაიჭნაბადიანი“.

„ვთვალე, ვთვალე ბატონები,
სუყველა გადავთვალეო,
რომელიც მეტი მოვიდა
დავეცი, მოვიპარეო“.

„წვიმს, წვიმს, წვიმს, წვიმს,
გრიალებს, ელავს და წვიმს,
წვრილი და პატარა ხასხასა წვეთები
ტრიალით ცვივიან ძირს.“

„ცვივა, ცვივა, ცვივა, ცვივა,
ქათქათელა ფიფქები,
მცივა, მცივა, მცივა, მცივა,
წამეყინა თითები“.

„ვინაც ვის ვარგოთ ვიცოდეთ
ვისა ვრგებთ, ვხარჯავთ ვისასა?
ვის ვეძმობთ, ვისთვის ვიწვოდეთ,
ვინ ვის უხდიდეთ ვის ვალსა!“

ა. სალუქვაძე

„პირველ ამოდ ილაღობეს, მერმე მედგრად წაიკიდნეს:
თვითო ტოტი ერთმანეთსა ჰკრეს, სიკვდილსა არ დარიდნეს;
გამოჰრიდა ვეფხმან გული, – დედათამცა განარიდნეს! –
ლომი მედგრად გაეკიდა, იგი ვერვინ დაამშვიდნეს.“

ლომსა დაუვგემე ნაქმარი, ვარქვი: „არა ხარ ცნობასა,
შენ საყვარელსა რად აწყენ? ფუ მაგა მამაცობასა!“
ხრმალ-გამოწვდილი გაუუხე, მივეც ლახვართა სობასა,
თავსა გარდავჰკარ, მო-ცა-ვკალ, დავხსენ სოფლისა თობასა.

ხრმალი გავსტყორცნე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა;
მის გამო კოცნა მომიდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა;

მიღრინვიდა და მაწყენდა ბრჭყალითა სისხლთა მღვრელითა,
ველარ გავუბელ, იგიცა მოკვალ გულითა ხელითა.

რაზომსაცა ვამშვიდებდი, ვეფხი ვერა დავამშვიდე,
გავგულისდი, მოვიქნე, ვჰკარ მიწასა, დავაწყვიდე;
მომეგონა, ოდეს ჩემსა საყვარელსა წავეკიდე;
სული სრულად არ ამომხდეს, რას გიკვირს, რომ ცრემლსა
ვღვრიდე!“
შოთა რუსთაველი

„ტირილით ვიშვით,
ჭაპანს ვეწვეით,
ჩვენვე გვამძიმებს ჩვენი წოდება;
მუნ მიგვაცილებს სხვისი გოდება,
სიზმარი ესე ხელის ცეცებით
ამ იწროებში მიებლოტება...“

შემუელ პანავილი

სისინა და შიშინა ბგერების სწორი წარმოთქმა, დარღვევები და გამოსწორება

ქართულში სისინა ბგერების ჯგუფს ეკუთვნის ენაკბილისმიერნი ს, ზ, ძ, წ, ც. შიშინა ბგერების ჯგუფს კი – ენანუნისმიერნი შ, ჩ, ჯ, ჭ, ჟ. როგორც პირველადი, ისე მეორე ჯგუფის თანხმოვანთა უმართებულო წარმოთქმას ეწოდება სიგმატიზმი.

სიგმატიზმი წარმოთქმის ნაკლოვანებათა შორის ყველაზე ხშირად გვხვდება. სისინა და შიშინა ბგერების დარღვევათა შორის ერთგვარი კანონზომიერება არსებობს: სისინა ბგერების დარღვევის შემთხვევაში ხშირად ზიანდება შიშინა ბგერებიც და პირიქით. აგრეთვე ხშირია ურთიერთ შენაცვლებაც.

ა) სისინა ბგერების სწორი წარმოთქმა:

ს, ზ, ძ, ც, წ თანხმოვნების წარმოქმნის ადგილი ერთი და იგივეა, – ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს. განსხვავება იმაშია, რომ ზ, ს-ს წარმოთქმისას ენა ქმნის ნაპრალს კბილებთან; ხოლო ძ, ც, წ-ს წარმოთქმის დროს ხდება ხშვა. სამეტყველო ორგანოები ამ ბგერების წარმოთქმისას შემდეგნაირად ეწყობიან:

ქვედა ყბა ოდნავ დაწეულია ისე, რომ კბილებს შორის მანძილი 1მმ-ია. ტუჩები ეხება ქვედა კბილებს, პირის კუთხეები ა, ე, ი ხმოვნების წარმოთქმისას გაწეულია განზე – ღიმილისდაგვარად. ო-უ-ს წარმოთქმისას კი მომრგვალებულია. (შეადარეთ სა-სე-სი და სა-სო-სუ-ს წარმოთქმა).

ენის წვერი ქვედა კბილებს ებჯინება. ენის გვერდები ზედა საღებუ კბილებს ეხება. ზ, ს-ს წარმოთქმისას ენას შუაში სიგრძივ მიყვება ვიწრო ღარი. ძ, ც, წ-ს წარმოთქმისას ენის ზურგი ზემოთ აიზნიკება და ალვეოლებს ებჯინება, შემდეგ ისევ დაბლა ეშვება; რბილი სასა ნაქითურთ ყველა ამ თანხმოვნის წარმოთქმისას აწეულია.

სახმო სიმები: ს, ც ფშვინვიერების წარმოთქმისას ერთმანეთს მიახლოებულია და ამომდინარე ჰაერნაკადი წარმოქმნის ჩქამს. ზ, ძ ბგერების წარმოთქმისას დაჭიმულია და ჟღერენ. წ-ს წარმოთქმისას კი გადაკეტილია. ექსპირაციული ჰაერნაკადი ძლიერია ს, ც ბგერების წარმოთქმისას, სუსტია ზ და ძ ბგერების წარმოთქმისას; წ-ბგერა წარმოიქმნება იმ ჰაერის მარაგით, რომელიც ზესადვამ მიღშია.

ბ) შიშინა ბგერების სწორი წარმოთქმა.

ჟ, შ, ჩ, ჯ, ჭ თანხმოვნების წარმოქმნის ადგილი ერთი და იგივეა: შ, ჟ თანხმოვნების წარმოთქმისას ენის წვერი მიახლოებულია ნუნებთან. საარტიკულაციო ორგანოების მდგომარეობა ამ ბგერათა წარმოთქმისას ასეთია:

ტუჩები ოდნავ წინ გამოწეული, მოჩანს კბილები, კბილთაშუა ღიაობა უდრის დაახლოებით 1მმ-ს. ენის წვერი აწეულია ზევით და ქმნის მომრგვალებულ ნაპრალს ნუნებთან. ჟ, შ-ს წარმოთქმისას ენა ქმნის ღარს, რომელშიც გამომდინარეობს ჰაერნაკადი, ხოლო ჯ, ჩ, ჭ ბგერების წარმოთქმისას ენის ზურგი მთლიანად აზნექილია და დაძაბული. ენის წვერი ახდენს ხშვას ნუნებთან. რბილი სასა ნაქითურთ ყველა ამ თანხმოვნის წარმოთქმისას აწეულია. სახმო სიმები: შ-ჩ ბგერებისათვის მიახლოებულია, ამომდინარე ჰაერნაკადი წარმოქმნის ჩქამს. ჟ, ჯ ბგერებისათვის ჟღერენ და ჭ-სათვის დაკეტილია. ექსპირაციული ჰაერნაკადი: ძლიერია შ, ჩ-სათვის; სუსტია ჟ, ჯ-სათვის, ჭ წარმოიქმნება იმ ჰაერის მარაგით, რომელიც პირის ღრუში იმყოფება.

სისინა და შიშინა ბგერების წარმოთქმის დარღვევა

სისინა და შიშინა ბგერების მართებული წარმოთქმა მოითხოვს ზუსტ დიფერენცირებულ მოძრაობებს. სწორი არტიკულაციიდან მცირე გადახრაც კი იწვევს ამ ბგერათა არაზუსტ, დამახინჯებულ წარმოთქმას. ამ ბგერების დარღვევის სპეციფიკური მიზეზებია: სმენის დეფექტი, სამეტყველო აპარატის არასწორი აღნაგობა: კბილების, ყბების და ენის ანომალიები. სისინა-შიშინა ბგერების დარღვევა ორი სახით გვხვდება: 1) ბგერის დამახინჯება; 2) სხვა ბგერით შენაცვლება.

დამახინჯება:

1. ბაგეკბილისმიერი სიგმატიზმი. ამ შემთხვევაში ქვედა ტუჩი ეხება ზედა კბილებს. ენა ს-ბგერის მდგომარეობაშია. ე. ი. დაწეულია ქვედა კბილებისაკენ. ასეთი არტიკულაციის დროს ს-ბგერის წარმოთქმა ფ-ბგერის მსგავსია. ბგერა არაზუსტია, გაუგებარი.

მაგ: სახლი — ფ ახლი, სურათი — ფ ურათი და ა. შ.

2. კბილთაშუა სიგმატიზმი — სისინა და შიშინა ბგერების (ან ერთი რომელიმე მათგანის) წარმოთქმის დროს ენის წვერი იმის მაგივრად რომ დაეშვას წინა კბილებთან, გამოდის კბილებს შუა; ამიტომ ბგერა არასუფთა ჟღერადობისაა და ჩლიფინის მსგავსია. ზოგჯერ კბილთაშუა სიგმატიზმის დროს გვხვდება ტუჩის და ყბის დამატებითი მოძრაობა ზევიდან ქვევით ფარდისებურად — ენის კბილთაშუა წარმოთქმის დასაფარავად.

3. კბილისმიერი სიგმატიზმი — სისინა და შიშინა ბგერების (ზოგჯერ მხოლოდ ერთი რომელიმე რიგის) წარმოთქმისას ენის წვერი ებჯინება ზედა კბილებს, გზას უკეტავს ჰაერნაკადს და ისმის დ, თ, ტ-ს მსგავსი ბგერები. მაგალითად: ს-ს ნაცვლად ისმის თ-ს მსგავსი ბგერა, ზ-ს ნაცვლად — დ-ს მსგავსი და ა. შ. სახლი — თახლი, ზამთარი — დამთარი.

4. გვერდითი (ლატერალური) სიგმატიზმი —

ა) ენის წვერი აწეულია ზევით, კბილებს ან ნუნებს ებჯინება, როგორც ტ ბგერის წარმოთქმისას. ამის გამო ენა ვერ ახერხებს შუაში ღარის გაკეთებას და ექსპერაციული ჰაერნაკადი გვერდებიდან (ან ერთი გვერდიდან) გამოდის.

ბ) ზოგჯერ ენის წვერი დაწეულია ქვედა კბილებთან. ენა

ბრუნდება ერთ მხარეს (ზოგჯერ გამოვა კბილებს გარეთაც) და ჰაერნაკადს უშვებს მეორე მხრიდან.

გ) ენის წვერი ეხება ქვედა კბილებს. ენის ზურგი დაჭიმული და აწეულია, ეხება მაგარ სასას და ჰაერნაკადი გამოდის ერთი ან ორივე გვერდიდან. მეტყველება მეტად ზიანდება.

5. ცხვირისმიერი სიგმატიზმი – მეტყველება ისევე ძლიერ ზიანდება, როგორც გვერდითი სიგმატიზმის დროს, მაგრამ გამოსასწორებლად უფრო ადვილია. ენის ძირი იწევა მაღლა, უახლოვდება ნაქს. ნაქი ეშვება ქვემოთ და გზას ხსნის ცხვირის ღრუსაკენ, რის გამოც ექსპირაციული ჰაერნაკადი ცხვირის ღრუდან გამოდის.

ამგვარად, კბილთაშუა ნაპრალის ნაცვლად, იქმნება ნაქისა და ხახის ნაპრალი. ისმის გაურკვეველი ბგერა – ღია ღუღუნის მსგავსი. ეს დეფექტი შეიძლება გავრცელდეს როგორც სისინა, ასევე შიშინა ბგერებზე ან მხოლოდ რომელიმე ერთ რიგზე.

შიშინა სიგმატიზმი – ენის წვერი დაშორებულია წინა კბილებს. ენის წინა ნაწილი დაძაბული და ზედმეტად აწეულია. ისმის შ და ს-ბგერების მსგავსი შიშინა ბგერა (შ და ს-ს შორის გარდამავალი ბგერა): სახლი – შახლი, სურათი-შურათი, შოშია-სოსია.

შენაცვლება: 1. შიშინა ბგერების შენაცვლება სისინა ბგერებით და პირიქით.

შოშია-სოსია,
ჯებირი-ძებირი,
ჩაქუჩი-ცაქუცი,
ჭიანჭველა-წიანწველა,
სამი-შამი,
სკამი-შკამი.
და ა. შ.

2. მჟღერი აფრიკატების ძ, ჯ-ს შენაცვლება მჟღერი ნაპრალოვნებით და პირიქით.

ძალლი-ზალლი,
ეძგერა-ეზგერა,
ჯებირი-ჟებირი,
ჯირკი-ჟირკი.

3. აფრიკატების შენაცვლება ბგერათა კომპლექსით, ძ-ზდ, ც-სთ, წ-სტ, ჯ-ჟდ, ჩ-შთ, ჭ-შტ. ძალლი – ზდალლი, ციყვი – სთიყვი.

4. მჟღერი ჯ, ჟ. ბგერების შენაცვლება შ, ჩ ყრუ ბგერებით, რაც საერთოდ მეტყველებაში მჟღერი ბგერების დაყრუების შემთხვევაა. მაგ: მაჟალო – მაშალო, ჯებირი – ჩეფირი და ა. შ.

სისინა და შიშინა ბგერების დაყენება – კორექცია

სიგმატიზმის შემთხვევაში ხშირად დარღვეულია ბგერის სმენითი აღქმა. ამიტომ ყურადღება უნდა გამახვილდეს ფონემატური სმენის განვითარებაზე. ბგერაზე მუშაობის დროს, გამოყენებულ უნდა იქნეს მხედველობითი და სმენითი კონტროლი. სწორი წარმოთქმა შეიძლება მივიღოთ მხოლოდ მიბაძვით. სპეციალისტი უჩვენებს ბგერის მართებულ არტიკულაციას, მოსწავლე კი მიბაძვით, ყოველგვარი საგანგებო ხერხების გამოყენების გარეშე, ასწორებს დარღვეულ წარმოთქმას. თუ სამეტყველო ორგანოები ვერ ახერხებენ ზუსტ, დიფერენცირებულ მოძრაობებს, მაშინ საჭიროა საგანგებო საარტიკულაციო ვარჯიშების ჩატარება. მაგ: ტუჩების წინ წამოშვება (ხორთუმიზეზურად), ტუჩების განზე გაზიდვა, (ღიმილის პოზიცია), ენის გამოყოფა „ისრისებურად“ – ენა იღებს რაც შეიძლება წამახვილებულ ფორმას. ენის გამოყოფა რიგრიგობით ნიჩბისებურად, ისრისებურად და ღარისებურად. თუ ამ მოძრაობის შესრულება ვერ ხერხდება, შეიძლება გამოვიყენოთ ზონდი, რომელსაც დავაჭერთ ენაზე და მექანიკურად მივიღებთ ღარს. როგორც წესი, ბგერებზე მუშაობას ვიწყებთ სისინა ბგერის დაყენება – კორექციით. კერძოდ ს-ბგერით. ხოლო მომდევნო ბგერებზე გადასვლა ხდება ს-ბგერის სრული ავტომატიზაციის შემდეგ. სისინა-შიშინა ბგერათა დაყენება-კორექცია ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

ს-ზ-ც-წ-ძ

შ-ჟ-ჩ-ჭ-ჯ

იმ შემთხვევაში, როდესაც მივიღებთ მართებულ ს-ს, დანარჩენ სისინა ბგერებზე იმდენი მუშაობა აღარ არის საჭირო. თუ გაძნელდა მაგ: ს-ბგერის მიღება და ობიექტმა უფრო ადვილად მოახერხა რომელიმე სხვა ბგერის წარმოთქმა, მუშაობას ვიწყებთ მისთვის უფრო ადვილად წარმოსათქმელი ბგერით. ვაყენებთ ამ ბგერას და ისევ ვუბრუნდებით ს ბგერას.

ზემოთ ჩამოთვლილი ორგანული დარღვევებიდან ყველაზე გავრცელებულია კბილთაშუა სიგმატიზმი. ამ დარღვევის

გამოსასწორებლად საჭიროა გავაცნობიეროთ სამეტყველო ორგანოთა მდგომარეობა ბგერების წარმოთქმისას. სწორი მართებული არტიკულაციით, გადაჭარბებით წარმოეთქვათ დარღვეული ბგერა.

- სავარჯიშო 1. დაკრეჭილი კბილებით გახანგრძლივებული წარმოთქმით ვთქვათ ს ბგერა;
- სავარჯიშო 2. შპატელით ან ჩვეულებრივი კოვზის ტარით დავაჭიროთ ენის წვერს ქვედა კბილებთან და წარმოეთქვათ ბგერა ს.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ კბილთაშუა სიგმატიზმის გამოსასწორებლად უმჯობესია ვარჯიშის დაწყება დახურული მარცვლით:

- ას
- ეს
- ის
- ოს
- უს

უნდა აღინიშნოს, რომ კბილთაშუა წარმოთქმის დამახინჯებანი გამოსასწორებლად ადვილია, მაგრამ მისი ჩამაგრება მეტყველებაში საჭიროებს ხანგრძლივ მუშაობას.

ზემოთ ჩამოთვლილ ორგანულ ნაკლოვანებათა გარდა, ხშირად ვხვდებით მანერულ, შერბილებულ სისინა ბგერებს. მათი გამოსწორება შესაძლებელია იმ სავარჯიშოებით, რომელთაც ქვემოთ გთავაზობთ ხანგრძლივი, სისტემატური ვარჯიშის შედეგად.

სისინა ბგერების სწორად წარმოთქმისათვის საჭირო სავარჯიშოები

გავიხსენოთ ს თანხმოვნის სწორად წარმოთქმის არტიკულაცია და ვარჯიში დავიწყეთ დახურული მარცვლით.

- 1) ას
- ეს
- ის
- ოს
- უს

2) შემდეგ გაბმული სისინით წარმოვთქვათ სსსსს...

3) ს თანხმოვანი წარმოვთქვათ ერთმარცვლიან და ორმაცვლიან კომპლექსებში:

სი	სი-სი	სის	სრი	სთი	რსი
სე	სე-სე	სეს	სრე	სთე	რსე
სა	სა-სა	სას	სრა	სთა	რსა
სო	სო-სო	სოს	სრო	სთო	რსო
სუ	სუ-სუ	სუს	სრუ	სთუ	რსუ

ბგერა ს – თანხმოვანკომპლექსებში

სფა	–	სპა	–	სმა	–	სვა	–	სთა	–	სტა
სფე	–	სპე	–	სმე	–	სვე	–	სთე	–	სტე
სფი	–	სპი	–	სმი	–	სვი	–	სთი	–	სტი
სფო	–	სპო	–	სმო	–	სვო	–	სთო	–	სტო

სნა	–	სლა	–	სრა	–	სქა	–	სკა	–	სხა
სნე	–	სლე	–	სრე	–	სქე	–	სკე	–	სხე
სნი	–	სლი	–	სრი	–	სქი	–	სკი	–	სხი
სნო	–	სლო	–	სრო	–	სქო	–	სკო	–	სხო
სნუ	–	სლუ	–	სრუ	–	სქუ	–	სკუ	–	სხუ

გავიხსენოთ ზ თანხმოვნის სწორად წარმოთქმის არტიკულაცია და კარჯიში დავიწყოთ დახურული მარცვლით

- 1) აზ
ეზ
იზ
ოზ
უზ

2) ენის წვერი მივაბჯინოთ ქვედა საჭრელი ნუნების ზედა კიდესთან და გაბმით და ზუზუნით წარმოვთქვათ ზზზზზზ.

3) ზ თანხმოვანი წარმოვთქვათ ერთმარცვლიან და ორმაცვლიან კომპლექსებში:

ზი	ზი-ზი	ზიზ	ზრი	ზდი	რზი
ზე	ზე-ზე	ზეზ	ზრე	ზდე	რზე
ზა	ზა-ზა	ზაზ	ზრა	ზდა	რზა
ზო	ზო-ზო	ზოზ	ზრო	ზდო	რზო
ზუ	ზუ-ზუ	ზუზ	ზრუ	ზდუ	რზუ

ს და ზ თანხმოვნების ერთობლივი კომბინაციები:

ზი-სი	ზღი-სთი	ზი-სი-სი-ზი
ზე-სე	ზღე-სთე	ზე-სე-სე-ზე
ზა-სა	ზღა-სთა	ზა-სა-სა-ზა
ზო-სო	ზღო-სთო	ზო-სო-სო-ზო
ზუ-სუ	ზღუ-სთუ	ზუ-სუ-სუ-ზუ

სი-ზი-ზი-სი	სი-ზი-სი	—	ზი-სი-ზი
სე-ზე-ზე-სე	სე-ზე-სე	—	ზე-სე-ზე
სა-ზა-ზა-სა	სა-ზა-სა	—	ზა-სა-ზა
სო-ზო-ზო-სო	სო-ზო-სო	—	ზო-სო-ზო
სუ-ზუ-ზუ-სუ	სუ-ზუ-სუ	—	ზუ-სუ-ზუ

ბგერა ზ თანხმოვანკომპლექსებში:

- ზვა-ზმა-ზნა-ზლა-ზრა-ზლა
- ზვე-ზმე-ზნე-ზლე-ზრე-ზლე
- ზვი-ზმი-ზნი-ზლი-ზრი-ზლი
- ზვო-ზმო-ზნო-ზლო-ზრო-ზლო
- ზვუ-ზმუ-ზნუ-ზლუ-ზრუ-ზლუ

ს თანხმოვნის გავარჯიშება – ჩამაგრება სიტყვაში:

სისინი, სისავსე, სესხი, სასტიკი, სასაცილო, გაასავსავა, სოსისი, გისოსი, სუსხი, სუსტი, საბუთი, საბძელი, საბჭოთა, საგადასახადო, საგაზეთო, საგალობელი, საგანგაშო, საგარანტიო, საგზაო, საგაფიცვო, საგულისხმო, სადავიდარაბო, სადაზღვევო, სადამდე, სადარაჯო, სადარბაზო, სადგური, სადემონსტრაციო, სადივერსიო, სადიპლომატო, სადღეო, სადღესასწაულო, სადღელამისო, საექლესიო, საერთაშორისო, საესტრადო, საელჩო, საერთო, საექსკურსიო, საექსპორტო, საილუსტრაციო.

სავალალო, სავალუტო, საექსტერნო, სავარძელი, სავსე, სავარცხელი, სავაჭრო, საზოგადო, საზღვარგარეთ, საზღაპრო, საზიანო, სათათბირო, სათავგადასავლო, სათავისო, სათვისტომო, სათქმელი, სათხოვარი, საინტერესო, საინფორმაციო, საისრე, საისტორიო, საკადრო.

საკავშირო, საკამათო, საკანონმდებლო, საკანცელარიო,

საკასაციო, საკაცობრიო, საკეთილდღეო, საკვანძო, საკვირაო, საკომისიო, საკონკურსო, საკურსო, საკონსულტაციო, საკონფლიქტო, საკოორდინაციო, საკრებულო, სამაგიერო, სამგზის.

სამართალდარღვევა, სამართალდამცველი, სამარცხვინო, სამეთვალყურეო, სამეცნიერო, სამინისტრო, სამკვდრო-სასიცოცხლო, სამმართველო, სამოსახლო, სამოქალაქო, სამოღვაწეო, სამრეწველო, სამსახიობო, სამუსიკო, სამუშაო, სამყარო, სამშვიდობო, სამწუხარო, სამწყსო, სანაოსნო.

სასტიკი, სრული, სარგებლობა, სიმპათია, სასამართლო, სერიოზული, განსაცდელი, განსაკუთრებული, სასაცილო, საქართველო, სამომ, რესპუბლიკა, რეპრესია, საბჭოთა, სენატი, გასაოცარი, საუბარი, სიტყვა, შემსრულებელი, სხვა.

გახსენება, მოსკოვი, სკამი, სიმართლე, სუნი, სენი, საავადმყოფო, სასადილო, რესტორანი, სასაუბრო, სისხლი, განსასჯელი, მოსამართლე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, საგადასახადო ინსპექცია, სენდვიჩი, სარბიელი.

სხვაობა, სხეული, უსახელო, სარჩევი, საშინაო, საშუალო, საწყენი, სარწყავი, სამწუხარო, საწვავი, საღამო, მსაჯი, საუკუნის პროცესი, მსჯელობა, დისკუსია, სპორტსმენი, სამახსოვრო, სიფრთხილეს თავი არ სტკივა.

საფრთხე, სარეკლამო, სააგენტო, სარკმელი, სარკე, სასურველი, სხვადასხვა, გამოისყიდა, გამოსვლა, ავსული, მიუსაჯა, სჯობს, წესები, წესრიგი, სამშაბათს, მას შემდეგ.

ზ-თანხმოვნის გავარჯიშება – ჩამაგრება სიტყვაში

ზვავი, ზაქი, ზიზღი, ზიზილო საზამთრო, ზეზვა, ზამთარი, ზაზა, ზურგი, ვაზნა, ზარზმა, ზუზუნი, ზუთხი, ზოგ-ზოგი, ზაზუნა, ზრდილობა, სიზმარი, საზიანო, ზრდა, ზანგი, ზაფხული, ზამთარი, ზარბაზანი, საზაზავი, კრაზანა, დაზგა, ბაზარი, დაზვერვა, უზარმაზარი, აურზაური, ზაფრანა, ზამბახი, გაზარული, მგზავრი.

ზეთი, ზეგანი, ზეინაბი, ზეინკალი, ზეიმი, ზედმეტი, ღეზები, ზებრა, მეთევზე, ზელაპირი, ზეპირი, გაზრაზება, გაზეპირება, ზიანი, არამზადა, ლამაზი, ნაგაზი, აზია, გოზინაყი, მალაზია, გამზირი, მზესუმზირა, მიზეზი, კუზი, ნაზი, ბუზი, ვაზი, კოვზი, ხარაზი, ნახაზი.

ზოგადი, საზოგადოება, უზომო, მეზობელი, ზოოპარკი, ზომიერი, ზონარი, საზომი, ეზო, რეზო, გაზომვა, სადარბაზო, დაზოგვა, უგზო-უკვლო.

ზუთხი, ზურნა, ზურმუხტი, ბზუილი, ნაზუქი, გუზგუზი, მაზუთი, უზრუნველი, დაზვერვა, ზლუქუნი, განზრახვა, ზრდილობა, ბზრიალა, მზვერავი, მზრუნველი, დაზგა, მგზავრი, აღმზრდელი, ზლაპარი, საზღვარი, მზე, მზიდავი, მზითვეი, მზიური.

ს და ზ თანხმონების გადატანა – ჩამაგრება ენის გასატეხებსა და სავარჯიშო ფრაზებში

1. „სამი სასაწნახელე ხე“.
2. „ზოგისა ბამბაც ჩხრიალებს,
ზოგის კაკალიც არაო“.
3. „სუსტი სიო სისინითა
სუსტ სოსანს სწვდა, სუსტად სერა,
სასობამ სულის სწრაფვა
საოცნებო სერზე სწერა“.
4. „ერთსა კაცსა ბლისკინელსა, ბლის კალათით
ბლის ხიდზედა, ბალი გააქვს და გამოაქვს“.
5. „ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია,
ზოგსა კაცსა კაცუნაო,
ზოგს დედაკაცს – დედაკაცი,
ზოგსაც – დედაკაცუნაო“.
6. „სატრფოს სულს სვამდა სნეული
სიყვარულისა სენითა,
სხეულით საროსეულით,
სახითა სეველით სველითა“.

ა. სალუქვაძე

7. „ზედაზნით ზვერავს ზეთა-ზეს
ზეიმით, ზოგჯერ ზართა...
ზმანებით ზვირთი ზელაზედ
ზმასა ზრდის ზვავ ზანზართა.

ა. სალუქვაძე

ანდაზები

„სიფრთხილეს თავი არ სტკივაო“.
„სხვისი იმედით ფართო კარავს ნუ დასდგამო“.
„მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო“.
„ბევრი ბუზი ბზუის, ფუტკართან ყველა ტყუისო“.
„სიმდიდრის შეზიზღება უმდიდრესი სიმდიდრეა“.
„ზნეობა ნიჭია საზოგადოებისა“.
„თავაზიანობა ზნეობის გამოსხივებაა“.

აფორიზმები:

„ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“.
„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!“
განგებასა ვერვინ შესცვლის, არ-საქმნელი არ იქნების“.
„გასტენს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“.
„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.
„კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურე არ წახდების“.
„კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა“.
„მსგავსი ყველაი მსგავსსა შობს, ესე ბრძენთაგან თქმულია“.
„რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“.
„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალგულოვანი,
ბოლოს შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მსცოვანი,
სვგობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

შოთა რუსთაველი

„ძნელი არის მარტოობა სულისა,
მას ელტვიან სიამენი სოფლისა“.

ნ. ბარათაშვილი

შიშინა ბგერების გამოსწორება

შიშინა ბგერების გამოსწორებას ვიწყებთ შ ბგერით. წარმოვთქვათ ბგერა ს და შემდეგ ენის წვერი შპაცელის დახმარებით ავწიოთ ზევით ნუნებისაკენ, ტუჩები წამოვწიოთ წინ. თუ ტუჩების წინ წამოწვევა გაჭირდა, მაშინ ორივე ლოყაზე ვიჭერთ თითებს და ტუჩები წინ წამოიწვევა. მართებული ბგერის მიღების შემდეგ გადავდივართ მის ჩამაგრებაზე მარცვლებში, სიტყვებში, ფრაზებში.

შ ბგერის გამოსწორების შემდეგ არ არის ძნელი ყ ბგერის მიღება, რადგან მათი არტიკულაცია მსგავსია, მაგრამ შ-სგან განსხვავებით, ყ-სთვის ემატება სახმო სიმებისა და ენის წვერის თრთოლა. სმენით განვასხვავოთ ყ ბგერა შ-სგან, ხორხზე ხელის მიღებით შევივარძლოთ ყ-ს წარმოთქმისათვის საჭირო ჟღერა. უნდა შევივარძლოთ ენის წვერის თრთოლა.

ამ ორი ბგერის გასწორების შემდეგ ყველა შიშინა ბგერა ავტომატურად სწორდება.

შიშინა თანხმოვნების ყრუ შ-ს და მჟღერი ყ-ს წარმოთქმის სავარჯიშოები

1) გავიხსენოთ ყრუ შიშინა თანხმოვნის შ-ს წარმოთქმის წესები და სწორი არტიკულაციით გაბმულად წარმოვთქვათ შშშშშშ.

2) შ თანხმოვანი წარმოვთქვათ ერთმარცვლიან და ორმარცვლიან კომპლექსებში:

ში	ში-ში	შიშ	შრი-რში	შლი-ლში
შე	შე-შე	შეშ	შრე-რშე	შლე-ლშე
შა	შა-შა	შაშ	შრა-რშა	შლა-ლშა
შო	შო-შო	შოშ	შრო-რშო	შლო-ლშო
შუ	შუ-შუ	შუშ	შრუ-რშუ	შლუ-ლშუ

3) გავიხსენოთ და გაბმით და ყ თანხმოვნის არტიკულაცია ზუზუნით წარმოვთქვათ ყყყყყყყყ.

4) ყ თანხმოვანი ერთმარცვლიან და ორმარცვლიან კომპლექსებში.

ყი	ყი-ყი	ყიყ	ყრი-ყდი	ყვი-ყლი
ყე	ყე-ყე	ყეყ	ყრე-ყდე	ყვე-ყლე
ყა	ყა-ყა	ყაყ	ყრა-ყდა	ყვა-ყლა
ყო	ყო-ყო	ყოყ	ყრო-ყდო	ყვო-ყლო
ყუ	ყუ-ყუ	ყუყ	ყრუ-ყდუ	ყვუ-ყლუ

ჟ ბგერის ღიფერენციაცია.

ჟი-მი	მი-ჟი	ჟი-მი-ჟი	ჟი-მი-მი-ჟი
ჟე-შე	შე-ჟე	ჟე-შე-ჟე	ჟე-შე-შე-ჟე
ჟა-შა	შა-ჟა	ჟა-შა-ჟა	ჟა-შა-შა-ჟა
ჟო-შო	შო-ჟო	ჟო-შო-ჟო	ჟო-შო-შო-ჟო
ჟუ-შუ	შუ-ჟუ	ჟუ-შუ-ჟუ	ჟუ-შუ-შუ-ჟუ

მი-ჟი-ჟი-მი
შე-ჟე-ჟე-შე
შა-ჟა-ჟა-შა
შო-ჟო-ჟო-შო
შუ-ჟუ-ჟუ-შუ

შ თანხმონის გავარჯიშება-ჩამაგრება სიტყვაში

შიში, შიმშილი, შილა, მშიშარა, შიკრიკი, ნახშირი, საშიანო, კომში, ულვაში, ხაში, ქარქაში, ნიშუში, ლავაში, ნუგეში, ნუში, პირქუში, ოხრახუში, ბალიში.

შემა, შესაძლებელი, შეშლილი, შეფუთვა, შერცხვა, შესაშური, შემოდგომა, შვედნება, შტერი, შერისხული, შეებრძოლა, შეიტყუა, შეფი, შეეპასუხა, შეღავათი, შეიძინა, შეუნდო, შერიგება, შეხვედრა, შესანიშნავი, შეშა, შეტევა, შემოქმედება, შეცნობა, შემთხვევა, შერცხვენა, შეგირდი, გიშერი, მლაშე, შავი, შარიშური, შარმი, შარვალი, შარაგ ზა, გუშავი, ნიშანი, მუშაობა, შარბათი, ოთხშაბათი, ქვიშა, დროშა, კაშკაშა, შაშხანა, შორტი, შორი, შოლტი, შოკოლადი, შორეული, სამშობლო, კეთილშობილი, სანიშუშო, შორსმხედველი, სათამაშო, საშობაო, დაშორება, პირმშო.

შუღლი, შურისძიება, შუაში, საშუალო, შუბლი, შუაგული, აბრეშუმი, შუშა, შური, შუალამე, შურდული, შუშაბანდი, შუამთა.

ვაშლი, ლაშქარი, საშრობი, შაშვი, ნაშთი, მუშტი, უშნო, იშვიათი, ფეხშიშველი, შენიშვნა, ეშხი, ეშმაკი, შრომა, შხაპუნა, შტორმი, უშიშროება, მნიშვნელოვანი, საერთაშორისო, სამშობლო, ჩამშვები, მშვიდობა.

პროფკავშირი, შეღავათი, შეხვედრა, აშალაშინებს, უშლის, უშნო, უშველებელი. შევიცარია, მშვენიერი, შესანიშნავი, ააშენა, მაშველები, ფეშენებელური, არშია.

ჟ – თანხმობის გავარჯიშება-ჩამაგრება

კაჟი, კაჟი, გიჟი, რეჟიმი, რეჟისორი, ჟირაფი, ჟინი, ჟანგი, ჟანგბადი, მჟავა, მაჟალო, მჟაუნა, არაჟანი, ამჟამად, ჟანდარმი, ჟოლო, დირიჟორი, ჟურნალი, ჟუჟუნა, ლაჟვარდი, ვაჟკაცი, უჟმური, ლაჟლაჟი, ჟრჟოლა, ჟლეტა, ჟრიაშული, გამჟღავნება, ჟღარუნი, ჟრუანტელი, ჟღურტული.

შ და ჟ თანხმობის გადატანა-ჩამაგრება ენის გასატეხებსა და სავარჯიშო ფრაზებში

- 1) „შევარდენმა შავ შაშვს
შიშის შადრევანი შეაფრქვია –
შაშვი შროშნის შტოზე შეხტა
შროშანმა შტო შეარხია“.
- 2) „სამი მუჭი შინდარწკლი
შევიტანე შინდარწკლში“.
- 3) „შოთა შალაშინს უსვამს შეშაზე
შავ-შავ შეშებსაც შემისფრად ფერავს
შალაშინი აქვს შესაშურები
შრიალ-შრიალით შლის ბურბუშელას“.
- 4) „შემრისხე შენგან შენლობა
შემაკრობს, შემეშინდება...
შვილისა შენის შენობა
შენდება,შალაშინდება“.
- 5) „ჟამი ჟვერაგდა, ჟამავდა,
ჟოლისა, ჟოლსა, ჟოლასა,
ჟოჟო ჟურავდა, ჟარავდა
ჟინსა ჟრუანტელს ჟრჟოლასა“

ა. სალუქვაძე

„ვის შეენის, – ლომსა, – ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
– მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა,

მას, არა ვიცი, შევჰკადრო შესხმა ხოტბისა, შე, რისა,
მისთა მჭვრეტელთა ყანდისა მირთმა ხამს მართ, მიშერისა“.

„შენმან მზემან, უშენოსა არვის მიხვდეს მთვარე შენი,
შენმან მზემან,ვერვის მიხვდეს, მო-ცა-ვიდენ სამნი მზენი!
აქათ თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლვან დიდნი კლდენი,
სული ჩემი შეივედრე,ზეცით მომხვდენ ნუთუ ფრთენი“.

შოთა რუსთაველი

ანდაზები

- 1) შორს მოუარე და შინ მშვიდობით მიდიო.
- 2) შვილმა გული გაიარა, შვილიშვილმა გულის გულიო.
- 3) ომიანობა ზოგს ააშენებს, ზოგს გადააშენებსო.

4) გაჭირვებულთათვის ისიც ნუგეშია, თუ ამხანაგი ეყოლება უბედურებაში.

სპინოზა

5) ნუგეში იმის ცოდნაა, რომ შენზე უკეთესი კაცი, შენზე უბედურია.

ე. ბირსი

ენაკბილისმიერი (სისინა) აფრიკატები

ენაკბილისმიერი (სისინა) აფრიკატებია ძ, ც, წ. ზემოთ უკვე ვთქვით, რომ ისინი იწარმოებიან ენის წინა ზედაპირით. ქვედა ყბა ოდნავ დაწეულია, ენის წვერი ებჯინება ქვედა კბილებს, ენის ზურგის წინა ნაწილი ებჯინება მაგარ სასას, ენის გვერდები ეხება გვერდით კბილებს და ხდება სრული ხშვა. ძ-მჟღერი აფრიკატია, – სახმო სიმები დაძაბულია და ჟღერენ. ც-ფშვინვიერი აფრიკატია – სახმო სიმები ერთმანეთს მიახლოებულია და ამომდინარე ჰაერნაკადი წარმოქმნის ჩქამს. წ-აბრუპტიული აფრიკატია. იგი იწარმოება იმ ჰაერის მარავით, რომელიც ზესაღმომ მიღშია.

ხშირია შემთხვევა ძ, ც, წ აფრიკატების შერბილებისა. განსაკუთრებით ა, ო, უ ხმოვნებთან. ეს თანხმოვანები საჭიროა წარმოვთქვათ მკაფიოდ და ენერგიულად.

ერთმარცვლიანი ვარჯიშის კომპლექსი:

დი	ცი	წი
ბე	ბე	წე
ბა	ბა	წა
ბო	ბო	წო
ბუ	ბუ	წუ

ორმარცვლიანი სავარჯიშოები:

ბი-ცი	ბი-წი	ცი-ბი	წი-ცი	ცი-წი	წი-ბი
ბე-ბე	ბე-წე	ბე-ბე	წე-ბე	ბე-წე	წე-ბე
ბა-ბა	ბა-წა	ბა-ბა	წა-ბა	ბა-წა	წა-ბა
ბო-ბო	ბო-წო	ბო-ბო	წო-ბო	ბო-წო	წო-ბო
ბუ-ბუ	ბუ-წუ	ბუ-ბუ	წუ-ბუ	ბუ-წუ	წუ-ბუ

სამმარცვლიანი სავარჯიშოები:

ბი-ცი-წი	წი-ცი-ბი	ცი-წი-ბი	ცი-ბი-წი
ბე-ბე-წე	წე-ბე-ბე	ბე-წე-ბე	ბე-ბე-წე
ბა-ბა-წა	წა-ბა-ბა	ბა-წა-ბა	ბა-ბა-წა
ბო-ბო-წო	წო-ბო-ბო	ბო-წო-ბო	ბო-ბო-წო
ბუ-ბუ-წუ	წუ-ბუ-ბუ	ბუ-წუ-ბუ	ბუ-ბუ-წუ

ოთხმარცვლიანი სავარჯიშოები

ბი-ცი-ცი-ბი	ბი-წი-წი-ბი	ცი-ბი-ბი-ცი
ბე-ბე-ბე-ბე	ბე-წე-წე-ბე	ბე-ბე-ბე-ბე
ბა-ბა-ბა-ბა	ბა-წა-წა-ბა	ბა-ბა-ბა-ბა
ბო-ბო-ბო-ბო	ბო-წო-წო-ბო	ბო-ბო-ბო-ბო
ბუ-ბუ-ბუ-ბუ	ბუ-წუ-წუ-ბუ	ბუ-ბუ-ბუ-ბუ

ბ, ც, წ თანხმოვნების გადატანა-ჩამაგრება სიტყვებში, ენის გასატეხებსა და ფრაზებში

ცარცი, ნაცარი, ცანცალა, გამოცანა, ცალფეხა, ცამეტი, ცერცვი, ცეცხლი, მცენარე, ცელქი, სივრცე, ცეტი, ციცინა:თელა, ციცარი, ცირკი, ციფრი, სიცილი, ზარმაცი, კაცი, ლაქუცი, მხეცი, ცოცხალი, ცოცხი, ცურვა, ცულლუტი, ცუნცული.

ცა, ცალკე, ცალ-ცალკე, ცაცხვი, ცახცახი, ცბიერი, ცდუნება,

ცდილობს, ცვლიან, ცენტრალური, ცენტრალიზაცია, ცერცეტა, ცეცება, ცეცხლგამძლე, ცეცხლმსროლელი, ცვარ-ნამი, ცვილისფერი, ცვლა, ცვლილება, ცვრიანი, ციალი, ციგა, ცივილიზაცია, ცივ-ცივი, ციკლონი, ცილინდრი, ცილისწამება, ციმციმი, ცირკულაცია, ციბატა, ციცაბო, ციცა, ციხეკოშკი, ცმაცუნი, ცნობა, ცნობისმოყვარე, ცოლ-შვილი, ცოტ-ცოტაობით, ცოფიანი, ცრუმეცნიერი, ცეხელუხი, ცქუტვა, ცხენდაცხენ, ცხვარ-მეცხვარე, ცხვირმოუხოცავი, ცხოველი, ცხონებული, ცხრა, ცხრაფურცელა, გააცამტვერა, გაფაციცებული, განცვიფრებული, დარცხვენილი, შერცხვენილი, გარდაცვალება, ცალყბად, ფურცელი, ფაციფუცი, საცეცხლური.

ინფორმაცია, ოპოზიცია, სპეცსამსახურები, სოციალური, რაც შეეხება, არც ერთი, თუმცა, მაინცდამაინც, ოფიციალური, კორუფცია, კონსტიტუცია, პრინციპულად, ექსპლოატაცია, უცხოური, ფედერაცია, პრეს-ცენტრი, ინვესტიციები, სპეციალისტი, პროდუქცია, ცივილური, ჩაცმულობა, განცალკევება, კონსულტაცია, გადაცემა, საორგანიზაციო, პრინციპულობა, სამეცნიერო, კვალიფიციური, რედაქცია, პროდუქცია, პოლიცია, უპრეცედენტო.

1. „ციდან ცრილი ცივი ცვარი
ციცაბოზე ციაგს ცდილობს
ცის ციალის ცივ ციმციმში
ცდომილება ცუდ ცდომილობს“.

2. „დაფაციცებულნი ფრინველნი
უფრო დაფაციფუცდებიან“.

3. „დაცამციმებდა ციმციმით
ციმციმა ციცინა:თელა
მისმა ციმციმმა ზეცა სულ
გააციმციცინა:თელა“.

4. „ცალ ცერზე ცეკვავს ცანგალა,
ცხოვრებას ცხეხვავს ცერიტა,
ცოლს ცრემლი ცვივა, ცარგვალღი
ცვდება ცოდვილის ცქერიტა“.

ა. სალუქვაძე

5. „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა, შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა, ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა. ცრემლსა ვარდი დაეთრთვილა, გულსა მღუღრად ანატირსა“.

შოთა რუსთაველი

6. „მის მონისა არა ესმა სიტყვა, არცა ნაუბარი, მათ ლაშქართა ზახილისა იყო ერთობ უგრძნობარი, უცხოდ რადმე ამოსკენოდა გული, ცეცხლთა ნადებარი, ცრემლსა სისხლი ერეოდა, გასდის, ვითა ნაგუბარი“.

შოთა რუსთაველი

ანდაზები

ცხვარი ცხვარია და, თუ გაცხარდა ცხარია.
ვინც იცის ცეცხლია, ვინც არა და ცერცვია.

ბგერა წ სიტყვებსა და ენის გასატეხებში

წამი, წარბი, წაბლი, წამალი, წიკწიკი, წუთი, წუწურაქი, წალკოტი, წამწამი, წამდაუწუმ, წელიწადი, მაწანწალა, მასწავლებელი, წარმოდგენა, წამება, სწავლა, წერო, წებო, წერტილი, უმწეო, საწებელი, წერილი, მწერალი, წესრიგი, წიგნი, წითელი, წისკვილი, წვიმა, წიხლი, წიწილა, არწივი, მეწისკვილე, ყანწი, მწირი, ყუნწი, სასწორი, მაწონი, საწოლი, თავმომწონე, წუთი, წუწკი, წურბელა, წუწუნი, მარწუხი, წუძპე, წვეთი, წვერი, წვიმა, მწვანილი, დამწვარი, წლიური, წნევა, წმინდა, საწნახელი, ნაწნავი, სწრაფი, წრე, წყარო, მეწყერი, მარწყვი, წკებლა, მწკრივი, წრიპინი, წყნარი, წყალი, წყარო, წყვილი, წყურვილი, წყლული, სარწყავი.

1. წია-წია დაწინინებს
პაწაწინა წიწილა
წვიმის წვეთი დაეწვეთა
შეშინდა და იწივლა.
2. წვიმის წვეთი წუწუნებდა
წკაპ-წკუპ, წკაპ-წკუპ,
წვიმა წუწუნს უწუნებდა,
წკაპ-წკუპ, წკაპ-წკუპ

და მერე კი წვიმა წყნარი
წვიმა წყნარი წელწანწკარა
აწიკწიკდა წვრილ წვეთებად
წამდაუწუმ, წარამარა.

3. წაგახდენს წყევლა-წუწუნი
წინასწარ წეწვა წვერისა,
წამოდექ, წერას წამოჰყევ
წალღის წინ წაწვილ წვერისას.
ა. სალუქვაძე

ბგერა ძ სიტყვებსა და ფრაზებში:

ძაფი, ძალა, ძალღი, ნაძვი, ნაკრძალი, ბრძანება, ანძა, ბარძაყი, ნაძალადევი, ძერა, ძეხვი, ძეწნა, ძერწვა, საბძელი, მძევალი, ყურძენი, ბერძენი, ბრძენი, რძე, საკინძე, გრძელი, მეძებარი, გაღვიძება, ძეგლი, ძილი, ძირი, მძიმე, ღვიძლი, მანძილი, საძირკველი, კვანძი, კორძი, კერძი, ანდერძი, მძივი, ძონძი, თეძო, ბრძოლა, ძუნწი, ძუნძული, ძვალი, ძვირი, ძვირფასი, ძმა, ძმობილი, გრძნობა, ძნელი, ძლიერი, ძროხა, ძრწოლა, გაძღოლა, მძღოლი, ლანძღვა, მაძღარი.

1. „ძნელია, ძნელზე ძნელია,
ძერკვა ძოდისა ძირისა,
ძაგება ძველი ძიძისა,
ძებნა ძოწისა ძვირისა“.

ა. სალუქვაძე

ანდაზები

1. ძილს ძილი მოსდევს.
2. ძალღი ძაღლის ძვალს არ გასტეხს.
3. ძაღლსა სცემდნენ და რძალს ასმენდნენო.

ჯ, ჩ, ჭ შიშინა აფრიკატების სწორი წარმოთქმის საგარჯიშოები

გავისხენოთ ენანუნისმიერი შიშინა ჯ, ჩ, ჭ აფრიკატების სწორი არტიკულაცია (გვ. 79). გავავარჯიშოთ ერთმარცვლიან ბგერათ-კომპლექსში მჟღერი – ჯ, ფშენიერი ჩ და აბრუპტივი ჭ.

- 1) ჩი ჯი ჭი
 ჩე ჯე ჭე
 ჩა ჯა ჭა
 ჩო ჯო ჭო
 ჩუ ჯუ ჭუ

2) ორმარცვლიანი ბგერათკომპლექსები.

ჯი-ჭი	ჯი-ჩი	ჩი-ჯი	ჭი-ჩი
ჯე-ჭე	ჯე-ჩე	ჩე-ჯე	ჭე-ჩე
ჯა-ჭა	ჯა-ჩა	ჩა-ჯა	ჭა-ჩა
ჯო-ჭო	ჯო-ჩო	ჩო-ჯო	ჭო-ჩო
ჯუ-ჭუ	ჯუ-ჩუ	ჩუ-ჯუ	ჭუ-ჩუ

ჭი-ჯი	ჩი-ჭი
ჭე-ჯე	ჩე-ჭე
ჭა-ჯა	ჩა-ჭა
ჭო-ჯო	ჩო-ჭო
ჭუ-ჯუ	ჩუ-ჭუ

3) სამმარცვლიანი ბგერათკომპლექსები

ჯი-ჩი-ჭი	ჩი-ჭი-ჯი	ჭი-ჩი-ჯი
ჯე-ჩე-ჭე	ჩე-ჭე-ჯე	ჭე-ჩე-ჯე
ჯა-ჩა-ჭა	ჩა-ჭა-ჯა	ჭა-ჩა-ჯა
ჯო-ჩო-ჭო	ჩო-ჭო-ჯო	ჭო-ჩო-ჯო
ჯუ-ჩუ-ჭუ	ჩუ-ჭუ-ჯუ	ჭუ-ჩუ-ჯუ

4) ოთხმარცვლიანი ბგერათკომპლექსები.

ჯი-ჭი-ჩი-ჯი	ჩი-ჭი-ჭი-ჯი	ჯი-ჩი-ჩი-ჯი
ჯე-ჭე-ჩე-ჯე	ჩე-ჭე-ჭე-ჯე	ჯე-ჩე-ჩე-ჯე
ჯა-ჭა-ჩა-ჯა	ჩა-ჭა-ჭა-ჯა	ჯა-ჩა-ჩა-ჯა
ჯო-ჭო-ჩო-ჯო	ჩო-ჭო-ჭო-ჯო	ჯო-ჩო-ჩო-ჯო
ჯუ-ჭუ-ჩუ-ჯუ	ჩუ-ჭუ-ჭუ-ჯუ	ჯუ-ჩუ-ჩუ-ჯუ

ჯ, ჳ, ჩ აფრიკატების ჩამაგრება სიტყვებსა და ენის გასატენებში

ჭა, ჭადარი, ჭარხალი, ჭიქა, ჭადრაკი ჭოტი, ჭინჭარი, ჭურჭელი, ჭოჭმანი, ჭოგრიტი, ჭორფლი, ჭური, საჭურველი, ჭანჭური, ჭერი, ჭერამი, ჭექა-ქუხილი, კენჭი, მჭევრმეტყველი, ჭიშკარი, ჭიანჭველა, ჭივჭავი, კაჭკაჭი, კუჭი, გოჭი, ბიჭი, მუხრუჭი, ჭვარტლი, დამჭენარი, ჭრილობა, ჭუჭრუტანა, ბრჭყვიალა, ჭრა-კერვა, ჭროლა, გამჭვირვალე, ჭვავი, მჭედელი, საჭე, ჭუპრი, ჭანჭახი.

აჩრდილი:, სარჩული, საჩხერე, მაჩვი, ფიჩხი, სიჩქარე, ჩალა, ჩანთა, ჩადრი, ლეჩაქი, ნიჩაბი, ყაჩალი, უჩინარი, ჩურჩხელა, ჩურჩული, ლაჩარი, ქუნა, ქენა, ბაჩა, ჩანგალი, ყოჩალი, მაჩანჩალა, ალუნა, ხალიჩა, სკვინჩა, ჩონა, ჩონგური, ჩონჩორი, ბოჩოლა, ყაყაჩო, ჩარჩო, ჩურჩული, ჩუნჩუნი, საჩუქარი, ჩუმჩუმა, ჩექმა, სარჩევი, ჩირი, ჩიტი, ჩიბუხი, ფუჩენი, უჩი, ჩაქუჩი, კამეჩი, ჩამიჩი, ფაჩუნები, ჩვარი, ჩვიდმეტი, ჩლიქი, ჩლუნგი, ჩრჩილი, ჩანჩქერი, ჩხირი, ჩხუბი, აჩხლი, ნაკვერჩხალი.

ჯარი, ჯამი, ჯაგარი, ჯავშანი, ჯაჭვი, ჯამბაზი, ოჯახი, ფანჯარა, ნაჯახი, აბჯარი, ხანჯალი, ბადრიჯანი, ფინჯანი, ბრინჯაო, ბაჯაღლო, ლურჯი, ჯარიმა, ჯანსაღი, ჯორი, ჯონი, ჯონჯოლი, ჯოჯო, ბაღლინჯო, სამაჯური, ჯუჯა, მსაჯული, ჯებირი, ყავარჯენი, მსჯელობა, ჯეროვანი, ჯიბე, ჯირკი, ჯიში, ჯიუტი, ჯიღლო, ჯიხვი, თოჯინა, ხურჯინი, ჯეჯილი, ბრინჯი, ნარინჯი, დარაჯი, ჯვარი, მარჯვენა, თავმჯდომარე, მეჯლისი, ბანჯგვლიანი.

ენის გასატენები

1. „კაპარჭინა გურიშვილი
გური კაპარჭინაშვილი,
ჯავახია, ჯონიშვილი
ჯონი ჯავახიაშვილი“.

2. ჩენი ბიჭი ბიჭანჭური
სულ პატარა გოჭია
ისე ჩამრგვალბულია
როგორც ლოტოს კოჭია“.

3. „ჯიქი ჯიხვთან ჯიქურ მიდის
ჯიხვი ხეებს ჩასცქერის
ჩუხჩუხით და ჩქაფა-ჩქუფით
მოიჩქარის ჩანჩქერი“.
4. „მწყერი ვწვი და მწყერი ვჭამე
მწყერის კუჭის ქონის ქადაც მიჭამია“.

5. „ჩამოდი ჩემთან ჩელტებად
ჩავლობავ ჩერო-ჩალასა,
ჩამოვვექ, ჩონგურს ჩამოვჭკრავ,
ჩავტირებ, ჩემსა ჩარასა.“

ა. სალუქვაძე

6. „ჭერი ჭრიალებს, ჭირი ჭირს –
ჭალებში ჭკნება ჭილ-ყვავი:
ჭრაქს ჭვარტლი ჭმუნავს, ჭარი – ჭურს,
ჭას – ჭონჭყი, ჭალაკს – ჭინჭარი.“

ა. სალუქვაძე

7. „ჯერია, – ჯავრი ჯანყდება,
ჯანღდება – ჯაბნის ჯაბანსა,
ჯვარედელ ჯარი ჯარდება,
ჯავრობს ჯვარცმულის ჯაფასა“.

ა. სალუქვაძე

აფორიზმები:

„სდევს ფათერაკი მიჯნურსა, გაჭვრიტეთ, გაიცადენით!“
„სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!“

„ქალმან ჰკადრა: „ხელმწიფეო, დაღრეჯილსა ვინცა გცნობდეს,
ვინმცა ვნახა კადნიერად, რაზომ გინდა ამაყობდეს?
თქვენნი აგრე დაღრეჯანი მნათობთაცა დამახობდეს!
კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს“.

შოთა რუსთაველი

ზემოთ ჩვენ შემოგთავაზეთ იმ თანხმოვან ბგერათა სწორად წარმოთქმის, დარღვევებისა და გავარჯიშების დაწვრილებითი ანალიზი, რომელთა დამახინჯება ხშირია ქართულ მეტყველებაში. დანარჩენ თანხმოვან ბგერათა ცალკეული განხილვა არ არის საჭირო

იმიტომ, რომ მათი დარღვევები იშვიათად გვხვდება. საჭიროა ყურადღება გამახვილდეს ყველა ბგერის მკაფიო წარმოთქმაზე.

შერეული ბგერათკომპლექსები

შემოგთავაზებთ რთულ შერეულ ბგერათკომპლექსებს, რომლებიც ხელს უწყობენ ენერგიული, მკაფიო წარმოთქმის გამოუმუშავებას; ეს კი ქართული მეტყველებისათვის ნიშანდობლივი თვისებაა.

ორმარცვლიან სავარჯიშოში მახვილი უნდა დაისვას პირველ მარცვალზე; სამმარცვლიანშიც – პირველ მარცვალზე, ოთხმარცვლიან სავარჯიშოში – პირველ და მესამე მარცვალზე, ხუთმარცვლიან სავარჯიშოში მახვილი შეიძლება ვცვალოთ: პირველ-მესამე მარცვალზე, პირველ-მეოთხე მარცვალზე და პირველ-მეხუთე მარცვალზე. ექვსმარცვლიან სავარჯიშოში – პირველ-მეოთხე მარცვალზე, შვიდმარცვლიანში – პირველ-მეხუთე მარცვალზე. რვა მარცვლიანში – პირველ-მესამე და მეშვიდე მარცვალზე.

გრი-ქრი-კრი	გრი-ქრი-კრი-ქრი
გრე-ქრე-კრე	გრე-ქრე-კრე-ქრე
გრა-ქრა-კრა	გრა-ქრა-კრა-ქრა
გრო-ქრო-კრო	გრო-ქრო-კრო-ქრო
გრუ-ქრუ-კრუ	გრუ-ქრუ-კრუ-ქრუ

გრი-ქრი-კრი-კრი-ქრი-გრი
გრე-ქრე-კრე-კრე-ქრე-გრე
გრა-ქრა-კრა-კრა-ქრა-გრა
გრო-ქრო-კრო-კრო-ქრო-გრო
გრუ-ქრუ-კრუ-კრუ-ქრუ-გრუ

გრი-კრი-კრი-გრი-კრი-გრი-გრი-კრი
გრე-კრე-კრე-გრე-კრე-გრე-გრე-კრე
გრა-კრა-კრა-გრა-კრა-გრა-გრა-კრა
გრო-კრო-კრო-გრო-კრო-გრო-გრო-კრო
გრუ-კრუ-კრუ-გრუ-კრუ-გრუ-გრუ-კრუ

ქრი-კრი-კრი-ქრი-კრი-ქრი-ქრი-კრი
ქრე-კრე-კრე-ქრე-კრე-ქრე-ქრე-კრე

ქრა-კრა-კრა-ქრა-კრა-ქრა-ქრა-კრა
ქრო-კრო-კრო-ქრო-კრო-ქრო-ქრო-კრო
ქრუ-კრუ-კრუ-ქრუ-კრუ-ქრუ-ქრუ-კრუ

ღრი-ტრი-თრი	ღრი-ტრი-თრი-ღრი
ღრე-ტრე-თრე	ღრე-ტრე-თრე-ღრე
ღრა-ტრა-თრა	ღრა-ტრა-თრა-ღრა
ღრო-ტრო-თრო	ღრო-ტრო-თრო-ღრო
ღრუ-ტრუ-თრუ	ღრუ-ტრუ-თრუ-ღრუ

ღრი-ტრი-თრი-თრი-თრი-ღრი
ღრე-ტრე-თრე-თრე-თრე-ღრე
ღრა-ტრა-თრა-თრა-თრა-ღრა
ღრო-ტრო-თრო-თრო-თრო-ღრო
ღრუ-ტრუ-თრუ-თრუ-თრუ-ღრუ

ღრი-ტრი-ტრი-ღრი-ტრი-ღრი-ღრი-ტრი
ღრე-ტრე-ტრე-ღრე-ტრე-ღრე-ღრე-ტრე
ღრა-ტრა-ტრა-ღრა-ტრა-ღრა-ღრა-ტრა
ღრო-ტრო-ტრო-ღრო-ტრო-ღრო-ღრო-ტრო
ღრუ-ტრუ-ტრუ-ღრუ-ტრუ-ღრუ-ღრუ-ტრუ.

ღრი-თრი-თრი-ღრი-თრი-ღრი-ღრი-თრი
ღრე-თრე-თრე-ღრე-თრე-ღრე-ღრე-თრე
ღრა-თრა-თრა-ღრა-თრა-ღრა-ღრა-თრა
ღრო-თრო-თრო-ღრო-თრო-ღრო-ღრო-თრო
ღრუ-თრუ-თრუ-ღრუ-თრუ-ღრუ-ღრუ-თრუ.

ბღვი	პტვი	ფთქი
ბღვე	პტვე	ფთქე
ბღვა	პტვა	ფთქა
ბღვო	პტვო	ფთქო
ბღვუ	პტვუ	ფთქუ

ბღვი-პტიკი	ბღვი-ფთქი	პტიკი-ფთქი
ბღვე-პტიკე	ბღვე-ფთქე	პტიკე-ფთქე
ბღვა-პტიკა	ბღვა-ფთქა	პტიკა-ფთქა
ბღვო-პტიკო	ბღვო-ფთქო	პტიკო-ფთქო
ბღვუ-პტიკუ	ბღვუ-ფთქუ	პტიკუ-ფთქუ
ბღვი-ფთქი-პტიკი	პტიკი-ფთქი-ბღვი	ფთქი-პტიკი-ბღვი
ბღვე-ფთქე-პტიკე	პტიკე-ფთქე-ბღვე	ფთქე-პტიკე-ბღვე
ბღვა-ფთქა-პტიკა	პტიკა-ფთქა-ბღვა	ფთქა-პტიკა-ბღვა
ბღვო-ფთქო-პტიკო	პტიკო-ფთქო-ბღვო	ფთქო-პტიკო-ბღვო
ბღვუ-ფთქუ-პტიკუ	პტიკუ-ფთქუ-ბღვუ	ფთქუ-პტიკუ-ბღვუ
ბღვი-პტიკი-პტიკი-ბღვი	ბღვი-ფთქი-ფთქი-ბღვი	
ბღვე-პტიკე-პტიკე-ბღვე	ბღვე-ფთქე-ფთქე-ბღვე	
ბღვა-პტიკა-პტიკა-ბღვა	ბღვა-ფთქა-ფთქა-ბღვა	
ბღვო-პტიკო-პტიკო-ბღვო	ბღვო-ფთქო-ფთქო-ბღვო	
ბღვუ-პტიკუ-პტიკუ-ბღვუ	ბღვუ-ფთქუ-ფთქუ-ბღვუ	
პტიკი-ბღვი-ბღვი-პტიკი	ფთქი-ბღვი-ბღვი-ფთქი	
პტიკე-ბღვე-ბღვე-პტიკე	ფთქე-ბღვე-ბღვე-ფთქე	
პტიკა-ბღვა-ბღვა-პტიკა	ფთქა-ბღვა-ბღვა-ფთქა	
პტიკო-ბღვო-ბღვო-პტიკო	ფთქო-ბღვო-ბღვო-ფთქო	
პტიკუ-ბღვუ-ბღვუ-პტიკუ	ფთქუ-ბღვუ-ბღვუ-ფთქუ	
ბღვი-ბღვი-ბღვი-ბღვი-ბღვი		
ბღვე-ბღვე-ბღვე-ბღვე-ბღვე		
ბღვა-ბღვა-ბღვა-ბღვა-ბღვა		
ბღვო-ბღვო-ბღვო-ბღვო-ბღვო		
ბღვუ-ბღვუ-ბღვუ-ბღვუ-ბღვუ		
პტიკი-პტიკი-პტიკი-პტიკი-პტიკი		
პტიკე-პტიკე-პტიკე-პტიკე-პტიკე		
პტიკა-პტიკა-პტიკა-პტიკა-პტიკა		
პტიკო-პტიკო-პტიკო-პტიკო-პტიკო		
პტიკუ-პტიკუ-პტიკუ-პტიკუ-პტიკუ		

ფთქი-ფთქი-ფთქი-ფთქი-ფთქი
ფთქე-ფთქე-ფთქე-ფთქე-ფთქე
ფთქა-ფთქა-ფთქა-ფთქა-ფთქა
ფთქო-ფთქო-ფთქო-ფთქო-ფთქო
ფთქუ-ფთქუ-ფთქუ-ფთქუ-ფთქუ

ბღგი-პტკი-ფთქი-ფთქი-პტკი-ბღგი
ბღგე-პტკე-ფთქე-ფთქე-პტკე-ბღგე
ბღგა-პტკა-ფთქა-ფთქა-პტკა-ბღგა
ბღგო-პტკო-ფთქო-ფთქო-პტკო-ბღგო
ბღგუ-პტკუ-ფთქუ-ფთქუ-პტკუ-ბღგუ

ბღგი-ფთქი-პტკი-პტკი-ფთქი-ბღგი
ბღგე-ფთქე-პტკე-პტკე-ფთქე-ბღგე
ბღგა-ფთქა-პტკა-პტკა-ფთქა-ბღგა
ბღგო-ფთქო-პტკო-პტკო-ფთქო-ბღგო
ბღგუ-ფთქუ-პტკუ-პტკუ-ფთქუ-ბღგუ

პტკი-ბღგი-ფთქი-ფთქი-ბღგი-პტკი
პტკე-ბღგე-ფთქე-ფთქე-ბღგე-პტკე
პტკა-ბღგა-ფთქა-ფთქა-ბღგა-პტკა
პტკო-ბღგო-ფთქო-ფთქო-ბღგო-პტკო
პტკუ-ბღგუ-ფთქუ-ფთქუ-ბღგუ-პტკუ

ბღგი-ბღგი-ბღგი-ბღგი-ბღგი-ბღგი-ბღგი
ბღგე-ბღგე-ბღგე-ბღგე-ბღგე-ბღგე-ბღგე
ბღგა-ბღგა-ბღგა-ბღგა-ბღგა-ბღგა-ბღგა
ბღგო-ბღგო-ბღგო-ბღგო-ბღგო-ბღგო-ბღგო
ბღგუ-ბღგუ-ბღგუ-ბღგუ-ბღგუ-ბღგუ-ბღგუ

პტკი-პტკი-პტკი-პტკი-პტკი-პტკი-პტკი
პტკე-პტკე-პტკე-პტკე-პტკე-პტკე-პტკე
პტკა-პტკა-პტკა-პტკა-პტკა-პტკა-პტკა
პტკო-პტკო-პტკო-პტკო-პტკო-პტკო-პტკო
პტკუ-პტკუ-პტკუ-პტკუ-პტკუ-პტკუ-პტკუ

ფთქი-ფთქი-ფთქი-ფთქი-ფთქი-ფთქი-ფთქი
ფთქე-ფთქე-ფთქე-ფთქე-ფთქე-ფთქე-ფთქე
ფთქა-ფთქა-ფთქა-ფთქა-ფთქა-ფთქა-ფთქა
ფთქო-ფთქო-ფთქო-ფთქო-ფთქო-ფთქო-ფთქო
ფთქუ-ფთქუ-ფთქუ-ფთქუ-ფთქუ-ფთქუ-ფთქუ

ბღვი-პტკი-პტკი-ბღვი-პტკი-ბღვი-ბღვი-პტკი
ბღვე-პტკე-პტკე-ბღვე-პტკე-ბღვე-ბღვე-პტკე
ბღვა-პტკა-პტკა-ბღვა-პტკა-ბღვა-ბღვა-პტკა
ბღვო-პტკო-პტკო-ბღვო-პტკო-ბღვო-ბღვო-პტკო
ბღვუ-პტკუ-პტკუ-ბღვუ-პტკუ-ბღვუ-ბღვუ-პტკუ

პტკი-ფთქი-ფთქი-პტკი-ფთქი-პტკი-პტკი-ფთქი
პტკე-ფთქე-ფთქე-პტკე-ფთქე-პტკე-პტკე-ფთქე
პტკა-ფთქა-ფთქა-პტკა-ფთქა-პტკა-პტკა-ფთქა
პტკო-ფთქო-ფთქო-პტკო-ფთქო-პტკო-პტკო-ფთქო
პტკუ-ფთქუ-ფთქუ-პტკუ-ფთქუ-პტკუ-პტკუ-ფთქუ

ბგრი-ცქრი-წკრი
ბგრე-ცქრე-წკრე
ბგრა-ცქრა-წკრა
ბგრო-ცქრო-წკრო
ბგრუ-ცქრუ-წკრუ

ბგრი-ცქრი
ბგრე-ცქრე
ბგრა-ცქრა
ბგრო-ცქრო
ბგრუ-ცქრუ

ბგრი-წკრი
ბგრე-წკრე
ბგრა-წკრა
ბგრო-წკრო
ბგრუ-წკრუ

ცქრი-წკრი
ცქრე-წკრე
ცქრა-წკრა
ცქრო-წკრო
ცქრუ-წკრუ

ბგრი-ცქრი-წკრი
ბგრე-ცქრე-წკრე
ბგრა-ცქრა-წკრა
ბგრო-ცქრო-წკრო
ბგრუ-ცქრუ-წკრუ

წკრი-ცქრი-ბგრი
წკრე-ცქრე-ბგრე
წკრა-ცქრა-ბგრა
წკრო-ცქრო-ბგრო
წკრუ-ცქრუ-ბგრუ

ცქრი-წკრი-ძკრი
ცქრე-წკრე-ძკრე
ცქრა-წკრა-ძკრა
ცქრო-წკრო-ძკრო
ცქრუ-წკრუ-ძკრუ

ძკრი-წკრი-წკრი-ძკრი
ძკრე-წკრე-წკრე-ძკრე
ძკრა-წკრა-წკრა-ძკრა
ძკრო-წკრო-წკრო-ძკრო
ძკრუ-წკრუ-წკრუ-ძკრუ

ძკრი-ცქრი-ცქრი-ძკრი
ძკრე-ცქრე-ცქრე-ძკრე
ძკრა-ცქრა-ცქრა-ძკრა
ძკრო-ცქრო-ცქრო-ძკრო
ძკრუ-ცქრუ-ცქრუ-ძკრუ

წკრი-ძკრი-ძკრი-წკრი
წკრე-ძკრე-ძკრე-წკრე
წკრა-ძკრა-ძკრა-წკრა
წკრო-ძკრო-ძკრო-წკრო
წკრუ-ძკრუ-ძკრუ-წკრუ

ცქრი-ძკრი-ძკრი-ცქრი
ცქრე-ძკრე-ძკრე-ცქრე
ცქრა-ძკრა-ძკრა-ცქრა
ცქრო-ძკრო-ძკრო-ცქრო
ცქრუ-ძკრუ-ძკრუ-ცქრო

ძკრი-ძკრი-ძკრი-ძკრი-ძკრი
ძკრე-ძკრე-ძკრე-ძკრე-ძკრე
ძკრა-ძკრა-ძკრა-ძკრა-ძკრა
ძკრო-ძკრო-ძკრო-ძკრო-ძკრო
ძკრუ-ძკრუ-ძკრუ-ძკრუ-ძკრუ

ცქრი-ცქრი-ცქრი-ცქრი-ცქრი
ცქრე-ცქრე-ცქრე-ცქრე-ცქრე
ცქრა-ცქრა-ცქრა-ცქრა-ცქრა
ცქრო-ცქრო-ცქრო-ცქრო-ცქრო
ცქრუ-ცქრუ-ცქრუ-ცქრუ-ცქრუ

წკრი-წკრი-წკრი-წკრი-წკრი
წკრე-წკრე-წკრე-წკრე-წკრე
წკრა-წკრა-წკრა-წკრა-წკრა
წკრო-წკრო-წკრო-წკრო-წკრო
წკრუ-წკრუ-წკრუ-წკრუ-წკრუ

ძკრი-ცქრი-წკრი-წკრი-ცქრი-ძკრი
ძკრე-ცქრე-წკრე-წკრე-ცქრე-ძკრე
ძკრა-ცქრა-წკრა-წკრა-ცქრა-ძკრა
ძკრო-ცქრო-წკრო-წკრო-ცქრო-ძკრო
ძკრუ-ცქრუ-წკრუ-წკრუ-ცქრუ-ძკრუ

ძვრი-წკრი-ცქრი-ცქრი-წკრი-ძვრი
ძვრე-წკრე-ცქრე-ცქრე-წკრე-ძვრე
ძვრა-წკრა-ცქრა-ცქრა-წკრა-ძვრა
ძვრო-წკრო-ცქრო-ცქრო-წკრო-ძვრო
ძვრუ-წკრუ-ცქრუ-ცქრუ-წკრუ-ძვრუ

ცქრი-ძვრი-წკრი-წკრი-ძვრი-ცქრი
ცქრე-ძვრე-წკრე-წკრე-ძვრე-ცქრე
ცქრა-ძვრა-წკრა-წკრა-ძვრა-ცქრა
ცქრო-ძვრო-წკრო-წკრო-ძვრო-ცქრო
ცქრუ-ძვრუ-წკრუ-წკრუ-ძვრუ-ცქრუ

ძვრი-ძვრი-ძვრი-ძვრი-ძვრი-ძვრი
ძვრე-ძვრე-ძვრე-ძვრე-ძვრე-ძვრე
ძვრა-ძვრა-ძვრა-ძვრა-ძვრა-ძვრა
ძვრო-ძვრო-ძვრო-ძვრო-ძვრო-ძვრო
ძვრუ-ძვრუ-ძვრუ-ძვრუ-ძვრუ-ძვრუ

წკრი-წკრი-წკრი-წკრი-წკრი-წკრი
წკრე-წკრე-წკრე-წკრე-წკრე-წკრე
წკრა-წკრა-წკრა-წკრა-წკრა-წკრა
წკრო-წკრო-წკრო-წკრო-წკრო-წკრო
წკრუ-წკრუ-წკრუ-წკრუ-წკრუ-წკრუ

ცქრი-ცქრი-ცქრი-ცქრი-ცქრი-ცქრი
ცქრე-ცქრე-ცქრე-ცქრე-ცქრე-ცქრე
ცქრა-ცქრა-ცქრა-ცქრა-ცქრა-ცქრა
ცქრო-ცქრო-ცქრო-ცქრო-ცქრო-ცქრო
ცქრუ-ცქრუ-ცქრუ-ცქრუ-ცქრუ-ცქრუ

ძვრი-ცქრი-ცქრი-ძვრი-ცქრი-ძვრი-ცქრი
ძვრე-ცქრე-ცქრე-ძვრე-ცქრე-ძვრე-ცქრე
ძვრა-ცქრა-ცქრა-ძვრა-ცქრა-ძვრა-ცქრა
ძვრო-ცქრო-ცქრო-ძვრო-ცქრო-ძვრო-ცქრო
ძვრუ-ცქრუ-ცქრუ-ძვრუ-ცქრუ-ძვრუ-ცქრუ

ძგრი-წკრი-წკრი-ძგრი-წკრი-ძგრი-ძგრი-წკრი
 ძგრე-წკრე-წკრე-ძგრე-წკრე-ძგრე-ძგრე-წკრე
 ძგრა-წკრა-წკრა-ძგრა-წკრა-ძგრა-ძგრა-წკრა
 ძგრო-წკრო-წკრო-ძგრო-წკრო-ძგრო-ძგრო-წკრო
 ძგრუ-წკრუ-წკრუ-ძგრუ-წკრუ-ძგრუ-ძგრუ-წკრუ

ჯგრი	ჩქრი	ჭკრი	ჯგრი-ჩქრი	ჯგრი-ჭკრი
ჯგრე	ჩქრე	ჭკრე	ჯგრე-ჩქრე	ჯგრე-ჭკრე
ჯგრა	ჩქრა	ჭკრა	ჯგრა-ჩქრა	ჯგრა-ჭკრა
ჯგრო	ჩქრო	ჭკრო	ჯგრო-ჩქრო	ჯგრო-ჭკრო
ჯგრუ	ჩქრუ	ჭკრუ	ჯგრუ-ჩქრუ	ჯგრუ-ჭკრუ

ჩქრი-ჭკრი	ჯგრი-ჩქრი-ჭკრი
ჩქრე-ჭკრე	ჯგრე-ჩქრე-ჭკრე
ჩქრა-ჭკრა	ჯგრა-ჩქრა-ჭკრა
ჩქრო-ჭკრო	ჯგრო-ჩქრო-ჭკრო
ჩქრუ-ჭკრუ	ჯგრუ-ჩქრუ-ჭკრუ

ჩქრი-ჯგრი-ჭკრი
 ჩქრე-ჯგრე-ჭკრე
 ჩქრა-ჯგრა-ჭკრა
 ჩქრო-ჯგრო-ჭკრო
 ჩქრუ-ჯგრუ-ჭკრუ

ჭკრი-ჩქრი-ჯგრი
 ჭკრე-ჩქრე-ჯგრე
 ჭკრა-ჩქრა-ჯგრა
 ჭკრო-ჩქრო-ჯგრო
 ჭკრუ-ჩქრუ-ჯგრუ

ჩქრი-ჯგრი-ჯგრი-ჩქრი
 ჩქრე-ჯგრე-ჯგრე-ჩქრე
 ჩქრა-ჯგრა-ჯგრა-ჩქრა
 ჩქრო-ჯგრო-ჯგრო-ჩქრო
 ჩქრუ-ჯგრუ-ჯგრუ-ჩქრუ

ბგერათა რიტმული გავარჯიშება

კაბა-კობა	ბაკი-ბუკი	შუკა-შარა	ჩამი-ჩუმი
კაბა-კობა	ბაკი-ბუკი	შუკა-შარა	ჩამი-ჩუმი
კაბა-კობა	ბაკი-ბუკი	შუკა-შარა	ჩამი-ჩუმი
კაბა-კობა	ბაკი-ბუკი	შუკა-შარა	ჩამი-ჩუმი

ლაწა-ლუწი	ბატი-ბუტი	რაკა-რუკი	ტაში-ტუში
ლაწა-ლუწი	ბატი-ბუტი	რაკა-რუკი	ტაში-ტუში
ლაწა-ლუწი	ბატი-ბუტი	რაკა-რუკი	ტაში-ტუში
ლაწა-ლუწი	ბატი-ბუტი	რაკა-რუკი	ტაში-ტუში

ბაგა-ბუგი	შარი-შური	თქარა-თქური	წკარა-წკური
ბაგა-ბუგი	შარი-შური	თქარა-თქური	წკარა-წკური
ბაგა-ბუგი	შარი-შური	თქარა-თქური	წკარა-წკური
ბაგა-ბუგი	შარი-შური	თქარა-თქური	წკარა-წკური

ჭანა-ჭუნი	ფაცა-ფუცი	ჭანა-ჭუნი	წკაპა-წკუპი
ჭანა-ჭუნი	ფაცა-ფუცი	ჭანა-ჭუნი	წკაპა-წკუპი
ჭანა-ჭუნი	ფაცა-ფუცი	ჭანა-ჭუნი	წკაპა-წკუპი
ჭანა-ჭუნი	ფაცა-ფუცი	ჭანა-ჭუნი	წკაპა-წკუპი

სასურველია ეს ვარჯიში შესრულდეს თავისა და მხრების მოძრაობებთან ერთად.

ბგერათა რიტმული გავარჯიშება ორმარცვლიან სიტყვებში

ვარდი	ვერხვი	ვადა	ვაკე
ვაშლი	ვეფხვი	ვაშა	ვალი
ვაფლი	ვერცხლი	ვაზნა	ვანი
ვარცლი	ვერძი	ვარდნა	ვარდი

ლაბა	ლარი	ლეკი	ლოდი	ლუქი	ლირი
ლაგრა	ლალი	ლელი	ლოთი	ლუდი	ლიხი
ლაზნა	ლაფი	ლეღვი	ლორი	ლურჯი	ლიპი
ლამა	ლახტი	ლექსი	ლომი	ლურთი	ლიქნი

რითმი	რეკვა	რასი	რომი	რუქი	რამპა		
რისხი	რეხვა	რამი	როკი	რუხი	რაფა		
რიყი	რეცხვა	რანგი	როზგი	რუსი	რაჭა		
რიპი	რეტვა	რატი	როსი	რუპი	რასა		
ნასკვი	ნემსი	ნერვი	ნისლი	ნუკრი	ნოხი		
ნავთი	ნერგი	ნეკნი	ნივთი	ნუთხი	ნოტი		
ნარდი	ნერწყვი	ნესვი	ნიყვი	ნუში	ნოლი		
ნავსი	ნეშთი	ნელი	ნირი	ნუნი	ნორჩი		
ასი	საბა	სითხე	სენი	სოკო	სურა		
დასი	საგა	სიმხნე	სესხი	სორო	სუფრა		
თასი	სადა	სითხე	სერი	სოლო	სუნთქვა		
ხავსი	სარა	სიგრძე	სელი	სოდა	სუფთა		
ზარი	ზედა	ზვაკი	ზიდვა	ზომა	ზურგი		
ზავი	ზეთი	ზვარი	ზიზლი	ზოგი	ზეთხი		
ზაქი	ზევსი	ზეინი	ზილფი	ზოდი	ზღარბი		
ზანტი	ვენა	ზეერთი	ზიპი	ზოლი	ზღვარი		
ცივა	ციყვი	ცერი	ცოლი	ცუდი	ცალი		
ცილა	ციფრი	ცეტი	ცომი	ცული	ცარცი		
ცივა	ცხიმი	ცელქი	ცოფი	ცური	ცაცხვი		
ციცქნა	ცხრილი	ცეცხლი	ცოცხი	ცუხი	ცხვარი		
წაბლი	წელი	წვეთი	წილი	წკებლა	წოვა	წუთი	წყნარი
წათხი	წვერი	წვერი	წიხლი	წნევა	წოლა	წული	წყვილი
წალდი	წესი	წვეტი	წიგნი	წნეხა	წონა	წუთხი	წუწკი
წარბი	წვენი	წკნელი	წვრილი	წელვა	წყობა	წული	წყლული
შამბი	შეძვრა	შვება	შიდა	შმაგი	შრომა	შუბი	
შანთი	შედრკა	შველა	შირმა	შლილი	შობა	შური	
შაშვი	შეზრდა	შვერა	შიში	შლეგი	შოთი	შუქი	
შაშხი	შეკვრა	შვენა	შინდი	შლამი	შორი	შურთხი	

ჩალა	ჩენა	ჩითი	ჩირქი	ჩონჩხი	ჩუმი	ჩხიკვი
ჩამჩა	ჩექმა	ჩირი	ჩვილი	ჩორთი	ჩქამი	ჩხირი
ჩალმა	ჩეჩვა	ჩიტი	ჩიხი	ჩოხა	ჩქარი	ჩხვლეტა
ჩანთა	ჩვევა	ჩიყვი	ჩლიქი	ჩოჩვა	ჩვარი	ჩხრეკა

ბარი	ბელი	ბილწი	ბოლი	ბუზი
ბალი	ბევრი	ბინდი	ბოთლი	ბუმი
ბავშვი	ბეწვი	ბირთვი	ბოლქვი	ბურთი
ბანგი	ბეჭი	ბიძგი	ბორცვი	ბურჯი

ფარი	ფერი	ფიჭვი	ფორი	ფული
ფასი	ფენი	ფიცხი	ფონი	ფური
ფანდი	ფესვი	ფიფქი	ფონი	ფუჭი
ფარდი	ბეჭი	ფიქრი	ფოცხი	ფუნჯი

პინა	პური	პრესა	პაპა	პენტვა
პიტნა	პულრი	პრესვა	პანტა	პეპელა
პირი	პულსი	პემზა	პარვა	პეწი
პიწკი	პუნქტი	პერტყვა	პარსვა	პეშვი

კაბა	კირი	კევი	კენჭი	კომკი	კუჭი	კვარი
კამა	კბილი	კეტი	კერძი	კორძი	კუნძი	კვაჭი
კატა	კვიცი	კეხი	კვერთხი	კოჭი	კუპრი	კვამლი
კალათა	კვირტი	კერპი	კვერცხი	კომში	კუშტი	კვანძი

ხავსი	ხერხი	ხიჭვი	ხორცი	ხნული	ხვევნა
ხათრი	ხემსი	ხისტი	ხორხი	ხშული	ხველა
ხარბი	ხელი	ხიწვი	ხოფი	ხრტილი	ხვეტა
ხაში	ხეკი	ხიშტი	ხონი	ხრიკი	ხვეწნა

ღუღუნა მეტყველება

ღუღუნა მეტყველება ეწოდება ცხვირის რეზონატორის ზედმეტ მონაწილეობას მეტყველებაში ან მის გამოთიშვას მეტყველებიდან. ცნობილია, რომ ბგერათა ნორმალური ფორმაციის დროს ცხვირის ღრუ გადაიკეტება რბილი სასით და სამეტყველო ჰაერნაკადი მხოლოდ პირის გზით ამოედინება: ამ დროს რბილი სასა ნაქითურთ მჭიდროდ ეკვრის ხახის უკანა კედელს და ცხვირის ღრუსაკენ სადინარ გზას უკეტავს ფილტვებიდან ამომდინარე ჰაერნაკადს. იმ შემთხვევაში კი, როცა რბილი სასა მჭიდროდ არ ეკვრის ხახის კედელს და მისგან დაშორებულია 2-3 მმ-ით, ჩნდება ღიაობა, მაგრამ ასეთი ღიაობა არ იწვევს ხმის ტემბრის პათოლოგიურ ცვლილებას. საკმარისია ეს მანძილი გადიდდეს, რომ მივიღოთ თვისებურად შეცვლილი ხმა, რომელსაც ღუღუნა ეწოდება. ღუღუნს იწვევს რბილი და მაგარი სასის და ცხვირის ღრუს ორგანული დეფექტი ან რბილი სასის ფუნქციის მოშლა.

არჩევნ ღუღუნის ორ ფორმას: 1) ღია ღუღუნი – ბგერათა წარმოთქმის დროს ჰაერნაკადი გაივლის როგორც პირის, ისე ცხვირის გზით. 2) დახურული ღუღუნი – ყველა ბგერების, მათ შორის ცხვირისმიერების, მ, ნ-ს წარმოთქმისას ჰაერი გამოდის მხოლოდ პირის გზით.

ღუღუნის ეს ფორმები ჩნდება როგორც ორგანული დაზიანების, ისე ფუნქციონალური მოშლის საფუძველზე. დახურული ღუღუნი იშვიათად გვხვდება; უფრო გავრცელებულია ღია ღუღუნი.

ღია ღუღუნის გამომწვევი ორგანული მიზეზებია: პერიფერიული სამეტყველო აპარატის თანდაყოლილი ნაკლი – სასის ნაპრაღი და სასის დაზიანება, მისი ნაწილობრივი ან სრული დამბლა; ცხვირის პოლიპები.

აგრეთვე არსებობს მანერული ცხვირისმიერი მეტყველება, რომლის გამოსწორებაც შესაძლებელია სპეციალური ვარჯიშების საშუალებით.

ღუღუნა მეტყველების გამოსასწორებლად ვარჯიშში იწყება სუნთქვითი მოძრაობების მოწესრიგებით, რადგან იგი სწორი წარმოთქმის საფუძველია. ღუღუნა მეტყველების მქონე ადამიანის სამეტყველო სუნთქვა ყოველთვის მოშლილია, რადგან წარმოთქმის დროს ის ჰაერს უშვებს არათანაბრად და ხარჯავს მას ზომიერ

მეტს, არაეკონომიურად. ამის გამო მას ხშირად სჭირდება ჰაერით მოძარაგება.

- 1) შევისუნთქოთ ჰაერი გაღებული პირით ისე, როგორც მთქნარების დროს (ამ დროს სასის ფარდა ზევით იწევს), ამოსუნთქვა უნდა მოხდეს თანდათანობით უხმოდ, გაღებული პირით, ან ტუჩების წინ წამოწევით (ამოსუნთქვის დროს სასა რჩება აწეულ მდგომარეობაში).
- 2) რბილი სასის კუნთების გასავეითარებლად გამოიყენება სუნთქვითი ვარჯიშები: შესუნთქვა და ამოსუნთქვა ცხვირით, შესუნთქვა და ამოსუნთქვა პირით, შესუნთქვა პირით— ამოსუნთქვა ცხვირით, შესუნთქვა ცხვირით — ამოსუნთქვა პირით. სუნთქვის ამ ვარჯიშებთან ერთად უნდა ჩატარდეს ვარჯიში ხველებაზე.
- 3) ხველების დროს სასის ფარდებს სჭირდება ძლიერი ბიძგისებური მოძრაობა, რაც ავითარებს მათ დაძაბულობას და მოძრაობის უნარს. ხველებაზე ვარჯიში იწყება ერთ ამოსუნთქვაზე ერთი-ორი დახველებით; შემდეგ ეს რიცხვი თანდათან მატულობს. ხველების დროს ჰაერნაკადი მხოლოდ პირის ღრუდან უნდა გამოდიოდეს.
- 4) ცხვირის ორივე ნესტო დავახშოთ თითების მიჭერით და ხაზგასმულად ცხვირისმიერი ჟღერადობით წარმოვთქვათ: ნი, ნე, ნა, ნო, ნუ. გავიმეოროთ 2-3-ჯერ. შემდეგ წარმოვთქვათ ჩვეულებრივად. შევცვალოთ ნ ხმოვანი მ-თი და გავიმეოროთ იგივე.
- 5) წარმოვთქვათ დახშული ნესტოებით ენისგასატეხი „ნიორი ნანიორალში, რიონი ნარიონალში“, შემდეგ წარმოვთქვათ ჩვეულებრივად.

აჩქარებული და ნელი მეტყველება

აჩქარებული მეტყველება

ზოგჯერ ნერვიულ ადამიანებში ვხვდებით მეტყველების ტემპის ზომაზე მეტად აჩქარებას: ეს დარღვევა ბავშვობიდანვე ვლინდება და ამას ყურადღების მიქცევა სჭირდება, ვინაიდან ასეთი ბავშვები ისე სწრაფად ლაპარაკობენ, რომ მეტად ძნელია და ზოგჯერ შეუძლებელიც მათი ნათქვამის გაგება. აჩქარებული მეტყველება არის მეტყველების თავისებური ნევროზი, რომელიც თავისი ბუნებით ჰგავს ენაბლუბას. თვითონ ჩქარმეტყველნიც ხშირად თავს ენაბლუბად თვლიან. არჩევნ აჩქარებული მეტყველების ორ ფორმას:

1) მეტყველების ტემპის არაბუნებრივი სისწრაფის გამო მეტყველება სრულიად გაუგებარია (ბატარიზმი). წარმოთქმის ასეთი სისწრაფე არღვევს ფრაზისა და სიტყვების ნორმალურ წყობას. ხდება სიტყვებში ბგერებისა და მარცვლების გადაჯგუფება, ერთმანეთში არევა ან გამოკლება, ფრაზებში სიტყვების გადანაცვლება ან გამოტოვება. მოსაუბრე ვერ ასწრებს სიტყვების ბოლომდე წარმოთქმას, რის გამოც სიტყვის დაბოლოება იკვეცება. ყოველივე ეს ცვლის სხეულის ფრაზების გრამატიკულ წყობას (აგრამატიზმი), იცვლება შინაარსიც. მეტისმეტი სისწრაფის გამო ირღვევა სუნთქვაც. არ ესწრება დროზე შესუნთქვა და წარმოთქმა გრძელდება ამოსუნთქვის უკანასკნელ შესაძლებლობამდე. ასეთი ადამიანები მიეკუთვნებიან ალგზნებად ტიპებს, რაც მათ მოტორიკაშიც ჩანს. მათ ახასიათებთ ხელებისა და მთელი სხეულის ავადმყოფურად ჩქარი, უწესრიგო მოძრაობები, მოუსვენარი „ფუსფუსა“ ქცევა. მკვეთრად აქვთ გამოხატული ყურადღების მოშლა, უჭირთ სხვისი საუბრის მოსმენა და საკუთარი აზრების ბოლომდე გადმოცემა. ლაპარაკის დროს მათი ყურადღება სწრაფად გადადის ერთ საგნიდან მეორეზე.

2) შედარებით უფრო მსუბუქია მეორე ფორმა (ტაქილალია). მისთვის დამახასიათებელია მხოლოდ მეტყველების ტემპის ზედმეტი სიჩქარე. ასეთი მეტყველების დროს სიტყვათა წარმოთქმა 2-ჯერ უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ნორმალურ მდგომარეობაში. ამის გამო მეტყველება ძნელი გასაგებია. აჩქარებული მეტყველების (ბატარიზმის) დანარჩენი ნიშნები სუსტად არის გამოხატული.

მეტყველების ორივე ეს ფორმა დეფექტურია, აუცილებელია მის წინააღმდეგ ზომების დროზე მიღება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი მთელი სიცოცხლის მანძილზე რჩება. გარდა ამისა, ეს ნაკლი

საშიშია იმითაც, რომ ასეთი მეტყველების საფუძველზე შეიძლება განვითარდეს ენაბლუობა.

აჩქარებული მეტყველების გამოსასწორებლად მიღებულია ნელი – მშვიდი, რიტმული მეტყველების განვითარებაზე მუშაობა. ეს მუშაობა შემდეგი თანმიმდევრობით ტარდება:

- 1) ნელი, რიტმული სუნთქვისა და ხმის განვითარება;
- 2) ნელი, მკაფიო და გამოქვეყნელი ხმამაღლა კითხვის ჩვევების ჩანერგვა;
- 3) ნელი, მშვიდი, რიტმული მეტყველების ჩვევის გამომუშავება და მისი გამოყენება საზოგადოებაში;
- 4) საერთო და სმენითი ყურადღების განვითარებაზე მუშაობა.

სუნთქვის ვარჯიშები

- 1) ნელი შესუნთქვა – ნელი ამოსუნთქვა,
- 2) შესუნთქვა (ჩვეულებრივი) – გახანგრძლივებული ამოსუნთქვა,
- 3) სწრაფი შესუნთქვა – ნელი ამოსუნთქვა,
- 4) სწრაფი შესუნთქვა – სწრაფი ამოსუნთქვა,
- 5) ნელი შესუნთქვა – წყვეტილი ამოსუნთქვა.

ამ ვარჯიშით უნდა მივალწიოთ ამოსუნთქვის გახანგრძლივებას. თითოეული ეს სავარჯიშო სრულდება 3-3-ჯერ. ყოველი სავარჯიშოს მერე ვაკეთებთ 3-თვლიან პაუზას, შესუნთქვა ხდება ცხვირით – ამოსუნთქვა პირით. პირველ ეტაპზე ამოსუნთქვა თბილი ჰაერით, ხოლო შემდეგ შეგვიძლია ჩავუერთოთ ხმა, შესუნთქვისა და ამოსუნთქვებს შორის არ უნდა იყოს პაუზა.

ყურადღების ვარჯიშები

- 1) ყურადღების სამი წრე:
 - ა) დავვადეთ სკამზე და მშვიდად დავუგდოთ ყური საკუთარ გულისცემას. შემდეგ ყურადღება გადავიტანოთ იმ ხმებზე, რომლებიც მხოლოდ ოთახშია. კეცადლოთ გამოვეთიშოთ გარედან შემომავალ ხმაურს.
 - ბ) გადავიტანოთ ყურადღების კონცენტრაცია იმ ხმებზე, რომლებიც ოთახის გარეთ ისმის (დერეფანში, კიბეზე, მეზობელ ოთახში და ა. შ.)

- ვ) ყური დავუგლოთ ქუჩიდან ან ეზოდან წამოსულ ხმებს. ვეცადოთ განვასხვავოთ სხვადასხვა ტიპის ტრანსპორტის ხმები ერთმანეთისაგან, ყურადღება მივაქციოთ წვრილმან ხმაურსაც კი.
- 2) ავირჩიოთ ქუჩის რომელიმე მონაკვეთი (მაგ. გზა მეტრო რუსთაველიდან ოპერისა და ბალეტის თეატრამდე), გავიაროთ ეს მონაკვეთი ფეხით, დავაკვირდეთ ყველა შენობას, ამ შენობებში განლაგებულ დაწესებულებებს და შემდგომ ვეცადოთ გონების თვალთ ალვადგინოთ მათი თანმიმდევრობა.

სავარჯიშო ტექსტები

„დარის დართან დარებით
 ფერის ფერთან ფერებით,
 წამის წამთან წამებით,
 ხელის ხელთან ხელებით,
 საით მივეჩქარებით.
 საით მივეჭენებით?
 მტერის მტერთან მტერობით,
 ბევრის ბევრთან ბევრობით,
 ერის ერთან სერობით,
 ჭერის ჭერთან ჭერობით,
 გონის გონთან გონებით,
 სულის სულთან სრულებით,
 აზრის აზრთან აზრებით,
 გრძნობის არდასრულებით,
 სხივის სხივთან ციალით,
 გულის გულთან ფრთხიალით,
 ფოთოლ-ფოთოლ შრიალით,
 კვდომის კვდომის ტრფიალით,
 დარის დართან დარებით,
 ხელის ხელთან ხელებით,
 საით მივეჩქარებით,
 საით მივეჭენებით?“

ი. გურგულია

აბა, თუ მეტყვი, რა ჰქვია იმ გრძნობას, რომლის გამო ამდენი რამ ძვირფასია ჩემთვის, რომელიც ძალას მამლევს შესაძლებელზე მეტი ვაკეთო – ღამე ვათიო და არ მეძინებოდეს; არ ვჭამო და არ მშიოდეს, არ ვსვა და არ მწყუროდეს, უძღურს ფეხზე მაყენებდეს, მერქარებოდეს და გზას მიგრძელებდეს, დაუნანებლად, უანგაროდ დამხარჯავდეს, საკუთარ ტკივილს დამავიწყებდეს, დაცემულს ამაძღვლებდეს, გულს მისხივებდეს, ხალისით მავსებდეს, მაფერებინებდეს, მათმენინებდეს, მამლერებდეს... იცი, რა ჰქვია ამგვარ გრძნობას – სიკეთე.

ი. გურგულია

ნელი მეტყველება – ბრადილალია

ზომაზე მეტად შენელებული მეტყველება უფრო იშვიათად გვხვდება – ვიდრე აჩქარებული. მაგრამ მანც არსებობს ასეთი დარღვევის შემთხვევები. ასეთი მეტყველების გამოსასწორებლად მთავარი ყურადღება ეთმობა რიტმს. მუშაობა იწყება მკაფიო, რიტმული სავარჯიშოებით, ვარჯიშის დროს ენის გასატეხებს წარმოვთქვამთ მეტყველების ტემპის თანდათან აჩქარებით. მეტყველების ტემპის თანდათან აჩქარება უნდა მოხდეს დიდი სიფრთხილით, რათა არ გაუარესდეს მეტყველება – არ დამახინჯდეს სიტყვები ბგერათა ერთმანეთში არევით, დაკლებით და სხვ. სასარგებლოა რიტმული ვარჯიშები: მუსიკის თანხლებით სიარული, სირბილი, ხტომა და ა. შ.

სავარჯიშო 1. ა, ე, ი, ო, უ ხმოვნები წარმოვთქვამთ წყვეტილად (სტოკატო), შემდეგ გადაბმულად თავის წრიული მოძრაობით (ლეგატო).

სავარჯიშო 2. წარმოვთქვამთ წყვეტილად (სტოკატო) შემდეგი სიტყვები: მამა, ლამა, კაბა, ნანა, რამპა, კამა, გამა, დანა, თათა. შემდეგ იგივე სიტყვები წარმოვთქვამთ გაბმულად (ლეგატო) თავის წრიული მოძრაობით.

სავარჯიშო 3. ენის გასატეხები წარმოვთქვამთ ჯერ წყვეტილად თითოეულ სიტყვაზე მახვილით, შემდეგ გადაბმული სწორი მეტყველებით:

ჩემი ბალის მწვანელი: პრასა, ბოლოკი, პიტნა, ტარხუნა,
თუკი მე მეპრას-მებოლოკ-მეპიტნა-ტარხუნება,

რატომ შენ არ გეპრას-გებოლოკ-გეპიტნა-ტარხუნება?
ეს ქათამი ხან იქეთ გადაკისერ-მხარ-ბარკალ-ნისკარტ-კურტუმიდება,
ხან აქეთ გადმოკისერ-მხარ-ბარკალ-ნისკარტ-კურტუმიდება.

ბერიკას ხარები შეუბამს, შეუსაბელ-სახნის-სახვნელ-უღელ-
ტაბიკ-აპეურებია, როგორც შეუსაბელ-სახნის-სახვნელ-უღელ-ტაბიკ-
აპეურებია, ისე ამოუსაბელ-სახნის-სახვნელ-უღელ-ტაბიკ-აპეურებია.

სავარჯიშო ლექსები:

შოთა ნიშნიანიძე

ჩქარი მატარებელი

1. ბოვირ-ბოვირ,
ბოგა-ბოგა,
ბოგა-ბოგა,
ბოვირ-ბოვირ,
გზები მიდის ოკრო-ბოკრო,
გოგო მოდის, აგდი გოგდი,
აბა, დელი, დელია,
გოგო მიდის ბოგაზე,
ჩემი საყვარელია,
ხალი თუ აქვს ლოყაზე.
ეზო-ეზო, კარი-კარ,
ლობე-ლობე, სარი-სარ,
ეკონება
ბოლი ბოლს,
გეგონება:
თოვლი თოვს.
მისდევს ჭერამს ტყემლები,
მისდევს ფერმებს ტყეები,
ისე მჭევრმეტყველებით,
რომ სარკმელში მოძვრება
მთელი ეს საოცრება,
ეს ხილული ოცნება,
ცის და მიწის მოსწრება:
გზები – ძოწეულები,
გზები – განა შუკები,
გზები ბროწეულების
გზნებით განაშუქები,
სიმინდების ფოჩები,
ჭები,
ოწინარები,

მზეზე ძველი კოშკების
ბჯენი მოცინა:რენი.
მიაქვს-მოაქვს წერილები,
სინარულის ბარათები,
ბარათები შეპირების,
იმედების გამართლების.
ჭალა-ჭალა, შარა-შარა,
შარა-შარა, ჩალა-ჩალა,
ჩქარა-ჩქარა, ჩქარა-ჩქარა,
ჩქარა-ჩქარა, ჩქარა-ჩქარა.
გრაგანებენ ვაგონები,
გრაგანებენ გაკვირვებით –
სად გარბიან ჩაკონებით
ბოგირები,
ბაგირები?

შემოსილა
ხე ჭრელჭრულით,
შემოსულა ხეჭეჭური!
ეზო-ეზო ურმებია
და ჭურები მეჭეჭური.
და მისდევენ ზვრები ზვრებს,
შუკა – შუკას,
გზები – გზებს,
კიდები,
კორდები,
ხიდები და
ბონდები,
ბევრჯერ გამახსენდებით,
ბევრჯერ მომაგონდებით,
მიქრის მატარებელი
ჩქარი მატარებელი,
ჩქარი მატარებელი
ჩქარი მატარებელი.

ენის გასატეხი

ლუჰკა ტაკატა დაჰკა ტაკატა (3-ჯერ)

ლუქტა ტაკატა დაქტა ტაკატა

ლუჰკა ტაკატა დაჰკა ტაკატა

ლუგუდამ ლუგუ დაჰკატაკატა

ლუჰკატაკატა დაჰკატაკატა

ლუმი ტამ ტამ, ლუმი ტამ ტამ

ლუმი ტამ ტამ, ლუმი ტამ ტამ

– ტამ, –ტამ, –ტამ,

– პტატატატა ტაფტატატა ლუმი!

ლუგუდამ ლუგუდამ ლუგუდამ ლუჰკატაკატა ტამ (2-ჯერ)

ლუჰკა ტაკატა დაჰკა ტაკატა

ლუჰკატა ტაკატა დაჰკატა ტაკატა

ტაკატა ტაკატა ტაკატა ტაკატა

ტახ ტახ ტახ ტახ!

ტამ ლუმი ლუმი ლუმიპატა, ლუმი ლუმი ლუმი დამპატა (2-ჯერ)

ლუმიპატა ლუმი ლუმიპატა, ლუმიპატა ლუმი დამპატა

ლუმიპატა ლუმი ლუმიპატა, ლუმიპატა ლუმი დამპატა

დამპატა ლუმი დამპატა, ლუმიპატა ლუმი ლუმიპატა (2-ჯერ)

დამპატატატა დამპატა ლუმიპატატატა დამპატა (2ჯერ)

დანკატაკატა დანკატა ლუგადაკატაკა დანკატა (2-ჯერ)

ტამ! ლუმი! ტამ! ლუმი! ტამ! ლუმი! ტამ! ლუმი!

ლუმი ტამ ტამ, ლუმი ტამ ტამ, ლუქტატატატა ტამ!

ლუბდა ტატატა ტატატა დაბადა (4-ჯერ)

ლუმი ტამ ტამ ტამ, ლუმი ტამ ტამ ტამ (4-ჯერ)

ღრრ ტა, ღრრ ტა, ღრრ ტა, ღრრ ტა, ღრრ ტა, ღრრ ტა, ღრრ ტა,

ღრრ ტა, ღრრ ტა, ღრრ,

ტამ ტამ ღრრ, ტამ ტამ ღრრ, ტამ ტამ ღრრ, ტამ ტამ ღრრ,

ტამ ლუმი ლუმი ლუმი, ტამ ლუმი ლუმი ლუმი, ტამ ლუმი ლუმი ლუმი!

ჰე!

ანბანთქება

1. აღმართი აველე, აღვენთე
არსად არნახულ ალითა,
არეს ამკობდა არმური,
ანარნარებდა არნითა.
2. ბარად ბნელოდა ბუერი
ბრუნავდა. ბნელდა ბორასა,
ბაძავდა ბინდის ბრიალი
ბევრისა ბორბლის ბრბოლასა.
3. გარსნი განიხენენ, გაგხედე,
გოლოლებს გავსილს განძითა,
გავვოცდი, განვდექ, გაგხვედი
გარდასულ გძირთა განცდითა.
4. დავეყუდე და დავთვალე
ლოვლათის დიდი დარაჯა,
დავჯექი დავწერე დავთარი,
დავთქვი, – დავუდექი დარაჯად
5. ერთგულთა, ერისერთათა,
ერისთვის ეხნათ, ეთესათ,
ეგრე ეძალნათ ერთადა –
ერთს ეყოფოდა ედექსა!
6. ვინაც ვის ვარგოთ, ვიცოდეთ
ვისით ვრგებთ, ვხარჯავთ ვისასა?
ვის ვეძმოთ, ვისთვის ვიწოდეთ,
ვინ ვის ვუხდიდეთ ვის ვალსა!
7. ზელაზნით ზვერავს ზეთაზეს,
ზეიმით, ზოგჯერ ზარითა...
ზმანებით ზვირთი ზელაზედ
ზმასა ზრდის ზვავ ზანზარითა.

8. თვის თავთან თევით თნებული
თვით თაობს თავის თრობასა;
თენდება – თვალით თრობილით
თვლის თაობათა თმობასა.
9. იცვლება, ისევ იალღებს,
ისევე ისხამს იარაღს,
ისევე იჩენს იარებს,
ისევე ირჩენს იარას.
10. კლდე კარავს კერავს, კარს კიდებს,
კირით კრავს კარვის კედელსა!
კეთილს კრეფს. კეთილ კაცს კიდევ,
კეთილზე კიდებს კეთილსა.
11. ლაღს ლოცავს, ლაჩარს ლახტით ლეწს –
ლანქერათ ლღვება ლეწვითა,
ლამს ლექავს, ლამაზ ლერწმის ლერწს
ლერწმადვე ლექსავს ლერწმიდან.
12. მე მივალ მასთან, მიმიღებს –
მიმიხმობს, მეტყვის „მოსა“,
მომიალერსებს, მომაგებს
მადლსა, მე, მისსა მონასა;
13. ნუ ნატრობ ნუცა ნადავლსა,
ნუცა ნაბობებს ნებითა.
ნატრობდე ნერგსა ნამღვილსა
ნაშოვნსა ნანანებითა!
14. ორგული ორსა ოცნებობს,
ორივეს ორპირობასა –
ორის ომს, ორის ოხვრასა,
ორგანვე ობობობასა...

15. პირიანობით პირობით
პირუთვნელ პატის პოვებდე,
პაპათგან პირდაპირობით
პოვნიერებდა პოეტი!:
16. ჟვავი, ჟვერაავდა, ჟამავდა,
ჟოლოსა, ჟოლსა, ჟოლასა...
ჟოჟო ჟურავდა, ჟარავდა,
ჟინსა, ჟრუანტელს, ჟრჟოლასა.
17. რვალი რომ რეკდა, რემანი
რბოდნენ, რანდავდნენ რიდეთა.
რულში როკავდა რამინი –
რეტის რტოს რგავდა რიდითა.
18. სატრფოს სულს სვამდა
სნეული სიყვარულისა სენითა,
სხეულით საროსეულით,
სახითა სევლით სველითა.
19. ტანჯავდა ტანის ტარება
ტანჯვითა ტკბილზე ტკბილითა,
ტუჩისა ტუჩთან ტანება
ტკენდა ტკივილით ტფილითა.
20. ურცხად უნდოდა უბირსა
ურიცხვეერ უშთა უპლება.
ურვით უვსებდა უბესა
უტრფესთან უსაუბრობა.
21. ფლიდნი ფლიდობდნენ, ფიალებს
ფალანგის ფერფლით ფერავდნენ,
ფიქრს ფიქრი ფლეითა, ფრინავდა
ფანტელი ფერად-ფერადი.

22. ქვეყნისა ქარნი ქვენანი
ქრიან ქვემძრომთა ქნარზედა,
ქელს ქვემოთ ქერა ქელანი,
ქვითინებს ქვრივი ქმარზედა.
23. ღამდება, ღრუბლის ღვედები
ღობეს ღობავენ ღვთისასა,
ღელე ღიღინებს, ღვინდება.
ღვინოი ღარიბისაცა.
24. ყორესთან ყვინთავს ყავარი
ყარა ყორანის ყინვითა,
ყანებზე ყვავის ყამარი
ყოვლის ყადრს ყინავს ყინვითა.
25. შემერისხე! შენგან შენდობა
შემაკრობს, შემეშინდება...
შვილისა შენის შენობა
შენდება, შალაშინდება.
26. ჩამოდი ჩემთან ჩელტებად
ჩავლობავ ჩერო-ჩალასა,
ჩამოჯექ, ჩონგურს ჩამოჰკრავ,
ჩავტირებ ჩემსა ჩარასა.
27. ცალ ცერზე ცეკვავს ცანგალა,
ცხოვრებას ცეხვავს ცერითა,
ცოლს ცრემლი ცვივა, ცარგვალი
ცვლება ცოდვილის ცქერითა.
28. ძნელია, ძნელზე ძნელია,
ცეკვა ძოდისა ძირისა,
ძაგება ძველი ძოდისა,
ძებნა ძოწისა ძვირისა.

29. წაგახდენს წყევლა-წუწუნი
წინასწარ წეწვა წვერისა,
წამოდექ, წერას წამოჰყევ
წაღდის წინ წაწვდილ წვერისას!

30. ჭერი ჭრიალებს, ჭირი ჭირს –
ჭალებში ჭენება ჭილ-ჭვაევი;
ჭრაქს ჭვარტლი ჭმუნავს, ჭარი – ჭურს,
ჭას – ჭონჭყვი, ჭალაკს ჭინჭარი.

31 ხარს ხედნი, ხშირსა ხრიოს ხნავ,
ხალისით ხარობ ხვალისა,
ხან ხეირია ხარკის ხდა,
ხანაც ხამს ხმარა ხმალისა.

32. ჯერია-ჯავრი ჯანყდება
ჯანღდება, ჯაბნის ჯაბანსა,
ჯვარედელ ჯარი ჯარდება,
ჯავრობს ჯვარცმულის ჯაფასა.

33. ჰა, ჰუნე! ჰკარი ჰოროლი!
ჰკაფე ჰარამი ჰარმისა!
ჰაეროვნისა ჰორელი
ჰპოვე ჰამბარად ჰავისა.

* * *

როცა მიხვდები რა გსურს,
როცა მიაღწევ მიზანს,
როცა შვილს ნახავ ზრდასრულს,
როცა ოჯახი გზიზნავს,
როცა შენდობას შესძლებ,
როცა გაუგებ ყველას,
როცა არავის ეძებ,
როცა არ ითხოვ შეველას,
როცა ვერ გაფრთხობს წნევა,
როცა კნინდება ჟინი,
როცა დინჯდება ქცევა,
როცა გულს ჯაბნის ტვინი,
როცა არ გახსოვს შიში,
როცაარ გერჩის ცოლი,
როცა ვერ ილხენ ლხინში,
როცა აღარ გყავს ტოლი,
როცა უაზროდ ხვწეში,
როცა ბუტბუტებ შენთვის,
როცა ხმალს ვერ ფლობ ხელში,
როცა ცრემლს ცრემლი ერთვის,
როცა ელვის დროს არ თრთი,
როცა თვალს არ გტკენს მტკერი,
როცა მტრისა გაქვს ხათრი,
როცა არ გებრძვის მტერი,
როცა ჭერამი ყვავის,
როცა ჯერ ნაზი რტოა...
სანამ გაიგებ ჩხავილს,
იქნებ წახვიდე დროა?!

ნიკო გომელაური

* * *

ცა
მზე
გზა
ზღვა
მთა
კლდე
ქვა
ტყე
შენ ბზა
შენ ფრთა
შენ ხმა
მე ტყვე
ტბა
ხე
ჭა
რძე
თმა
ლა
ძმა
ბე
შენ ბზა
შენ ფრთა
შენ ხმა
მე ტყვე
აქ ბრბო
აქ ხბო
აქ ბუ
აქ სმა
აქ რქა
აქ რკო
აქ თხა
აქ ფხა
აქ ხენა
აქ წვრთნა

აქ კვლა
აქ რყვნა
შენ ბზა
შენ ფრთა
შენ ხმა
მე ხსნა

ცა, მზე, გზა, ზღვა, მთა, კლდე, ქვა, ტყე...
შენ ბზა, შენ ფრთა, შენ ხმა, მე ტყვე...

* * *

ან
ბან
გან
ღონ
ენ
ვინ
ზენ
თან

ისე ძლიერ მინდა თქვენთან, რომ

ღო
რე
მი
ფა
სოლ
ლა
სის

თითქოს დაეკარგა ფასი...

ან
ბან
გან
ღონ
რე
მი
ფა
სოლ

გთხოვ ეს შერწყმა შემიფასო...

* * *

– როგორი ცაა?
– როგორიცაა!
სადაც
ცა ცაა,
და აღარაცაა...
ავა ცა მტვერად,
გააცამტვერებს
ავადმყოფ ნაცარს ...
ღმერთების საცავს,
სიზმრებით დაცრის...
და ციდან ცარცის,
ჩამოყრის ნარცისს ...

...

მერე ამ ზამთარს
ყვავილებივით მოგიტან სახლში.

...

შენ მეკითხები:
როგორი ცაა?
და მე გპასუხობ:
როგორიცაა!

* * *

შენობიდან შენობამდე
უშენობას ვაშენებდი
მანსოვს შენ რომ შემოდი და
შენ ობიდან დაიბადე
დაიბადე როგორც ბადე
იბადება ობობიდან
უშენობას ვაშენებდი
შენობამდე შენობიდან.

* * *

დავიღალე
დავი-ღალე
და-ვიღალე

დავილა-ლე
დავილალე
დავილა..
დავი...
და...
დავილლები თავიდან.

* * *

უცნაურია
ცის სინარცისე...
დღეს ლამაზია,
მაგრამ არც ისე...
მთვარემ არ იცის
მისი მისია
მაისის მზე, რომ
დედამისია..
ეს ვარსკვლავები
დო,
რე,
მი
სია...
და ეს ნოტები
ნეტავ ვისია?
ცის ის არ არის
ადამისია...
უცნაურია
ცის სინარცისე,
მაგრამ არც ისე.

ნეკი-ნეკისა ძილი ნებისა

ნეკი-ნეკისა,
შერიგებისა,
შენი თმებისა და
შენი მხრებისგან
შევიქმნები;
შენი ნების,
შენი კოცნის,
შენი ვნების
მოალერსე.
მოტრფიალე
მორიდების,
მოფრიალე,
შენი კაბის
ბოლოების.
მაგ ცრემლების –
გაყინული,
გალოკილი ლოლოების
მონატრების
მონა ვხდები...
და მე ვხვდები,
როგორ შვენის
შენი შეელის
ტანი, შვებას.
ცრემლი
შრება
და იშლება
მაგნოლია –
აივანი ამურების.
ქარი გამონაქროლია
შენი ნაზი ქალურობის...
და ისრების
ალესილი

ატმის სუნით
შენი სული
დაისვრება.
დაისს კრება
მოუწყვია
ვარსკვლავების,
შენს მკლავებზე
და ყველასგან
განსხვავებით
შენს თვალებზე,
სიზმრებს შლიან –
მაგნოლიებს
მორიდებით ამურები.
ნეკი-ნეკის,
ძილი ნების.

ბრძანება

უარეთ სინაზეს,
გაზაფხულს უარეთ;
ქალწულის კოცნაზე ნათქვამი უარით.
ნათენებ ღამეებს,
ყველაზე უარესს
დაფეთქილ კვირტებმა
მზით გადაუარეს.
უარეთ სამყაროს,
გარშემო უარეთ,
ყოველი დამჭკნარი ყვავილი უამეთ.
უარეთ გაზაფხულს,
ნაზამთრალს უარეთ:
ქალწულის კოცნაზე ნათქვამი უარით!..
ახარეთ ვარდები,
ბალები ახარეთ!
სიცოცხლე ყველაფერს
ნორჩი და ახალი.
ახარეთ მშობლები,

ტყუპები ახარეთ,
მერე იგალობეთ —
ცას ჭერი ახადეთ.
ღამეებს კოშმარის
ძაძები გახადეთ
და ისე დახატეთ
ყოველი ნათება
რომ ცისარტყელაში
გჯეროდეთ ახალი,
თვალთ არნახული
ფერი იბადება!
ახარეთ ვარდები,
ბაღები ახარეთ;
სიცოცხლე ყველაფერს
ნორჩი და ახალი!
იწამეთ უფალი,
სამოთხე იწამეთ;
გულებს ერთმანეთის,
განძვით იცავდეთ!
გჯეროდეთ მოყვასის
ზეციდან მიწამდე
და ათას ვარსკვლავში
ქართული იცანით.
სიცილი ისწავლეთ,
ტკივილში იცინეთ;
მზეში ჩაიძირეთ
ღამაზი ოცნებით.
იწამეთ უფალი,
სამოთხე იწამეთ —
ცა დასახლებული
სულ ანგელოზებით!...

* * *

დაგეძებ...

... და ღამეს ღამე ცვლის, ალიონს – აისი,
ღღისა ფერს – მზე.

დაგეძებ მთვარიან, დაგეძებ ღარიან,
დაგეძებ ღლითი ღღე.

დაგეძებ ნისლებში. ხევ-ხუვში, შარაზე...

დაგეძებ სანთლით წმიდა სანთლით.

დაგეძებ ცისმარე ღღე.

დაგეძებ ბილიკზე და გზაჯვარედინზე,

ნაშუალამევს, მამლის ყივილზე.

დაგეძებ ნაგვალავ, ჩამხმარ ბალახში,

ეთერში, და ქალის თვალეში ღიმილის წინ.

დაგეძებ ხელადის ყელიდან წამოსულ ღვინის სიცილში,

ვაზის ტირილში, უცრემლო ცრემლში

დაგეძებ...

დაგეძებ დედის გულში,

მამის გადაგდებულ, ძველ ნაბადის ქუდში,

ვადამი გადატეხილ მახვილში.

დაგეძებ: ციმციმა, მაყვალა, ცისფერ და

თაფლისფერ თვალეში.

დაგეძებ ჩემში და ყველაში:

მაენეში, ჯოჯოში, თვით უზენაეს ღმერთშიაც

დაგეძებ...

დაგეძებ შენში, თვით შენში დაგეძებ...

და კაცმა არ იცის სადა ხარ შენ.

სადაა შენი სავანე, შენი სამყო-თავშესაფარი.

დაგეძებ და არავინ იცის შენი გზა, ასავალ-დასავალი.

თვით შენ არ იცი შენი „შინ“.

და მაინც...

„ეძიებდე და ჰპოვებდე“-ო...

* * *

შენთან რომ მოვიდე, უნდა მომელოდე,
როგორც არავინ არასდროს.
შენთან რომ მოვიდე, შენთვის უჩემობა
ტანჯვა უნდა იყოს, კირთება.
ისე უნდა მელოდე, ისე სასოებით,
ყველაფერს უნდა ეწეროს ჩემი სახელი
ოქროს ასოებით.
ძილი არ უნდა გქონდეს და მოსვენება,
დღე უნდა ბნელოდეს ნათელი,
უჩემოდ არ უნდა იყოს დღის დამდამებელი
და – უსასრულო ღამის გამთევი.
უჩემოდ უნდა გჭირდეს უმადობა
და ცის ლაჟვარდი გეგონოს უსახო.
ჩემი სახელი მესმის თუ არ მესმის,
უნდა იძახო და იძახო.
ათასი გიძრახონ ჩემი სიყვარული,
შენ არ შეეღიო და იძრახო,
ყველაფერი რომ წაგართვან – წაირთვი,
ჩემი ხატი უნდა შეინახო.
მე უნდა ვიყო შენთვის აღდგომა,
უჩემოდ ხსნილი დაიმარხვო.
ჩემს გარდა ყველასთვის მწვერვალი უნდა იყო,
ხელი ვერ მოგიწვდინონ, ვერ გახლონ.
ჩემს გარდა ვერავინ გაგაგონოს, ათასი გიხმონ და გიძახონ.
უჩემოდ, შენს თვალზე შემშრალი
ცრემლი ვერ ნახონ.
შენ უნდა იყო უჩემოდ ართვალი,
უმზეო ყვავილი, უსახო.
ჩემი გამოჩენა შენთვის უნდა იყოს
ცის გახსნა , ღვთის წყალობა.
შენთვის ჩემი ჩურჩული უნდა იყოს სირინოზების გალობა,
უჩემოდ ვერავის შეეძლოს შენი შველა და წამლობა.

უჩემოდ არაფერზე იოცნებო და მიზნად არაფერი დაისახო.
შენ ჩემთან ერთად უნდა იცოცხლო
და ჩემთან ერთად უნდა დაიმარხო.
არავინ, შენს გარდა, არ მიხმობდეს
მეტი წყურვილით და წადილით,
ვერავე შეძლოს გადაბირება
ვერარრა ვედრება-ქადილით.
უჩემოდ თუ დაცლილი ხარ და
ყელამდე სავსე ხარ – შენთან რომ ვარ,
თუ შენი ყველა გზა ჩემთან მოდის
და სხვა გზა არა გაქვს – შენთან მოვალ.

არანაირი ცის

არანაირი ცის
არანაირი ჰაერი, და გახსენება სხვის
არანაირი მსურს,
ცრის.
მოწყენილობამ ინება
ჩემში თავნება დინება,
დამეკანება ზმანებად და ნისლი მომეფინება
ცის.
ცა – ცარიელი რვეული,
ცა – თეთრეული ეული
მზის,
ჩამორღვეულა ძირს,
წვიმს.
შავეთის ღია კარი
ვნახე და ხელი ვკარი,
თვალი გავადე და მე
ტანზე გავიძრე ღამე
ძლივს,
წვიმს...

გათავისუფლებ

ჩემი ბაგისგან,
ჩემი ტანისგან,
ჩემი ხელისგან,
ჩემი მკლავისგან,
ჩემი მხრებისგან,
ჩემი თვალისგან,
ჩემი ფიქრისგან,
ჩემი წყენისგან,
სიძულვილისგან,
სიყვარულისგან,
ჩემი თავისგან —

შენი თავისკენ

გ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ !
არც არაფერი შენ არ გიქნია,
თითქოს ზაფხულის ღამემ არია,
ის რაც ოდესმე გამიფიქრია
და ის რაც მავნე რამ სიზმარია.
თითქოს „მოჭრილი“ თავიც გამისკდა,
გაითავისე ცა და ისუნთქე.

ყველაფრისგან და ჩემი თავისგან
შენი თავისკენ გათავისუფლებ.

მოშე იბნ ეზრა

I. დილა

იმღერე, ჩანგო, გარდაეგო მწუხრის ნიშანი,
ქარი მიმქრალია,
ღვარი — მიღვარული...

ცამან გარდმოსხა მედროშენი სინათლისანი,
ალამი მათ ჩვენსა ზედა;

ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ! ..

კვლავ გაბრწყინდება საქორწინო ქადა-ხშიადი,
ჰანგი სტვირისა აამღერებს ღელის შროშანებს,

ფრთებშეკეცილი ყორანივით
წავა წყვდიადი
და განთიადი ქედანივით შეიფრთოსანებს.

გალმა გარდავა მწუხრის მისანი,
სადმე ცის პირას ობლად მიჯდება,
მზე მიბრუნდება

ნაყირმიზალი
და ფიალებში ჩანარგიზდება.
მალე მიწყდება ბინდის თარეში,
დღე გადმოდგება ოქროს შვილდებით,
ს ე ბ ი ა !

...ჰა, სიხარულიც გარდამოიღებს, ცამან მოგვაგო მაღლი ულევი,
შეყრის ჟამია... მწლეო, მოიქეც,

კვლავ მოგვაწოდე სამწლეურები!
ცათა მნათობო, მიწყვი ნათობდე,
კვლავ ნანაობდეს ოქროს ჭველები, –
ცას აუყვები საგუმბათომდე,

მზის სამკვიდროებს შევემჭვერები.
როდის-სად მოხვალ, – ვკითხავ უჩუმრად, – შეუქთა ხარებას
ვისთვის მოიტანს!...

და გამენდობა ჩემი მიჯნური ცის იღუმალი სამკვიდროიდან.

მზე შემერთვება, შემეშველება, შეუქს გარდმოაფენს
დამზრალ ახოებს
და აამზევებს მისი მშვენება ჩემს ამღერებულ საზამბახოებს...

II. შუადღე

მიუყვება მწვერვალს მწყემსი, –
ძირი ელტვის თხემს...
ოქროცურვილ პალატებში,
სიყვარული თვლემს.

– სიყვარული თვლემს...

– სიყვარული თვლემს...

თვლემს სიყვარული... მთებზე სხივი თრთის, სხივში ბრწყინავენ
ოქროს სკივრები,

მე კი შენ გიმღერ მჩანგესავით,
 ისევ გესავ და
 გესატკივრები,
 მაგრამ ამაოდ: განიგანობს მოყურიადე,
 ყურად არ იღებს მღალადებლის უხმო გალობას....
 რისად განმელტვი, ჩემო მიჯნურო,
 მარქვი – რად არჩევ კიდევანობას?
 მომხედე, გესავ, ძველებურად მომემცინა:რე,
 უკვე ჟამია – ვანი სულისა შენი უშრეტი ცეცხლით შებურო..
 კვალად განმიხვენი კარიბჭენი თვალთა წინარე,
 რომ წამიერად შემოგხედო, ზეარსებულო!
 მო, მოწყალო, ყოვლადქებულო, კვლავ გარდმოაგდე შენი მწეობა,
 კვლავ განმარიდე მწუხრის ტყვეობა,
 მომეც ძალი და
 კეთილმძლეობა!
 კვლავ განმიბანე უცხო სინათლით ჩემი კოშკი თუ ჩემი ახორი,
 გესმის? – რას გიმღერს გუნდი მნათობთა,
 რას გიგალობენ ზოლიაქონი:
 სებიაო,
 სებიაო,
 გაღმა ბნელი ვზებიაო!..
 მოგირთვია სხვათა მდელი,
 მოგინარგისებიაო,
 მოგინარგისებიაო,
 ს ე ბ ი ა ! ..
 ... ისევ ელტვის მწერვალს მწყემსი, –
 ძირი უხმობს თხემს...
 სიყვარულის დარბაზებში
 ნანდაური თვლემს,
 ნანდაური თვლემს...
 ნანდაური თვლემს...
 ...რატომ გამირბი, ჩემო მიჯნურო, მარქვი, – რად არჩევ
 კიდევანობას?..
 ცის სამკვიდროებს განეთვისებე,

ხან გადმოდგები, კათხას ამივსებ სიხარულის და ცრემლის
ნაზავით

და ძილბურანში ზეგარდმოულ ძალთა წყალობას
მოალივლივებ ნათლიერის გალობასავით...

... საით განმელტვი, ბედის ვარსკვლავო, მარქვი, – სად
არჩევ კიდევანობას?..

ბრწყინავს, კვლავ ბრწყინავს უდაბნოში კარვის ნაკეცი,
შენ კი რად ამბობ –

გასრულდაო ჩვენი გართობა

და აღმოდებულ ზმანებათა სიხორშაკეში

ჩაინავლაო სიყვარულის იავარდობა:

„– გაფიცებ, სულო,

შენდა დამშთი ჩემდა საფიცრად,-

არ ამიმღერო ქანაანის თეთრი ვარდები,

ალარ დამიწნათ გვირგვინები,

ალარ დამიწნათ,

არ განმიღვიძოთ სიყვარული ამდილანდელი!...“

... ასე რად მელტვი, ჩემო მიჯნურო, მარქვი—რად არჩევ კიდევანობას!..

ისევ ცრემლით ვხმობ,

ჩოქზე ვეცემი,

ჯამზე ჯამსა ვცლი, ღვინოს – ღვინოზე,

გა, გარდმოიღე აზარფეშები,

მზის სასმურები გადმომილოცე.

თორემ ეტლი რბის, იწვის შუადღე, წამი წამს მისდევს,

ჯამიც იცლება.

სძალი ისევ თვლემს,

ისევ ძილქუშობს,

კვლავ ეძნელება გამოფხიზლება...

მოთქმით ვებტყვი:

– სებიაო,

ზღვათა გაღმა ზღვებიაო,

მოგიქარგავს სევდის სახლი,

მოგიდარბაზებიაო,

მოგიდარბაზებიაო,

ს ე ბ ი ა ! ..

– სები, სებია, – ვკითხავ თავიდან: თუ ივსებიან ჩვენი
კათხები,

კვლავ შემოვძახებ ძღვევის სიმღერას,

კვლავ სამიჯნუროდ შემოგადგები.

ღერო ღერწმისა უნდა გავთალო, ჩემო დარო და ჩემო
ავდარო,

რომ სიყვარულის საგალობლები

შენთვის შევკრა და

შევათავთავო.

რომ გავაბრწყინო ჩემი ტაროსი შენი კვესით თუ შენი
მკვესავით

და სიყვარულის საბაღნაროში

კვლავ შევიძღერო მებაღესავით,

მაღლე გაუწყებს ჩემი გალობა, რომ შენმიერი ჰანგი შემესმა,

რომ სამუსიკოდ დამამწყალობა

ცის მუტრითაგან უპირველესმა.

მამინ... სად წახვალ, ჩემო მიჯნურო, მარჯი, – სად არჩევ კიდევანობს?..

ისევ აღმოვალს ნისლი დაბლობით,

ისევ იმღერენ ვაზის ღერწები,

ს ე ბ ი ა ! ...

კვლავ მწიფობისთვის ბაგეთაფლობით

მეაღერსები,

მეაღერსები,

ს ე ბ ი ა ! ..

თუმცა რას ხმობენ ბნელი ტვერები,

სული რად იგლოვს: ჩრდილში ვწევარო;.

ს ე ბ ი ა ! ..

კვლავ სვავრიელად დაიმტვენები,

ძუძუ-მტვევანო,

ძუძუ-მტვევანო,

ს ე ბ ი ა ! ..

კვლავ სიყვარულის მწყემსი იქნები, მზეს უმღერებენ შენი თიკნები,

ს ე ბ ი ა!..

კვლავ გაზაფხულის ენამზეობით

მომელიქნები, მომელიქნები,

ს ე ბ ი ა !..

მაგრამ... თუ კარი სიკეთისა გარდამიკეტე,

უკეთურის წილ

მოაკვდინე შენი მოკეთე,

თუ სიბნელის ქვეშ განძიფინე ყოვლის სიკეთე

და მორჩილის ვანს უსულგულოდ გადამოხედე,

თუ განთიადის სიწრფოება გამიშაფფერე,

ძალნი ღამისა შემომარტყი უცხო კრებულად, –

მაშინ, მუტრიბო,

ხელმეორედ სული შთაბერე

და საკრავივით ამაძღერე კვლავინდებურად!

კვლავ აღმიდგინე რწმენის ბურჯები, ამიხშიანე თიხის ჭურჭელი,

თუმცა.. რად შეგთხოვ: ჯერეთ ცოცხალ ვარ,

ჯერ – სინათლეში დავიძურწები.

ჯერეთ არ ყივის ჟამი უცები,

ჯერეთ არ ხმობენ ბნელი ქუჩები,

ს ე ბ ი ა ! ..

არც საღამოსის სახემქისობით

მეპირქეშები,

მეპირქეშები,

ს ე ბ ი ა ! ..

ჯერეთ აღმოღის ნისლი დაბლობით, ჯერეთ მღერიან ვაზის ლერწები,

ს ე ბ ი ა !

ჯერ მწიფობისთვის ბაგეთაფლობით

მეალერსები,

მეალერსები,

ს ე ბ ი ა !

მამ, აღმიტაცე, აღმა ვიაროთ, ელვა მოვტაცოთ მთებს და ფრიალით,

ს ე ბ ი ა !

და სიყვარულის საგალობლები

ავამზიანოთ... ავამზიანოთ,

ს ე ბ ი ა !

III. საღამო

აწ ფიქრითაა ჩაგმანული ცათა კარები,
თვალნი მთოვარისა —
ცრემლით მინამული...

აჰა, გარდმოსხდნენ საღამოს ალამდარები,
ალამი მათი ჩვენსა ზედა:
ს ი ნ ა ნ უ ლ ი !..

... ცაო დამსეტყვე,

ცაო, დამავსე,

დისკო მთვარისა ჯამში ქანაობს,
მწუხრის ჟამი ხმობს ჟამთა სამანზე
და მწუხარებაც თანისთანაობს.

ცამან გარდმოსხა შებინდების ალამდარები,
ალამი მათი ჩვენსა ზედა —

ს ი ნ ა ნ უ ლ ი !..

ცრემლის წვიმა წვიმს, ქარობა ქარცივი,

ქმნა სიკეთისა ვილას უფლიედ!

მზეს დაუცალეთ ოქროს ბარძიმი,

ცას —

ვარსკვლავები მიმოვუბნიეთ...

... ს ი ნ ა ნ უ ლ ი, გულო ჩემო, განშორების ს ი ნ ა ნ უ ლ ი!..

კვლავ შემოგარენს ბინდით მოიცავ, მტვრით აღივსება ჩვენი
კათხები,

შენც... ხარებაო ზეგარდმოსავ,

კვლავ განტყვებად გარე-გადგები.

კვლავ მოგაწვდიან მწუხრის ბარძიმებს, შიგ ჩაიცილება შენი სავსება,

მზეს შეაჟრჟოლებს,

შეაქარცივებს,

ცა —

მგლოვიარეს დაემსგავსება.

მეც გამინმობენ ზესთა დასები, აღარც სტავრა მწადს,
აღარც ზეზები,

კვლავ ჯვალოებით შევიფლასები

და უდაბნოში გავიხვეწები.

გავიხვეწები,

გავებლატები...

აბა რა ხელვეყრი – ფუჭად ვზრუნავდე!
გარდამონდება უცხო ნათელი
და ჩამიძიებს გულისგულამდე.
სუსხი მეწვევა სხივთა კვდომისთვის, ქსელს მომიქსელავს,
სასთველს მომისთვის

და განტევების გზაჯვარედინზე
კვლავ შემამზადებს უკუდგომისთვის.
აშლის ჩემს ფიქრებს,
ააქარავნებს,
ზე აღმიტაცებს ზესთა სავანე,
ყრუდ მივადგები ცათა გალავნებს
და ჩავიმუხლებ მისვლისთანავე...

ოთარ ჭილაძე

სექტემბერი

ჩემ წინ დაეცა ჭადრის ფოთოლი
გამოფიჭული და დაქანცული
და ზოოპარკის ცისფერ სკამებზე
ანთია სიცხის ანაბეჭდები.
– გინდა? გაჩუქებ.
თუმცა ამ ფოთოლს
ვინ გააჩერებს შენს გალიაში,
ან ვინ იფიქრებს, რომ ეს ფოთოლი
მე შემოგიგდე და არა ქარმა.
ქარს მხოლოდ მიაქვს.
ქარს სიტყვაც მიაქვს.
მაგრამ ხანდახან განგებ ატანენ,
რომ მოიშორონ სიტყვის სიმძიმე
და ქარს დაბრალებს ქარში ნათქვამი.
ქარი მოვარდა.
ქარმა მომაგნო.
ქარს გავეკიდე.

ქარის ბრალია.
ქართ დაღლილი ქარად ვიქცევი.
ქარო, როდემდე ვიქნები ასე?
მე მთელი ღამე სიტყვას ვეძებდი,
რომელსაც უნდა გადავერჩინე.
ის ცალკე იჯდა და იცინოდა,
მე კი მიყვარდა და ვბრაზდებოდი,
და ვრწმუნდებოდი, რომ ვერასოდეს
ვერ მოვნახავდი საჭირო სიტყვას.
და ყველაფერი გადაწყდა უცებ:
მან გაისწორა ლამაზი თმები.
ლამაზი კაბა...
და შემომხედა,
როგორც
ტურისტმა ცარიელ კედელს.
გათავდა?
თუმცა ამ სიტყვის გარდა
მე მქონდა გული,
გულიც და ვნებაც.
მან გაისწორა ლამაზი თმები...
ლამაზი მხრები... და გაიცინა:
გესმის? – გაწვიმდა
ხედავ? – გაწვიმდა.
მე მიყვარს წვიმა.
წვიმა და ფიქრი.
წვიმა და ფიქრი ჰგვანან ერთმანეთს,
წვიმა მოვიდა.
წვიმამ მომისწრო.
წვიმას წავყვები.
წვიმის წილი ვარ. წვიმით ავივსე.
წვიმად ვიქცევი.
წვიმავ,
როდემდის ვიქნები ასე?
წვიმა კი მოდის
და ძირს ჩამოაქვს ხმელი ფოთლები,
ფოთლებს ჩამოაქვთ ხის ოცნებები,

ხის სურვილები და იმელები,
და ტოტებს შორის,
დიდი ხნის მერე.
ისევ გამოჩნდა თეთრი ქალაქი,
აღამიანთა თავშესაფარი,
თეთრი ქალაქი გამოჩნდა ისევ.
ამასობაში გადილო კიდეც
და შემოდგომის მზე ამოვიდა
და შემოდგომის მზე გალიებში
კვლავ შემოცვივდა ოქროს ფოთლებად.
შეინარჩუნე, თუ შეგიძლია,
ნაწილი მაინც შეინარჩუნე,
რადგან უმზეოდ გაგიჭირდება,
გაგიჭირდება,
გაგიჭირდება...
მზე ამოვიდა.
მზემ გამაბრუა.
მზეს შევეფარე.
მზის იმედი მაქვს.
მზით გავთამამდი.
მზედ მინდა ვიქცე,
მზეო,
ნურასოდეს ნუ წახვალ ჩემგან!
მზე ყველას უნდა და ყველას უჭირს
მისი გაყოფა და დარიგება,
რადგან ყველაფერს ადვილად ვიტანთ,
როცა სხეული მზითაა სავსე.
ქალმა, რომელიც მიყვარდა ძლიერ,
როგორც მებადურს უყვარს მდინარე,
მდინარეს – ფიქრი,
ფიქრს კი ღუმილი,
ღუმილს – ხმაური
და ხმაურს სივრცე...
დიდხანს უცადა იმ წყეულ სიტყვას,
უცადა დიდხანს და მოთმინებით,
მერე წამოდგა და შემომხედა,

როგორც ტურისტმა ცარიელ კედელს,
და აი, უკვე მზეც ამოსულა
და შემოდგომის მზე გალიებში
შემოცვენილა ოქროს ფოთლებად.
ზამთარი მოდის და სანამ დროა,
შეინარჩუნე ოქროს ფოთლები:
ზამთარში გულზე დაიფენ ხოლმე,
თაქვემ დაიდებ და განათდები.
მე კი მეყოფა, თუ შენს თვალებში
ვნახავ საოცრად პატარა მზეებს.
მზე ამოვდა.
მზემ გაგვაბრუა.
მზეს გავახსენდით.
მზის შვილები ვართ.
მზით მორთულები
მზედ უნდა ვიქცეთ.
მზეო, ნურასდროს ნუ წახვალ ჩვენგან!

სამეტყველო ხმა და მისი გავარჯიშება

ადამიანის სამეტყველო ხმის წარმოქმნა ბუნებრივი, ცოცხალი პროცესია. სრულყოფილი სახის სამეტყველო ხმის თვისებებია; სასიამოვნო ტემბრი, მოქნილობა და ძალდაუტანლობა, დიდი დიაპაზონი, გამძლეობა, ძლიერება და სიწმინდე. ასეთი სახის მონაცემები ხშირად ადამიანს ბუნებისგან აქვს ბოძებული, მაგრამ პროფესიული თვალსაზრისით აუცილებელია მისი გავარჯიშება, რათა ძლიერი დატვირთვის შედეგად მან არ დაკარგოს ზემოთ ჩამოთვლილი თვისებები. ხმას ხშირად ფიზიკური დატვირთვა აქვს. (ხშირი საჯარო გამოსვლები, სპექტაკლები, ყოველდღიური საეთერო გამოსვლები და ა. შ.). ამგვარ ვითარებაში ხმის მონაცემების შენარჩუნება შეუძლია მხოლოდ კარგად გაწვრთნილ და გავარჯიშებულ სამეტყველო აპარატს. სამეტყველო ხმის სავარჯიშოები გამიზნულია მეტყველების რეფლექტორული ჩვევის გამომუშავებისათვის, თავისუფალი, მჟღერი სასიამოვნო ტემბრის, ძლიერი და მოქნილი ხმის ჩამოყალიბებისათვის, საფონაციო სუნთქვის სისტემაზე დაყრდნობით.

ხშირად არასაკმარისად გავარჯიშებული ხმის შემთხვევაში ვხვდებით პროფესიულ ნაკლოვანებებს. ესენია: დახშული, ხრინწიანი, არაგამომსახველი ხმა, ხმის პატარა დიაპაზონი, განუვითარებელი დაბალი ან მაღალი რეგისტრი, დაჭიმული ყელისმიერი ხმა და ა. შ. ამის მიზეზი მრავალგვარია. პირველ რიგში ეს გამოწვეულია არასწორი რეჟიმით: თამბაქოს წევით, გაცივების შემდეგ ხმაზე დიდი დატვირთვით, ხმამაღალი სიმღერითა და ყვირლით და ა. შ.

რაც შეეხება სუსტ, არც ისე ლამაზი ტემბრის ხმას, რეგულარული ვარჯიშის მეშვეობით შეიძლება ის გავაძლიეროთ, გავაფართოვოთ დიაპაზონი, ავაჟღეროთ რეზონატორები და ამით გავაუმჯობესოთ ტემბრი.

ხმის სწორი შემართვისა და ჩამოყალიბების საქმეში დიდ როლს თამაშობს შიდა და საარტიკულაციო ორგანოები (ხანა, რბილი სასა, ნაწილობრივ ენის ძირი). შიდა საარტიკულაციო სავარჯიშოების სწორი წარმართვის შემთხვევაში აქტიურდება ხანისა დარბილი სასის კუნთები, აქედან გამომდინარე, დაძაბულობისაგან თავისუფლდება ენა, ქვედა ყბა, ტუჩები, სახმო სიმები და კისრის კუნთები.

შიდა საარტიკულაციო სავარჯიშოები

- 1) გადმოვხაროთ თავი წინ და შევეცადოთ გავხსნათ მთქნარების პოზიცია. გავიმეოროთ 5-ჯერ.
- 2) ჩავრგოთ კისერი აწეულ მხრებში და გავხსნათ მთქნარების პოზიცია. გავიმეოროთ 5-ჯერ.
- 3) გადავკიდოთ თავი უკან, გავხსნათ პირი და ჩავატაროთ ყელში წყლის გამოვლების იმიტაცია უხმოდ. გავიმეოროთ 5-ჯერ.
- 4) ნელ რიტმში წარმოვთქვთ კ და გ თანხმოვნები რამდენჯერმე. შემდეგ ნელა დავატრიალოთ თავი წრიული მოძრაობით და თითქმის გაუხსნელი პირით წარმოვთქვათ ხმოვნები ი-ე-ა-ო-უ. ხმოვნები წარმოითქმის მთქნარების პოზიციაზე.
- 5) ჩავრგოთ კისერი აწეულ მხრებში („მსხვილი კისერი“) და წარმოვთქვათ ერთმარცვლიანი სიტყვები: გზა, ბზა, ძნა, ტბა, ყბა, თმა, ხმა... ამ დროს იხსნება კისრის კუნთების დაჭიმულობა.
- 6) ვატრიალოთ თავი წრიული მოძრაობით და გაბმულად წარმოვთქვათ თანხმოვნები მმმ-ნნნ-ლლლლ-რრრრ. შემდეგ სიტყვები: მამა, გამა, კამა, დანა, ნანა, სასა...

ქვედა ყბის დაჭიმულობის მოხსნა

- 1) მარჯვენა ხელით დავიჭიროთ, დავაფიქსიროთ ქვედა ყბა, მარცხენა ხელისგული დავიდოთ კისერზე. წარმოვთქვათ ხმოვანი ა. წარმოითქმის დროს ორივე ხელით ნაზად დავაწვეთ კისერს. სავარჯიშო გავიმეოროთ 8-10-ჯერ. (ნახ. 36)
- 2) მარჯვენა ხელის ცერა თითი დავაჭიროთ ქვედა ყბის შუა წერტილს. ხოლო მომუჭული მუშტი დავაფიქსიროთ გულმკერდის ძვალზე. წარმოვთქვათ ერთმარცვლიანი სიტყვები: გზა, ბზა, მზა, ძნა, ტბა, ყბა, თმა, ხმა, ცა, მკა, მთა, ფრთა, ზრდა, ზღვა, ზმნა, ყრმა და გავხსნათ პირი სიმაღლეზე.
- 3) მჭიდროდ ჩაკეპტოთ ყბები და წარმოვთქვათ „ბი-ბე-ბა-ბო-ბუ“ ტუჩების ოდნავი მოძრაობით. შემდეგ გავხსნათ პირი და ეს ბგერათკომპლექსი წარმოვთქვათ ჩვეულებრივ.
მეცნიერები დიდი ხანია იკვლევენ ხმის წარმოთქმის მექანიზმს. უფრო და უფრო ღრმავდებიან ადამიანის სახმო-სამეტყველო აპარატის საიდუმლოებებში.

მე-19 საუკუნის შუა წლებში წარმოიშვა ფონაციის მიოელასტიკური თეორია, რომლის მიხედვით მბგერავი იოგების რხევა წარმოიქმნება სასუნთქი აპარატის ან მოწოდებული ჰაერისა და იოგების ელასტიკურობის შედეგად. პედაგოგები ამ თეორიაზე დაყრდნობით ქმნიდნენ ხმის აღზრდის შესაფერის მეთოდოლოგიას. მაგ: ვოლკონსკი, სერიოჟანიკოვი, სარიჩევა. ამ თეორიით განიმარტებოდა ხმის წარმოქმნის მხოლოდ ფიზიკური მხარე და არაფერი იქმნებოდა მართვის ნერვულ მექანიზმზე.

სეჩენოვისა და პავლოვის ფიზიოლოგიური გამოკვლევების გამოჩენის შემდეგ, სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერებმა გადახედეს ტრადიციულ მიოელასტიკურ თეორიას. 1932 წელს მეცნიერმა – ფონიატორმა, ლ. რაბოტნიკოვმა და 1934 წელს ე. მალუტინმა დაამტკიცეს მჭიდრო კავშირი თავის ტვინსა და სახმო აპარატს შორის. ხოლო მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ფრანგმა მეცნიერმა იუსონმა ჩამოაყალიბა მბგერავი იოგების რხევის ახალი თეორია – ნეიროქრონაქსიული.

ამ თეორიის მიხედვით, ცენტრალური ნერვული სისტემიდან გამომდინარე შებრუნებული ნერვის მეშვეობით, გალიზიანების იმპულსების სიხშირე ზედმიწევნით შეესატყვისება ხორხში გამოცემული ძირითადი ტონის სიხშირეს.

ამ ორი თეორიის ჩამოყალიბების შემდეგ განვლო ოც წელზე მეტმა, მაგრამ კამათი ამ ორ თეორიის მიმდევართა შორის არ წყდებოდა. შემდეგ მეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ხმის წარმოქმნა განისაზღვრება ორი ერთდროულად მოქმედი მექანიზმის: მიოელასტიკურისა და ნეიროქრონაქსიულის – თანაარსებობით.

ასეთი დასკვნა უფრო შეესაბამება მეცნიერების დიალექტიკურ ბუნებას, ვიდრე ერთ-ერთი მექანიზმის ხელალებით უარყოფა.

მთავარი მოთხოვნა, რომელსაც ჩვენ ვუყენებთ სამეცნიერო ხმას, არის დიდი დიაპაზონი და სუფთა, სწორი ჟღერადობა ამ დიაპაზონზე. დიაპაზონი ეწოდება ბგერათა იმ რაოდენობას, რომელსაც სამეცნიერო ხმა იძლევა დაბალი ტონებიდან მართალ ტონებამდე. დიაპაზონი რეგისტრებისაგან შედგება. რეგისტრი ეწოდება სიმაღლის ნიშნით ახლო მდებარე ტონების ჯგუფს, რომლებიც ერთსა და იმავე რეზონატორში ძლიერდება. სამეცნიერო ხმაში განარჩევენ სამ ძირითად რეგისტრს: დაბალს ანუ გულ-მკერდის რეგისტრისას, შერეულს ანუ საშუალო რეგისტრისას და მაღალს ანუ თავის ქალის რეგისტრისას.

გულ-მკერდის ანუ დაბალი რეგისტრი მოიცავს სამეტყველო ხმის დაბალ ტონებს. დაბალ რეგისტრში დომინირებს გულ-მკერდის რეზონატორი. ამ რეგისტრში ბგერის წარმოთქმის დროს სახმო სიმები მრგვალი მოყვანილობისაა, დაჭიმულია, დახშულია, ისმის სავსე, ღრმა ხმა, გულის ფიცარი საგრძნობლად ვიბრირებს. (ამის შეგრძნება მკერდზე ხელის დადებითაც შეიძლება).

საშუალო რეგისტრი შედგება საშუალო ჟღერადობის ბგერებისაგან. სამეტყველო ხმაში შერეული რეგისტრი ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს. სახმო სიმები დამრგვალებულ ფორმას თანდათან ბრტყელზე ცვლიან. ამ რეგისტრში ხმის ჟღერადობა უფრო ძლიერია, ვიდრე დაბალ და მაღალ რეგისტრებში.

მაღალი რეგისტრი შედგება მაღალი ჟღერადობის ტონების ჯგუფებისაგან და მასში დომინირებს თავის ქალის რეზონატორები. მაღალი რეგისტრის ბგერების დროს სახმო სიმები ბრტყელდება. ხმა თითქოს თავში ისმის, თავის ქალა ვიბრირებს, ხმა წვრილდება. თავის ქალის ვიბრაციას შევიგრძნობთ შუბლზე, თავზე ხელის დადებით.

სამეტყველო აპარატის რეზონატორებში (ხორხის, ხახის, პირისა და ცხვირის ღრუები) ხდება ხმის გაზრდა, გაძლიერება და ტემბრალური იერის ბგერად ჩამოყალიბება. არც ერთი სარეზონანსო ღრუ არ მოქმედებს სხვებისაგან დამოუკიდებლად, მაგრამ ცალკეული სარეზონანსო ღრუს აქტიური მოქმედება ხმას სპეციფიკურ იერს აძლევს. ხახში ძირითადად დაბალი ტონების გაძლიერება ხდება. პირის რეზონატორების სწორად გამოყენებისას, სამივე რეგისტრი სასიამოვნოდ ჟღერს. ცხვირის ღრუებში კი მაღალი რეგისტრის ჟღერადობას შევიგრძნობთ.

ხმა რეზონატორში თავისუფლად და ძლიერად ჟღერს, და ოპტიმალურ რეზონანს ალწევს, როდესაც სამეტყველო აპარატის ძირითადი რეზონატორები თავისუფალნი არიან ზედმეტი კუნთური დაჭიმულობისაგან. არსებობს მთელი რიგი სავარჯიშოებისა, რომელთა საშუალებით ხმა რეზონატორებში მოიზიდება.

1) შუა და საჩვენებელ თითებს შორის მოთავსებული ხელის მტევნით დავახშოთ ნახევრად გაღებული პირის ღრუ. ბავებში გადავაჭლოთ თითებს შუა ნაოჭს. წარმოვთქვათ თანხმოვანი „მ“ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. შემდეგ ჩამოვწიოთ ხელი და წარმოვთქვათ ლექსის ერთი კუბლეტი (ნახ. 37).

- 2) ნახევრად გაღებული პირის ღრუ დავახშოთ გახსნილი მტევნის საჩვენებელი და ცერა თითებს შორისი არეთი. შევეცადოთ წარმოვთქვათ ტექსტი დიდი რაოდენობის სმულ-მსკლომი ბგერებით ან ბგერათ კომპლექსები (ბდგი-პტკი-ფთქი, ბდგე-პტკე-ფთქე, ბდგა-პტკა-ფთქა, ბდგო-პტკო-ფთქო, ბდგუ-პტკუ-ფთქუ. ანდა ჩემი ბალის მწვანელი: პრასა, ბოლოკი, პიტნა, ტარხუნა. თუკი მე მეპრას-მებოლოკ-მეპიტნატარხუნება, რატომ შენ არ გეპრას-გებოლოკ-გეპიტნატარხუნება). შემდეგ ჩამოვწიოთ ხელი და გავიმეოროთ იგივე ტექსტი. ეს სავარჯიშოები ავითარებენ გულ-მკერდის რეზონატორის ანუ დაბალი ჟღერადობის შეგრძნებას. (ნახ.38).
- 3) გაშლილი ხელის გულით დავახშოთ ცხვირის ნესტოები. დავტოვოთ მცირედი სივრცე ჰაერისათვის. წარმოვთქვათ ლექსის ერთი კუბლეტი. (ნახ. 39).
- 4) დავახშოთ ხელის გულით პირი და თითებით ნესტოები. შევეცადოთ წარმოვთქვათ თანხმოვანი ბგერა „მ“. შემდეგ ჩამოვუშვათ ხელი და წარმოვთქვათ ენის გასატენი: „ნიორი ნანიორალში, რიონი ნარიონალში“. (ნახ.40). ეს სავარჯიშოები ავითარებენ მაღალი ანუ თავის ქალის რეზონატორის ჟღერადობის შეგრძნებას.
- 5) გაშლილი ხელის გული დავიჭიროთ პირთან ერთი სანტიმეტრის დაშორებით და უხმო არტიკულაციით (ხმის ჩართვის გარეშე) წარმოვთქვათ ი-ე-ა-ო-უ ხმოვნები. უკან დაბრუნებული თბილი ჰაერი ათბობს სახმო სიმებს.
- 6) ენის გასატენი „სამი სასაწნახელე ხე“, წარმოვთქვათ შემდეგნაირად: თანხმოვნები ხმამაღლა, ხოლო ხმოვნები უხმო არტიკულაციით და პირიქით. ამ სავარჯიშოს ეწოდება „მინდა თქმა და ვერ ვამბობ“. თანხმოვნები წარმოითქმება ხმამაღლა, დაძაბულობის გარეშე, მოწყვეტით, ხოლო ხმოვნები კი გაბმულად, თბილ ამოსუნთქვაზე. ცხვირით სუნთქვას ვამატებთ საჭიროების მიხედვით. შემდეგ წარმოთქმულ ფრაზას ვიმეორებთ ჩვეულებრივად, ძლიერ ხმაზე.
იმისათვის რომ დამოუკიდებლად შევამოწმოთ და მოვისმინოთ საკუთარი ხმის ჟღერადობა, რეგისტრებში ჩავატაროთ შემდეგი ვარჯიშები:

- 1) დაბალი რეგისტრის შემოწმება ხდება შემდეგნაირად: გაშლილი ხელის გულების დახმარებით წამოვწიოთ (მოკვეცოთ) ყურები

წინ და წარმოვთქვით კუპლეტი „ვეფხისტყაოსნიდან“ (სასურველია ტექსტში ჭარბობდეს ა ხმოვანი.) დაუვადოთ ყური საკუთარ ხმას და შევიგრძნოთ დაბალ რეგისტრში ხმის ჟღერადობა.

- 2) მაღალი რეგისტრის შემოწმება ხდება შემდეგნაირად: სახისა და ყურის გადაბმის ადგილას ავიფაროთ გაშლილი ხელის გული ყურისკენ მიმართულებით. შევქმნათ ხელოვნური კედელი სახესა და ყურებს შუა. წარმოვთქვათ იგივე ტექსტი და შევიგრძნოთ მაღალ რეგისტრში ხმის ჟღერადობა.
- 3) საშუალო (შერეული) რეგისტრის შემოწმება კი ხდება ამგვარად: ყურის ბიბილოსა და ქვედა ყბის გასაყარზე მივაბჯინოთ გაშლილი ხელის მტევანი ხელის გულებით შიგნით ისე, რომ საფეთქელსა და გაშლილ თითებს შუა მანძილი 3-4 სმ იყოს. წარმოვთქვათ იგივე ტექსტი და შევიგრძნოთ საშუალო რეგისტრში ხმის ჟღერადობა.

ხმის დიაპაზონის, სიძლიერისა და კეთილხმოვნების გამოსამუშავებელი სავარჯიშოები

მთავარი თვისებები, რომელთა გარეშე სამეტყველო ხმა სრულფასოვნად არ ჩაითვლება არის:

- 1) ხმის ამტანობა – ხმის თვისება, როდესაც იგი უძლებს დიდ და რთულ დატვირთვას.
- 2) ხმის წარმართვა (გაგზავნა) – როდესაც ხმას აქვს უნარი გაახმოვანოს ყველანაირი ზომის მაყურებელთა დარბაზები და თუ საჭიროა, გადალახოს ცუდი აკუსტიკური პირობები ისე, რომ არ დაკარგოს ტემბრალური კეთილხმოვანება.
- 3) ღიდი დიაპაზონი – მაქსიმალურად დაბალი რეგისტრიდან მაქსიმალურ მაღალ რეგისტრამდე.
- 4) ღინამიკური დიაპაზონი – ხმის თვისება თავისუფლად ისარგებლოს ხმის დიაპაზონით (მაქსიმალური ფორტედან მაქსიმალურ პიანომდე).
- 5) ტემბრის კეთილხმოვანება – ერთნაირი ტემბრალური ხმოვანების შენარჩუნება მთელ დიაპაზონზე.
- 6) მოძრავი ტემბრი – ხმის ტემბრალური ფერების – ობერტონების ფართო გამის გამოყენება მეტყველების დროს.

7) მოძრავი ტემპო-რიტმი – მეტყველების ტემპო-რიტმული ცვალებადობა.

სავარჯიშო 1.

ვიპოვოთ ხმის საშუალო ტონი და წარმოვთქვათ სავარჯიშო ლექსის ერთი ტაეპი, შემდეგ თანდათან ნახევარი ტონის მონაცვლეობით ხმა დავწიოთ ქვევით, ვიდრე არ მივალწევთ უდაბლეს ტონს. ყოველი ნახევარი ტონით მაღლა ცვლაზე წარმოვთქვათ ლექსის მომდევნო ტაეპი.

სავარჯიშო 2.

ვიპოვოთ ხმის საშუალო ტონი და წარმოვთქვათ სავარჯიშო ლექსის ერთი ტაეპი, შემდეგ ქრომატიული გამის წესით ავწიოთ ხმა, სანამ არ მივალწევთ ხმის ყველაზე მაღალ დონეს. ყოველი ნახევარი ტონით მაღლა ცვლაზე წარმოვთქვათ ლექსის მომდევნო ტაეპი.

სავარჯიშო 3.

პირველი სავარჯიშოს მსგავსად, ვადაბლებთ ხმას სავარჯიშო ლექსის წამღერებით. წამღერება არ ნიშნავს სიმღერას, ის უფრო ჰგავს რეჩიტატივს.

სავარჯიშო 4.

ვიმეორებთ მე-2 სავარჯიშოს წამღერებით.
ამ სავარჯიშოთა სქემა ასე გამოიყურება:

სამედიცინო რეგისტრაციის დაცვა სვლა

რამდენიმე იანაპორ ფრანკო-სტრუქტურა ანაბრელო

- არაბეთის გასცა ბრძანება დიდმან არაბთა მფლობელმან;
 - „თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან;
 - „მან განანათლენეს ყოველნი, ვით მზემან მანათობელმან.
 - მოდიოთ და ნახეთ ყოველმან შემსხმელმან, შემამკობელმან!“
 - მოვიდეს სრულნი არაბნი, ჯარი გამრავლდა ხასისა:
 - ავთანდილ პირ-მზე, სპასპეტი ლაშქრისა ბევრ-ათასისა,
 - ვაზირი სოგრატ, მოახლე მეფისა დასთა დასისა;
 - მათ რომე დადგეს საჯდომი, თქვეს: „უთქმელია ფასისა!“
-
- თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
 - დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,
 - მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.
 - ქალი მზეებრ სჭვრეტს ყოველთა ცნობითა ზე-მხედველითა.
 - უკუდგეს და თაყვანი-სცეს მეფემან და მისთა სპათა,
 - დალოცეს და მეფედ დასვეს, ქება უთხრეს სხვაგნით სხვათა,
 - ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკობდეს მათთა ხმათა,
 - ქალი ტირს და ცრემლსა აფრქვევს, ჰხრის ყორნისა
- ბოლო ფრთათა.

სავარჯიშო 5.

მაქსიმალურად დაბალი ტონალობიდან ქრომატიული გამის სქემით ავწიოთ ხმა მაქსიმალურად მაღალ ტონალობამდე ჯერ წამღერებით, ხოლო შემდეგ თქმით.

სავარჯიშო 6.

ქრომატიული გამის სქემით დავწიოთ ხმა მაქსიმალურად მაღალი ტონალობიდან – დაბალ ტონალობამდე ჯერ წამღერებით, შემდეგ თქმით.

სავარჯიშო 7.

ავამაღლოთ და დავადაბლოთ ხმა წამღერებისა და თქმის მონაცვლეობით. ყურადღება მივაქციოთ ხმის ჟღერადობის სისუფთავეს რეგისტრაციიდან რეგისტრში გადასვლის დროს.

სავარჯიშო 8.

ავამაღლოთ ხმა მთელ დიაპაზონზე არა ლექსის ტაეპის გატანით, არამედ სიტყვების მონაცვლეობით. ჯერ წამღერებით ნელ რიტმში, შემდეგ თქმით ნელ რიტმში.

სავარჯიშო 9.


გავიმეოროთ იგივე მაღალი რეგისტრიდან დაბალ რეგისტრამდე.

სავარჯიშო 10.

ავამაღლოთ ხმა სიტყვების წამღერებით, ხოლო დავადაბლოთ თქმით.

სავარჯიშო 11.

ავამაღლოთ ხმა სიტყვების თქმით, ხოლო დავადაბლოთ წამღერებით.



ზემოთ მოცემული სავარჯიშოების საშუალებით შეგვიძლია დავადგინოთ ჩვენი ხმის დიაპაზონი ნახევარი ტონების თანდათანობითი მომატებით მაღალ და დაბალ რეგისტრებში. სავარჯიშოები ხელს უწყობს სამეტყველო სმენის განვითარებას.

სავარჯიშოები მოძრავი ტემპო-რიტმის გამოსამუშავებლად

სავარჯიშო 1.

ხმის ამღლებსა და დადაბლების დროს ლექსის ერთი ტაეპი წავიმღეროთ ძალიან ნელ ტემპში, ხოლო შემდეგ ორი ან სამი ტაეპი იმავე ტონალობაში წავიმღეროთ ძალიან სწრაფ რიტმში ერთ სუნთქვაზე. სავარჯიშო შევასრულოთ ხმის მთელ დიაპაზონზე.

სავარჯიშო 2.

გავიმეოროთ იგივე თქმით.

სავარჯიშო 3.

ხმის ამღლებს დროს წამღერებით, ყოველი ტაეპის მონაცვლეობასთან ერთად მოვუმატოთ ტემპს. დადაბლების დროს კი თანდათანობით შევანელოთ ტემპი.

სავარჯიშო 4.

გავიმეოროთ იგივე თქმით.

სავარჯიშო 5.

ხმის დადაბლებისა და ამღლების დროს, წამღერებით ვცვალოთ ტემპი თვითონ ტაეპში. ე. ი. დავიწყოთ ნელი ტემპით და ტაეპის შუაში ავაჩქაროთ. შემდეგი ტაეპი დავიწყოთ სწრაფი ტემპით და ტაეპის შუაში შევანელოთ. სავარჯიშო შევასრულოთ ხმის მთელ დიაპაზონზე.

სავარჯიშო 6.

გავიმეოროთ იგივე თქმით.

სავარჯიშო 7.

ავამაღლოთ ხმა დაბალიდან მაღალ რეგისტრამდე სიტყვების მონაცვლეობით სწრაფ რიტმში. დავუმატოთ სუნთქვა და გავიმეოროთ იგივე მაღალიდან დაბალი რეგისტრისაკენ. სავარჯიშო შევასრულოთ წამღერებით და თქმით.

სავარჯიშო 8.

გავიმეოროთ იგივე, მხოლოდ სიტყვების მონაცვლეობასთან ერთად მოვუმატოთ ტემპს და პირუკუ – შევანელოთ ტემპი.

სავარჯიშო 9.

ავამაღლოთ ხმა დაბალიდან მაღალ რეგისტრამდე ტაეპების მონაცვლეობით, ხოლო დავადაბლოთ სიტყვების მონაცვლეობით.

სავარჯიშოები ხმის სიძლიერისა და სიმსუბუქის გამოსაშუშავებლად

სავარჯიშო 1.

წამლერებით ხმის ამაღლება=დადაბლებასთან ერთად მივუმატოთ და შევასუსტოთ ხმის სიძლიერე. საჭიროა ისე გავანაწილოთ ჟღერადობის სიძლიერე, რომ ყველაზე ძლიერი ხმა მოვიდეს საშუალო რეგისტრში სავარჯიშო ლექსის 2-3 ტაეპზე. შემდგომ ამაღლებასთან ერთად ხმის სიძლიერე უნდა შესუსტდეს და ასე პირუკუ: მაღალი რეგისტრიდან უნდა დავიწყოთ შედარებით მსუბუქი სუსტი ხმით, გავაძლიეროთ საშუალო რეგისტრში, ხოლო დაბალ რეგისტრში ჩამოსვლის დროს დავუკლოთ ხმის სიძლიერეს.

სავარჯიშო 2.

გავიმეოროთ იგივე თქმით.

სავარჯიშო 3.

გავიმეოროთ იგივე სავარჯიშო მთელს დიაპაზონზე, ოღონდ ხმის სიძლიერის მომატება-დაკლება ვაწარმოოთ ტაეპის შიგნით. ძლიერი ჟღერადობიდან ჩურჩულისკენ და პირუკუ. სავარჯიშო შევასრულოთ ჯერ წამლერებით, შემდეგ თქმით.

სავარჯიშო 4.

გავიმეოროთ პირველი და მეორე სავარჯიშოები სიტყვების მონაცვლეობით.

აზრის გამოსატვის სამეცხველო საშუალებანი

„არ არის საკმარისი იმის ცოდნა, რაც უნდა ითქვას, აუცილებელია აგრეთვე ისე ითქვას, როგორც საჭიროა“ – არისტოტელე „რიტორიკა“.

ცხოვრებაში ხშირად ვხვდებით ადამიანებს, რომელთაც მრავალფეროვანი საშუალებები გააჩნიათ თავიანთი პოზიციების დასამტკიცებლად. მათი გამომსახველობითი საშუალებები ემოციურ ზემოქმედებას ახდენენ პარტნიორზე, მსმენელზე. ხოლო ზოგნი კი მოკლებულნი არიან ამ მრავალფეროვნებას და ვერც თავიანთი შეხედულების რეალიზებას ახდენენ. მსმენელთა დაჯერებისათვის და დარწმუნებისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ობიექტური ჭეშმარიტების გულგრილი ჩვენება, არამედ საჭიროა მისი ოსტატური გამოხატვა. ამაში „ცოცხალი“ სიტყვა გვეხმარება. „ცოცხალი“ სიტყვა არა მარტო გვიჩვენებს სინამდვილეს, არამედ გვაზიარებს მას. სიტყვა უნდა იყოს რაც შეიძლება უფრო დამაჯერებელი, ადვილად შესათვისებელი და დასამახსოვრებელი. რაოდენ მართალი და დამარწმუნებელიც არ უნდა იყოს სიტყვა, თუ ის მოკლებულია ოსტატურ შესრულებას, მსმენელისა და მაყურებლისთვის ბუნდოვანი და გაუგებარი რჩება. ოსტატური შესრულება კი თავის თავში მოიცავს მახვილი და ჭეშმარიტი აზრის ინტონაციური მრავალფეროვნებით მოწოდებას, გამართულ ტექნიკურ მხარეს, შესაფერის მიმიკასა და ექსპრესიულს.

ადამიანის ნებისმიერი ყოველგვარი საქმიანობა წარმოუდგენელია ურთიერთობების გარეშე. დრამატულ ხელოვნებაში, ტელე და რადიო ჟურნალისტიკაში, იურისპრუდენციაში და ა. შ. ურთიერთობების მთავარ საშუალებას მეტყველება, ცოცხალი სიტყვა წარმოადგენს. მოცემულ პირობებში, ადვილსა და დროში ის უნდა იქცეს დამარწმუნებელი აზრის გამოხატვის ძირითად გამომსახველობით საშუალებად. აზრს ადამიანი სიტყვით ეზიარება. სიტყვის ძირითადი ფუნქცია კი გაგებინება უნდა იყოს. მსმენელი ძალდატანების გარეშე უნდა მიხვდეს მეტყველების შინაარსს და მიიღოს მისი გამოხატვის ფორმები. ამიტომ აუცილებელია ვიცოდეთ, რისთვის ხდება მეტყველება და რანაირად სრულდება იგი. კითხვები – რა? როგორ? რისთვის? ყოველდღიურად მოითხოვს პასუხის გაცემას, რათა ჩვენი საქმიანობა გასაგები და ადვილად აღსაქმელი გახდეს.

მეტყველების კულტურა შეიძლება განვიხილოთ ორ ასპექტში. ერთი განისაზღვრება მეტყველების ტექნიკით (სუნთქვა, ხმა, დიქცია), მეორე კი მეტყველების ოსტატობით, მისი მხატვრული მხარით, მისი ინტონაციური სიმდიდრით. მეტყველების ამ ორ მხარეს შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება. ხმა და დიქცია არის ინტონაციური გამომსახველობის საფუძველი, მაგრამ ამავე დროს ისინი არ განსაზღვრავენ ინტონაციურ სიმდიდრეს. სუნთქვაზე, დიქციასა და ხმაზე მუშაობის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ეს მეტყველების სწავლების საწყისი ეტაპია, მისი ტექნოლოგიური მხარეა. მის გარეშე წარმოუდგენელია მეტყველების კულტურაზე საუბარი. ისინი მოსაუბრის საზოგადოებისადმი უპატივცემლობის, დაუდევრობის, გამსაზღვრელი ფაქტორებია. შემდეგი ეტაპი კი ინტონაციური გამომსახველობის, ანუ მხატვრული მრავალფეროვნების მიღწევა და ჩამოყალიბებაა. მეორე ეტაპი ორატორის ოსტატობის გამომხატველია.

ორატორის ოსტატობის აუცილებელი თვისებებია: ენის სიწმინდე, მსჯელობის სიცხადე და ლოგიკურობა, ენერგიულად გამომხატველი ინტონაცია, ემოციურობა, მოწესრიგებული მეტყველების ტექნიკა, რიტმის შეგრძნება.

მეტყველებაში აზრის ლოგიკური გამომხატვისა და ინტონაციური გამომსახველობის საშუალებებია: „პაუზა, რომელიც არსებითად მეტყველების რიტმის წევრია; მელოდია, ხმის ტონის მოძრაობა, ამალღება, დადაბლება; დინამიკა: ხმის გაძლიერება-შესუსტება; რიტმი: მეტყველების ელემენტების მოწესრიგება დროის განზომილებაში; ტემბრი: ხმის ელფერის ცვალებადობა; ტემპო: მეტყველების სინქარის ხარისხი“ /მ. მრეკლიშვილი „მხატვრული კითხვის ხელოვნება“/.

ინტონაციის ეს ძირითადი კომპონენტები, ერთი მხრივ, აწარმოებენ მეტყველების დანაწევრებას რიტმიკულ ჯგუფებად, სინტაგმებად, ფრაზებად და ა. შ., ხოლო მეორე მხრივ, ამ ერთეულების გაერთიანებას ახდენენ და წარმოიქმნება უწყვეტი ინტონაციური მთლიანობა, აზრის მთლიანობის შესაბამისად.

ინტონაციური მრავალფეროვნება მეტყველების ორგანული ელემენტია და იგი ბგერის საშუალებით ხორცილდება. წინადადებაში სიტყვათა სწორი გააზრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ინტონაციურ მონახაზს ანუ მის ელფერს.

ინტონაციის საშუალებით მეტყველებას შეიძლება სიტყვათა მნიშვნელობის საწინააღმდეგო აზრი მიეცეს. მისი საშუალებით

შესაძლებელია უხეში შინაარსისა და მნიშვნელობის სიტყვა, მოფერებით აჟღერდეს, უმნიშვნელო სიტყვა – მნიშვნელოვნად იქცეს.

ინტონაციური გამომსახველობისა და აზრის ლოგიკური გამოხატვის საშუალებებია: პაუზა, ლოგიკური მახვილი, ლოგიკური მეთოდოლოგია და პერსპექტივა.

პაუზა მეტყველებაში შეჩერებას ნიშნავს. პაუზები ერთმანეთისაგან ხანგრძლივობით განსხვავდებიან. ერთ წინადადებაში შესაძლებელია იყოს მცირე „ლუფტპაუზა“ და დიდი ხანგრძლივობის პაუზაც. პაუზა აზრის დასრულების დროს უფრო ხანგრძლივია, ვიდრე აზრის განვითარებისას. პაუზის ხანგრძლივობა დამოკიდებულია მეტყველების ტემპზეც. სწრაფად მეტყველების დროს მისი ხანგრძლივობა უფრო მოკლეა, ვიდრე აუჩქარებლად მეტყველების დროს.

ტექსტში მოცემული სასვენი ნიშნები, ზეპირსიტყვიერებაში პაუზის ადგილის და მისი ხანგრძლივობის მაჩვენებელია. წერტილი აზრის დამთავრებას ნიშნავს და ზეპირმეტყველებაში ხანგრძლივ პაუზას გულისხმობს. პაუზა, წერტილთან შედარებით, უფრო მცირე ზომისაა წერტილ-მძიმის, ორი წერტილისა და მრავალწერტილის შემთხვევაში. მძიმე – აზრის გაგრძელებაა და პაუზაც მცირე ხანგრძლივობისაა. ტირეს ზეპირმეტყველებაში პაუზა ენაცვლება. ძახილისა და კითხვის ნიშნის შემთხვევაში პაუზის ხანგრძლივობა, მძიმესთან შედარებით, უფრო მეტია.

სწორად დაცული პაუზა წინადადებაში ნათელს ხდის აზრს. პაუზის დროს ადამიანი ხშირად უხმოდ განაგრძობს აზროვნებას, ახდენს აზრის მოკრეფას. ნათქვამის შეფასებას, შემდეგი სათქმელის შერჩევას. პაუზის დროს ხშირია განწყობილებების ცვლა. უმართებულოდ ნახმარი პაუზა აზრს ანაწევრებს, გაუგებარს ხდის სათქმელს. ზოგჯერ შეიძლება შეცვალოს და დაამახინჯოს კიდევ იგი.

ფრაზაში სიტყვის საგანგებო გამოყოფას, ლოგიკური მახვილი ეწოდება. ენის კანონების თანახმად, ლოგიკური მახვილი წინადადებაში დაესმის გარკვეულ სიტყვას ან სიტყვათა ჯგუფს და ეს სიტყვა გამოიკვეთება ცოცხალ მეტყველებაში. ამ დროს არ იცვლება წინადადების აზრი, შინაარსი, მაგრამ იქმნება განსხვავებული ნიუანსი. ლოგიკური მახვილით გამოვყოფთ სიტყვას, რომელიც კონკრეტულ შემთხვევაში აზრობრივ ცენტრს წარმოადგენს. მრავალმახვილიანობა, ანუ ლოგიკური მახვილის

მრავლად, უაზროდ გამოყენება ტექსტს ანაწევრებს, გაუგებარს ხდის აზრს და მეტყველებას მონოტონურ, მანერულ ელფერს აძლევს. მრავალმახვილიანობა ერთ-ერთი თვალსაჩინო დარღვევაა ზეპირ მეტყველებაში. იგი ხშირად გვესმის ტელე ეკრანიდანაც და სცენიდანაც.

ლოგიკური მახვილის რეალიზაციაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს მეტყველების ტემპი. გამონათქვამში ნაკლებ მნიშვნელოვანი ნაწილები აჩქარებული ტემპით წარმოითქმის ისევე, როგორც, მთავარ წინადადებაში აჩქარებული ტემპით წარმოითქმის ჩანართი და დამოკიდებული წინადადებები – მაშინ როდესაც უფრო მნიშვნელოვანი სინტაგმები და სიტყვები შენელებული ტემპით წარმოითქმის. ამას ზეპირ მეტყველებაში ფრაზის გატანას ვუწოდებთ.

არჩევნ ლოგიკური მახვილის რამდენიმე სახეობას: ძლიერს, საშუალოსა და სუსტს. ერთ წინადადებაში შესაძლებელია რამდენიმე ლოგიკური მახვილი მოდიოდეს, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი ძლიერია, რადგან აზრის ყველაზე მნიშვნელოვან სათქმელს გამოყოფს.

მეტყველებაში აზრის განვითარების ტონალურ გამოხატვას ლოგიკური მელოდიკა ეწოდება. ყოველ ფრაზას გარკვეული მელოდიკური მონახაზი აქვს. მელოდიკასა და აზრს შორის მჭიდრო კავშირია: აზრი განაპირობებს მელოდიკას და პირუკუ, მელოდიკა = აზრს.

მაგალითად: „გარეთ ისევ წვიმს და ჯერ ადრეა!“

„გარეთ ისევ წვიმს? და ჯერ ადრეა?“

პირველ შემთხვევაში ვაწვდით კონკრეტულ ინფორმაციას და ტონის დაბლა დაშვება ხდება. ხოლო მეორე შემთხვევაში ვსვამთ კთხვას და ტონის მაღლა აწევა ხდება.

გავითვალისწინოთ, რომ ქართულში ლოგიკური მახვილი კითხვით წინადადებაში, არა წინადადების ბოლო სიტყვაზე, არამედ კითხვით სიტყვაზე მოდის.

მელოდიკური მონახაზის მიხედვით ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა აზრს იძენს. მაგ: სიტყვა „არა“ , რომლის მნიშვნელობა არის უარყოფა, შეიძლება გაცოცხლდეს სხვადასხვა მნიშვნელობით, შეასრულოს სხვადასხვა ამოცანა. კონკრეტულ შემთხვევაში ამ სიტყვით შეიძლება გამოვხატოთ თხოვნა, უარყოფა, გაფრთხილება, მოვიპოვოთ თანაგრძნობა და დახმარება, შევეცადოთ აღვადგინოთ

ან დავარდვიოთ ურთიერთობები. მაგ: „არა!“ „არა?“ „არა...არა...“
და ა. შ.

მელოდიკურ მონახაზში ტონის ცვალებადობა, ზევით და ქვევით, სწორხაზოვნად კი არ მიმდინარეობს, არამედ ტალღისებურად მიემართება. როდესაც ვამბობთ, რომ აზრის განვითარების დროს ტონი მალლა იწევს, ანდა დასრულების შემთხვევაში დაბლა ეშვებაო, ვგულისხმობთ ტონის ცვალებადობის ძირითად ხაზს, უამრავი ნიუანსის თანხლებით, ურომლისოდაც წარმოუდგენელია ცოცხალი მეტყველება.

მეტყველების დროს ყოველ ადამიანს კარგად უნდა ესმოდეს საკუთარი სათქმელის აზრი, რისთვის ამბობს ამა თუ იმ ფრაზას. როდესაც ვიწყებთ საუბარს, ვიცით, საით უნდა წარვმართოთ და რითი დავასრულოთ იგი. გადმოსაცემი აზრის პერსპექტივას, ლოგიკურ პერსპექტივას ვუწოდებთ. იგი მსმენელს ეხმარება თვალყური ადევნოს ძირითადი აზრის თანმიმდევრულ განვითარებას.

ლაპარაკი მხოლოდ სიტყვების სწორი წარმოთქმა არ არის, ილაპარაკო – ნიშნავს თქვა და მოისმინო. „მოსმენა პასუხის მომზადებას ნიშნავს. მომავალი სიტყვა ყურადღებიდან იბადება, ხოლო ყურადღება თავისთავად სხვისი სიტყვების ანაბეჭდია“ (ს. ვოლკონსკი). ხშირია შემთხვევები, როდესაც ვუსმენთ პარტნიორს, ოპონენტს, რესპონდენტს, მაგრამ არ გვესმის მისი. არ გვესმის იმიტომ, რომ მოსმენა „რეაქციას“ ნიშნავს. მოსმენის დროს უნდა მზადდებოდეს პასუხი.

ტელე-ჟურნალისტიკის პრაქტიკიდან ხშირია შემთხვევები, როდესაც ჟურნალისტი საკუთარი ტექსტის „ტყვეობაში“ იმყოფება. არადა, მსახიობისაგან განსხვავებით, მას ეკრანიდან საკუთარი ნააზრევის გაცოცხლება უხდება. მსახიობი ცდილობს ჩასწვდეს ავტორისეულ ტექსტს, დაწერილი სიტყვები მისთვის უცნობი, გაუგებარი დაცივია. მისი მიზანია ავტორისეული ჩანაფიქრის საიდუმლოთა ამოცნობა, რათა სცენაზე თუ ეკრანზე სიტყვებმა შეძლონ აღმოცენება ისე, როგორც ავტორს ჰქონდა ჩაფიქრებული. მსახიობის მუშაობა როლზე გამომძიებლის მუშაობას წააგავს. მაგრამ ტელე-ჟურნალისტს, იურისტს, პოლიტიკოსს ხომ გამოსაძიებელი არაფერი აქვს. ის საკუთარ ჩანაფიქრს, საკუთარ სიტყვებს აცოცხლებს მსმენელის წინაშე. მაშ რატომ ჭირს საკუთარი აზრის მიტანა აუდიტორიამდე, რატომ არის გამეფებული ერთფეროვნების, მრავალ მახვილიანობის, ურთიმობის ტენდენცია? საქმე ის არის, რომ

პროფესიული დაოსტატებისათვის მათაც იგივე გზა უნდა გაიარონ, რასაც მსახიობი გადის, მხატვრულ ტექსტსა თუ როლზე მუშაობის დროს. საჭიროა გავისივრებოდეთ ჩვენი სათქმელის ლოგიკური პერსპექტივა, დავიცვათ პაუზები, შევივრდეთ ლოგიკური მახვილისა და მელიოდიკის აუცილებლობა. ყოველივე ეს ჩვენს საუბარს საინტერესოს და ადვილად აღსაქმელს გახდის. თანამედროვეობის გენიალური რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი წერს: „ახალი ინფორმაციის გადაცემისას ყველაზე ძლიერი, ქმედითი ზემოქმედების საშუალებად ჟღერადი სიტყვა გვევლინება. სიტყვები ადამიანთა საქმიანობის რეგულაციაში მათ ურთიერთობასა და ფსიქიკური ცხოვრების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს... თუ ადამიანი ლაპარაკის დროს მეორე ადამიანის ქცევას ვერ შეცვლის, მის გრძობებსა და აზრებზე იმოქმედებს მაინც. სიტყვის ზემოქმედება ადამიანზე მრავალგვარია. სიტყვით ადამიანში ისეთი ემოციური რეაქციების გამოწვევა შეიძლება, რომლებსაც შემდგომ მასში ფიზიოლოგიური ფუნქციების შეცვლაც კი ძალუძთ. სიტყვით შეიძლება პირდაპირი ან გადატანითი მნიშვნელობით კაცი მოკლა. სიტყვა სამუშაო იარაღია – წერდა კ. კოროლენკო, – „სიტყვამ აუცილებლად უნდა ზილოს გარკვეული სიმძიმე და მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად ასწევს იგი სხვის განწყობილებას, შეგვიძლია მისი მნიშვნელობისა და ძალის შეფასება“ – ყოველივე ამას სამსახიობო ხელოვნებაში სიტყვით მოქმედებას უწოდებენ. სიტყვით მოქმედება მეტად რთული პროცესია: იგი წარმოადგენს ურთიერთობის მრავალფეროვან, ერთმანეთზე დაქვემდებარებულ პროცესს, რომლის დროსაც ტექსტში მოცემული სიტყვები ცოცხლდება ამ შემთხვევაში ერთადერთი, აუცილებელი სათქმელით. როლზე მუშაობის დროს მსახიობი გადის გზას სიტყვის ინფორმაციიდან ამ სიტყვის ქმედით ბუნებამდე და ეს გზა არის გახსნა მრავალმნიშვნელოვანი ქვეტექსტებისა, რომელიც სიტყვის მიღმა არსებობს.

სიტყვა საქმის აჩრდილია და ამდენად აუცილებელია ზუსტად ვიცოდეთ, თუ რა აზრი აქვს ყოველ სიტყვას. ტელე და რადიო ჟურნალისტიკაში, იურისპრუდენციაში, პოლიტოლოგიაში, მსახიობის შემოქმედებაში სიტყვა ქმედების გვირგვინად უნდა იქცეს.

იმისათვის რომ გავისივრებოდეთ ზემოთ ჩამოთვლილი აზრის გამოხატვის სამეტყველო საშუალებანი, პრაქტიკულად

გავავარჯიშოთ მეტყველების ტექნოლოგიური და მხატვრული მხარეები, შემოვთავაზებთ სავარჯიშო ტექსტებს.

ილუსტრაციები



ნახ. 1




ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4



ნახ. 5ა




ნახ. 5ბ



ნახ. 6ა




ნახ. 6ბ




ნახ. 7




ნახ. 8




636. 9



636. 10




636. 11




636. 12a



636. 12b




636. 13




636. 14



636. 15



б.сб. 16



б.сб. 17




б.сб. 18



б.сб. 19



б.сб. 20



б.сб. 21



б.сб. 22



б.сб. 23




б.сб. 24



б.сб. 25



б.сб. 26



б.сб. 27



б.сб. 28




б.сб. 29



б.сб. 30



б.сб. 31




б.сб. 32




б.сб. 33




б.сб. 34




б.б. 35



б.б. 36




б.б. 37



б.б. 38



б.б. 39



б.б. 40

სავარჯიშო ტექსტები

ილია ჭავჭავაძე

ზოგიერთი რამ

„თქმით ჭმუნვა მაინც შემცირდებისა“.

თ. ვრ. ორბელიანი

ერთი ეს მინდა გკითხო: ვართ-ლა სადმე? როგორ თუ ვართ-ლაო, შემომიტევ წყრომით, თუ შენ, ჩემო მკითხველო, ადამიანობა, კაცურ-კაცობა ხელში მხვრად არ გადაგიქცევია, ვიცი, ვიცი, რომ ამ კითხვაზედ ძარღვი ჩაგწყდება; ისიც ვიცი, რა ტკივილიც ამოგაკვნესებს, მაგრამ ესეც უნდა იცოდე, რომ ბალღამში ამოვლებულს ჭეშმარიტებასაც ვაჟკაცური მოსმენა უნდა. რით ვერ გაიგე, რომ ჩვენ უბედურნი ვართ!.. ყური მომიგდე.

პატარა დალაგებით რომ დაუფიქრდე იმ ხავსმოკიდებულ გუბეს, რომელსაც ჩვენ, ქვეყნის სამასხარაოდ, ცხოვრებას ვეძახით, რომელშიაც ჩვენ, რაღაც დაუდეგარის კმაყოფილებით, ვჭყუპალობთ, და რომლიდამაც ათასი სხვადასხვა-ფერი ნაკადული იწრიტება ცალ-ცალკე და სხვადასხვა გზით მიდის, და „რაოდენადაც ერთმანეთზედ შორსა ვალს, ეგოდენ დაუძღურდების“, – ამ გუბეს რომ თვალღია და აუჩქარებლივ დააკვირდე, მაშინ შენც ჩემთან ამოიკვნესებ და იტყვი: „ვართ-ლაო!“

აჩქარებული კაცი, ის კაცი, რომელსაც უნდა შავი ფიქრები თავიდან მალე მოიშოროს, ადვილად გვიპასუხებს ჩვენ და გვეტყვის: ბრმანი ყოფილხართო. ეს ჩვენი დედაქალაქი და ეს შავის ზღვიდან კასპიის ზღვამდე გუნდ-გუნდად მორგებული მისი შვილი-სოფლები, ქართველები არ არიანო, მაშ ვინ არიანო. ქალაქი იქნება დედა იყოს, სოფლებიც იქნება მისი შვილები იყვნენ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ დედის ძუძუ გაშრა და დედის ძუძუს შვილი აღარა წოვს.

ქართველები არ არიან, მაშ რა არიანო? არიან თავადნი, აზნაურნი, მღვდელნი, ვაჭარნი, გლეხნი, ჩინიანნი და უჩინონი – ყველანი არიან, და ქართველი კი არსად არის. თავადს აზნაური სძულს, აზნაურსა – თავადი, გლეხსა – ორივე, ნუთუ ესენი ქართველები არიან, ერთის დედის საქართველოს ოჯახის შვილნი? თავადის აზრი – სათავადოა, აზნაურის – სააზნაურო, გლეხის – საგლეხო,

ვაჭრისა – სავაჭრო, ნუთუ ესენი ქართველნი არიან, ერთისა და იგივე ხორცისა და სულის ნაყოფნი და ერთის დედის საქართველოს ძუძუთი გაზრდილნი? ეს ასომთავრული რომ ასომხედრულს გზას უღობავს, ეს თავადი რომ აზნაურს ზურგს უქცევს, აზნაური – თავადსა, ორივენი გლეხსა; ეს ვაჭარი რომ სამივეს ერთნაირის სიხარბითა სწოვს, ნუთუ ესენი თვითვეულად ცალკე და ყოველნივე ერთად ქართველი ჰგონია ვისმე! ქართველი საყოველთაო სახელია და ამათში რა არის საყოველთაო. ეგ თითო-თითოდ, ერთის ჯაჭვის რგოლებივით რომ ცალ-ცალკე და თავ-თავად დავგორავთ, ზოგი აქეთ, ზოგი იქით, ნუთუ ეგ თვითეული ქართველი ჰგონია ვისმე!

თქვენ მე მიჩვენეთ ის ადგილი, საცა მაგ თვითეულის გზები ერთად იყრება საყოველთაო საქართველოს სიკეთისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. ის საერთო ნიშანი მაჩვენეთ, საითკენაც თვითეულის ჩვენგანის ჭკვა, გონება, ფიქრი, გრძნობა, სურვილი ერთად, ხალისიანად და შეუპოვრად მიიწევდეს საყოველთაო საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაშინ მეც ვიტყვი: ქართველი აგერ იქ არის-მეთქი. საერთო ლხინი მიჩვენეთ, საერთო ჭირი მაინცა, მაგრამ სად არის: ჩემი ლხინი შენი ლხინი არ არის, შენი ჭირი ჩემი ჭირი არ არის. ქართველი საყოველთაო სახელია და კიდევ ამას გკითხავ: საყოველთაო რა გვაქვს? ჩვენში არის: „მე თუ შენ, შენ თუ მე“, და ორივე ერთად კი არაო.

აბა დაიძახე: ქართველო-თქო, თუ შავის ზღვიდამ მოყოლებული კასპიის ზღვამდე მარტო ღიპ-გადმოგდებულის ქართველის მეტმა (ე. ი. გორის მაზრაში მცხოვრებელმა) შემოგხედოს ვინმემ, და თუ გაჭირდა, იქნებ კახელმაც თავისი სხვილი კისერი შენკენ მოიღრიჯოს, სხვანი კი ყურსაც არ გათხოვებენ, თითქო ამათ არ ეძახიო, თითქო ისინი კი ქართველები არ არიანო.

ის შემკრებლობითი, დიდებული ერთიანი აზრი, რომელსაც ყოველი ჩვენგანი ქართველობაში უნდა ხედავდეს, ის სახელი, რომელიც ყველას გვერქვა, დაირღვა, ჩვენს გონებიდამ ამოშრა, და ქართველი ეხლა ერთის კუნჭულის მცხოვრებთა საკუთარი კერძობითი სახელიდა გახდა და არა საერთო, საყოველთაო მთელის იმ ხალხისა, რომელიც ერთად ტანჯულა, რომელსაც ქართველთა შესისხლულის ისტორიის მძიმე უღელი ჭირში, თუ ლხინში, ერთად ძმურად უწევნია, რომელსაც ერთისა და იგივე ენით ჭირში უგლოვნია, ლხინში უმხიარულნია, და, რომელიც დღესაც

ერთისა და იგივე ენით – თუ არაფერს აკეთებს – თავის მოძმეს მაინც აბეზღებს ღმერთთანაცა და კაცთანაცა.

• • •

ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა, ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის და თითოში – ყველა, საცა თვითეული ყველასათვის არ ჰფიქრობს და ყველა თვითეულისათვის, საცა „მე“ ხშირია, და „ჩვენ“ იშვიათი!

განთვითეულდით, ცალ-ცალკე დავიშალენით. ასო-ასოდ დავიჭერთ, და მაგ განთვითეულებამ, ცალ-ცალკეობამ ყოველგან და ყოვლის-ფერში ის საქმე გვიყო, რაც ეზოპეს ზღაპარში თვითეულს წიკპლას მოუვიდა, ერთად ძნელად გადასამტვრევს. ამის შემდეგ, რასაკვირველია, საერთო სახელი აღარ შეგვრჩებოდა, და აკი აღარ შეგვრჩა.

• • •

განვიძეორებ, განთვითეულდით, და თვითეულის ზურგმა ვეღარ ზიდა ის დიდი აზრი მამულისა, რომელიც ყველასათვის ადვილად საზიდაია. თვითეულობით ტვინი ამოშრა, შევიწროვდა და მაგ სიტყვის დიდი მნიშვნელობა ვეღარ იტვირთა. რალა უნდა გვექნა ამის შემდეგ? ავიღეთ და მთელი მამული, ერთიანი ჩვენი ბინა დავყავით, გავინამცეცეთ თვითეულის ღონის კვალობაზედ ასე, რომ ზიდვაც შესაძლო ყოფილიყო ჩვენის ქონდრის-კაცობისათვის და დაპატარავებულს ტვინშიაც მოთავსებულიყო. დავაქციეთ ჩვენი დიდი ერთიანი სამშობლო ოჯახი, რომლის ბოძად იყო ერთიანი მხარი მთელის ქართველობისა, და მის ნაშთის ნამტვრევებისაგან პატარ-პატარა ხუხულები ავაშენეთ, რომელსაც საზოგადო სახელი „მამული“ დავარქვით და რომელშიაც ჩვენც დავეტივეით, და ამომშრალის ტვინის და გონების აზრიც დავეტივეთ; დავაქციეთ მამათა ჩვენთა სამარე, შეილთა ჩვენთა აკვანი; დიდი „მამული“ დავშალეთ, პატარები გავიკეთეთ, და აქაც გავამართლეთ ჩვენი რუსთაველის სიტყვა: ყოველი მსგავსი მსგავსსა შობსო.

თვითეულმან ჩვენგანმან თავისი ხვედრი, დიდი „მამულის“ ნაშთი, თავთავად შემოიღობა; იმ შემოღობილში თვითეულმან ჩვენგანმან თავისი საკუთარი ქვეყანა აიშენა და საზოგადო სახელი „მამული“

თავის კერძო მამულს დაარქვა და თქვა: თუ მე არ ვიქნებო, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო.

• • •

მამული დანეხვილ ნაფუძვრად გარდავაქციეთ, პატივი – ნეხვად, თავი – გოგრად, და ჩვენი უადამიანობა იქამდინ მივიყვანეთ, რომ კაცი კაცს აღარ ნიშნავს, თუ ზედ კაცური არ დავუმატეთ.

• • •

შენ შენთვისო, მე ჩემთვისაო, ძმებმა ერთმანეთს ვუთხარით, ცივად ერთმანეთს თავი დავუკარით, უცრემლოდ ძმა ძმას გამოვესალმენით, უკანასკნელი საერთო სიტყვა „მშვიდობით“ უკანასკნელადლა ვახსენეთ, შენ იქით წახველ და მე აქეთ, თვითეულად, თავ-თავად, და ვინ იცის, როდისღა შევხვდებით ერთმანეთს, რომ კიდევ ძმური, ერთიანი, განუყოფელი ქართული „გამარჯვება“ მითხრა შენ – მე, და მე – შენ, ჩემო დაკარგულო ძმაო, თუ დაო!.. (1866-1876).

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

აჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი!.. რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვებოთ და შევირჩინოთ, რა გვაქვს ხვალ სანატრელი, რომ ვინატროთ და მოვილოდინოთ? უკან მივიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ, ან ნანვითა ვთქვათ: „ჰოი, წამო სიხარულისავ, ესე სწრაფად სად წახვედი!“ წინ ვიყურებით და ხვალინდელის ნისლში იმისთანა არა მოსჩანს რა, რომ გული გულის ადგილსავე დავგვრჩეს, ან ნატვრით ვთქვათ: „მოვედინ, დღეო სიხარულისაო!“ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ნუთუ ისევ ძველებურადვე თავი უნდა დაგიკრათ და მოგახსენოთ: „შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი...“ სულ წყალობა ღვთისა და წყალობა ღვთისა, ერთხელ ჩვენ თვითონაც თითი ვავძრათ, ერთხელ ჩვენ თვითონაც მივდგეთ-მოვდგეთ. წყალობა ღვთისა კარგია, მაგრამ რა ქნას მარტო წყალობამ, თუ ღვთის მიერ ნაწყალობებს თითონ ადამიანი არა ჰრწყავს, არა სხლავს, არა ჰფურჩქნის, არ

უელის, არ ჰპატრონობს. ღმერთმა, რაც წყალობა იყო, უკვე მოილო ჩვენზე. დანარჩენი თქვენ იცით და თქვენმა კაცობამო. რა კაცობა გამოვიჩინეთ? რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ჩვენთვის ღმერთს არა დაუშავებია რა, არა დაუზოგვია რა, არა დაუკლია რა; თუ ქვეყანაზე ერთი-ორი კუთხეა იმისთანა, რომ კაცს ეთქმოდეს, – ქრისტე-ღმერთმა თავისი კალთა უხვევისა აქ დაიბლერტაო, იმათში უკანასკნელი საქართველო არ არის. რაც ლუთის შემძლებელობით არის და არა კაცისათი, ის ყველაფერი უკვე მოგვმადლა ღმერთმა. ხელთ გვიჭირავს ეს მშვენიერი ქვეყანა, რომლის მნახავთ შეუძლიანთ სამართლიანად სთქვან: „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა“, ამ სამოთხე ქვეყანაში მარტო ქართველს უგუბდება სული, გული ელევა, ზორცი აღდება... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ტყე-მინდორი, მთა-ბარი, მიწა-წყალი, ჰავა-ჰაერი იმისთანა გვაქვს, რომ რა გინდა სულს და გულოს, არ მოიხვეჭო, არ იშოვო, არ გამოიყენო. აქ ჩიტის რძეს რომ იტყვიან, ისიც იშოვება, ხელი გასძარ, გაისარჯე, იმხნევე, მუცელსა და გულთა-თქმას ბატონად ნუ გაიხდი. იცოდე, დღეს მძლეუთა მძლეა გარჯა, შრომა და ნაშრომის გაფრთხილება, შენახვა, პატრონობა, გამოზოგვა საჭიროებისამებრ და არა გაუმაძღარ სურვილისამებრ, ვართ-კი ასეთი?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

რა არ გადაგვხდია თავს, რა მტრები არ მოგვსევინა, რა ვაი-ვაგლახი, რა სისხლის ღვრა, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია, რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ და ყველას გაუუძელით, ყველას გაუუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი. ლანგთემურებმა ჩვენს საკუთარს სისხლში გვაბანეს და მაინც დავრჩით და გამოვცოცხლდით. შაჰ-აბაზებმა ჩვენის კბილით გვაგლეჯინეს ჩვენი წვრილშვილნი და მაინც გამოვბრუნდით, მოვსულიერდით. აღა-მაჰმად-ხანებმა პირქვე დაგვამხეს, ქვა-ქვაზედ არ დაგვიყენეს, მოგვსრნეს, მოგვჟლიტეს და მაინც ფეხზედ წამოვდექით, მოვშენდით, წელში გავსწორდით. გაუუძელით საბერძნეთს, რომსა, მონღოლებს, არაბებს, ოსმალ-თურქებს, სპარსელებს, რჯულიანსა და ურჯულოს და დროშა ქართველობისა, შუბის წვერით, ისრით და ტყვიით დაფლეთილი, ჩვენს სისხლში ამოვლებული, ხელში შევირჩინეთ, არავის წავაღებინეთ, არავის დავანებეთ, არავის შევაგინებინეთ. ცოდვა არ

არის, ეს დროშა ეხლა ჩრჩილმა შესჭამოს, თავმა დაგვიჭრას!... დრო-ჟამი ამას გვიქადის... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ქრისტე-ღმერთი ჯვარს ეცვა ქვეყნისათვის და ჩვენც ჯვარს ვეცვით ქრისტესათვის. ამ პატარა საქართველოს გადავუღელეთ მკერდი და ამ მკერდზედ, როგორც კლდეზედ, დავუდგით ქრისტიანობას საყდარი, ქვად ჩვენი ძვლები ვიხმარეთ და კარვად ჩვენი სისხლი, და ბჭეთა ჯოჯოხეთისათა ვერ შემეხრეს იგი. გავწყდით, გავიჟლიტენით, თავი გავწირეთ, ცოლ-შვილნი გავწირეთ, უსწორო ომები ვასწორეთ, ხორცი მივეცით სულისათვის და ერთმა მუჭმა ერმა ქრისტიანობა შევინახეთ, არ გავაქრეთ ამ პატარა ქვეყანაში, რომელსაც ჩვენ სამშობლოს, ჩვენს მამულს – სამართლიანის თავმოწონებით ვეძახით. ცოდვა არ არის, ეს ერი მოსწყდეს! ცოდვა არ არის, ეს ლომი კოლომ საბუდარად გაიხადოს, ცოდვა არ არის, მელა-ტურამ გამოღრღნას როგორც მძოვარი, როგორც ლეში! რათ! რისთვის? ვის რა ვირი მოვპარეთ?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ყველა ეს შევძელით და საკითხავად საჭიროა, – რამ შეგვაძლებინა? რამ გვიხსნა? ჯვარცმულნი ქრისტესთვის როგორ გადავრჩით? წამებულნი და სისხლ-მთხვევლნი მამულისათვის რამლა გვაცოცხლა, რამ გვასულიერა? მან, რომ ვიცოდით – იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცი ვიყავით. ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით. ომის საქმეთა ცოდნა უნდოდა, ომის საქმენი ვიცოდით. აი, რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვიანახა!.. იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარ-ცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა სამჭედურში ნაჭედნი. „სიღბო გვქონდა ნაქსოვისა“ – ვით მეომრებსა და მამულიშვილებს. ამით გავიტანეთ თავი, დროთა შესაფერი ღონე ვიცოდით, დროთა შესაფერი ხერხი, დროთა შესაფერი ცოდნა გვქონდა, დროთა შესაფერი მხნეობა და გამრჯელობა. წავიდა ის დრო: დაჩლუნგდა ხმალი, გაუქმდა ვაჟკაცობა. ეხლა ხმალი თაროზე უნდა შევდვათ, აღარაფრის მაქნისია; ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანნი, ან ჩარხნი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ეხლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს.

კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ეხლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფროთხილდება ნაშრომს, ვინც

იზოგავს ნაღვაწს დღეს მძლეუთ-მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულით და ხორციითა, ცოდნითა და მარჯვენითა. გვჭირს-კი დღეს რომელიმე ეს დროთა შესაფერი სიკეთე?.. რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიანს მტერს გავუძელით, გადავჩრით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო-რა, – შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული-კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდამ მიწას გამოგვაკლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება, და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვერავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ. ვართ კი ყოველ ამისათვის მზად? ან გვეტყობა რაშიმე, რომ ყოველივე ეს ვიცით და ვემზადებით?... რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

ეხლაც ომია, ხოლო სისხლის ღვრისა-კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ამ ომმა არცბუკი იცის, არც ნაღარა. უბუკ-ნაღაროდ სთესავს, უბუკ-ნაღაროდ მკის. კოკისებურ, შხაპუნა ნიაღვარს-კი არა ჰგავს, რომ მთა და ბარი წაიღოს, მთარღვიოს, მთაროს და მოგრაგნოს, „მდუმარე წვიმისამებრ ნაყოფის გამომცემელია“. არც რბევა იცის, არც ძარცვა. ეს მის ბუნებაში არა სწერია, თუ თითონ ადამიანმა გესლი უღმობელის სიხარბისა შიგ არ ჩააწვეთა, ბუნება არ მოუწამლა, არ მოუშხამა. ეს ომი შრომისაა, და ვითარცა შრომა – პატიოსანია, ნამუსიანია, და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავ-გამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა და ხმლის ომი იყო. ვაჟკაცობა ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე. ვაჟკაც გულადზე მშრომელი სამის გაფრენით მეტიაო, – იტყოდა გლეხკაცი თავისებურად ზედამოჭრით, თუ მართალს ათქმევინებთ. რა გლეხკაცი! თითონ დღევანდელი დღე ამას გვეუბნება, ამას ჰლაღადებს და ჩვენ გვესმის კი ეს ღაღადი? ვაი რომ არა!.. მაშ რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

არ ვიცით – რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ – რანი ვართ, ვერ გამოგვისახია – რანი ვიქნებით! ყურებში ზამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც არაფერს ვხედავთ, არც

არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენ, ქართველების, წინ და აინუნშიაც არ მოგვდის. ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაო ხელი გვკრან – და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად, ორბი, არწივიც კი ვეღარ გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, ისეთი უძირო. ვდგევართ და უღონოდა ვბზუით „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდან არა გამოდის-რა. იქნება იმიტომ, რომ ყველა ბუზი კი ბზუის, ფუტკართან-კი ყველა ტყუის. ახალო წელიწადო, თუ რამ შეგიძლიან, თვალი აგვიხილე, ყურებიდამ ბამბა გამოგვაცალე, ფუტკრისაგამ გვასწავლე დროთა შესაფერი სამამაცონი ზნენია, რომ ჩვენმა შემდეგმა მანც აღარა სთქვას: რა ვითხრათ? რით გაგახაროთ.

(1897 წ., 31 დეკემბერი)

ჩვენი ხალხი: და განათლება

ტფილისი 2 მაისი, 1886 წ.

უმეცრება – აი უმთავრესი სენი, რომელიც ჩვენ ძვალ-რბილში გაგვეჯდომია, შეუბრალებლად ჰღრღნის სიცოცხლეს... ეს არავისთვის საიდუმლო არ არის: თვითონ ცხოვრება ხმამაღლივ დალადებს. ჩვენს ცხოვრებაში ისე ფეხს ვერ გადასდგამთ, რომ უმეცრების კვალს ზედ არ წააწყდეთ, რომ უმეცრების მწარე ნაყოფმა თავისი გემო არ გაგაღებინოთ... გადაიკითხეთ ყურადღებით გაზეთებში ჩვენის ქვეყნის სხვადასხვა მხარედამ მოწერილი ამბები და ჰნახათ...

ჩვენი ხალხი: უმთავრესად მიწის მუშაობს მისდევს, წლითი-წლობით მიწას ჩაჰყურებს, ატრიალებს, ჰხნავს, სთესავს; ვაზს უელის, ბოსტნეული მოჰყავს; წელებზედ ფეხს იღვამს, თავს მაღლა არ იღებს, ჯაფას არ ერიდება, ძალ-ღონეს არ ჰზოგავს, ოღონდ წლის საზრდო მოიპოვოს. მაგრამ აი წელს სეტყვამ გაუნადგურა წლის ნაღვაწი საზრდო, მერმის კალიამ ხელცარიელზე დასო, მესამე წელს კიდევ სხვა ღვთის რისხვა დაატყდა თავსა, წლის ნაწვავ-ნადავი ხელიდამ გამოეცალა... რა ჰქნას? ცოდნა მას არა აქვს, ვერც თავის საკუთარს ძალ-ღონეს დანდობია, ვერც სხვას მინდობია, ვერც ცალკე ღონით გასძლოლია... სად არის განათლებული, მეცნიერებით

შეიარაღებული კაცი, რომ მისთვის გული შესტკივოდეს და წარმატების გზა უჩვენოს?...

ხალხს მოსავლიანი წელიწადი დაუდგა, ჯაფამ მუქთად არ ჩაუარა, ხალხს ათას-გვარი ხარჯი და გადასახადი აწევს კისერზე. ამისთვის ფული უნდა. მოსავალია მთელი მისი სიმდიდრე, ერთადერთი წყარო. მოსავალია მისი ფული, მოსავლით უნდა გაუძღვეს ყველა ხარჯს და გადასახადსა. მოსავალი უნდა ფულად აქციოს. მაგრამ როგორ? ალებ-მიცემობისა არა ესმის რა, ანგარიში კარგად ვერ გაუგია, სად რასა აქვს გასავალი, არ იცის... ესეც ერთი უმეცრების ნაყოფი!

სიღარიბე, რიგიანის სახლების უქონლობა, ცუდი სასმელ-საჭმელი, უსუფთაობა, სიბინძურე და სხვა ამ-გვარი ჯანმრთელობის წინააღმდეგი გარემოება ავრცელებს ხალხში და ხელს უწყობს ათას-გვარ ავადმყოფობას, სნეულებას და ჭირსა... ბევრი მათგანი იხოცება და შველას კი ვერსაიღამა ჰხედავს. ექიმი არა ჰყავს, წამალი არა აქვს. უილაჯობით ხან შემლოცველთან გარბის, ხან მკითხავთან, ხან ხელთ ეძლევა უმეცარს ექიმობას სოფლისას, შელოცვას, ხატებში სიარულს. სოფელელ დედაკაცების წამლობას, ხშირად უფრო მეტი ვნება მოაქვთ ხალხი:სათვის, ვიდრე სარგებლობა. განა ხალხს სიცოცხლე მოსძაგებია, განა სიკვდილი იამება? მამ რატომ მეცნიერებას არ მიჰმართავს, რატომ თავის ერთს უძვირფასეს საუნჯეს — სიცოცხლეს არ იცავს რიგიანად, აქაც დაძნაშავე იგივე უმეცრება, ცრუმორწმუნეობაა.

დაუნდობლობა, შური, მტრობა, უსამართლობა, ძარცვა-გლეჯა. ჩხუბი, ცემა-ხოცვა ეკონომიურს გაუწყობლობის გამო და სხვა ბევრი ამგვარი ნაყოფი უმეცრებისა — ვრცლად არის მოფენილი ჩვენს ცხოვრებაში. უმეცარ კაცს როგორ შთააგონებ, რომ მისი საკუთარი ინტერესი მოითხოვს, რომ თავის მეზობელთან კარგი განწყობილება ჰქონდეს, რომ მეზობლის უბედურება და შეუძლებლობა მას ბედნიერებას და შეძლებას ვერ შესძენს, რომ მხოლოდ ურთიერთობრივი თანხმობა, შეწევნა ჰბადავს ნამდვილ ბედნიერებას და სიმდიდრეს, როგორც მთელის ხალხი:სას, ისე კერძო კაცისას.

ბევრს ჯერ პირველ-დაწყებითი განათლების ნიშანწყალიც არ მოსცხებია. ხალხმა უმეტეს ნაწილად ცარიელი წერა-კითხვაც არ იცის. წიგნების კითხვა ჩვენში სრულიად არ არის გავრცელებული,

რომ ხალხმა თავის ავი მაინც გაიგოს, თუ სხვის კარგს ჯერ კითხვით ვერ შეიძენს. ხალხი: უმეცრების გამო სკოლებს ეჭვის თვალთ უყურებს და განს უდგება. ზოგიერთ ადგილას ხალხი: პირდაპირ მტრულად ეკიდება სკოლას. მაგალითად, ამ დღეებში ერთი ჩვენი კორესპონდენტი გვწერდა, რომ ილორის საზოგადოება ცდილობს თავის სკოლას ხელი შეუშალოსო.

სკოლამ უნდა მოჰფინოს ხალხს განათლება; განათლებამ უნდა განფანტოს მისი გონებითი სიბნელე, განთლებამ უნდა მისცეს მას ძალა ცხოვრებაში საბრძოლველად, და ხალხი: კი სდევნის სკოლას, განათლებას. რა მიზეზია? ცხადია, უმეცრება!

აი მოკლედ რა სურათს წარმოგვიდგენს ჩვენი... უმეცრების შედეგი. დასაფიქრებელია ასეთი არა-სანუგემო სურათი. უმეცრებაა ჩვენი საშიშარი მტერი. უმეცრებასთან ბრძოლა მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან. განათლება, სწავლა, ცოდნა – აი ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას. კვალში ჩაუდგეს, ხალხს მხარი მისცეს და შველა აღმოუჩინოს, ვისაც წამალი აქვს, ვისაც მკურნალობა შეუძლიან. მასწავლებელი, ექიმი, ტეხნიკი, მიწის შემუშავების მცოდნე, – ყველა, ვინც კი მეცნიერებით და ცოდნით შეირალებულია, ყველა საჭიროა ესლა. თუ ნამდვილად გული გვტკივა ხალხი:სათვის, თავი ვიჩინოთ, რომ სიბნელე უმეცრებისა გავფანტოთ. თუ ხალხი:ს სიყვარულით არიან გამსჭვალულნი, საქმით დაამტკიცონ სიყვარული და მრავალნი გამოიყვანონ უმეცრებიდამ. უნდა ჩვენს კერძო სარგებლობას, კეთილდღეობას ცოტა რამ ჩამოვათალოთ და საზოგადო სარგებლობას, კეთილდღეობას შევსწიროთ. ფული არა გვაქვსო, გარშემო შემწეობას არა ვხედავთო და ამიტომ უღონონი ვართ ამ საქმისათვისაო. ეს, რასაკვირველია, შესაწყნარებელი მიზეზია და არა გასამართლებელი. ნიჭი, გარჯა და მხნეობა დღეს თუ ხვალ ფულსაც იშოვის და შემწეობასაც მოიპოვებს; ყოველივე ეგ თითონ ფულია, თითონ ღონეა და სიმდიდრე, ოღონდ კი კაცი ნუ შეიკეტება ოთხ-კედელ-შუა, ოღონდ კი გულხელდაკრეფილი ცას ნუ შევაჩერდებით: აცა, მანანა ჩამოვა და პირში ჩაგვივარდებაო. ამ ნიჭსა, გარჯას და მხნეობას ითხოვს დღეს ჩვენი ცხოვრება განათლებულის კაცისაგან და ან ვის მოსთხოვს სხვას, თუ არ განათლებულსა და მცოდნე კაცსა!...

ენა

(მცირე შენიშვნა)

ამ ბოლო ხანს ჩვენს საზოგადოებაში მასლათის დროს და გაზეთებშიაც შეხვდებით სამდურავს ქართული ენის შებღალვისა გამო. თუ საქმეს ჩაუტკვირდებით, ამ სამდურავს საფუძველს ვუპოვით. ყველა ჩვენგანს სწავლა მიუღია უცხო ენის მეოხებით, უცხო ენაზედ დაწერილს წიგნებით გვივარჯიშებია ყველას ჩვენი გონება და, უეჭველია, ამ გარემოებას ის შედეგი მოჰყვებოდა, რასაც ვხედავთ. ეს არაა საკვირველი, არამედ ისა, ქართულად ვფიქრობდეთ და ქართულად ისე ვწერდეთ... მაინც და მაინც როგორც ჰქუხს, ისეც არა წვიმს. ჩვენი გამოჩენილი და გამოუჩენელი მწერლები ერთობლივ უცხო მწერლობით არიან ნაკვებნი, მაგრამ ყველასთვის ერთნაირად საზარალო არა ყოფილა ეს ამბავი, ზოგისთვის ძალიან ღრმად დაუსვამს დადი, მეორისათვის ნაკლებად... ამიტომ არ შეგვიძლიან ყველა ჩვენს მწერლებს ენის უცოდინარობა ვუკიჟინოთ. თუმცა ისეთი მწერლებიც გვებოვება, რომ ორმოცი წელია ჰმოდვაწობენ, ორმოცი წელია, რაც სწერენ ქართულად და დღეს – აქამომდე ვერ მიუგნიათ ქართულის ენისათვის.

რას ჰქვიათ ენის ცოდნა? რასაკვირველია, არა კმარა მხოლოდ სიტყვები ვიცოდეთ, თუნდ მთელი ქართული ლექსიკონი, უნდა ისიც გვესმოდეს, თუ როგორ შევუთანხმოთ ეს სიტყვები ერთიმეორეს და წინადადება როგორ ავაშენოთ. ამისათვის საჭიროა ენის სულისა და გულის შეგნება; ამ შეგნებისათვის კი საჭიროა ის ღირსება და მადლი, რომ თვით მწერალს უცემდეს ქართულად გული და მაჯა. ამისთანეები სიტყვაკაზმულ ნაწარმოების ავტორთა შორის უნდა ვეძიოთ. უსათუოდ საუკეთესო მგოსანი საუკეთესო ენის მცოდნედაც უნდა მივიღოთ. რისთვის? მისთვის, რომ ერი უპირველეს ყოვლისა დედაა ენისა, ხოლო საუკეთესო მგოსანი, როგორც თვით ენა, ღვიძლი შვილია მისივე და არავინაც არ არის თავისს მშობელთან ისე დაახლოებული, როგორც ის, ვისაც შეუთვისებია მშობლის სისხლი და ხორცი. მწერლის ნიჭის მიხედვით რომ ვაფასებდეთ მის ენას, მაშინ ყველა ჩვენგანი არ წამოაყენებდა საკუთარს ენას მისაბამავ საგნად.

თქვენს უმორჩილეს მონას, ამ წერილის ავტორს, ხშირად გამიგონია ზოგიერთის ჩვენის მწერლისაგან სამდურავი – დაძველებული, უვარგისი ფორმები ნუ შემოგაქვს მწერლობაშიო.

რაც დაძველდა, აღარ ვარგა, ის უნდა გავიტანოთ და სანაგვეზედ გადავაგლოთო. ყველას თავისი გემოვნება აქვს, საკუთარი ფიქრი და აზრი და მეც ჩემი, რასაკვირველია. ამისთანა სამღურავი, რა თქმა უნდა, უმეცრების ბრალია და, ხომ მოგეხსენებათ, უმეცრებასავით თამამი არა იქნება რა. არა მგონია შეედრებოდეს ერთი საგანი მეორეს ისე, როგორც მდინარე და ენა. რითი ჰგავს ენა მდინარეს? იმითი, რომ, რაც ერთხელ მდინარეს გემო და თვისება მიუღია, თუ ხელოვნურად არ მოსტაცე, არ წაართვი, იგი თავისთავად არასოდეს არ დაჰკარგავს; მიმდინარეობს იმ ჟამით და ამ ჟამამდე დაუდგრომლად, მისი შეჩერება, დაგუბება, ცოტა ხნობით თუ შეიძლება, ხოლო სამუდამოდ კი არასოდეს...

დიად, მოდის ენაც მდინარესავით, მაგრამ, თუ სათავეში, ე. ი. იქ, საიდანაც იბადება, არ დაშრა, ქვეით, ბოლოდგან მისი დაშრეტა ყოვლად შეუძლებელია და ძალაც მისი სწორედ რომ სათავეშია: გამომდინარებს უღვეველად, უკლებლად; საიდგან და როგორ იკრებს ამ ძალას, ჩვენთვის სულ ერთია.

ენის საქმეც სწორედ ასეა. ქართული ენა გუშინ მოგონილი ხომ არ არის! იგი ძალიან დიდი ხნისაა, უკვე დამთავრებული, დახარებული ვაჟკაცია. რაც ხასიათი და თვისება დაჰყოლია, იგივე შეჰრჩება საზოგადოდ, საუკუნოდ. თუ ზოგიერთების ხელში იგი თავისს ხასიათს ვერ იჩენს, ეს იმათი ბრალია, ვინც მას ამღვრევს უწმინდურებისა და ნაგავ-ნუგავის ჩაყრით. ვისაც ჰსურს ამ მდინარის წყალი ივემოს და დააფასოს იგი, ბოლოში, სადაც მღვრიე მოდის, კი არ ამოჰკრეფს, არამედ სათავეს მიჰმართავს. სათავე ენისა, ვგონებ, ყველამ კარგად იცის, სად არის, ან რა არის... ეს სათავე ენისა გახლავთ ძველთა ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებნი, ის ქართული თემები, სადაც დღევანდლამდე შენახულა შეუბღალავად, უმწიკვლოდ ქართული ენა. სხვებს რომ თავი დავანებოთ, ნიჭიერ მწერლებად და ენის მაგალითად ჩვენთვის მხოლოდ ორი მწერალი კმარა – შოთა რუსთაველი და დავით გურამიშვილი, გაურყვნელის ენით მოსაუბრედ კიდევ მთიელნი, რომლებთანაც მე მაქვს დამოკიდებულება, და ამ გაკიცხულს ფორმებსაც იმათგან ვიძენ. ნუ გგონიათ ფორმებს ვთხზავდე, ღმერთმა დაძიფაროს! რა არის აქ საწყინო? შემოტანა მრავალის ფორმებისა, თუ კი სადმე მოგვეპოვება, კაი ნიშანი მგონია, ხოლო ფორმების გატანა და შემცირება – ერის გაღაზვად, შეურაცხყოფად, დამცირებად მიმაჩნია.

1901 წელი.

კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი

1. ზოგს ჰკონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, – რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფს; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელის კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობდა, მაგრამ მის შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გებულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკებდა დღესაც. ევრეთვე სერვანტესი, გიოტე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმეთათვის იღვწოდენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

2. ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ მიუხედავად ამისა, გენიოსთ ნაწარმოებნიც უფრო სარგები

და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტი“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკებუბა ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს რად მივიდვართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკებუბა „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდ კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? – არას დროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფნის ავკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიური უკუღმართობა და, უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დელამიწის ზურგზე.

3. პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათამყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედა-ენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვ. იმავე წამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, – რძე საზრდოდ, ნანა – მოსასვენებლად

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმაწვილი იმთავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთანა ჰგრძნობს, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, – ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას დებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი მშვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდ უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას,

უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულია და ბავშვობა გაუტარებია.

4. ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? – იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ზომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის ამას: ყველა ერი ერთნაირად მიყვარსო, – სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსაზე ენას იწამებს და ერთ ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილდღეობა მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

5. ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო:, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნეველად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარს ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

1905

„ახლა კი ფარდა“

„– რას კითხულობთ, ხელმწიფის შვილო?“

– სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს... “

შექსპირი, „ჰამლეტი“

რეპეტიცია ნიშნავს გამოკვლევას, გამორკვევას, ვარაუდს, გამოცნობას, მიხვედრას, შეთხზვას, აგებას. რეპეტიცია ჩვეულებრივად იწყება – მომავალ სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს რვეულები ურიგდებათ. ამ პატარა რვეულებში კი „სიტყვები, სიტყვები, სიტყვებია...“ ჯერჯერობით, გაუგებარი, ცივი, სხვისი... ეს სიტყვები ამოსავალი წერტილია, მასალაა, თიხაა. ყველაფერი აქედან იწყება. მსახიობმა ამ სიტყვებიდან და თავისი ფსიქიკიდან, ნერვებიდან, წარმოსახვიდან, განწყობილებიდან, სხეულიდან ხელების, მიმიკის და მოძრაობის საშუალებით სცენური ხელოვნების ნაწარმოები – სახე უნდა გამოძერწოს.

ყველაფერი სიტყვიდან იწყება. სიტყვა, ჯერ კიდევ მკრთალად მონიშნული საროლო რვეულში, არაფრისმთქმელი, თავისთავად არსებული, ცივი და უკარებაა. მსახიობი გაუბედავად კითხულობს სხვის სიტყვებს და ცდილობს, თავისად აქციოს. არსებობს ორი გზა: ერთი – ჯერ კიდევ ბავშვობიდან ყველასათვის კარგად ცნობილი და, მეორე – პროფესიული, ძალზე რთული, მძიმე და მტანჯველი.

პირველი გზა ავტორისეული სიტყვების ზეპირად სწავლასა და მათ, რაც შეიძლება, ცხოვრებისეულად წარმოთქმას გულისხმობს. ამ შემთხვევაში მსახიობი ცდილობს, კარგად წაკითხულ სიტყვებს მოქმედებები, მოძრაობები (ჟესტები) და განცდები მიუსადაგოს. და თუკი მსახიობი ნიჭიერია, ამას ძალზე საინტერესოდ აკეთებს, ზოგჯერ, დიდ წარმატებას აღწევს.

მეორე გზა – სიტყვების მეშვეობით ავტორისეული ჩანაფიქრის საიდუმლოებათა წვდომის გზაა, გმირთა მოქმედების, ურთიერთობის და განცდის წვდომის გზა, რათა სიტყვებმა ისევე შეძლონ აღმოცენება, ამეტყველება, როგორც ოდესღაც ავტორს ჰქონდა წარმოდგენილი.

ეს განსაკუთრებით ურთიერთგამომრიცხველი გზა, ავტორისეულ სიტყვაზე მუშაობის ორი სხვადასხვა საშუალებაა. პირველი – თეატრალური ხელოსნობის გზაა, მეორე – ჭეშმარიტი შემოქმედების.

სიტყვები ნიშნათა ისეთ კომბინაციას წარმოადგენს, რომლის საშუალებით ადამიანები ერთმანეთს აგებინებენ თავიანთ განზრახვებს, განცდებს და სხვ. იმისათვის, რომ პარტნიორის ცნობიერებაში რაიმე ცვლილება მოხდეს და მან თავისი ქცევა შეცვალოს, აუცილებელია, სათანადო ინფორმაცია მიიღოს. ჰამლეტს მამა გამოეცხადება და რაღაცას ანიშნებს. ამ ნიშნით აჩრდილმა თავის შვილს გარკვეული ცნობა, აზრი გადასცა, რომელმაც შემდგომ ჰამლეტის ქცევა შეცვალა. მერე აჩრდილმა სიტყვით მიმართა შვილს. სიტყვებმაც შეცვალა მისი ქცევა და ააღელვა. ე.ი., სიტყვა – ნიშანია.

ახალი ინფორმაციის გადაცემისას ყველაზე ძლიერი, ქმედითი ზემოქმედების საშუალებად ჟღერადი სიტყვა გვევლინება. სიტყვები ადამიანთა საქმიანობის რეგულაციაში, მათ ურთიერთობასა და ფსიქიკური ცხოვრების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს. როდესაც ერთი ადამიანი მეორეს ეუბნება: მოემზადე, წადი, ყურადღება მოიკრიბე და სხვა, ამით იგი ზემოქმედებას ახდენს მეორე ადამიანზე, აიძულებს მას, საკუთარი სურვილისამებრ იმოქმედოს. სიტყვა ამ შემთხვევაში ძალას წარმოადგენს, რომელიც მეორე ადამიანის ქცევას წარმართავს, აიძულებს მას, ის გააკეთოს, რასაც უკარნახებენ, ან პირიქით, შეეწინააღმდეგოს მას. თუ ადამიანი ლაპარაკის დროს მეორე ადამიანის ქცევას ვერ შეცვლის, მის გრძნობებსა და აზრებზე იმოქმედებს მაინც. სიტყვის ზემოქმედება ადამიანზე მრავალგვარია. სიტყვით ადამიანში ისეთი ემოციური რეაქციების გამოწვევა შეიძლება, რომლებსაც შემდგომ მასში ფიზიოლოგიური ფუნქციების შეცვლაც კი ძალუბთ. სიტყვით შეიძლება პირდაპირი ან გადატანითი მნიშვნელობით კაცი მოკლა. სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში ხშირად მოჰყავთ შემთხვევა, როდესაც სიკვდილმისჯილი ბოროტმოქმედი იმისაგან გარდაიცვალა, რომ შთააგონეს, ვითომდა სისხლისაგან იცლებოდა. საკუთარი გამოცდილებით ვიცით, რომ ძველი ამბების გახსენებისა და მოყლის დროს არამართო გადავცემთ მეორე ადამიანს ჩვენს განცდებს, არამედ თავადაც ხელახლა ვიწყებთ განცდას. „სიტყვა – ჰაერში მფრინავი სათამაშო ბუშტი კი არ არის, სიტყვა სამუშაო იარაღია, – წერდა ვ.კოროლენკო, – სიტყვამ აუცილებლად უნდა ზიდოს გარკვეული სიმძიმე და მხოლოდ იმის მიხედვით, თუ რამდენად ასწევს იგი სხვის განწყობილებას, შეგვიძლია მისი მნიშვნელობისა და ძალის შეფასება“.

„რკინის თეატრი“
(ნაწყვეტი)

ცხრაასშვიდის ოცდაათ აგვისტოს ილია ჭავჭავაძე, მეუღლესთან და მსახურთან ერთად, თბილისიდან საგურამოში გამგზავრებულა. „ნუ წავალთ, ქვეყანა არეულია, სახიფათოა...“ რამდენჯერმე გაუფრთხილებია ილია მეუღლეს, მაგრამ ილია მეუღლის შიშს არ აჰყვოლია და, როგორც საერთოდ სჩვეოდა, ბოლოს მაინც თავისი გაუტანია. ან რატომ არ უნდა გაეტანა? სამოცდაათი წლის მოხუცს იმდენი კი დაუმსახურებია, საითაც სურდა, იქით რომ მიბრუნებულიყო საკუთარ ოჯახში. იმისი ოჯახი კი, სრულიად საქართველო გახლდათ, დიახ, სრულიად საქართველო და არა რომელიმე სახლი, თბილისში, ყვარელსა თუ საგურამოში. გარდა ამისა, რაც არ უნდა არეული ყოფილიყო მისი ქვეყანა, ვერაფრით ვერ იფიქრებდა, ისე თუ გადასცდებოდა იგი ჭკუიდან, საკუთარ მამაზეც ამართავდა ხელს. ზაფხული იწურებოდა. გაქვავებულ კოცონს ჰგავდა სვეტიცხოველი. ეტლი უკვე მცხეთას გამოსცდენოდა და ჩახურებულ, ჩაყურებულ ჭალაში მშვიდად მიბაკუნობდა მტვრიან გზაზე. მთელი გზის გაყოლებაზე ჭრიჭინები თითქოს ერთმანეთს გადასცემდნენ დაუქანცავ, დაულეველ ხმას, რათა ეტლში მსხდომთათვისაც გაეხანგრძლივებინათ მომთენთავი, რულის მომგვრელი, სიჩუმე და სიმყუდროვე ლომისფერი ზაფხულის უკანასკნელი დღისა. ილიასაც ედო ჯიბეში რევოლვერი და მის მსახურს იაკობსაც, მაგრამ საფრთხესა და განსაცდელზე აღარავინ ფიქრობდა, უკვე წიწამურთან მოსულიყვნენ, აქედან კი, ხელის ერთი გაწვდენა იყო შინამდე. სადღაც გვრიტი კუთავდა. მტვრიან ჰაერს აქა-იქ იელის სუნი დაჰკრავდა; თავადაც გამოაჭყეტდა ხოლმე ყვითლად და ისევ გაქრებოდა, ამოეფარებოდა გაქუცულ ბორცვს, თითქოს ლომმა თვალი დახუჭაო. „დავბერდი, დავჩანანაკდი, გამოძერია ჭალარაო“ – საკუთარი ლექსივით იმეორებდა ეტლში მისვენებული ილია, თითქოს ეს წუთია, მისი სულიდან დაბადებულიყო პირველად ეს სიტყვები, მისი მჭმუნვარე, დასვედიანებული სულიდან, რადგან, მეუღლისგან განსხვავებით, ქვეყნის არეულობა კი არ აფრთხობდა, სიბერეს გრძნობდა და გული წყდებოდა, სწორედ ამ დროს, ამ არეულობის დროს რომ უნდა გამოთხოვებოდა იმას, რისკენაც სამოცდაათი წელი

შეუჩერებლად იღვწოდა, რისთვისაც მჭედელივით ღვრიდა ოფლს, ექიმივით ფხიზლობდა, და რასაც, ასე თუ ისე, მიახლოებოდა კიდევ, თითქოს მხოლოდ იმიტომ, უარესად რომ დაწყვეტოდა გული. „ოციოდე წელს რომ მომაკლებდეს ვინმე, იქნება შემეხვება ჩემი ქვეყნის თავისუფლებისათვისო“ – ფიქრობდა მოღუშული, ეტლში მისვენებული, ეტლის რწევას აყოლილი. მანქეტზე მწერი შესცოცებოდა, მაგრამ ხელი ოდნავი განძრევაც ეზარებოდა, ისე იყო ჩაყუჟული, ჩამტკბარი სევდიან ფიქრებში. ეტლი მოულოდნელად შეჩერდა, არაბუნებრივად, ტლანქად; თითქოს კი არ შეჩერდა, მოკვდაო. ცხენებმაც შემზარავად დაიჭიხვინეს, იაკობი ეტლიდან გადახტა და ტყისკენ გაიქცა. მაშინვე თოფმა დაიჭექა. „რა მოხდა? რა მოხდა?“ – წამოვარდა ფეხზე ილია. ვიღაცა თოფს უმიზნებდა. იაკობი პირქვე ეგდო მიწაზე. „რა მოხდა? რას სჩადიხართ?!“ – ისევ იყვირა ილიამ და უცებ სინათლემ მოიმატა, თითქოს გაიელვაო. იმავე წამს ყველაფერი თავიდან გამეორდა, იმავე თანამიმდევრობით: ჯერ ეტლი შეჩერდა. მერე ცხენებმა დაიჭიხვინეს. მერე იაკობი გადახტა ეტლიდან და ტყისკენ გაიქცა. მერე ვიღაცამ თოფი დაუმიზნა. იაკობი კი პირქვე ეგდო სისხლის გუბეში. ამ დროს, მეუღლის კვიილი ჩაესმა და მაშინვე ყველაფერს მიხვდა. აღარ უკითხავს, რა მოხდაო. სასწრაფოდ დახუჭა თვალები, ვიდრე სიკვდილი დაეუფლებოდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ილიას მოურავს ჩამოუვლია საგურამოდან, სამი ჩაფრის თანხლებით. გეგონებოდათ, იქვე, სადღაც, ბუჩქებს იყვნენ ამოფარებულნი და მხოლოდ იმას ელოდებოდნენ, როდის მოამთავრებდნენ მკვლელები თავიანთ ბინძურ საქმეს. სროლის ხმაზე, ცოტათი რომ აეჩქარებინათ ცხენები, შეიძლება აღარ მომხდარიყო ეს უბედურება. მაგრამ, განგება იყო თუ არა, მოურავიცა და ჩაფრებიც ისე დაყრუებულან, არაფერი გაუგიათ. არაფერი გაუგია ყაზახების საგუშაგოსაც, ხოლო როცა გაუგია, უკვე გვიანი ყოფილა. „აქეთაც გავვარდი და იქითაცო“ – უთქვამს ურიადნიკს. არაფერი გაუგიათ მეურმეებსაც, ლამის მოურავთან და ჩაფრებთან ერთად რომ მოსულან მკვლელობის ადგილზე. („აგვიყვანეთ, წაგვიყვანეთ, ვითომ ეკლესია აგიშენებიათო“ – დაუძახნია იმათთვის ილიას მეუღლეს და გონდაკარგული ჩამხობილა სისხლიან მტვერში). არავის არაფერი არ გაუგია. ერთი წუთით მთელი საქართველო დაყრუებულა თითქოს, ეგზარხოსი პავლეს წყველა რომ ასრულებოდა და დიდინ-პატარინად, ქალიან-

კაციანად, ერიან-ბერიანად ჩავარდნილიყო ამ ჯოჯოხეთურ ცოდვაში. „ოთხნი იყვნენ შავგვრემანები. შავი ტუფურკები ეცვათო“ – ძლივს უთქმევინებიათ მეეტლესათვის, ერთადერთი მოწმისათვის, რომელიც მოურავსა და ჩაფრებს, საღსალამათი, ისევ კოფოზე დახვედრიათ. გვამები სისხლის გუბებში ეყარნენ, ის კი კოფოზე იჯდა თურმე და ცხენების ალაპლაპებულ გავებს დასცქეროდა. სხვამ არავინ არაფერი იცოდა. ილიას მეუღლე ისევ უგონოდ იყო. მთელი სახე კონდახებით ჰქონდა დაჩეჩქვილი. მეორე დღეს ასე გონდაკარგული წაიყვანეს თბილისში, ექიმი კიმიონტის დაჟინებული მოთხოვნით. დილის ხუთ საათზე გამოუხედა ირთი წამით და წამოუბოდებია: ურჩიეთ ილიას, ნუ წავა, საშიშიაო. ილია კი უკვე ერთი დღის მკვდარი იყო, უფრო სწორედ, ერთი დღის მოკლული, და, თავის მსახურთან ერთად, გულხედაკრეფილი ესვენა მეორე ოთახში. იმ დროინდელ კაცს სისხლისა და დასახიჩრებული გვამის ნახვა თითქოს არ უნდა გაჰკვირვებოდა, მაგრამ დაზოცილთა ოთახში გაზეთის კორესპონდენტები რომ შეუყვანია მოურავს. მაშინვე „თოფნაკრავებივით“ გამოცვენილან უკანვე: ეს რა ნახეს ჩვენმა თვალებმაო. აივანზე იდგნენ თურმე და ტიროდნენ, ერთმანეთს მიხუტებულნი, დაობლებული ლეკვებივით. მალე მთელი საქართველო ტიროდა ასე. ილია, არა მარტო მოეკლათ, გაეძარცვათ კიდევ. „არ ჩანს ილიას პალტო, პიჯაკი, ყილეტი, ოქროს საათი, სათვალე და პატარა ბოხჩა, სადაც საბუთის ქაღალდებს ინახავდა ხოლმე. აღარც საფულე ქისაა. მხლებელისთვის კი ჩექმებიც გაუხდით. აღარ ჩანს აგრეთვე რევოლვერები, რომლებიც ილიასა და მის მსახურს ჰქონდათ თანო“ – წერდა გაზეთი. გზის პირას, სისხლის გუბეში, ცალი მანუეტი უპოვიათ მხოლოდ. „ოთხნი იყვნენ. თეთრი ჩოხები ეცვათ, ოფიცრის ეპოლეტებიანიო“ – უთქვამს მეეტლეს. სამაზრო ექიმის აზრით, რომელსაც გვამი გაუკვვითა, გინდაც არ მოეკლათ, დიდხანს მაინც ვერ იცოცხლებდა თურმე ილია, „ვაქონებული გულითა“ და „ზადიანი ფილტვებით“. მაგრამ ეს ვერაფერი ნუგეში იყო გამწარებული ხალხისათვის. სხვაა, როცა პოეტი: მოგიკვდებდა და სხვაა, როცა მოგიკლავენ, ქურდულად, ავაზაკურად, ვერაგულად. არა მარტო შენცა გკლავენ იმასთან ერთად, კიდევ უარესი, შენც მკვლელობის თანამონაწილე გამოდიხარ უნებურად, კაენს უამხანაგდები და შენს სულში აძლევ თავშესაფარს, რაკი არც პოვნა შეგიძლია იმისი და არც ის გამოგეყოფა თავისთავად. ტყიდან კი არ

გამოუვარდა პოეტს და ისევ ტყვეს კი არ შეაფარა თავი, არამედ – შენში შობილი, შენვე დაგიბრუნდა. „კაენ, გამოჩნდი, აღიარე, მონიანიეო“ – გაჰყვიროდნენ გაზეთები და ხალხს უფრო და უფრო ედრიკებოდა ქედი, უფრო და უფრო ეუფლებოდა დანაშაულის გრძნობა, დანაშაულისა და სირცხვილისა, საკუთარი სიბრძნავის, გულგრილობის, უყურადღებობის და უმწეობის გამო, რადგან საკუთარი პოეტი:ს მოვლაც არ შეძლებია თურმე, როცა მიბარებულს მგელიც ინახავს. „სამს თეთრი ფიჯაკი ეცვა, ერთს კი, ძველი კურტკა და შავი შარვალიო“ – იძახდა მეეტლე. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, აზრიც აღარ ჰქონდა „ჩოხოსანთა“, „ტუყურკოსანთა“ და „ფიჯაკოსანთა“ შორის ოთხი გატყვიურებული სულის გამორჩევას, რომლებიც ციდან კი არ ჩამოვარდნილიყვნენ, ცხოვრებას გაეჩინა:, და იმ ოთხის ამოშანთვით მაინც არ განიკურნებოდა ქვეყანა, ვიდრე თავად ქვეყანა არ დაინგრეოდა და, თუკი ღირსი იქნებოდა ახალი სიცოცხლისა, ხელახლა არ დაიბადებოდა საკუთარი ნანგრევებიდან. პოლიტიკური პარტიები ეჭვის თვალთ უყურებდნენ ერთმანეთს. ყველა ეჭვით იყო შეპყრობილი. ეკლესიის აშენებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ეკლესია რომ დანგრეოდათ თავზე, ამას უკვე ყველა ხვდებოდა. არ დარჩენილა საქართველოს კუთხე-კუნჭული, თბილისისკენ რომ არ შემოებრუნებინოს სახე. თბილისი პოეტი:ს ცხედარს ელოდებოდა საგურამოდან. გუგუნებდნენ ზარები, ფრიალებდნენ შავი დროშები, პარპარებდნენ სანთლები. ყველა გადარჩენილი ეკლესია იხდიდა პანაშვიდს. გალობდნენ მგალობლები, გალობდა მცხეთის დედათა მონასტრის მონაზონთა გუნდი, ბავშვთა გუნდი. გრძელი, მტკრით გადათეთრებული პროცესია წელში იღუნებოდა პოეტი:ს კუბოს სიმძიმის ქვეშ. ძლივს მიჰქონდათ ჩამოხსნილი ზარივით მძიმე, ჩამქრალი ჭაღივით პირქუში კუბო. დაცარიელებულ სოფლებში ელდანაცემი ძაღლები ყეფდნენ და მამლები ყიოდნენ. ხალხი: კი მოდიოდა, მოისწრაფოდა თბილისისაკენ, ტირილით, ზმუილით, ვაითა და ვიშით, თითქოს ძალით აუყრიათ და თითქოს უცხო ქვეყანაში მიერეკებიანო. ყველა ქაალქში დაიკეტა დუქნები და მაღაზიები. ვინც, პოლიციის შიშით, ვერ გაბედა დაკეტვა, ძალით დააკეტინეს. თბილისი ბორგავდა, ღელავდა, გლოვობდა. ცეცხლივით ამობრიალდებოდა ხოლმე ხალხი:ს ზღვიდან მზემიშუქებული ვერცხლის გვირგვინი. სახლები ძაძით იყო შემოსილი. ცაში გაბმული ყვავილებიდან პოეტი:ს არშიაშემოვლებული სურათი იმზირებოდა,

როგორც ღმერთი ღრუბლებიდან, ნათელი და უბრალო. თვალისმომჭრელად ბრჭყვიალებდა დროშათა ბუნიკები, ჯვრები, ხატები, და აი, ჯერ პროცესიის წინამორბედი ეტლი მოვარდა – დამტვერილი, გახვითქული – მერე კი, ხალხის აზმუვლებულმა მდინარემ კუბოს თავი, გადაბრუნებული ნავივით, შემოიტანა თბილისში. პოეტი:ს ცხედარი სიონის ტაძარში დაასვენეს. გუგუნებდნენ ზარები, გალობდნენ ბავშვები, მონაზვნები, ვაჟთა და ქალთა გუნდები. გლოვის დღე იდგა საქართველოში. მთელი საქართველო სიონისკენ მოისწრაფოდა, მთიდან, ბარიდან, ზღვისპირეთიდან, რათა უკანასკნელად (თუ პირველად!) მოეყარა მუხლი მოკლული ღმერთის წინაშე. ის კი კუბოში იწვა, ჩვეულებრივად მედიდური, ამაყი, მშვიდი, ყვავილების ბორცვზე ამალღებული, სიკვდილზე ამალღებული, და ისევ იმედის, ისევ რწმენის გამომშუქებელი სიკვდილის სიმაღლიდან. ქალებს ძუძუთა ბავშვები მოჰყავდათ, მაღლა სწევდნენ აჩნავლებულ ბავშვებს, იქნება დაამახსოვრდეთ, იქნება იმის მაღლი მოეცხოთო. ტაძარის სარკმელში ჩიტი ჟიჟივებდა. ფოტოგრაფები წარამარა უცვლიდნენ ადგილს თავიანთ აპარატებს. და ისევ გუგუნებდნენ ზარები, ისევ გალობდნენ მგალობლები, ისევ ჩხაობდნენ ძუძუთა ბავშვები, ისევ ჟიჟივებდა ჩიტი, ისევ ზმუოდა დაჩოქილი ხალხი: ისევ იხოკდა სახეს, ისევ მიწას ახლიდა თავს და ისევ უბრუნდებოდა სიამაყის გრძნობა, ასეთი დიდებული მიცვალებულის პატრონს. მიცვალებულისა, რომელმაც პირველმა უთხრა: შენი თავი შენადვე უნდა გეჟუნოდესო. რომელმაც ლუკმა-ლუკმა დაჭრილი, შესაჭმელად გამზადებული სამშობლო ხელახლა გამოუგონა, მკვდრეთით აღუდგინა. გაუცოცხლა და განუბანა – პირში სიტყვა ჩაუღო, გულში ცეცხლი, ტვინში აზრი; ვინც კუდით ქვა ასროლინა მის მთათხველებსა და მაგინებლებს, სიბნელით რომ სარგებლობდნენ და გაჰქონდათ და გამოჰქონდათ მისი სარჩო-საბადებელი, მისი სალოცავი და ძვალთშესალავი; ვინც, ტვირთაკიდებულს, ხელს შეაშველებდა ხოლმე აღმართში, ვინც ბაზალეთის ტბის ფსკერზე ოქროს აკვანი ჩაუდგა და შიგ იმედი ჩაუწვინა, სიჯიუტის, სიმტკიცის, გაუტეხლობის არტახებით გაკრული; ვინც მის პურს კოცნიდა და მის ვაზს ლოცავდა; მის საქონელს შეჰფოფინებდა და მის საბძელ-ბოსელს სიუხვეს და სიმრავლეს ამწყალოებდა; ვინც სიღარიბეს სიმდიდრედ უთვლიდა, უმწეობას კი სიძლიერედ, და ვინც, ბოლოს და ბოლოს,

მისი იყო, სისხლიან-ხორციანად, მისგან შობილი და მისი მშობელი. აი, ვინ მოკვდომოდათ და ბევრი პირველად მიხვედრილიყო ამას; მაგრამ მით უფრო დიდი იყო დაჩოქების სურვილი, მონანიების ჟამი. მით უფრო დიდი იყო მწუხარება. ვერავითარი გვაღვა, სეტყვა, წყალდიდობა თუ ხანძარი ვერ წაართმევდათ იმდენს, რამდენიც ერთი კაცის, ერთი სამოცდაათი წლის მოხუცის სიკვდილს წაერთმია. აუწონავი, აღურიცხავი, აუნაზღაურებელი ზარალის შემადრწუნებელი შეგონება მოერეკებოდათ. მთელი საქართველო მოისწრაფოდა თბილისისაკენ: ბავშვი და ბერი, ქალი და კაცი, სწავლული და უსწავლელი. ხოლო ვისაც წამოსვლა არ შეეძლო, ვისაც ბორკილი ედო, იქიდან, ციხიდან აწვდენდა ხმას საერთო, გამომაფხიზლებელ, გამალატაკებელ, მაგრამ, ამავე დროს, გამაკეთილშობილებელ გლოვას – ქარს აბარებდა, ჩიჭს აბარებდა, მზის სხივს აბარებდა თავის სამძიმარს, თავის გულისტკივილს, თავისი გადარჩენილი ადამიანობის დამადასტურებელ ცრემლს. პოეტი:ს სიკვდილს აღესრულებინა ის, რასაც ამაოდ გადაჰყოლოდნენ და ბოლოს ტახტიც კი გადაეყოლებინათ საქართველოს უიღბლო მეფეებს. მთელი საქართველო გაერთიანებულიყო პოეტი:ს კუბოს გარშემო, როგორც ოდესღაც, გულადნი და პურადნი, სეფე დროშის გარშემო ერთიანდებოდნენ ხოლმე, კიდევ ერთი სახელოვანი ბრძოლის გადასახდელად. წარბს ქვემოდან გასცქეროდნენ ერთმანეთს, მალულად, შეფარვით, ერთმანეთს გადაჩვეულნი, უმიზეზოდ, მხოლოდ და მხოლოდ, საერთო სიძაბუნის გამო შემომწყურალნი ერთმანეთს, მაგრამ მაინც ახლობლები, შინაგანად განუყოფლები, ერთი ხის ანაჭერნი. მთელ საქართველოში გუგუნებდნენ სამრეკლოები, საიდანაც ჯერ კიდევ არ ჩამოეხსნათ ზარები იმპერიის ზარბაზნებისათვის. ხალხი: კი მოდიოდა და მოდიოდა. თბილისის შვიდივე კარიბჭეში ხალხი:ს შვიდი უწყვეტი მდინარე შემოდიოდა და ერთმანეთში არეული, ზღვად ქცეული – ლელავდა, ბორგავდა. მოსულები იძახდნენ: ჩვენს უკან კიდევ უფრო მეტნი მოდიანო. დამკრძალავი კომისია იძულებული იყო, გადაედო დასაფლავების დღე. თბილისი ლტოლვილთა ბანაკს ჰკავდა. მოდიოდნენ ფეხით, ცხენით, ურმით, ტივით, მატარებლით, თავიანთი საკლავ-საკურთხით, როგორც ხატობაზე, როგორც წმინდა ადგილის მოსალოცად. ხალხი:თ იყო მოფენილი ვერეს, მუშტაიდის, ორთაჭალის ბაღები, ქუჩები, მოედნები, ხიდები, ყაბახი და ნარიყალა, მტკვირს ნაპირები

და მტკვარზე გაჩერებული ტივები, ბორნები, წისქვილები. ჩაუქრობლად პარპალებდა წმინდა სანთლები ყოჩის რქებზე, ურმის კოფოზე, სარკმლის რაფაზე, ღუქნის დარაბაზე, ქვაზე, ხეზე – ყველგან, სადაც კი სანთლის მიწებება შეიძლებოდა. ჩამოსული და ადგილობრივიც ქუჩაში ათევდა ღამეს, თითქოს ცის ქვეშ, კედლებს გარეთ უფრო ახლო იქნებოდა იმასთან, იმისი დამლილი, დაუძლურებული სხეულიდან ბერდანის ტყვიით გამოდევნილ სულთან. საითაც არ უნდა გაგეხედათ, ყველგან ცეცხლი ენთო, ცეცხლის გარშემო ისხდნენ და ერთმანეთს უყვებოდნენ, რაც კი რამე იცოდნენ განსვენებულისა, მოკლულისა, ტყუილი და მართალი. იქვე, ხელდახელ, ცხელ გულზე იგონებდნენ ზღაპრებს, ლეგენდებს და თვითონვე სჯეროდათ თავიანთი გამონაგონისა. „ხელმწიფისთვის შეუთვლია, საქართველო რაც მიწაზეა, ათი იმდენი მიწაშია, და ფრთხილად იყავი, გულზე არ დაგადგესო“ – ყვებოდა ვიღაცა ვერეს ჯვართან და იმის მონაყოლს, მეორე წუთას, უკვე მეტეხს ქვემოთ იმეორებდნენ, ერთმანეთზე გადაბძულ ტივებზე. ტივებზედაც ენთო ცეცხლი. მეტეხის პიტალო კლდეზე უზარმაზარი ლანდები დაბორიანობდნენ. ცეცხლის ანარეკლი ირიბად ლივილივებდა წყალში, თითქოს წყალს ვერ მიჰქონდა, თითქოს ტივზე იყო თოკით გამობმული, როგორც გასაცილებლად ჩაგდებული ტიკჭორა. ჩაუმქრალი ცეცხლით აფორიაქებული, დაფლეთილი წყვიადი ძუძუთა ბავშვებს უვარდებოდა სიზმრებში და ბავშვების ჩხავილით თენდებოდა კიდევ ერთი სამგლოვიარო დღე. ასე იყო ცხრა სექტემბრამდე, ხოლო ცხრა სექტემბერს დიდებული გვამი სიონიდან გამოასვენეს და ზარითა და გოდებით მთაწმინდაზე აიტანეს, როგორც ჯვარი გოლგოთაზე, თავიანთი ჯვარი, თავიანთ გოლგოთაზე. გუგუნებდნენ ზარები. ფრიალებდნენ შავი დროშები. ტაძრის ღია კარიდან საკმევლის ბოლი გამოდიოდა. გალობდნენ მგალობლები. ხოლო როცა საკმევლის ბოლიდან კუბომ გამოანათა, როგორც მზემ ღრუბლებიდან, ქუჩაში მომლოდინე ხალხს გმინვა აღმოხდა, თითქოს დაჩირქებულ წყლულზე უნებურად ხელი მოუხვდაო. პროცესიას წინ დროშები, ჯვრები და ხატები მიუძღვოდა. მერე კუბოს თავი მიჰქონდათ. კუბოს თავს მგალობელთა გუნდი მიყვებოდა, მგალობელთა გუნდს – გვირგვინები, გვირგვინებს – ისევ მგალობელთა გუნდი; მგალობელთა გუნდს-საზოგადო დაწესებულებათა, სასწავლებელთა, დაბა-ქალაქთა, კავშირთა და რედაქციათა ას ოთხმოცდახუთი

დეპუტაცია — თავთავიანთი გვირგვინებით; დეპუტაციებს სამღვდელეობა მოსდევდა, სამღვდელეობას — ძაძებიან ეტლზე დასვენებული კუბო, ჭირისუფლებით, ცნობილი ლიტერატორებით, საზოგადო მოღვაწეებითა და „ივერიის“ ყოფილი თანამშრომლებით გარემოცული. მერე დანარჩენები მოდიოდნენ: თავადაზნაურთა თუ მოხელეთა, ვაჭართა თუ ნაფიც ვეჟილთა, დრამატული დასის, ფილარმონიისა თუ ოპერის მსახიობთა, გლეხთა თუ მუშათა, ქალთა თუ ვაჟთა გიმნაზიების, ყაზბეგის, წინამძღვრიანთ კარისა თუ ჭრა-კერვის სკოლების, ქართველ ოფიცერთა, „კახეთის“, „იმობის“ „გეორგიის“, ნოქართა საზოგადოებისა თუ ამქართა კორპორაციათა წარმომადგენლები. და, რაც მთავარია, ხალხი: ხალხი: ხალხი: უთვალავი ხალხი: ყველა ჯურისა, ენისა, რწმენისა და სახისა, მკვიდრი თუ სტუმარი კაკასიის ბაბილონისა. გუნდები მონაცვლეობით გალობდნენ. მონაცვლეობით უკრავდნენ სამგლოვიარო მარშს სხვადასხვა სასწავლებელთა ორკესტრებიც. გამოღებული სარკმლები ერთნაირად შემცბარი, ერთნაირად შეწუხებული სახეებით იყო ამოვსებული. ხალხს გადაეშავებინა აივნებიც, სახურავებიც, ბანებიც. ფოტოგრაფებსაც სახურავზე აეტანათ თავიანთი აპარატები, პროცესიის გადასაღებად, რომელსაც არც თავი უჩანდა და არც ბოლო. „ამდენი თუ ვიყავით, სად ვიყავითო?“ — წერდნენ მეორე დღეს გაზეთები. მართალია, პოლიცია განზე იდგა, მაგრამ ამოდენა ზღვა ხალხი: თვითონაც აწესრიგებდა და თვითონვე წარმართავდა თავის მდინარებას, როგორც სტიქია. ადგილის სიმცირის გამო, მამადავითის ეკლესიის გალავანში ხალხს ბილეთით უშვებდნენ, მაგრამ ხალხი: გალავანზე მიძვრებოდა, ერთხელ კიდევ რომ მოეკრა თვალი ტყვიით განემირული შუბლისათვის, მათი სიამაყის, მათი სინდისის შელეწილი ფარისთვის და ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყვნენ, ერთხელ კიდევ ელიარებინათ, თუნდაც გუნებაში, რომ გაღმა გასვლის მსურველთ, აქამდე, თურმე უკუღმა მიყავდათ ბორანი. მამადავითის აღმართზე გაქვავებული ჩანჩქერით ეკიდა ხალხი: მამადავითის ჭიშკრიდან სახაზინო თეატრამდე ყველამ ერთდროულად დაიჩოქა, როცა კუბოს სახურავზე მიწის ბელტები აგრუხუნდა.

წარმაჯალის მარადიულობას აღვწერ

„უთვისტომო მწერალი საეჭვოდ მიმაჩნია. უდიდეს შემოქმედებს თავიანთი ხალხების კულტურაში, მათ აზროვნებასა და ფილოსოფიაში აქვთ გადგმული ფესვები. ყველა ეროვნული ლიტერატურის ამოცანაა ადამიანში ჭეშმარიტად ადამიანური თვისებების გამოღვიძება... დედაენასაც სწორედ ეს ფუნქცია აკისრია. იმას როდი ვგულისხმობ, ლოკოკინასავით ჩვენ-ჩვენ სახლებში გამოვიკეტოთ. ადამიანი ედემის ბალიდანაც კი ცნობისმოყვარეობამ გამოიყვანა.

ყველამ ერთ თარგზე თუ ვიცხოვრეთ – გერმანიაში, სკანდინავიასა და კავკასიაში – ამით დედამიწაზე ჩვენი ყოფა ერთფეროვანი გახდება და უფრო მეტიც: ადამიანი დაკარგავს სიბრძნეს, რომელსაც მხოლოდ ეროვნული კულტურა აწვდის. საკუთარი ტრადიციები ერს გაუფასურებისაგან, მასობრივი კულტურისაგან იცავს, რომელიც ლამობს, ჩვენი შინაგანი ცხოვრების ერთადერთ გამომხატავად იქცეს, ეს კი ჩემთვის სულიერი დაღუპვის ტოლფასია.

წერა აღსარებაა, ესაა შრომა მშობლიური ენის განვითარებისთვის, გამდიდრებისა და მისი მშვენიერების გამოსააშკარავებლად. მშობლიურ ენაზე მწერალს სასწაულის მოხდენა ძალუძს, მას დღის სინათლეზე გამოაქვს ის საიდუმლოებანი, ის ბუნდოვანი მიგნებები და სწრაფვები, მის მშობლიურ ენაში რომ თვლემენ, რათა მათი ძალა და მშვენება ყველამ იხილოს. დედაენის გაძლიერება მსოფლიო პოლიფონიის შენარჩუნებას ნიშნავს. ენა, როგორც ერის თვითგამოხატვის საშუალება, უდიდესი რამაა. როდესაც ენა მხოლოდ დამხმარე საშუალებად იქცევა, რათა ცივილიზაციის ლაბირინთში გზა არ აგვებნეს, მაშინ ის კარგავს თავის მაგიას და სპეციფიკურად ადამიანურ სულიერ საგანძურს ვეღარ გვინარჩუნებს.

დასავლური სამყარო დღემდე ძალზე მცირე ინტერესს იჩენდა აღმოსავლეთ ევროპაში შექმნილი ლიტერატურის მიმართ, რატომღაც მეორეხარისხოვნად მიაჩნდა. არადა, ლიტერატურა ისეთი ფუნოქციაა, რომ არავინ იცის, თუ სად დაიბადება დიდი ნაწარმოები, მოულოდნელად სად ამოიფრქვევა ვულკანი, რომელიც ახალ ცნებებსა და ფასეულობებს შექმნის. თუნდაც მარკესი ავიღოთ – მისი ბედი მოულოდნელობითაა აღბეჭდილი.

უბედურება ის გახლავთ, რომ „გარდაქმნამ“ თითოეული ადამიანი პოლიტიკოსად აქცია. ყველა იმაშია დარწმუნებული, რომ ქვეყნის

ბელი სხვებზე უკეთ გაეგება, მაგრამ გაუთავებელი კამათი მხოლოდ მტერს აწყობს, რადგან, სანამ ჩვენ კვამათობთ, ის თავის საქმეს აკეთებს.

ჯერჯერობით შორს ვართ თავისუფლებისგან. ჯერ ერთი, საუკუნეების მანძილზე სასიცოცხლო აუცილებლობის საგნებს გვართმევდნენ. დღეს ჩვენ სხვაზე ვართ დამოკიდებულნი და ჩვენი ძალებით პური და ღვინოც კი ვერ მოგვყავს. მეორე მხრივ, ჩვენი აზროვნება დიდი ხნის განმავლობაში ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობისა და ენის შენარჩუნებისკენ იყო მიმართული, თავისუფალი არსებობისკენ კი არა. ახლა ერთბაშად დემოკრატიებად ვიქცით, მაგრამ თავისუფლება იმას როდი ნიშნავს, რომ ყველაფერია ნებადართული. ანარქია თავისუფლების პირველი მტერია. თავისუფლება იწყება ადამიანით. მისი აზროვნებით, მისი ცხოვრების წესითა და სამყაროსადმი დამოკიდებულებით. თავისუფალი ადამიანების თაობა უნდა აღვზარდოთ, ეს კი ძალზე შორი გზაა. მიუხედავად ამისა, ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ საქართველო ყველა სირთულეს დაძლევა.

ჩემთვის მსოფლიო მუდამ პატარა საქართველოთი იწყებოდა. სამწუხაროდ, ბევრი ჩვენგანი საბჭოური აზროვნებით განიმსჭვალა, მათთვის მართლაც არსებობდა „დიდი სამშობლოს“ ცნება, ხოლო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მათ თავი მიუსაფრად და დაუცველად იგრძნეს. ცხადია, ადამიანი თვითონ წყვეტს, სად იცხოვროს, მაგრამ მე ახლა იმ თანამემამულეებზე ვსაუბრობ, ვისაც მიაჩნია, რაც უფრო შორს გავეცლებით ტანჯულ საქართველოს, ჩვენი ცხოვრება მით უფრო გამოსწორდებაო. მაგრამ, თუკი ქართველებად დარჩებიან, პირიქით, უფრო მეტ ტკივილს მოუტანთ იმის განცდა, რომ სამშობლო განსაცდელის ჟამს მიატოვეს, და მას ველარაფერს შევლიან. ის სიცარიელე, რასაც შინ ტოვებენ, მათვე უქმნით საფრთხეს. ბუნება მუდამ ავსებს ცარიელ ადგილებს, მაგრამ მთავარია, რით შეივსება ეს სიცარიელე.

წინ მარადისობაა!

– „ბატონო ოთარ, საუბრისას არაერთხელ გინსენებიათ შიში მომავლის გამო, ობიექტური რეალობა ასაზრდოებდა ამ შიშს, მაგრამ მაინც გვექონდა უკეთესის მოლოდინი. დღეს თუ გაქვთ უკეთესის მოლოდინი? შიში გამართლდა? მგონი, მაშინ, ნოემბრის დღეებში ამ კითხვებზე პასუხი ჩანდა თქვენს სიტყვებში, მაგრამ მას მერე დიდი დრო გავიდა. იქნებ პასუხიც შეიცვალა.

– მართალი ბრძანდებით, შიში გამართლდა. თუმცა, უკეთესის მოლოდინი მაინც შემრჩა. მომავლის შიშიც და უკეთესის მოლოდინიც უაღრესად ადამიანური გრძნობაა, მე ვიტყვოდი, აუცილებელი თვისებაა სიცოცხლისა და ვიდრე ადამიანი ცოცხალია, არც მომავლის შიში გაუნელდება, არც უკეთესის მოლოდინი, მით უფრო დღევანდელ მსოფლიოში და მით უფრო ჩვენს დღეში მყოფს. მომავლის შიშს თავად მომავლის გაურკვეველობა აჩენს, ხოლო, უკეთესის მოლოდინს ჩვენი თანდასწრებითა თუ ჩვენი თანამონაწილეობით მიმდინარე ცხოვრება განაპირობებს. აქედან გამომდინარე, ერთიცა და მეორეც, დალხინებულზე მეტად, გაჭირვებულ ადამიანს უმძაფრდება. ასე რომ, არაფერია გასაკვირი, ერთდროულად მომავლის შიშიც მქონდეს და უკეთესის მოლოდინიც. მოკლედ რომ ვთქვა, ამ ხნის განმავლობაში ბევრი რამ კი გადაგვხდა თავს, მაგრამ ჩემთვის თითქმის არაფერი შეცვლილა: იმავე აზრისა ვარ, რა აზრისაც ჩვენი ბოლო საუბრისას ვიყავი. სხვათა შორის, ალბათ გახსოვთ, არც მაშინ არსებობდა რაიმე მყარი საფუძველი პოზიციისა და აზრის შესაცვლელად. უბრალოდ, იმდენად ძნელი წარმოსადგენია ჩვენთვის არსებულზე უარესი, ნებისმიერ მოსალოდნელ ან უკვე მომხდარ ცვლილებაში მაინცდამაინც უკეთესის დანახვას ცვდილობთ, თუმცა, ადრეც ვთქვი და ახლაც ვიმეორებ, ჩვენი ბიოგრაფიის ხალხს გაცილებით მეტი სიფხიზლე და წინდახედულობა მართებს. ვხვდები რა თქვენი შეკითხვის პროვოკაციულობას, გულწრფელად ვაღიარებ, რომ უამრავი და უამრავი ჩვენი თანამემამულის მსგავსად, ვერც მე გამოვიჩინე საჭირო სიფხიზლე. იმდენად ვიყავი აღტაცებული დავითის სუთჯვრიანი დროშით, ფალიაშვილის მუსიკაზე შექმნილი ჰიმნითა თუ ბაგრატიონთა აღდგენილი გერბით, რომ იტყვიან, ცა ქუდად არ მიმჩნდა, დედამიწა – ქალამნად. მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ხანმოკლე აღმოჩნდა ჩემი სინარული. ჯერ

საგანგებო კომისიისგან შერჩეული გერბის ნაცვლად, მისი იმიტაცია შეგვრჩა ხელში. ყალფზე შემდგარი ლომები და სამეფო გვირგვინი ნებისმიერ სხვა ქვეყნის გერბზეც შეიძლება გამოისახოს, ხოლო, ოქროს საწმისის, დავითის შურდულისა და ქრისტეს კვართის გამოსახვა მხოლოდ ჩვენ შეგვეძლო ჩვენს სახელმწიფო გერბზე. „ფეოდალური წარსულის ამსახველი“ სიმბოლიკა, რაც ჩვენს ზოგიერთ ოპონენტს ჩამორჩენილობად მიაჩნია, პატივისცემის გრძნობას თუ არა, ინტერესს აუცილებლად გაუჩენდა სხვა ხალხებს ჩვენ მიმართ. ჰერალდიკის ენა მეტად შთამბეჭდავია და მდიდარი, თუკი გესმის და იცი მისი დანიშნულება. ასე რომ, ხანმოკლე სიხარულს უკვე ლამის ცხოვრების წესად ქცეული გაურკვეველობა და დაძაბულობა მოჰყვა ისევ, გერბის გაუბრალოებას კი – ძნელად წარმოსადგენი და კიდევ უფრო ძნელად ასახსნელი შეცდომების მთელი ნაკადი, რაც მთავარია, თითქოს შეგნებულად ჩადენილი, ჩვენი სულიერი, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესამოწმებლად, იმის დასადგენად, თუ რამდენად ადეკვატური იქნებოდა ჩვენი, როგორც ხალხი:ს, რეაქცია ამა თუ იმ პოლიტიკურ თუ პოლიტიზებულ მოვლენასთან დაკავშირებით. მაგალითად, წინ აღვუდგებოდით დავით აღმაშენებლის ძეგლის ხელყოფას, ეროვნული მწერლობის, მეცნიერების, სპორტის, საერთო კულტურის უგულველყოფას, „სამხრეთ ოსეთის“, ამ უაღრესად საბჭოური, კრემლში შეთითხნილი ცნების აღდგენას, სვანეთის აფხაზეთის გადაკეთებას ზემო აფხაზეთად, ახალი მიწების მიმატებას უკვე ისედაც დაკარგული ტერიტორიებისთვის, თუ ყურსაც არ შევიბერტყავდით (როგორც მოხდა კიდევ) და კვლავაც მხოლოდ სოციალური პრობლემების გამო, დროგამოშვებით, ავუმხედრდებოდით ხელისუფლებას, რაც მონობაში შექმნილი ბედოვლათობის კიდევ ერთი გამოვლენაა და მეტი არაფერი. მოკლედ, ნოემბრის შემდეგ ბევრი რამ შეგვეშალა, მაგრამ (და ეს კიდევ უფრო შემაშფოთებელია), ჩადენილი შეცდომების გამოსწორებას კი არ ვცდილობთ, ახლებს ვამატებთ. ასე კი, ჩემი აზრით, იმ უბრალო მიზეზის გამო ვიქცევით, ჯერ ისიც რომ ვერ გაგვირკვევია ვერც მწერლებს და ვერც თქვენ, ჟურნალისტებს, ეს შეცდომები მართლა შეცდომებია, ანუ მართლა ჩვენი უმწიფრობის, უეიცობისა და უწვრთნელობის შედეგია, თუ შეგნებული, წინასწარ დაგეგმილ-დამუშავებული პროექტის მეთოდური, თანამიმდევრული განხორციელება დროსა და სივრცეში. ყოველ შემთხვევაში,

ნამდვილად არსებობს ამგვარი ეჭვის საფუძველი, მით უფრო მწერლისთვის, რადგან მწერალმა თვითონაც არ იცის, რეალობა მისთვის მთავარი, თუ წარმოდგენილი. სხვანაირად რომ ვთქვათ, მისთვის არაფერია წარმოდგენილი და, ამავე დროს, ყველაფერი დასაშვებია, რისი წარმოდგენაც შეიძლება. და მაინც, ამ ბოლო დროს, ბევრი ისეთი რამ მოხდა ჩვენში, რისი წარმოდგენაც კი დაუშვებლად მიმაჩნია, თუკი არ გავითვალისწინებთ ზემოთ უკვე ნახსენებ ბედოვლათობას. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ვგულისხმობ დავით აღმაშენებლის ძეგლის გატანას ქალაქიდან, რამდენადაც, დავით აღმაშენებლის ძეგლი ყველა ნორმალური ქართველისთვის (და არაქართველისათვისაც), უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის ერთიანობისა და პოლიტიკური კურსის ვიზუალური განსახიერებაა, ყოველწამიერი შეხსენებაა ყველა ჩვენგანისთვის ჩვენი მეობისა, ჩვენი ამქვეყნიური დანიშნულებისა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ ქართველმა ხალხმა ამჯერად ვერ გამოიჩინა: მისთვის დამახასიათებელი გონიერება, ვერ აუღო ალღო ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და ერთხელ კიდევ დაისაჯა, ჩვენში რომ ვთქვათ, სამართლიანად, რადგან არც უკითხავს, რა ხდება, რატომ ხდებაო, როცა მის ღიღებულ მეფეს, უკანონოდ შემოპარულ მიგრანტივით, უბოდიშოდ აძევებდნენ საკუთარი სატახტო ქალაქიდან. ასევე არ შემოფოთებულა, როცა პარლამენტმა ერთხელ უკვე მისგანვე გაუქმებული „სამხრეთ ოსეთი“ აღადგინა, რაც პოლიტიკურ ენაზე უცხო სახელმწიფოს არსებობის აღიარებაა საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე. ასევე არ შემოფოთებულა, როცა სვანეთის აფხაზეთს, სადაც ქართველის გარდა, არასოდეს უცხოვრია სხვა ეთნოსის წარმომადგენელს, ზემო აფხაზეთს არქმევდნენ, რაც იგივე „სამხრეთ ოსეთობას“ ნიშნავს და იმათ სასარგებლოდ გადადგმული ნაბიჯია, ვისაც ამჟამად ეკუთვნის აფხაზეთი. ძნელი სათქმელია, რატომ მოხდა ასე. ხალხი: „რომელსაც ეროვნული ღირსებისა და სიამაყის გრძნობა უნღუნგდება, ბიოლოგიურ სიცოცხლეს, მართალია აგრძელებს, მაგრამ კი არ მრავლდება, სხვა ხალხებში ითქვიფება, ილექება, საკუთარს კი არ ქმნის, სხვათა შექმნილს იმეორებს, ხოლო სხვა კულტურის მექანიკური გამეორება ერის თვითმკვლევლობას ნიშნავს და, ბუნებრივია, აღარ არის საინტერესო დანარჩენი მსოფლიოსთვის. იმედი მაქვს, ჯერ კიდევ არ მივსულვართ აქამდე, მაგრამ შეიძლება მალე მივიდეთ, თუკი არც ამჯერად მოვეგებით გონს, არც ამჯერად

ამოვიღებთ ხმას, არც ამჯერად გამოვიღებთ ხელს, თუნდაც განათლებისა და კულტურის სამინისტროების მიერ გამოტანილი და ქვეყნისთვის აშკარად არასახარბიელო გადაწყვეტილებათა წინააღმდეგ. მე მგონი, მთლად დალაგებულად ვერ ვპასუხობ თქვენს შეკითხვას, მაგრამ, კაცმა რომ თქვას, განა უკეთესის მოლოდინი არ მაღაპარაკებს ამდენს?! დიახ, ერთხელ კიდევ ვადასტურებ, რომ მიუხედავად ყველაფრისა, მაინც შემრჩა უკეთესის მოლოდინი. ქართული ფენომენი იმდენად უნიკალურია, მისი გაქრობა, მხოლოდ და მხოლოდ, ვიღაცის ნება-სურვილით, ვინც არ უნდა იყოს ის ვიღაცა, რასაკვირველია, გარდა უფლისა, ყოვლად შეუძლებელია. ყოვლად დაუშვებელიც. ასე რომ არ მწამდეს, მაშინ ხომ არც ჩვენი დღევანდელი საუბარი შედეგობდა.

– ბევრი პრობლემა გვაქვს. ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რომ ამოგარჩევინოთ, რომელს დამისახელებთ?

– პრობლემა ნამდვილად ბევრი გვაქვს – ამას ვერც დავმაღავთ, ვერც მივაფუჩეჩებთ – მაგრამ ჩვენთვის, ჯერჯერობით, მთავარი პრობლემა მაინც ფიზიკური გადარჩენაა. ვიდრე არსებობს (სამწუხაროდ, არსებობს) ჩვენი, როგორც ხალხი:ს, გაქრობის საფრთხე, ნებისმიერ სხვა პრობლემაზე მსჯელობა, მეტი რომ არ ვთქვათ, თავის მოტყუებაა, სიმართლისთვის თვალის არიდებაა, უფრო მეტიც, ბრძოლის ველიდან გაქცევაა და გავრბივართ კიდევ – არც ამის დამალვა დაგვაყრის ხეირს – სოკოებივით მრავლდება საზღვარგარეთ ქართული სათვისტომოები, რაც ჩვენისთანა მცირერიცხოვანი ხალხისთვის უაღრესად სახიფათო მოვლენაა. რასაკვირველია, უმიზეზოდ არავინ მიდის, მაგრამ მიზეზს, პრობლემისა არ იყოს, რა გამოლევს, თუკი საზოგადოზე მალა პირადულს დავაყენებთ, ანუ, ქვეყნის კი არა, თავის გადარჩენაზე ვიფიქრებთ მხოლოდ. ყველა მიზეზი საპატიოა შინიდან წასასვლელად, როცა შინ ყველა იმედი ამოწურულია. უფრო მეტიც, სიბრიყვეც და სილაჩრეც ერთგვარი ალიბის მნიშვნელობას იძენს და პასუხისმგებლობის გრძნობიდან განთავისუფლებს თუნდაც მხოლოდ საკუთარ თვალში. „დალაგდება ქვეყანა და ჩამოვალ“ – ამ პირობით ტოვებს უმრავლესობა აქაურობას, მაგრამ იმას კი აღარ ამბობენ, ვინ დაალაგებს აქაურობას მათ მაგივრად. შეიძლება, ცოტას ვაზვიადებ, ზედმეტად მკაცრად ვლაპარაკობ საკუთარ სისხლსა და ხორცზე, მაგრამ როგორც გული მიგრძნობს, წასულთა გარკვეულ

ნაწილს სწორედ აქაურობა ადარდებს ყველაზე ნაკლებად, შეიძლება, აღარც დაბრუნდეს შინ, სამუდამოდ აიცრუოს გული სამშობლოზე, რომელმაც, თავის ღროზე, ვერ დაიცვა, ვერ დააპურა, რადგან თავად აღმოჩნდა მშვიერი და დაუცველი. ამიტომ, თუკი ვინმეხეა გაბრაზებული, აქაურობაზე, „პატარა სამშობლოზე“ და არა ზოგადად რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირზე, ეგრეთ წოდებულ „დიდ სამშობლოზე“, სადაც არათუ პოლიტიკური, საყოფაცხოვრებო პრობლემებიც ნაკლებად ეხებოდა, უფრო ნათლად რომ ვთქვათ, სხვა ფიქრობდა მის მაგივრად, მას კი, ავად თუ კარგად, გარანტირებული ჰქონდა „პური და სანახაობა“. მაგრამ, როგორც კი განთავისუფლდა თავის „პატარა სამშობლოიანად“, იმას, ნამდვილსა და ერთადერთს კი არ მიხედა, ფეხზე კი არ წამოაყენა მონობით წამხდარი და დაუძლურებული, რაც წმიდათა-წმიდა მოვალეობაა ყველა ნორმალური ადამიანისა, არამედ გაეუტა, ზურგი შეაქცია, გაექცა და... გადარჩა, ოღონდ, იმიტომ კი არა, იქ რომ მეტი იშოვა, ვიდრე აქ იშოვიდა, უბრალოდ, იმას დაჰყაბულდა იქ, რასაც აქ არავითარ შემთხვევაში არ დაჰყაბულდებოდა, თუნდაც, მონური პატივმოყვარეობისა და კუდაბზიკობის გამო. „პერესტროიკის“ მესვეურებს, რასაკვირველია, ესეც წინასწარ ჰქონდათ გათვალისწინებული, რაც, უპირველეს ყოვლისა, მათი იმპერიული შორსმჭვრეტელობის ამკარა დადასტურებაა და გამართლებაც – იდეოლოგიური საზარელი წნეხის მეშვეობით ცდილობდნენ ჩვენი ფსიქიკის შეცვლასა და გადაგვარებას. და, ეტყობა, გარკვეული თვალსაზრისით, მაინც შეძლეს, რადგან უნდა ვალიაროთ, ჯერ კიდევ ბევრ ჩვენიანს უჭირს საუკუნოვანი მონობის ტყბილად აქოთებული ლოგონის მიტოვება და დღემდე სჯერა ორი სამშობლოსი და ორი მშობლიური ენის არსებობის შესაძლებლობა. ასე რომ, როგორც არ უნდა გვეტკინოს გული, როგორც არ უნდა გვიჭირდეს ამის აღიარება, მიუხედავად ოფიციალური (ალბათ, უფრო ფიქტიური) განთავისუფლებისა, ჯერ კიდევ მონებად დავრჩით, თუნდაც გააზატებულ მონებად. გარკვეული შეზღუდვები თითქოს მოგვეხსნა, მაგრამ ჯერ არ ჩამოყალიბებულა და არც შეიძლებოდა ასე უცებ ჩამოყალიბებულიყო ჩვენში პიროვნება, რომელმაც იცის, როდის როგორ მოიქცეს, რა სჯობს არა მარტო პირადად მისთვის, არამედ ქვეყნისთვისაც. აგვისტოს დღეებში – ალბათ თქვენც მიაქციეთ ყურადღება, როგორც ყურნალისტმა – ერთ-ერთი ქართული

ღიასპორის წარმომადგენლებმა, ტელევიზიის მეშვეობით, შემოგვითვალეს, თუ საჭირო შეიქმნა, ჩამოვალთო. მაღლობის მეტი რა გვეთქმის აქ დარჩენილებს, მაგრამ, ჩემი აზრით, თუკი საერთოდ საჭიროა ჩვენი ერთად ყოფნა, სწორედ დღესაა საჭირო. მე მეგონა, ეს ყველამ, წასულმაც და დარჩენილმაც, ერთნაირად ვიცოდით. დღეს ერთხელ კიდევ წყდება ჩვენი ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი, ისევე, როგორც გასული საუკუნის ოციან წლებში წყდებოდა, მაგრამ მაშინ იმდენ ხალხსაც ვერ მოვუყარეთ თავი, კრწანისში სანგრები რომ შეგვევსო. დღეს კი სანგრები არც გაგვითხრია, რადგაც ჯერ ისიც ვერ გავარკვეით, სად უფრო საჭირონი ვართ, შინ (თუნდაც სანგრების შესავსებად), თუ უცხოეთში (თუნდაც უკეთესი ეკონომიური პირობების შესაქმნელად). მონა იმდენადაა მიჩვეული სხვების (პატრონის) მეთვალყურეობით ცხოვრებას, ძალაუნებურად უჩლუნგდება დამოუკიდებლად აზროვნების უნარი, რაც თავისთავად ათავისუფლებს პასუხისმგებლობის გრძნობისგან. სამაგიეროდ, ზედმეტად უმძაფრდება აკრძალულის, მისთვის ხელმიუწვდენელის განცდისა და დაუფლების მოურეველი სურვილი და განთავისუფლებისთანავე, ამ სურვილის დაკმაყოფილებას ცდილობს, ნებისმიერი გზით და საშუალებით, და გაუცნობიერებლად, პირველ რიგში, სწორედ თავისუფლებას უპირისპირდება. ციხე შიგნიდან ტყდებაო. ადამიანი შიგნიდან თავისუფლდება და საამისოდ აჯანყება, ომი და რევოლუცია საკმარისი არ არის. ეს გაცილებით რთული და ხანგრძლივი პროცესია. მართალია, ამ ეტაპზე, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, თავისუფლებისთვის ამჟამად მოუშხადებლები აღმოვჩნდით, მაგრამ გადარჩენა თუ გვინდა, ისევე ქართველებად თუ ვაპირებთ დარჩენას და მართლა ქართული სახელმწიფოს შექმნას ვცდილობთ, ეს პროცესი როგორმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. ეს ერთადერთი გადამრჩენელი გზაა უდაბნოდან ალთქმულ ქვეყნამდე. მხატვრულად რომ ვთქვათ, ჩვენ ჯერ უდაბნოში დავხეტიალობთ და ასე ვიხეტიალებთ იქამდე, ვიდრე სულიან-ხორციანად არ განვიწმინდებით, არ გადავეჩვევით მონურ აზროვნებას, არ მოვიშორებთ მონობაში შექმნილ თვისებებს, არ განვთავისუფლდებით ლეგენდებისგან, ცრუ რწმენებისგან, ცრუ კერპებისგან, ცრუ იმედებისგან და, როგორც არ უნდა გავვიჭირდეს, თვალს არ გავუსწორებთ სინამდვილეს, ყველგან და ყველაფერში არ მოვძებნით სიმართლეს. სიმართლე მწარეა, ოღონდ, წამლის სიმწარე აქვს და

არა შხამისა. სიმართლე აგვიხელს თვალს, რათა დანახულმა ყველა ერთნაირად შეგვიძრას, შეგვაწუხოს, შეგვაშფოთოს. ეს ყველას ერთნაირად გვეხება, მეც, თქვენც, ყველას, ვინც ჩვენს საუბარს წაიკითხავს, ან არ წაიკითხავს, სულერთია, საზოგადოების რომელ სფეროს განეკუთვნება, რა საქმიანობას მისდევს, ქალია თუ კაცია, მოზარდი თუ მოხუცი, რადგან რაც გვჭირს, ყველას ერთნაირად გვჭირს. და რაც გვჭირს, იმიტომ გვჭირს, ყველას ერთნაირად რომ გვიჭირს მშობლიურ ენაზე ლაპარაკი – ამის მოყოლა, აზრის გადმოცემა – ლექტორსაც და სტუდენტსაც, ექიმსაც და პაციენტსაც, ვექილსაც და ტუსალსაც, პოლიტიკოსსაც და ხელოვანსაც, პოლიციელსაც და ბოროტმოქმედსაც, სხვათა შორის, თქვენც, ჟურნალისტებს და, რაც ყველაზე სახიფათოა, გლეხსაც. „რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო“ – გვაფრთხილებდნენ ჭეშმარიტი გულშემატკივრები და აჰა, წავხდით და დავეცით! ამის ბრალია, უეცილობის, უგემოვნობის, უზნეობის დღემდე არნახული აღზევება. ამის ბრალია, სუროგატის მოძრავლება კულტურის ნებისმიერ სფეროში. ამის ბრალია შინააშლილობა, გაუთავებელი დაპირისპირებები, ანგარიშსწორება, ღირსეულთა დაკნინება და უღირსთა განდიდება. ამის ბრალია, საკუთარის უარყოფა და უცხოურის გაფეტიშება. ერთმა საკმაოდ ცნობილმა ქართველმა, უფრო სწორად, წარმოშობით ქართველმა ხელოვანმა, მცხეთის ჯვრის მონასტრის ფონზე (ადგილობრივი ტელევიზია ლაქიური მოკრძალებით აფისქირებდა „ოქროს ფონდისთვის“ მსოფლიოს მოქალაქის მორიგ ვოიაჟს ყოფილ სამშობლოში), თავის მცირეწლოვან შვილებს (რასაკვირველია, ტელემეფურებელთა გასაგონად), ქართული გულითადობითა თუ ამერიკული პრაგმატულობით უთხრა: თუ გინდათ, კარგი ამერიკელები გაიზარდოთ, ფეხები არ დაკარგოთ, იცოდეთ, საიდან მოდიხართო. კეთილი და პატიოსანი. ღმერთმა ხელი მოუშარათო. და საერთოდ, ვისი რა საქმეა, რას ურჩევს საკუთარ შვილებს მამა, ვინც არ უნდა იყოს ის, ცნობილი ხელოვანი თუ ჩვეულებრივი არარაობა. სამაგიეროდ, დიახაც რომ შემაშფოთებელია ჩვენთვის, როცა მთელი ქართველი ხალხი: უყურებს და უსმენს ყველაფერ ამას და არავის უჩნდება სურვილი, მორიდებულად მაინც უსაყვედუროს ტელევიზიას ამგვარი ანტიეროვნული გადაცემების სიმრავლე. ამგვარმა ტელეგადაცემებმა, თავიანთი „ობიექტურობითა“ და „უშუალობით“, ადვილი

შესადლებელია, დათვური სამსახური: გაუწიონ ისედაც დაბნეულ ახალგაზრდას, გადაადგმევიანონ არასწორი ნაბიჯი, თუკი ჩვენი ტელეწამყვანები და ტელეკომენტატორები როგორმე არ მოერევიან მდაბიური მათემატიკის ჟინს და საკმაოდ იაფფასიანი ქაინაურობით კი არ იარსიყებენ ღია ეთერში სახელგანთქმულ ქართველ უცხოელთან, არამედ გარკვევით აუხსნიან, განუმარტავენ ტელემაყურებელს, რა უბედურია სინამდვილეში ჩვენი ყოფილი თანამემამულე, რამხელა ცოდვას სჩადის საკუთარი შვილების წინაშე, არაფერი რომ ვთქვათ მშობელ ხალხსა და სამშობლოზე. უბედურია, ჩვენ კი ბედნიერად გამოგვყავს. რატომ? გვეძლება თუ უკვე ამდენსაც ვეღარ ვხვდებით? აი, ეს უნდა გავარკვეოთ მე და თქვენ, უპირველეს ყოვლისა, და მერე ვისაუბროთ სხვა მტკივნეულ პრობლემებზე, რომელთა არსებობაც ასევე გამართლებულია, როგორც ნებისმიერი ბუნებრივი თუ ცხოვრებისეული მოვლენისა. პირობას გაძლევთ, პრობლემები არ დაგველევა, ვიდრე ვიცოცხლებთ, ვიდრე ვიცხოვრებთ, ვიდრე გონი შეგვრჩება და, რაც მთავარია, ვიდრე ბრძოლის თავი და სურვილი გვექნება.

– **ბატონო ოთარ, ცხადია, აგვისტოს ომის საშინელი დღეების შემდეგ უმძიმესი განცდა დაგრჩათ. საერთოდ თუ იცოდით, რომ მდგომარეობა ომამდე მივიდოდა, როგორ ცხოვრობთ ახლა – ომის შემდგომ შემადრწუნებელ „მშვიდობიან“ პერიოდში, როცა წინ საქართველოს ყელგამოღადრული და გულგამოღადრული რუკა გვიდევს?**

– ღიას, ვიცოდი. ოღონდ, „მდგომარეობა კი არ მივიდა ომამდე“, როგორც თქვენ ამბობთ, უბრალოდ, ერთხელ კიდევ გამოაშკარავდა, გამომჟღავნდა, ყველასთვის თვალნათელი გახდა ეს გამოუცხადებელი მცოცავი ომი, შეიძლება, დაუდევრობის, წინდაუხედაობის, ანდა მოუთმენლობის გამო. შეიძლება, შეგნებულადაც. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა თავიდანვე ისე წარიმართა, უომრად ყოვლად წარმოუდგენელია ჩვენი თანაარსებობა. განა გასული საუკუნის ჯერ ოციან და მერე ორმოცდაათიან წლებშიც „ომამდე არ მივიდა მდგომარეობა?!“ საერთოდ, ეს ომი დიდი ხნის დაწყებულია და ღმერთმა იცის, როდის ან როგორ დამთავრდება. თქვენ შეიძლება არ მიაქციეთ ყურადღება, მაგრამ ამ მარადიული ომის აგვისტოს ეპიზოდამდე ერთხელ კიდევ გაისმა, ახლა უკვე რუსეთის სახელმწიფო დუმაში, „პერესტროიკის“ დროს მოსკოვის ქუჩებსა და მოედნებზე

„მოულოდნელად“ გაჩენილი და ჩვენთვის მეტად ყურადსაღები, მრავლისმთქმელი მოწოდება: „გაუმარჯოს საქართველოს უქართველებოდ!“ ქართველებს ყურადღება არ მიუქცევიათ ამ მოწოდებისთვის-მეთქი, ვერ ვიტყვი, მაგრამ მაშინ მათი რეაქცია აშკარად არაადეკვატური (დღეს ფრიალ მიღებული გამოთქმა პოლიტიკოსებს შორის) აღმოჩნდა – არანახულად მოიმატა საქართველოდან რუსეთში განიზნულთა რიცხვმა. თუმცა ადეკვატურობით არც ამჯერად გამოირჩეოდა ჩვენი რეაქცია. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ნამდვილად არ ვიყავით ომისთვის მზად, მაგრამ ბოლოს ისე გამოვიდა, თითქოს ხათრი ვერ გავუტეხეთ საუკუნოვან მტერს და ავეყვით, ალბათ უკვე ძვალ-რბილში გამჯდარი, უკვე გენეტიკური შიშის გამოც. შიში შეიქმს სიყვარულსა, სიყვარული კი ბრმაა. ამიტომ, შეცდომებზე ნულარ ვილაპარაკებთ, შეცდომის შეხსენება ბრალდების წაყენებასავითაა, რაც, ჩვენში რომ ვთქვათ, სითამამეზე მეტად, სითავზე იქნებოდა ჩემი მხრიდან. მწერალი ბრალმდებელი არ არის და, რაც მთავარია, მის ნებისმიერ მოსაზრებას თვითუარყოფის, თვითგაბათილების უნარი გააჩნია, რაკი, მხოლოდ და მხოლოდ, წარმოსახვის, ეჭვის, განწყობის, სიტუაციის, ასოციაციის, სულაც ფანტაზიის ნაყოფია და არა მეცნიერული, თუნდაც კრიმინალური კვლევა-ძიებისა. მაგრამ საკუთარი მოსაზრების დამალვაც ისეთივე ბოროტება იქნებოდა მწერლისგან, როგორც დაუსაბუთებელი ბრალდების წაყენება ვინმესთვის. რასაკვირველია, არც რჩევა უნდა დაამადლო ვინმეს, მაგრამ თქვენ რომ მეკითხებით, როგორ ვიცხოვროთო, ნამდვილად ვერ ვიქნები კარგი მრჩეველი. ან რა უნდა გირჩიოთ, როცა მხოლოდ ის ვიცი, ასე ცხოვრება რომ არ შეიძლება. ასევე არ შეიძლება, გავიზიაროთ ის რჩევები, ბოლო დროს რომ გვთავაზობენ ტელეეკრანებიდან, რაც ჩვენი ეროვნული შეგნების დაქვეითებისა და დასუსტების, ანუ ჩვენი, როგორც კულტურული ხალხის პოლიტიკური სიკვდილის მომასწავებელია უფრო, ვიდრე ჩვენი სიჭკვიანისა და სამართლიანობისა. პუშკინისა და ტოლსტოის ქუჩებს კი არ უნდა გადავარქვათ სახელი, რის შემდეგაც კულტურული ხალხი: უმაღლეს კულტურულ ბრბოდ გადავიქცევით მთელი მსოფლიოს თვალში, არამედ ყველანაირად ვეცადოთ, რაც შეიძლება მალე მოვიშოროთ ჩვენს სულებში საუკუნეთა მანძილზე ჩალექილი მონობის შლამი, დავიბრუნოთ ჭეშმარიტი სახე, ჭეშმარიტი ბუნება და აღვიდგინოთ ისტორიული

მახსოვრობა. ჩვენი საკმაოდ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ან თავისუფლების შესანარჩუნებლად, ან თავისუფლების კიდევ ერთხელ მოსაპოვებლად ვიბრძვით, ხოლო ისტორიული მახსოვრობის გარეშე, შეიძლება, საერთოდ ავიღოთ ბრძოლაზე ხელი, რაც იგივე სიკვდილი იქნება ჩვენთვის. ჩვენ ვიღრე ვიბრძვით, იქამდე ვართ ანგარიშგასაწვევი ხალხი: მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც. ამიტომ, უპირველეს ყოვლისა, როგორმე უნდა გავაცნობიეროთ, სამასწლოვან ომში რომ ვართ ჩათრეულნი და აგვისტოს ომი მხოლოდ ეპიზოდია ამ ომისა. ომი, რომელსაც ჩვენ „ორდღიანი“ დავარქვით, პეტრე პირველის დაწყებულია. ჩვენმა მწიგნობარმა მეფემ, ვახტანგ მეექვსემ, სიტყვაზე დაუჯერა პეტრეს, ერთად ავლაგმით სპარსეთით და ბოლოს მარტო აღმოჩნდა გააფთრებული სპარსული ლომის პირისპირ, რის გამოც არათუ სამშობლოში ცხოვრება, სამშობლოში დამარხვაც აღარ ელირსა. ასე რომ, ეს ომი დიდი ხნის დაწყებულია და, როგორც უკვე ვთქვით, ღმერთმა იცის, როდის ან როგორ დამთავრდება, რუსეთი შეიცვლის ზნეს თუ ჩვენ ავილაგმებით პირისაგან მიწისა. რაც აგვისტოში მოხდა, მხოლოდ ორდღიანი მონაკვეთია სამასწლიანი ომისა და ამით არც არაფერი დაწყებულა, არც არაფერი დამთავრებულა. საერთოდ, ერეკლედან მოყოლებული (ერეკლემ ორჯერ მიიღო ამ ომში მონაწილეობა, ერთხელ აწყურთან, მეორეჯერ კრწანისში), საქართველოს არც ერთ ხელისუფლებას, ფიქტიურსაც და ფაქტიურსაც, არაფერი უცდია სიტუაციის შესაცვლელად. შეიძლება, შეგნებულადაც იქცეოდნენ ასე, უფრო სავალალო შედეგების შიშით. თუმცა, ჩვენთვის შედეგი ყოველთვის ერთნაირად სავალალოა, როგორც სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხელისუფლების მიერ დაშვებული ყველა შეცდომა. შეცდომებზე აღარ ვილაპარაკებ-მეთქი, წელან ვთქვი, მაგრამ კიდევ ერთს ვიტყვი მხოლოდ: გასული საუკუნის ოციან წლებში, ამჯერადაც კრწანისში, მეთერთმეტე არმიის მორიგი იერიშის მოგერიების შემდეგ, მთავარსარდლობამ კატეგორიულად აუკრძალა ქართველ ჯარს კონტრიერიშიზე გადასვლა, როცა, სამხედრო ექსპერტების აზრით, ადვილი შესაძლებელია, საერთოდ საქართველოს სასარგებლოდ გადაეწყვიტა ომის ბედი ამ კონტრშეტევას. აი, ასეთი უცნაური დამთხვევებითაა სავსე ჩვენი გაჭიანურებული ომი, თუკი მეტი გულისყურით გაეცნობით, როგორც უკვე ისტორიულს, ასევე ჯერ კიდევ „ცხელ“ ფაქტებს. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, როდემდე შეიძლება, ომისა არ იყოს, ასე

უსასრულოდ ვიმეოროთ ერთი და იგივე? თქვენს შეკითხვებზე რომ ვფიქრობდი, მეგონა, ვერაფერს ვიტყვოდი საერთოდ, მით უფრო ახალს, რადგან ახალი არც არაფერი მომხდარა. ამიტომ გაცილებით აჯობებდა, თქვენთვისაც ის მეთქვა მხოლოდ, რის თქმასაც თავიდან ვაპირებდი. უფრო სწორად, რაც ერთხელ უკვე ვთქვი ამ ხუთი წლის წინ. დიახ, ხუთი წლის წინაც ისევე იწვოდა ჩემთვის ჩვენი სამშობლო, როგორც დღეს იწვის. დიდი ხანია იწვის. იწვის ჩვენს თვალწინ, ჩვენს ფეხქვეშ, ჩვენს გარშემო, ჩვენს სულში! ცოტაც და, კვამლით გავიგუდებით ყველანი, სამარცხვინოდ დავამთავრებთ, ღმერთმა იცის, რამდენსაუკუნოვან არსებობას. ღმერთსაც გავუწიბილებთ მოლოდინს და კაცსაც, რადგან ღმერთიც მეტს ელოდა ჩვენგან და კაციც. უფრო სწორად, არც ღმერთს დაუკლია ჩვენთვის ხელი და არც კაცს. მაგრამ, იმის ნაცვლად, კიდევ უფრო ჯიუტად, კიდევ უფრო მტკიცედ დავმდგარიყავით სამზეოზე, თანდათან რული მოგვერია და ისიც ვერ გავიგეთ, ვინ ან როდის შეგვიცვალა მხედრის ულუფა მონის სალაფავით და აი, მას შემდეგ გვეწვის ფეხქვეშ სამშობლო. ჩვენ კი, მოურჩენელი სიბნელის ბინადარნი, ერთმანეთს ვუსისხლიანებთ თავ-პირს და ერთმანეთზე ვიყრით ჯავრს საერთო უძწევობისა და უმაქნისობის გამო. ანუ, შეგინებულ სიცოცხლეს ვებლაუჭებით მაინც, წყალობად ვუთვლით შემგინებელს და გახსენებაც აღარ გვინდა, სახელოვანი სიკვდილი რომ სჯობს ნამძრახ სიცოცხლეს, აღარ გვჯერა, სამშობლოსათვის თავდადებული ვაჟკაცის საფლავიც რომ აუღებელი ციხესიმაგრეა მტრისთვის, არადა, თუ ჩვენს სამშობლოს მართლა დაღუპვა უწერია, გვერჩიოს გულზე გვეყაროს და არა ფეხქვეშ მისი ქვები. ერთი დღეც ნუ გვეცოცხლოს უსამშობლოდ! ეს არც წყევლაა და არც ლოცვა. გნებავთ, ლოცვაც ესაა და წყევლაც ერთსა და იმავე დროს, რადგან უსამშობლობა, ყველა უბედურებასთან ერთად, სამარცხვინოცაა და განსაკუთრებით დღეს, როცა ისიც კი იკოწიწებს სამშობლოს, თანაც სხვათა მიწების ხარჯზე, ვისაც არასოდეს ჰქონია, არც სახნისი სჭერია ხელში, არც სასხლავი და არც კალამი, ჩვენ კი, „მონობაში გადიდკაცებულთა“ ამაზრუნენმა სიხარბემ შვილივით ნაფერები ვაზი აგვაჩენინა, ომებში გაბასრებული ხმალი ქარქაშში ჩაგვიყანვა, წიგნი გადაგვაგდებინა და უთვისტომო მაწანწალებად გვაქცია. ეტყობა, ჩვენმა „გაიძვერა მოყვარემ“ უკვე მიაღწია საწაღელს: ის აღარა ვართ, ვინც უნდა ვიყოთ, ვინც ჯერ კიდევ გუშინ ვიყავით, როგორიც შეგვქმნა

თავიდანვე ღმერთმა თუ ბუნებამ, მაგრამ ის მაინც ხომ უნდა გავარკვიოთ რა მოხდა, რა უბედურება ტრიალებს ჩვენს თავს, ვისი სისხლი გვიდგას, ბოლოს და ბოლოს, ძარღვებში: „ვეფხისტყაოსნის“ დამწერისა თუ ქართველთა შეთქმულების გამცემისა, სვეტიცხოვლის ამშენებლისა თუ ილიას მკვლელისა, მტრის რისხვისა თუ მტრის მსახურისა და მაინც, დიდი უსამართლობა იქნება ღმერთისგანაც და კაცისგანაც ჩვენი გაწირვა, მხოლოდ იმიტომ, კვლავაც იქ რომ ვდგავართ, სადაც გაჩენის დღიდან ვმდგარვართ და სადაც უნდა ვიდგეთ უკანასკნელ ამოსუნთქვამდე. კვლავაც ის რომ გვწამს, რაც თვალის გახელისთანავე ვიწამეთ და დღესაც სანახევროდ თითქმის უკვე დამწვარ, გულსაკლავად დამახინჯებულ-დაპატარავებულ სამშობლოს ამარა დარჩენილებსაც გვწამს: სამშობლო ერთადერთია და განუმეორებელი! მას ვერ გამოიგონებ, ვერც სურვილისამებრ აირჩევ – ღმერთის საჩუქარია – და ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია, გვევალება კიდევ გაუფრთხილდეთ, არ დაკვაროთ, რაკი სიცოცხლესთან ერთად გვეძლევა და სისხლივით, სულივით გადაეცემა ჩვენს შთამომავალს. ჩვენ ამირანის გამჩენი ხალხი: ვართ და ჩვენი ხსნა მხოლოდ ბრძოლაა, ანუ, ჩვენთვის ყველაფერი ბრძოლაა: ლხინიც, გლოვაც, ყველაფერი, რითაც საკუთარ ვინაობას ადასტურებს და საკუთარ მეობას წარმოაჩენს ადამიანი. ჩვენც სამშობლოსთან ერთად ვიწვით ცოცხლად, მარადიულ ცეცხლში, მაგრამ ფერფლივით კი არ უნდა გაგვფანტოს ხალხმა, არამედ ისევ მშობლიურ ცასა და მიწას უნდა მიგვამატოს ცად და მიწად. იმიტომ, როგორც არ უნდა გაგვიჭირდეს, ყოველთვის გვახსოვდეს – წინ მარადისობა!

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსანდრე ახმეტელი „წერილები“, ლიტერატურა და ხელოვნება. თბილისი. 1964 წ.
2. სანდრო ახმეტელი. დოკუმენტები და ნარკვევები. III ტომი. თბილისი 1978 წ.
3. არისტოტელე. „რიტორიკა“. თბილისი. 1992 წ.
4. არისტოტელე. პოეტიკა. თბილისი. 1991 წ.
5. აკაკი გელოვანი. სიბრძნის სიმფონია. ხელოვნება. 1989 წ.
6. გ. ახვლედიანი. ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები. თბილისი. 1996 წ.
7. ვლ. ავალიშვილი, ა. ინაშვილი, ტ. უგულავა, თ. ფერაძე. სახელმძღვანელო ლოგოპედიის მუშაობისათვის. თბილისი. 1960 წ.
8. შ. აღსაბაძე. „სამსახიობო ხელოვნების საკითხები“. თბილისი. 1981 წ.
9. პ. ბრუკი, „ცარიელი სივრცე“. ხელოვნება. 1984 წ.
10. ნ. გომელაური. „ოცჯერ ექვსი საკაიფო ლექსი“. თბილისი. 2001 წ.
11. ი. გურგულია. პოეზია, თარგმანები, წერილები, თბილისი. „მერანი-3“. 1999 წ.
12. ზეპირი მეტყველება და მისი გამოუმუშავების მეთოდები (მეთოდური მითითებანი).
13. მ. თუშანიშვილი. „სანამ რეპეტიცია დაიწყება“. თბილისი. 1974 წ.
14. მ. თუშანიშვილი. „ახლა კი ფარდა“. არადანი. 1998 წ.
15. გ. თვალაძე. „ადამიანის ანატომია“. II ნაწილი. თბილისი 1970 წ.
16. თეატრმცოდნეობითი ძიებანი. ტომი I. თბილისი. 1964 წ.
17. თეატრმცოდნეობითი ძიებანი (სამეცნიერო შრომების კრებული). ტომი II. თბილისი. 1970 წ.
18. ვ. კიკნაძე. „სინამდვილე და სახიობა“. 1990 წ.
19. ნ. კანდელაკი. „ქართული კლასიკური მჭევრმეტყველება“ „ხელოვნება“, თბილისი. 1961 წ.
20. გრ. კიკნაძე. „მეტყველების სტილის საკითხები“. თბილისი. 1957 წ.
21. ა. კაიშაური. „სახელმძღვანელო მეტყველების ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად“. თბილისი. 1954 წ.
22. კ. მარჯანიშვილი. „შემოქმედებითი მემკვიდრეობა“. კრებული. თბილისი. 1972 წ.
23. კ. მესხი. კრებული. 1953 წ.
24. მ. მრეკლიშვილი. „მსატკრული კითხვის ხელოვნება“. ხელოვნება .1971წ.
25. მ. მრეკლიშვილი. „ქართული სასცენო მეტყველების ფონეტიკური საფუძვლები“. „განათლება“. თბილისი. 1966 წ.
26. ნ. ნიკოლაძე. „თხზულებანი“. თბილისი. 1970 წ.

27. ბ. ნიკოლაიშვილი. „ქართული სასცენო მეტყველება“. „განათლება“. თბილისი. 1979 წ.
28. ბ. ნიკოლაიშვილი. „სასცენო მეტყველების კომპლექსური სწავლება“. „განათლება“. თბილისი 1987 წ.
29. შ. ნიშნიანიძე. ერთტომეული. „მერანი“, 1979 წ.
30. შოთა რუსთაველის თეატრი. „კრებული“. 1953 წ.
31. შოთა რუსთაველი. „ვეფხისტყაოსანი“. მერანი. 1992 წ.
32. „სასცენო მეტყველების სწავლების მეთოდები“. სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი. 1987 წ.
33. ა. სალუქვაძე. „ლექსები პოემა“. თბილისი. 1987 წ.
34. ვაჟა-ფშაველა. „თხზულებანი“ ორ ტომად. ტომი II. „საბჭოთა საქართველო“. 1979 წ.
35. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“. წიგნი პირველი. თბილისი. 1972 წ.
36. „ქართული თეატრის მოღვაწენი სასცენო ხელოვნების შესახებ“. წიგნი მესამე, კ. მესხი, დ. ჯანელიძის რედაქციით. თბილისი. 1953 წ.
37. ა. შანიძე „ქართული გრამატიკის საფუძვლები“. თბილისი. 1953 წ.
38. თ. შარაშენიძე. „ენისა და მეტყველების ურთიერთობის პრობლემა“. თბილისი. 1974 წ.
39. უ. შექსპირი – ჰამლეტი – თბილისი. 1954 წ. ტომი 2.
40. ა. შიუკაშვილი. „დიქცია და მხატვრული მეტყველება“. თბილისი. 1972 წ.
41. არნ. ჩიქობავა. „ქართული სიტყვის კულტურის საკითხები“. თბილისი. 1972 წ.
42. შ. ძიძიური. „ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან“. თბილისი. 1954 წ.
43. ი. ჭავჭავაძე. „თხზულებანი, ტომი V–VI. თბილისი. 1988 წ.
44. გ. ჭარხალაშვილი. „ფონიატრიის საკითხები“. თბილისი. 1973 წ.
45. ზ. ჭუმბურიძე. „ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხები“. თბილისი. 1985 წ.
46. ო. ჭილაძე. „თხზულებანი“. ტომი III. თბილისი. 1987 წ.
47. ციციერონი. „ორატორი“. 1936 წ.
48. გ. ყორანაშვილი. „ეროვნული საკითხი“. თბილისი. 1977 წ.
49. Кнебель М. О. «Слово в творчестве актера.» М. 1972 г.
50. Кнебель М. О. «Поэзия педагогики». М. 1972 г.
51. Кнебель М. О. «О действенном анализе пьесы и роли» М. 1982 г.
52. «Культура речи на сцене и на экране». М. «наука». 1986 г.
53. «Культура сценической речи» Сборник статей. ВТО. М. 1979 г.
54. Кузнецкий. Проза и сцена. М. 1981 г.
55. Каролис Динейка. «Движение, дыхание, психофизическая тренировка» Минск. 1932 г.

56. Козлянинова И. П. «Орфоэпия в театральной школе» М. 1967 г.
57. Козлянинова И. П. «Произношение и дикция» ВТО. М. 1977 г.
58. Промптова И. Ю. «Работа режиссера над стихотворной драматургией» М. 1981 г.
59. Произношение на сцене. Методические указания. М. 1972 г.
60. Станиславский К. С. «Работа актера над собой». М. 1948 г.
61. Труд актера, выпуск 29. М. 1982 г.
62. Стромов Ю. А. «Путь актера к творческому перевоплощению». М. 1980 г.
63. Саричева Е. Н. «Сценическое слово» М. 1963 г.
64. Чарели Э. М. «Речевой голос и его воспитание» М. 1985 г.
65. Петрова А. Н. «Сценическая речь в русском театре». XIV-IX В» М. 1977 г.
66. Петрова А. Н. «Сценическая речь» М, Искусствою. 1981 г.
67. Проблемы сценической речи. Сборник научных трудов. Ленинград. 1979 г.
68. Савкова З. Б. «Головой тренинг в воспитании актера». Ленинград. 1871 г.
69. Теория и практика сценической речи. Сборник научных трудов. Ленинград. 1985 г.
70. Основы культуры речи. Хрестоматия. М. 1984 г.

დაიბეჭდა სტამბაში „კენტავრი“

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტი
0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 40